ლელა თავდგირიძე
ნატო შეროზია

უსაფრთხო სკოლის ოპტიმალური მოდელის გამოვლენა საქართველოს სოციალურ კონტექსტში



ლელა თავდგირიძე
ნატო შეროზია

უსაფრთხო სკოლის ოპტიმალური მოდელის გამოვლენა საქართველოს სოციალურ კონტექსტში

თბილისი
2023

მონოგრაფია მომზადდა და დაიბეჭდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2022 წლის „საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ სახელმწიფო საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში (ხელშეკრულება №SP-22-1007) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) within the framework of Scientific Publication Grant 2022 [grant number SP-22-1007].

რედაქტორი: პროფესორი იმერი ბასილაძე

სამეცნიერო რედაქტორი: ასოც. პროფ. ნატო შეროზია

ტექნიკური რედაქტორი: ასისტ. პროფ. გიორგი ქათამაძე

რეცენზენტი: პროფესორი ნინო ნახუცრიშვილი

სამუშაო ჯგუფი: კონსტანტინე ცხვარაძე, მაია ბოლქვაძე

დიზაინერი: დათო მოსიაშვილი

© ლ. თავდგირიძე, ნ. შეროზია, 2023

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

გამომცემლობა „ფავორიტი სტილი“
საქართველო, თბილისი, ა. ენუქიძის ქ. №5
032 2 500 580

ISBN 978-9941-8-5542-9
DOI https://doi.org/10.5281/zenodo.7957169

შინაარსი

რედაქტორისაგან 5
სამადლობელი 7
შესავალი 9

თავი I. უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა – გამოწვევები და შეფასებები
უსაფრთხო სასკოლო გარემოს არსი და მნიშვნელობა 15
უსაფრთხო სკოლის საერთაშორისო პრაქტიკა 33
უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში 45
მშობელთა ჩართულობის როლი უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის განხორციელებაში 62

თავი II. ძალადობის პრევენციის და უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის გატარების გზები და საშუალებები
ძალადობის პრობლემა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და სახელწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით 78
უსაფრთხო სკოლის მოდელი 108
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებები ძალადობის პრევენციის მიზნით..... 166

ტერმინთა განმარტება 178
გამოყენებული ლიტერატურა 194
დანართი 1. ბავშვის უფლებათა კონვენცია 206
დანართი 2. ბსუ-ში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო-სურათები 212
ავტორების შესახებ 214

რედაქტორისაგან

წინამდებარე წიგნი „უსაფრთხო სკოლის ოპტიმალური მოდელის გამოვლენა საქართველოს სოციალურ კონტექსტში“ წარმოადგენს ამ პრობლემატიკის მონოგრაფიული შესწავლის ერთ-ერთ ცდას. ავტორებმა არსებული ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის შესწავლისა და საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით გადმოსცეს და გააანალიზეს საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში უსაფრთხო სკოლის განვითარების ისტორია. შეეცადნენ გამოევლინათ საქართველოში უსაფრთხო სკოლის ოპტიმალური მოდელი.

ნაშრომი შედგება ორი თავისა და ექვსი პარაგრაფისგან. განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: უსაფრთხო სასკოლო გარემოს არსი და მნიშვნელობა, უსაფრთხო სკოლის საერთაშორისო პრაქტიკა, უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში, მშობელთა ჩართულობის როლი სკოლის პოლიტიკის განხორციელებაში, ძალადობის პრობლემა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, უსაფრთხო სკოლის მოდელი.

ნაშრომს ახლავს ტერმინთა განმარტება, ბავშვთა უფლებების კონვენცია და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე დისკრიმინაციის, სიძულვილის, ძალადობის, ბავშვთა უფლებების შელახვის, ცალკეული პირის და ჯგუფის, სსსმ და შშმ პირთა ფსიქოლოგიური და მორალური ზიანის, სხვადასხვა აღმსარებლობის და კულტურული ტრადიციების მქონე ადამიანების სიძულვილის, გენდერული ნიშნით ბულინგის პრევენციის მიზნით ჩატარებული არაერთი აღმზრდელობითი ღონისძიების, დებატების, კონფერენციის, ნახატების გამოფენის, ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ამსახველი ფოტო მასალები.

მონოგრაფიაში განხილულია ავტორთა მიერ შექმნილი უსაფრთხო სკოლის მოდელი, რომელშიც გაზიარებული აქვთ ცნობილი ფსიქოლოგების და მკვლევრების მოსაზრებები და უსაფრთხო სკოლის ქართული და უცხოური მოდელების გამოცდილებები.

წიგნი გაჯერებულია პრაქტიკული სიტუაციებითა და სავარჯიშოებით. რამდენად დაცულია ბავშვის უფლებები საქართველოში? შეიძლება თუ არა ბავშვის უფლებები ირღვეოდეს ოჯახის წევრების მხრიდანაც? რომელი უფლება ირღვევა და ვისი მხრიდან? ვის ევალება ბავშვის უფლებების დაცვა და როგორ? სიტუაციები სასკოლო ცხოვრებიდან გარკვეულ დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში.

ავტორები ვარაუდობენ, რომ მათი ნაშრომი შეუძლებელია დაზღვეული იყოს ხარვეზებისგან, ამდენად, ისინი კმაყოფილებით მიიღებენ სამართლიან და ობიექტურ შენიშვნებს.

რედაქტორი
პროფ. **იმერი ბასილაძე**

სამადლობელი

სკოლის უსაფრთხოებაზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა. თუმცა საქართველოში უსაფრთხო სკოლის კონცეფცია გაიგივებულია მოსწავლის ფიზიკურ უსაფრთხოებასთან: მანდატურები, სათვალთვალო კამერები, გამართული ინფრასტრუქტურა, სკოლის შენობაში უცხო პირების შესვლის აკრძალვა იმის გარანტიაა, რომ ბავშვებმა თავი დაცულად იგრძნონ. უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა მხოლოდ ფიზიკური გარემოს კონტროლს არ გულისხმობს და ის მოსწავლეების ემოციურ-ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც მოიცავს. რამდენად უსაფრთხოა დღეს ჩვენი სკოლები?

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემაში უსაფრთხო სკოლასთან დაკავშირებული პრობლემები. კვლევების საფუძველზე განხილულია: სკოლებში ძალადობის შედეგად გამოვლენილი თანმხლები უარყოფითი მოვლენები, პრევენციისა და დროული ჩარევის ეფექტიანი პროგრამების შემუშავება-განხორციელება. ნაშრომში განხილულია უსაფრთხო სკოლის პრობლემის გადაჭრის მექანიზმის შესახებ არსებული პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ლიტერატურა, გაანალიზებულია არსებული ცოდნა თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

გვსურს მადლობა გამოვხატოთ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიმართ, რომელმაც საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა უსაფრთხო სკოლის ოპტიმალური მოდელის ჩვენეული ხედვა. 2022 წლის „საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ სახელმწიფო საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში (ხელშეკრულება № SP-22-1007) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით დაგვებეჭდა წიგნი უსაფრთხო სკოლის ოპტიმალური მოდელის გამოვლენა საქართველოს სოციალურ კონტექსტში და ხელმისაწვდომი გაგვხადა საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების, განათლების პროგრამების სტუდენტებისათვის, მკვლევრებისა და ამ სფეროთი დაინტერესებული პირებისათვის.

დიდი მადლობა სტუდენტებს, პედაგოგებს, კოლეგებს, ფსიქოლოგებს ვინც თავიანთი მოსაზრებები გაგვიზიარა, აქტიურად ჩაერთვნენ კვლევაში და საშუალება მოგვცეს გაგვემდიდრებინა ლიტერატურა უსაფრთხო სკოლის მოდელის შესახებ.

მადლიერება გვინდა გამოვხატოთ წიგნის რედაქტორის, სამუშაო ჯგუფის, ტექნიკური რედაქტორის, კორექტორის, მხატვარ-დიზაინერის, გამომცემლობა „ფავორიტის სტილი“ მიმართ.

ვიმედოვნებთ, მკითხველი გაგებით მოეკიდება წიგნში გაპარულ უზუსტობებსა და ხარვეზებს. დიდი სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ ყველა საქმიან რჩევას.

ლელა თავდგირიძე, ნატო შეროზია
ბათუმი, 2023 წ.

შესავალი

განათლების მიზანი, განათლების მეცნიერებათა ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე ახლებურად განისაზღვრება. თანამედროვე ეპოქაში საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ მიმართულებად იქცა ბავშვთა სოციალური სტაბილურობისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულია, რომ სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

პიროვნების ფორმირება და სოციალურ ურთიერთობებში მისი ჩართვა მიმდინარეობს როგორც ორგანიზებულ პედაგოგიურ, ასევე სტიქიურ გარემოში, ისინი ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე, რაც შეიძლება ერთ შემთხვევაში ხელის შემწყობ, მეორე შემთხვევაში კი დამაბრკოლებელ ფაქტორად მოგვევლინოს. თანამედროვე ეპოქა ხასიათდება ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და განვითარების პროცესებზე სოციალური სფეროს დიდი გავლენით. მწვავედ დგას ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრობლემები. გაძლიერდა ამ მიმართულებით მიღებული საკანონმდებლო ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნებისადმი ყურადღება. მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები, რათა დაეხმარონ ბავშვებს საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში.

საქართველოს სწრაფვამ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ, თითქმის ყველა სფეროში განაპირობა ახალი ხედვების ჩამოყალიბება. ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლამაც ახალი ფორმა მიიღო და დანაშაულის საერთო მაჩვენებლის ზრდის ფონზე მისი თავიდან აცილების საკითხი სულ უფრო აქტუალური გახდა. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დგას ძალადობასთან ბრძოლის საკითხი. საკმაოდ გაზრდილია აგრესიის ფონი: სულ უბრალო მიზეზის გამო შეიძლება არასრულწლოვანმა სასიცოცხლო ზიანი მიაყენოს თანატოლს. ძალიან ხშირია მოზა-

რდთა შორის ქუჩური გარჩევები, რომლებიც სავალალო შედეგებით მთავრდება. ეს გარემოება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად იქცა, რომელიც ჯერჯერობით მოუგვარებლად რჩება. პიროვნების განვითარებაში მნიშვნელოვანია, რა მოახდენს მასზე გავლენას, როგორ პირობებში გაიზრდება, რა მიდრეკილებები ექნება, როგორ ურთიერთობებს დაამყარებს სხვებთან, როგორ გარემოში იცხოვრებს. ამ მიმართებით დაბრკოლებას ქმნის მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, პოლიტიკური კატაკლიზმები, დაძაბულობა, ადამიანის სიცოცხლის გაუფასურება, მშობლების მოუცლელობა, აგრესიულობისა და ძალადობის ამსახველი მასალის მოჭარბება მედიასივრცეში, არასწორად წარმართული პედაგოგიური საქმიანობა. ბავშვების მიმართ ძალადობას არა აქვს გეოგრაფიული საზღვრები, იგი არ სცნობს რასას, კლასს, რელიგიასა თუ კულტურას. ძალადობა თავს იჩენს სახლში, სკოლასა თუ ქუჩაში, გასართობ თუ სამუშაო ადგილებში, ბავშვებზე მზრუნველობისა და ბავშვების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. მოძალადეთა შორის შეიძლება იყვნენ მშობლები, ოჯახის წევრები, მასწავლებლები, მეურვეები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ან თავად ბავშვები. ბავშვზე ძალადობად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ქცევა, რომელიც ბავშვს ტრავმას აყენებს. ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემით, ყურის აწევით, მუქარით, დამცირებით, დაშინებით, პირადი ნივთების ხელყოფით. საჯარო შეურაცხყოფით, სექსუალური ქმედებებით და სხვა.

უკანასკნელ პერიოდში თანდათან იცვლება ხედვა და დამოკიდებულება ბავშვთა ძალადობისადმი. ის, რაც ყურადღების მიღმა რჩებოდა, დღეს მიუღებელი და საგანგაშო გახდა. არ არსებობს ქვეყნად პროფესია, რომელსაც პირდაპირი ან არაპირდაპირი მნიშვნელობით შეხება არ ჰქონდეს ბავშვთან, მაგრამ არის პროფესიები, რომლებიც სრულად მოიაზრებს მუშაობას ბავშვებთან, ძალადობის და უგულებელყოფის შემთხვევების გამოვლენას, ძალადობაგადატანილი ბავშვების დახმარებას. მედიასაშუალებები დიდ როლს ასრულებენ ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ტელევიზია ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ერთი მხრივ, თავისი დინამიკურობით, ინფორმაციულობით, მიმზიდველი რეჟისურითა და ლამაზი გადაღებებით, ხოლო მეორე მხრივ, არავისთვისაა უცხო, რომ სატელევიზიო პროგრამები გადატვირთუ-

ლია დანაშაულებათა აღწერით, ძალადობისა და სექსუალური ეპიზოდების დემონსტრირებით.

თანამედროვე ეპოქა ხასიათდება ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და განვითარების პროცესებზე სოციალური სფეროს დიდი გავლენით. მწვავედ დგას ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრობლემები. გაძლიერდა ამ მიმართულებით მიღებული საკანონმდებლო ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნებისადმი ყურადღება. მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები, რათა დაეხმარონ ბავშვებს საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში. სკოლა უნდა იყოს უსაფრთხო ადგილი, სადაც სუფევს ბავშვებისათვის სასიამოვნო გარემო: ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება ძალადობის გარეშე. „გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 28-ე მუხლში ნათქვამია, რომ ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება, ხოლო სასკოლო დისციპლინის დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ მეთოდებით, რომლებიც ეფუძნება ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემას. სკოლამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ბავშვის ძალადობისაგან დაცვის საქმეში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ფართომასშტაბიანი სისტემური რეფორმები განახორციელა როგორც სკოლის მართვისა და მისი ფინანსური შესაძლებლობების მიმართულებით, ასევე სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ამ რეფორმებს შეიძლება ეწოდოს უპრეცედენტო მათი მასშტაბებიდან გამომდინარე. შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი, ამუშავდა მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი. მიუხედავად წარმატებებისა, გარკვეული პრობლემები და სადავო საკითხები ჯერ კიდევ არსებობს.

საქართველოს სკოლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2007 წელს ამოქმედდა პროგრამა „უსაფრთხო სკოლა“, რომლის ერთ-ერთი მიზანია სკოლის საქმიანობაში დისციპლინის განსამტკიცებლად ყველა არსებული რესურსის გამოყენება. პროგრამის ამოცანებში გათვალისწინებულია დისციპლინური გადაცდომის აღმოფხვრა და ძალადობის პრევენცია. აღწერილია დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტების უფლება-მოვალეობანი, განსაზღვრულია ძირითადად გაცდენა-დაგვიანებებზე ორიენტირებული სკოლის შიდა აუდიტის საქმიანობის მახასიათებლები, მითითებულია კლა-

სგარეშე დროის გამოყენების ორგანიზაციის ფორმები, აღნიშნულია, რომ პოლიცია სკოლასთან ითანამშრომლებს, როგორც დანაშაულზე რეაგირების პროცესში, ასევე დანაშაულის პრევენციის მიზნითაც.

„უსაფრთხო სკოლის“ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა „მანდატურის სამსახური“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ) რომელიც უზრუნველყოფს სკოლებში კონფლიქტებისა და დანაშაულის პრევენციას. დებულების მიხედვით, სამსახურის ამოცანაა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა; კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში – საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა; სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა“ (**მანდატურის სამსახურის დებულება 2010: 1-13**). ამავე დებულებით რეგულირდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის ფუნქციები. ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიური პრობლემების, ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეებს, მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას ან/და მასწავლებლებს, უწევს ფსიქოსოციალურ მომსახურებას (ფსიქოკორექცია, ფსიქოთერაპია, პრევენცია (პროფილაქტიკა), ფსიქოდიაგნოსტიკა, რესოციალიზაცია), უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარებას, სოციალური ინტეგრაციის მხარდამჭერი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარებას

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ ძალადობის პრევენციის საკითხთან დაკავშირებით არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგა, კვლავინდებურად მაღალია ძალადობის ჩადენის მაჩვენებელი. საჭიროა კომპლექსური მიდგომა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მხრი-

დან, რათა ძალადობა ავიცილოთ თავიდან. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ისეთმა კვლევებმა, როგორიცაა: ი. ანთაძე, ს. გორგოძე, ლ. ზაკაშვილი, ქ. კობალაძე, თ. მოსიაშვილი, გ. მშვენიერაძე, მ. ცირამუა „უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე"; მ. ცირამუა „ფსიქოსოციალური სამსახური საჯარო სკოლებში"; ნ. მახაშვილი „ბავშვთა და მოზარდთა შორის ძალადობა – რამდენიმე მოსაზრება პრობლემის მოგვარების შესახებ"; ს. გორგოძე, ს. ჯანაშია „პოლიტიკის დოკუმენტი-უსაფრთხო სკოლა"; ქ. ჩანჩხიანი, მ. კობახიძე, მ. გაბაშვილი „სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი"; ნ. ალელიშვილი, ა. ჯანელიძე, ნ. ჯიჯავაძე, თ. კუხალეიშვილი – გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი"; გ. ბისეიშვილი, ნ. გოგიჩაძე, ლ. იანგი, თ. ლოდია, ნ. მეფარიშვილი, მ. ხარებავა „სკოლისა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ქართული მოდელი"; მ. გოგიტაშვილი „ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა აღზრდის ახალი პრინციპების განხორციელების საქმეში"; გ. ჭანტურია, მ. ქადაგიძე, გ. მელიქაძე „სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020"; ნ. ანდღულაძე, თ. მოსიაშვილი, ი. კეჭაყმაძე „კვლევა – უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში: წინა პირობა, შედეგები და დამოკიდებულებები"; ნ. ლაბარტყავა, ქ. ოსიაშვილი, მ. საჯაია, ქ. კობალაძე უსაფრთხო სკოლა (მასწავლებლის წიგნი); ა. ბერულავა „აღმზრდელობითი მუშაობის პრობლემა სკოლაში"; ც. მეგრელაძე „მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვებისადმი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახმარება"; ლ. თავდგირიძე, გ. გობრონიძე, „მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობის ზოგიერთი ასპექტი"; ნ. შეროზია, კ. ცხვარაძე „ძალადობა და უსაფრთხოება ქართულ სკოლებში", მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა „უსაფრთხო სკოლა", გ. ქათამაძე, ლ. თავდგირიძე, მ. ბოლქვაძე, „ბავშვთა შრომის ექსპლუატაცია: პოლიტიკა, სამართალი და სოციალური დამოკიდებულებები საქართველოში", ლ. თავდგირიძე, ნატო შეროზია, მაია ბოლქვაძე, ბავშვთა უფლებების სწავლება (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე) და სხვა.

უსაფრთხო სკოლის კონცეფციასთან დაკავშირებით გავეცანით უცხოურ გამოცდილებას: ევროპის საბჭოს პროექტი „ძალადობაზე რეაგირება დემოკრატიული საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში" (Response to violence in everyday life in a democratic society) – ინტერ-

ნეტგვერდი: http://www.coe.int/T/E/Integrated-Projects/Violence/. გაერთიანებული სამეფოს განათლებისა და უნარების დეპარტამენტის პროგრამის „სკოლებში ძალადობის აღმოფხვრა“ – ინტერნეტგვერდი: http://www.dfes.gov.uk/behaviourandattendance; დიდი ბრიტანეთი „ყოჩობის წინააღმდეგ“ ინტერნეტგვერდი: http://www.dfes.gov.uk/bullying; დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ობსერვატორია არაძალადობის ხელშეწყობისათვის http://www.ukobservatory.com სკოლებში ძალადობის ევროპული ობსერვატორია: http://www.obsviolence.com; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინტერნეტგვერდი http://www.health.fi/connect; ყოჩობის საწინააღმდეგო ცენტრი (Anti-bullying center), ტრინიტის კოლეჯი http:// www.abc.tcd.ie; აღდგენითი მართლმსაჯულება http://www.transformingconflict.org და http://www.realjustice.org და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა, რეალურმა ვითარებამ და პრაქტიკულმა საჭიროებამ გამოიწვია უსაფრთხო სკოლის კონცეფციით ჩვენი დაინტერესება.

თავი I

უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა – გამოწვევები და შეფასებები

უსაფრთხო სასკოლო გარემოს არსი და მნიშვნელობა

უსაფრთხო, ძალადობისგან თავისუფალი სკოლა საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მონაპოვარია. ის უზრუნველყოფს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის მომსახურე პერსონალის ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებას. ძალადობისგან თავისუფალი სკოლა არის საძირკველი ყველა იმ აქტივობის და ღირებულების, რომელსაც მომავალში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ქმნიან (**ბენბენიშტი**, **2016**), „ბავშვი ცხოვრების დიდ ნაწილს სკოლაში ატარებს, სადაც იგი ყალიბდება პიროვნებად, იღებს განათლებას, ემზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვში ისეთი თვისებების განვითარებას, როგორიცაა მეგობრობა, თანაგრძნობა, მხარდაჭერა, პრობლემის არაძალადობრივი გზით გადაჭრა და სხვა. სკოლამ უნდა იზრუნოს მის აღზრდასა და უსაფრთხოებაზე. უსაფრთხოა სკოლა, როცა ხდება არა მხოლოდ კრიზისული სიტუაციების მართვა და მათზე ადეკვატური რეაგირება, არამედ პოზიტიური კლიმატის შექმნა, პრევენციისა და დროული ჩარევის ეფექტიანი პროგრამების შემუშავება და განხორციელება. უსაფრთხო სკოლა ისეთი სკოლაა, სადაც არა მარტო მოსწავლეები, არამედ მასწავლებლები და ადმინისტრაცია ახერხებენ პოზიტიურ ურთიერთობას; უსაფრთხოა სკოლა, სადაც სასკოლო კლიმატი მუქარისა და დაშინებისაგან თავისუფალია“ (**ბუჩერი**, **მენინგი 2005: 55-60**).

უსაფრთხო და მზრუნველია სკოლა, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ საკუთარი შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება და მიზნების მიღწევა. ქ. ჩაჩხიანის, მ. კობახიძის, მ. გაბაშვილის აზრით, „*უსაფრთხო* სკოლაში მოსწავლეები დაცულნი არიან ნებისმიერი სახის ზიანისგან, საფრთხისა და შიშისგან. მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების დამოკიდებულებები, ღირებულებები და ქმედებები გამორიცხავს ნებისმიერი სახის ინციდენტებს და ფოკუსირებულია სწავლასა და

წარმატებაზე; სკოლას შემუშავებული აქვს ყველა მოსალოდნელი საფრთხის პრევენციისა და დროული აღმოფხვრის სტრატეგიები; *მზრუნველ* სასწავლო გარემოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ერთმანეთს ეპყრობა პატივისცემითა და ნდობით. მოსწავლეების მხარდაჭერა და განვითარებაზე ზრუნვა სკოლის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. სკოლაში არსებული ნებისმიერი პრაქტიკა ეფუძნება მრავალფეროვნების აღიარებასა და პატივისცემას. სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისთვის; *მოწესრიგებული* სასწავლო გარემო გულისხმობს სკოლის საზოგადოების თითოეული წევრის მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების სრულფასოვან გააზრებასა და რეალიზებას. მისაღები და სავალდებულო ქცევების შესახებ მოლოდინები ყველასთვის წინასწარ არის ცნობილი. ნებისმიერ დარღვევასა და გადაცდომაზე სკოლა რეაგირებს წინასწარ შემუშავებული რეგულაციებისა და კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით“ (**ჩაჩხიანი**, **2011: 71-81**).

განათლების სამინისტრომ 2008 წელს UNICEF-ის დახმარებით დაიწყო უსაფრთხო სკოლის პროგრამა, რომელიც სკოლებში ძალადობის შემცირებას და ბავშვზე ორიენტირებული სკოლის ხელშეწყობას გულისხმობდა. 2012 წელს USAID-ის მხარდაჭერით სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის პროექტის – „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის ადვოკატირების“ – ფარგლებში უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის ალტერნატიული დოკუმენტი მომზადდა, ავტორები ილიას უნივერსიტეტის პროფესორები სიმონ ჯანაშია და სოფო გორგოძე. დოკუმენტში საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა გახდეს სკოლა უსაფრთხო. ალტერნატიული კონცეფციის ამოსავალია არა კონტროლზე, არამედ ზრუნვაზე ორიენტირებული უსაფრთხოება. უსაფრთხო სკოლის კონცეფცია, პოლიტიკის დონეზე, საქართველოს სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ამაზე მეტყველებს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში უსაფრთხოების მიმართულებით არსებული ჩანაწერები (**ჯანაშია**, **გორგოძე**. **2012**).

სახელმძღვანელოში „სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი (2011)“ ავტორები – ჩაჩხიანი ქ., კობახიძე მ., გაბაშვილი მ., განიხილავენ შანონისა და ბილსმას შეხედულებებს წარმატებული სკოლის ცხრა მახასიათებლის ურთიერთკავშირის შესახებ. შანონისა

და ბილსმას თანახმად, ის სკოლები, რომლებიც მაღალი აკადემიური მიღწევებით გამოირჩევიან, აქვთ ცხრა ძირითადი მახასიათებელი: მკაფიო და ფოკუსირებული მისია, ძლიერი ხელმძღვანელობა, მაღალი სტანდარტები და მოლოდინები, თანამშრომლობა და კომუნიკაცია, სასწავლო გეგმის, სწავლებისა და შეფასების სტანდარტებთან შესაბამისობა, სწავლისა და სწავლების ხშირი მონიტორინგი, ფოკუსირებული პროფესიული განვითარება, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო, ოჯახისა და საზოგადოების ჩართულობა (**ჩაჩხიანი**, **2011:45-48**). განვიხილოთ თითოეული მათგანი:

• წარმატებულ სკოლას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ფოკუსირებული მისია, რომელიც გულისხმობს თითოეული მოსწავლის მიერ სწავლას და აკადემიურ წარმატებას და რომელიც წარმოადგენს სასწავლო მიზნების, პრიორიტეტების, შეფასებისა და სკოლის პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების საფუძველს. სკოლის თანამშრომლები სრულად იზიარებენ სკოლის მისიასა და მიზნებს და პასუხისმგებლობას იღებენ მათ განხორციელებაზე. მოსწავლეების მიმართ მაღალი მოლოდინები და სწავლის მაღალი სტანდარტები — წარმატებულ სკოლებში სჯერათ, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია ძირითადი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის დაუფლება და უნარ-ჩვევების განვითარება, მასწავლებლებს კი შეუძლიათ მოსწავლეებს აღნიშნული მიზნების მიღწევაში დაეხმარონ.

• წარმატებული სკოლის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფოკუსირებას სკოლის მისიასა და მიზნებზე. ის სკოლის უმთავრეს ამოცანად აღიარებს მოსწავლის მიღწევებს, წარმატებებს და სკოლის მთელ საზოგადოებას ანგარიშვალდებულს ხდის მის განხორციელებაზე.

• წარმატებულ სკოლებში სხვადასხვა კლასისა და საგნის მასწავლებლები, ადმინისტრაცია და სკოლის სხვა თანამშრომლები რეგულარულად და ეფექტიანად თანამშრომლობენ მოსწავლეების მიღწევებთან დაკავშირებული პრობლემების დადგენისა და მოგვარების მიზნით (შანონ და ბილსმა, 2007). თითოეული მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეების მაღალი აკადემიური შედეგებისათვის. მასწავლებლები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლა/სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. ისინი აანალიზებენ მონაცემებს თითოეული მოსწავლისა თუ საერთო პრობლემური საკითხების შესახებ და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ

მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს. ნამდვილი თანამშრომლობის პირობებში კომუნიკაცია მხოლოდ შეხვედრების დონეზე არ ხდება და იგი აუცილებლად გრძელდება საკლასო ოთახებსა და სამუშაო პროცესში (ბლანკსტეინი, 2010). თანამშრომლობის პირობებში მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, ხდება ერთობლივი განხილვა, გამოცდილების გაზიარება.

• წარმატებულ სკოლებში სასწავლო გეგმა, სწავლება და შეფასება არის თანმიმდევრული და შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს. არსებობს მჭიდრო კავშირი დასახულ მიზანთან (რა უნდა ვასწავლოთ?), მიწოდებულ (რას ვასწავლით?) და ათვისებულ (რა ისწავლეს?) სასწავლო გეგმას შორის.

• წარმატებულ სკოლებში რეგულარულად და ეფექტიანად აკვირდებიან და აგროვებენ ინფორმაციას, ატარებენ მონიტორინგს იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები და როგორ ასწავლიან მასწავლებლები. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მოსწავლეების შედეგების ამაღლების მიზნით.

• წარმატებული სკოლების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიული განვითარება. პროფესიული განვითარების პრაქტიკა ეფუძნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას, სწავლისა და სწავლების მონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და მიზნად ისახავს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.

• წარმატებულ სკოლებში არსებობს უსაფრთხო, დისციპლინირებული, პოზიტიური, ჯანსაღი, წამახალისებელი და ინტელექტუალურად მასტიმულირებელი გარემო, რომელიც ქმნის მოსწავლეების სწავლისა და წარმატებისთვის ხელსაყრელ პირობებს. მოსწავლეები და მასწავლებლები თავს გრძნობენ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხოდ და სრულყოფილად არიან ჩართული სწავლისა და სწავლების პროცესში (შანონ და ბილსმა, 2007).

• წარმატებულ სკოლებში სჯერათ, რომ მოსწავლეების განათლება არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ ოჯახებისა და საზოგადოების წარმომადგენლების პასუხისმგებლობაცაა. შესაბამისად, მათ დიდი წვლილი შეაქვთ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის განხორციელებაში (**ჩაჩხიანი**, **2011**).

შანონი და ბილსმა (შანონ და ბილსმა, 2007) აღნიშნულ მახასიათებლებს აჯგუფებენ მიზნების, პროცესებისა და მხარდაჭერის კატეგორიებად. ერთადერთი მახასიათებელი, რომელიც დამოუკიდებლად, კატეგორიების გარეშეა წარმოდგენილი, არის ეფექტიანი ხელმძღვანელობა. ავტორების განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება შემთხვევითი არ არის და მიუთითებს სკოლის ხელმძღვანელობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ფაქტობრივად, მასზეა დამოკიდებული დანარჩენი რვა მახასიათებლის არსებობა და სკოლის წარმატებულობა. მიუხედავად ამისა, ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის არსებობა არ არის საკმარისი წარმატებული სკოლის შექმნისთვის. ცხრავე საკითხი სათანადო ძალისხმევასა და ღონისძიებებს საჭიროებს, რათა შეიქმნას სკოლა, სადაც მასწავლებლები ეფექტურად ასწავლიან, მოსწავლეები კი ეფექტიანად სწავლობენ და მაღალ აკადემიურ შედეგებს აღწევენ (**ანთაძე**, **გორგოძე**, **2011:17**).

„უსაფრთხო სკოლის დიზაინის“ ავტორები (ბუჩერი, მენინგი და სხვ.) გვთავაზობენ უსაფრთხო და საფრთხის შემცველი სკოლების მახასიათებლებს:

ა) „საფრთხის შემცველია სკოლა, როცა სკოლაში არ არის ერთიანობის გრძნობა, ქაოტურია, სტრესს იწვევს, არაორგანიზებული, არაეფექტური და მაღალი რისკის მქონეა, შეინიშნება ძალადობის შემცველი ინციდენტები, არამკაფიოდაა განსაზღვრული აკადემიური და ქცევის მოთხოვნები.

ბ) უსაფრთხო სკოლა ეფექტურია, თავისუფალია პოტენციური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისგან, არ არის ძალადობა, პიროვნების აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა, მზრუნველია და დამცველი (შნაიდერი და სხვები, 2000).

სკოლა უსაფრთხო რომ გავხადოთ, საჭიროა ვიცოდეთ, რა ფაქტორები ზრდის სკოლაში საფრთხის რისკებს. კვლევების მიხედვით სკოლის უსაფრთხოებაზე გავლენას ახდენს: თანატოლები, ოჯახი, თემი, გარემო, სკოლის კონსტრუქცია, მასწავლებელი და ა.შ. თითოეული ფაქტორი შეიძლება იყოს საფრთხის წყარო. ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლებსაც სკოლის უსაფრთხოებაში თავისი როლი აქვს, ორ დიდ ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს: ფაქტორები, რომლებიც სკოლის გარედან მოდის და ფაქტორები, რომლებიც სკოლის ორგანიზაციული თუ საგანმანათლებლო სტრუქტურითაა განპირობებული“ (**ანთაძე**, **გორგოძე**, **2011:22-26**).

უსაფრთხო სასწავლო გარემო აერთიანებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებსა და განვითარებაზე. გონდერი და ჰიმესი (Gonder და Hymes, 1994). აღნიშნულ ფაქტორებს ოთხი ძირითადი ელემენტის გარშემო აერთიანებენ: ფიზიკური გარემო – სკოლის ფიზიკური და მატერიალური რესურსები და მათი ორგანიზება: შენობა, საკლასო ოთახები, ეზო, განათება, სასმელი წყალი და ა.შ., სოციალური გარემო – ურთიერთობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის: მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის და ა.შ., აფექტური გარემო – მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების დამოკიდებულებები და გრძნობები სკოლისა და მისი წარმომადგენლების მიმართ. აკადემიური გარემო – სწავლების მეთოდები, ღირებულებები და სხვადასხვა სასკოლო პრაქტიკა, როგორებიცაა ფოკუსი სწავლებასა და სწავლაზე, მაღალი მოლოდინი მოსწავლეების მიღწევების მიმართ; მოსწავლეთა შედეგების მონიტორინგი, დაჯილდოებისა და წახალისების მექანიზმები და სხვ. უსაფრთხო, ჯანსაღი და მასტიმულირებელი სასწავლო გარემოს შექმნისთვის ოთხივე ელემენტი მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, ისინი იმდენად მჭიდრო კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან, რომ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან რომელიმე მათგანის იგნორირებამ შესაძლოა სერიოზულად დააზიანოს დანარჩენი ელემენტები. მაგალითად, არასათანადო აკადემიური გარემოს არსებობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სკოლის სოციალურ გარემოში პრობლემების წარმოქმნას ან გაღრმავებას და, პირიქით; თუ მოსწავლე აკადემიურად წარუმატებელია და სკოლა ვერ ახერხებს მის სასწავლო პროცესში ჩართვას, დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ის კლასში „თავის დამკვიდრებას“ შეეცადოს სხვების მიმართ აგრესიული და დისკრიმინაციული ქცევებით (**ჩაჩხიანი**, **2011**).

ჯეინ ბლუსტაინი (2001) ასახელებს ემოციური უსაფრთხოების ფაქტორებს: მიკუთვნებისა და დაფასების გრძნობა; ისეთი გარემო, სადაც ბავშვებს არ აქვთ რომელიმე უნარში ჩამორჩენის გამო შიში და, შესაბამისად, არ იმსახურებენ ცუდ დამოკიდებულებას; სკოლის მოთხოვნები მკაფიოა, არ არსებობს პირობითი და მოულოდნელი საპასუხო რეაქციები თუ სასჯელები; ბავშვები შეურაცხყოფისა და დაშინებისაგან დაცულები არიან (იგულისხმება დაცინვა, ცუდი სიტყვების დაძახება, ზიზღი); ფიზიკურ მუქარას ადგილი არ აქვს თა-

ნატოლების თუ უფროსების მხრიდან; მოსწავლეებს აქვთ არჩევანის თავისუფლება; უფროსები აფასებენ მათი სწავლის სტილს; საკუთარი აზრებისა და ემოციების გამოხატვა შეუძლიათ ყოველგვარი შიშის გარეშე; არ არსებობს გარეგნობის, რელიგიის, ეთნიკურობის თუ კულტურული მიკუთვნების გამო დისკრიმინაცია; ასევე არ ხდება აკადემიური, ათლეტური, შემოქმედებითი თუ სოციალური შესაძლებლობების მიხედვით მოსწავლეების განსჯა.

„როგორც წესი, სკოლების უმრავლესობა პოლიტიკის დაგეგმვისას ფიზიკურად უსაფრთხო სკოლის შექმნაზე ზრუნავს და ყურადღებას არ აქცევს ემოციურ/ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება ფიზიკური საფრთხის წყაროდ იქცეს. იარაღით მიყენებული ზიანის, მკვლელობის და სხვა სახის ფიზიკური ძალადობის აღმოფხვრის გარდა, უსაფრთხო სკოლის უზრუნველსაყოფად, ერთმანეთის ცუდი სიტყვებით მოხსენიება, ჩაგვრა, ეთნიკური, გენდერული თუ რაიმე სხვა ნიშნით დამცირებაც უნდა მოისპოს“ (**ანთაძე**, **გორგოძე**, **2011: 17**).

საქართველოში არსებული უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის შეფასებისას, IREX-ის პროფესიული განვითარების ექსპერტი, პროფესორი სოფო გორგოძე ამბობს, რომ სკოლაში ფიზიკური საფრთხეები უფრო ხილულია, ამიტომ ბუნებრივიც არის, რომ მეტი ყურადღება ფიზიკურ უსაფრთხოებას ექცევა, მაგრამ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მოსწავლეების ემოციური უსაფრთხოება. რადგან როცა მოსწავლე თავს ემოციურად უსაფრთხოდ გრძნობს, ცხოვრებაში, ურთიერთობაში, სწავლაშიც უფრო მეტად რეალიზებული და წარმატებულია.

„რა არის ემოციური უსაფრთხოება? როცა ბავშვი მიდის სკოლაში და მას არ ეშინია, რომ თანატოლები დასცინებენ, ნივთებს წაართმევენ, დაჩაგრავენ, არ ეშინია გაკვეთილზე შეცდომების დაშვების რომ მასწავლებელი მას დასჯის და ცუდი ნიშნებით დაემუქრება. თუ ეს განცდები არ აქვს არის უფრო ლაღი, ბედნიერი და რეალიზებული, ღირებულად გრძნობს თავს. მაშინ შეგვიძლია ვთქვათ რომ ეს ბავშვი არის ემოციურად უსაფრთხო გარემოში და სკოლა ამას უზრუნველყოფს“ – ამბობს სოფო გორგოძე (ხალიანი, 2017:2). მისი თქმით, ამგვარი გარემოს მისაღწევად ბევრი სხვადასხვა ფაქტორია საჭირო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ბავშვების სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე ზრუნვაა. ეს მიზანმიმართულად უნდა ხდებოდეს, იმი-

სათვის, რომ ბავშვებს ვასწავლოთ პოზიტიური კომუნიკაცია, კომპრომისზე წასვლა და ა.შ. სოფო გორგოძის აზრით, უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის ობიექტურად შესაფასებლად კარგი იქნებოდა ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება მანდატურის სამსახურის საქმიანობის, ფიზიკურად და ემოციურად უფრო უსაფრთხო სკოლის მისაღებად პოლიტიკის თუ ღონისძიებების გაუმჯობესების შესახებ.

სკოლაში უსაფრთხო კლიმატის შექმნის კონტექსტში, სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად, ხშირად განსაკუთრებითაა გამოკვეთილი მასწავლებლების როლი. მასწავლებლებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ენიჭებათ და ისინი პირდაპირ უნდა იყვნენ ჩართულნი ნებისმიერი ტიპის უსაფრთხო სკოლის პროგრამის დაგეგმვაში. ყველაზე ახლოს მათ უხდებათ მოსწავლეებთან ყოფნა და ხშირად პრობლემების ყველაზე რეალისტური გადაჭრის გზასაც ისინი აგნებენ. მასწავლებლების მხრიდან კლასის მართვის სტილი ასევე ხშირად განსაზღვრავს სასკოლო კლიმატს და, შესაბამისად, საფრთხის შემცველ ან უსაფრთხო გარემოს.

სასწავლო გარემოს როლი სკოლის წარმატებული ფუნქციონირების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. სკოლების ადმინისტრაციებმა კარგად უნდა გააანალიზონ არსებული ფიზიკური, სოციალური, აკადემიური თუ აფექტური გარემო და სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით დაგეგმონ და განახორციელონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სკოლის შექმნას.

როგორც აღვნიშნეთ, სკოლების ეფექტიანობას სასწავლო პროცესთან ერთად მასში არსებული სასწავლო გარემო განაპირობებს. სკოლის უმთავრესი მოვალეობაა, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე, მასწავლებელი და სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი თავს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხოდ იგრძნობს. ბავშვზე ორიენტირებული გარემო მოიაზრებს, როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ განზომილებას. მასში დაცულია ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება; გარემო ჯანსაღი და თავისუფალია მავნე და საშიში საგნების/ნივთიერებებისგან, გამოცდილებებისა და დამოკიდებულებებისგან; თითოეული ბავშვი ჯგუფის წევრად გრძნობს თავს; ბავშვზე ორიენტირებული გარემო პასუხობს ბავშვის ცნობისმოყვარეობას, სთავაზობს გამოწვევებს და ხელს უწყობს ბავშვის სწავლასა და განვითარებას. სასწავლო პროგ-

რამების შემუშავებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიუხედავად, სკოლა ვერ შეძლებს მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე პოზიტიური გავლენის მოხდენას, თუ მას არა აქვს საკმარისად უსაფრთხო და დისციპლინური გარემო. თუკი სკოლამ ვერ მოახერხა მოსწავლეების, მასწავლებლების, პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მაშინ, სკოლა თავის მიზნებს ვერ მიაღწევს. სასწავლო გარემოს უსაფრთხოება გულისხმობს მოსწავლის დაცულობას ნებისმიერი სახის საფრთხის, ზიანისა და შიშისგან. უსაფრთხო სასწავლო გარემოში მოსწავლეების მიმართ არ ხორციელდება რაიმე სახის ძალადობა, ისინი თავს გრძნობენ მშვიდად და უსაფრთხოდ. შესაბამისად, ეძლევათ სწავლის პროცესზე სრული კონცენტრაციის საშუალება. განმარტებით ლექსიკონში განათლების სპეციალისტებისათვის (2008) სასწავლო გარემო შემდეგნაირად არის განმარტებული: „ეს არის იმ სკოლის გარემო, სადაც სწავლობს მოსწავლე. ეს არის სკოლაში და კლასში არსებული ყველა სასწავლო საშუალებისა და რესურსების ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის პროცესის სწორად წარმართვას წინასწარ დაგეგმილი მიზნების მისაღწევად. სასწავლო გარემო შედგება ფიზიკური და სოციალური ელემენტებისაგან. კერძოდ, ადამიანური რესურსები ზეგავლენას ახდენს მოსწავლის სასწავლო გარემოს ფორმირებაზე (მოსწავლე-მასწავლებლის, მასწავლებელი-მასწავლებლის, მოსწავლე-მოსწავლის, სკოლა-მშობლის ურთიერთობები), ასევე, მატერიალურ-ტექნიკური მახასიათებლები (სკოლის არქიტექტურა, დეკორაციები, მოწყობილობები და სხვა). ეფექტიანი სასწავლო გარემოს ძირითადი მახასიათებლებია: ფსიქოლოგიური უსაფრთხოება: მოსწავლეს შეუძლია საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა. მის პიროვნულ თავისებურებებს პატივს სცემენ. გარემო არის მზრუნველი, გულწრფელი და ნდობით აღსავსე; ფიზიკური უსაფრთხოება: მოსწავლის ჯანმრთელობას არ ექმნება საფრთხე; ინკლუზია: სხვადასხვა ეროვნების, კულტურის, რელიგიის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეები პატივს სცემენ ერთმანეთს და მშვიდობიანად თანაარსებობენ და სწავლობენ ერთ გარემოში; ინტერაქტიული საკლასო გარემო: გარემო, სადაც მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს, მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთთან თანამშრომლობით, სწავლობენ „აღმოჩენებით“. ეფექტიანი სასწავლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.“

სახელმძღვანელოში „სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი (2011)“ ავტორები აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო გარემოს სწავლის პროცესზე. სასწავლო გარემომ შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეუშალოს მოსწავლეების სწავლის პროცესს, კერძოდ, *„ფიზიკური გარემო:* ხელს უწყობს სწავლას – სკოლის შენობაში მოსწავლეების რაოდენობა არ არის ძალიან დიდი და შეესაბამება შენობის ფართს; სკოლის შენობის ნებისმიერ ნაწილში მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ; საკლასო ოთახები, დერეფნები, ეზო სუფთა და მოწესრიგებულია; შენობაში არ არის ხმაური და არეულობა; სასწავლო პროცესი და მისი შემადგენელი სხვადასხვა აქტივობა მიმდინარეობს სკოლის შენობისა და ეზოს შესაბამის ნაწილებში; სკოლის კედლებზე გამოკრულია მოსწავლეების ნამუშევრები; მასწავლებლებს აქვთ სწავლების ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები. ხელს უშლის სწავლას: სკოლის შენობაში ძალიან ბევრი მოსწავლეა; მოსწავლეებს სკოლის დერეფნებსა თუ შენობის სხვა ნაწილებში აყენებენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას; საკლასო ოთახები მოუწესრიგებელია; საკლასო ოთახები, სათამაშო მოედნები, დერეფნები მოუვლელი, ცუდად განათებულია და ა.შ.; შენობაში ხმაური და არეულობაა; კლასები განთავსებულია ისეთ ოთახებში, სადაც არ არის სწავლის შესაბამისი პირობები (სივრცე, ავეჯი და სხვ.); საკლასო ოთახში ძალიან ბევრი ბავშვია; სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალები არ არის საკმარისი და ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. *სოციალური გარემო:* ხელს უწყობს სწავლას – მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ინტენსიური და ეფექტური კომუნიკაცია არსებობს; მასწავლებლები ერთმანეთის მიმართ არიან კოლეგიალურები; მასწავლებლები და მშობლები სასწავლო პროცესში ერთმანეთის პარტნიორები არიან; მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს საშუალებას აძლევენ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ კონფლიქტის მოგვარების მეთოდები. ხელს უშლის სწავლას – მასწავლებლები და მოსწავლეები თითქმის არ კონტაქტობენ ერთმანეთთან არასაგაკვეთილო პროცესში; მასწა-

ვლებლები იზოლირებულნი არიან ერთმანეთისგან; მშობლებისადმი დამოკიდებულება არ არის კონსტრუქციული, ისინი არ აღიქმებიან პარტნიორებად სასწავლო პროცესში; ყველა სასკოლო გადაწყვეტილება ცენტრალიზებულად მიიღება სკოლის ადმინისტრაციის მიერ. მასწავლებლებს არ ეძლევათ აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა; მოსწავლეებს არ ეძლევათ რაიმე სახის გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა; სკოლაში დაცინვის, ჩაგვრისა და კონფლიქტის შემთხვევებზე არ რეაგირებენ. *აფექტური გარემო:* ხელს უწყობს სწავლას – როცა მასწავლებლისა და სკოლის სხვა თანამშრომლები მზრუნველობით, მხარდაჭერითა და პატივისცემით ეპყრობიან მოსწავლეებს; მოსწავლეები ენდობიან მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს; მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების დამოკიდებულებები და ქმედებები არის მორალური და ეთიკური; მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა წარმომადგენლებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობებია; სკოლაში პატივს სცემენ მრავალფეროვნებასა და კეთილგანწყობილი არიან სხვადასხვა კულტურის მიმართ; მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლის სხვა წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სკოლის წარმატებასა და განვითარებაში; მშობლები სკოლას მიიჩნევენ სასწავლო დაწესებულებად, სადაც მათ მიმართ არიან კეთილგანწყობილი, სადაც თბილი და მზრუნველი დამოკიდებულებები არსებობს. ხელს უშლის სწავლას – როცა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ძალიან მინიმალური და ფორმალური კომუნიკაცია არსებობს. ზოგიერთი მოსწავლის მიმართ შეიმჩნევა ფავორიტიზმი. ზოგიერთის მიმართ კი – გულგრილი დამოკიდებულება; მოსწავლეები არ მიიჩნევენ, რომ მასწავლებლები და სკოლის სხვა თანამშრომლები მათი ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე მოქმედებენ; მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების დამოკიდებულებები და ქმედებები არ არის მორალური და ეთიკური; მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის დაძაბული და კონფლიქტური ურთიერთობები არსებობს; მასწავლებლები ვერ იღებენ სათანადო დაფასებასა და აღიარებას გაწეული საქმიანობისთვის; მასწავლებლები, მოსწავლეები და სკოლის სხვა წარმომადგენლები თავს არ მიიჩნევენ სასკოლო საზოგადოების შემადგენელ ნაწილად; მშობლები ვერ გრძნობენ კეთილგანწყობას სკოლის მხრიდან. ისინი ძირითადად „დამნაშავედ“ აღიქვამენ თავს საკუთარი შვი-

ლების წარუმატებლობის გამო. *აკადემიური გარემო* – ხელს უწყობს სწავლას, როცა მოსწავლეების წარმატება ძირითად სასწავლო დისციპლინებში სკოლის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. ამასთანავე, დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეების სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის განვითარებას; სასწავლო მეთოდები უპასუხებს და შეესაბამება მოსწავლეების განსხვავებულ მახასიათებლებსა და შესაძლებლობებს; მოსწავლეების მიმართ არსებობს მაღალი მოლოდინი. მასწავლებლები მოსწავლეებს არწმუნებენ, რომ მათ შეუძლიათ წარმატების მიღწევა; მოსწავლეების მიღწევების მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება; მოსწავლეების შედეგებს დროულად აცნობებენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს; შეფასების შედეგები გამოიყენება სწავლების შინაარსისა და მეთოდების გაუმჯობესების მიზნით; აკადემიური მიღწევებისთვის მოსწავლეები იღებენ სათანადო აღიარებას და ჯილდოებს; მასწავლებლები გამოირჩევიან საგნობრივი და მეთოდური კომპეტენტურობით. აკადემიური გარემო – ხელს უშლის სწავლას, როცა მოსწავლეების სწავლა და განვითარება არ წარმოადგენს სკოლის მთავარ საზრუნავს. არსებული სწავლების მეთოდები არ შეესაბამება მოსწავლეების სწავლის განსხვავებულ და მრავალფეროვან სტილს; სწავლების მიღწევების მიმართ მოლოდინი დაბალია. სკოლა შეგუებულია იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი მოსწავლე წარუმატებლად დაამთავრებს აკადემიურ წელს; მოსწავლეთა შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება იშვიათად ან საერთოდ არ ხორციელდება; მოსწავლეები და მასწავლებლები არ იხილავენ ერთად შედეგებს. მოსწავლეებმა არ იციან, როგორ გააუმჯობესონ საკუთარი შედეგები. მშობლებისათვის ხშირად მოულოდნელად წლის ბოლოს ხდება ცნობილი, რომ მათ შვილებს არასახარბიელო შედეგები აქვთ; შეფასების შედეგებს არ იყენებენ სწავლისა და სწავლების გაუმჯობესების მიზნით; ყოველწლიურად მეორდება სწავლისა და სწავლების წარუმატებელი ციკლი; არ ხდება ან ძალიან იშვიათად ხდება მოსწავლეების აღიარება და დაჯილდოება; მასწავლებლებს არ აქვთ სწავლებისათვის საჭირო კომპენტენცია (**ჩაჩხიანი**, **2011: 76-79**).

„მოსწავლემ, რომელსაც არა აქვს საშუალება ისწავლოს პოზიტიურ და წამახალისებელ გარემოში, შესაძლებელია, მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილებაც კი ვერ მოახერხოს, რომ აღარაფერი ვთქვათ საკუთარი პოტენციალის სრულფასოვან რეალიზებაზე. ამიტომაცაა, რომ წარმატებული სკოლები მხოლოდ სასწავლო

პროცესის მიმდინარეობით არ ინტერესდებიან. მათ კარგად აქვთ გააზრებული, რომ სწავლისა და სწავლების პროცესის დაგეგმვა, მონიტორინგი, შეფასება, მაღალკვალიფიციური მასწავლებლების შერჩევა, მათი შემდგომი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის აუცილებელია, თუმცა – არასაკმარისი. სკოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს თავისი უმთავრესი ფუნქციის წარმატებით განხორციელებას, თუ შექმნის პოზიტიურ სასწავლო გარემოს (School Climate and Learning, 2001)".

ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ (1908-1979) ხაზგასმით აღნიშნავს თავის თეორიაში – საჭიროებათა/მოთხოვნილებათა იერარქია, რომ უსაფრთხოების საკითხი წინა პლანზე წამოიწევს მაშინ, როცა სკოლა მოსწავლის ძირითად საჭიროებებს მიაქცევს ყურადღებას და გაიაზრებს, როგორ უკავშირდება იგი მოსწავლის შემეცნებითი უნარების გამოვლენას.

მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდა

წყარო: *Lefrancois, G.R (2003). Psychology for Teaching. Wadsworth Thomson Learning,* ადაპტირებული სახელმძღვანელო, *შემთხვევა სასკოლო პრაქტიკიდან*

ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ და ჰუმანისტური ფსიქოლოგიის სხვა წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ადამიანი მუდმივ განვითარებასა და პიროვნულ ზრდას განიცდის. მასლოუს თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევას მოთხოვნილება განსაზღვრავს. ფსიქოლოგი განასხვავებს თანდაყოლილ (ბიოლოგიურ) და შეძენილ (სოციალურ და პიროვნულ) მოთხოვნილებებს. მასლოუს თეორიის მიხედვით, ადამიანს აქვს ხუთი ძირითადი მოთხოვნილება და მათ იერარქიული თანამიმდევრობით იკმაყოფილებს. ადამიანს გადარჩენისთვის უწინარესად ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სჭირდება. ფიზიოლოგიურია მოთხოვნილება, რომელიც ფიზიკურ გადარჩენასთან არის დაკავშირებული – საკვები, წყალი, ჟანგბადი, თავშესაფარი, ძილი, სითბო. ამის შემდეგ მას უჩნდება უსაფრთხოების მოთხოვნილება. როცა უსაფრთხოების მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებულია, ადამიანს მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება უჩნდება. ესაა მოთხოვნილება, გიყვარდეს და უყვარდე, ეკუთვნოდე და მიგიღონ ჯგუფის წევრად; მოთხოვნილება, თავი აარიდო მარტოობასა და გარიყვას. მომდევნოა დაფასების მოთხოვნილება, მოთხოვნილება – მოგწონდეს საკუთარი თავი, გქონდეს დადებითი თვითშეფასება; სხვების მიერ აღიარების, პატივისცემისა და მოწონების, წარმატების, კომპეტენტურობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილება. ამას მოსდევს თვითრეალიზების, ანუ საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრული რეალიზების მოთხოვნილება.

ყოველი საფეხურის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ აქტუალური ხდება მომდევნო საფეხურის მოთხოვნილება, ანუ ადამიანს მაღალი დონის მოთხოვნილებები უჩნდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული აქვს დაბალი დონის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობისთვის საჭირო მოთხოვნილებები. თვითაქტუალიზაციის დონე, სხვა დონეებისგან განსხვავებით, დანაკლისის შევსებისკენ კი არ არის მიმართული, არამედ პიროვნების განვითარებისა და მისი შესაძლებლობების რეალიზაციისკენ. სწორედ თვითაქტუალიზაციის საშუალებით ახერხებენ მოსწავლეები, გამოავლინონ მაღალი დონის სააზროვნო უნარები. ამ შემთხვევაში იწყება მათი რეალური ზრდა. მასლოუმ თვითაქტუალიზაციაში გააერთიანა კოგნიტური, ესთეტიკური საჭიროებები, რომლებიც შემდეგ სხვა ავტორებმა ცალკე გამოყვეს პირამიდის ადაპტირებულ ვერსიაში. მიუხედავად მასლოუს მოდელის იერარქიულობისა, არის გამონაკლისი შემთხვევები, როდე-

საც ადამიანის ქცევას წარმართავს ზედა საფეხურის მოთხოვნილება, თუმცაღა ქვედა საფეხურის მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ არის.

უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული, კეთილგანწყობილი სკოლის მოდელის შექმნაზე ა. მასლოუს თეორიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. მასლოუს თეორია სკოლაში ეფექტური სწავლებისთვის მოსწავლეთა ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უსვამს ხაზს. იმისთვის რომ სასწავლო პროგრამებმა მაქსიმალურად გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია, მასწავლებლებმა და სკოლის ადმინისტრაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს მოსწავლეთა მოთხოვნილებები და მათი იერარქიული თანმიმდევრობა. მოთხოვნილებათა იერარქიული მოდელი გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროგრამების შედგენისას, რათა მოსწავლეებს მათი შესაძლებლობების მაქსიმუმის მიღწევის შესაძლებლობა მიეცეთ. მოსწავლეები ნაკლები ინტერესით ჩაერთვებიან საგაკვეთილო პროცესში და ნაკლებად მოტივირებული იქნებიან, თუ არ იქნება დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნილებები: ნორმალური კვება, უსაფრთხო საკლასო გარემო, მასწავლებლისა და თანაკლასელების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. მოსწავლეები, რომლებსაც ძალიან შიათ ან ფიზიკური საფრთხის წინაშე დგანან, ნაკლებად შეძლებენ სწავლაზე კონცენტრირებას.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის თეორის შექმნის შემდეგ ბევრი ქვეყნის სკოლებმა და ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სკოლებში შემოღებული იქნა უფასო კვება. საქართველოში ეს პრაქტიკა ბევრ კერძო სკოლასა და უნივერსიტეტში დაინერგა. მაგ., წმ. ტბელ აბუსელიძის სახელობის უნივერსიტეტის – (ხიჭაური) სტუდენტები უზრუნველყოფილია უფასო საუზმით და სადილით, სახელმძღვანელოებით. სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები ცდილობენ უზრუნველყონ მოსწავლეთა საჭიროებების დაკმაყოფილება. კერძოდ, *ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები:* უფასო საუზმე/ლანჩი მოსწავლეებისთვის, შესაბამისი ტემპერატურა კლასში, უმცროსკლასელებისთვის შესვენებები (ტუალეტში შესასვლელად, წყლის დასალევად). *უსაფრთხოების მოთხოვნილება:* კარგად დაგეგმილი და კონტროლირებული გაკვეთილები, მოსწავლეებისთვის საგანგებო შემთხვევებში მოქმედი წესების გაცნობა, მოსწავლეებისადმი მასწა-

ვლებლის შესაბამისი დამოკიდებულების არსებობა: კეთილგანწყობილი, თავისუფალი განსჯისა და მუქარისაგან, შექების გამოყენება ნაცვლად დასჯისა – მასწავლებელი მოსწავლეს სწორი პასუხისთვის/სასურველი ქცევისთვის აქებს, ხოლო არასწორი პასუხისთვის/არასასურველი ქცევისთვის დასჯისგან თავს იკავებს.

აბრაჰამ მასლოუ უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნაში განსაკუთრებულ ადგილს მასწავლებელს აკისრებს. მას მიაჩნდა, რომ ინდივიდში მოტივაციის გასაზრდელად აუცილებელია გარკვეული გარემო სტიმულებისა და გამოწვევის არსებობა. შესაბამისად, ეფექტური სწავლებისთვის მასწავლებელს უნდა შეეძლოს სასწავლო პროგრამასა და მეთოდოლოგიაში მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი სტიმულაციის ჩადება. მოსწავლეებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სიყვარულისა და დაფასების მოთხოვნილება (სოციალური მოთხოვნილება), პატივისცემის მოთხოვნილება. ა. მასლოუ თვლის, რომ *მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობასთან მიმართებაში* მასწავლებელი უნდა იყოს: ემპათიური, ტაქტიანი, თავდაჭერილი, სამართლიანი, გახსნილი, კარგი მსმენელი, კეთილგანწყობილი; მასწავლებელი ხშირად მიმართავს ინდივიდუალურ კონსულტირებას, იყენებს უფრო პოზიტიურ, ვიდრე ნეგატიურ განმტკიცებას; მასწავლებელი ყოველთვის ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, ყურადღებით უსმენს მოსწავლეებს, გამოხატავს მხარდაჭერას; მასწავლებელი ამჟღავნებს მოსწავლეების აზრებისა და შეხედულებებისადმი პატივისცემას, ასევე გამოხატავს მათ მიმართ ნდობას. სიყვარულისა და დაფასების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში უდიდეს ყურადღებას უთმობს *მოსწავლე-მოსწავლე ურთიერთობას*. მოსწავლე-მოსწავლე ურთიერთობასთან მიმართებაში მასლოუს აზრით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ისეთი გარემოთი, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა შეხვედრებსა და დისკუსიებში, რომელთა დროს მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას, ეხმარებიან და ერთმანეთისადმი ნდობასა და მხარდაჭერას ამჟღავნებენ.

მოსწავლეებს, რომლებიც არ გრძნობენ სკოლაში, საკლასო ოთახში თანაკლასელების, მასწავლებლების მხრიდან სიყვარულს და პატივისცემას და რომლებსაც არ სჯერათ, რომ ისინი უნარით და ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები არიან, არ ექნებათ თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა. მათ არ ექნებათ მოტივაცია შეიძინონ ცოდნა, შეიცნონ სამყარო, იყვნენ კრეატიულები და გახსნილი ახალი იდეების მი-

მართ. სიყვარულისა და დაფასების მოთხოვნილების დაკმაყოფილება არის საფუძველი პატივისცემის მოთხოვნილების დაკმაყოფილების. *ამისათვის* მასწავლებელი აქცენტს აკეთებს მოსწავლის ღირსებებსა და ძლიერ მხარეებზე. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელი მხედველობაში იღებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; მასწავლებელი ყურადღებას იჩენს მოსწავლის სირთულეების მიმართ და ცდილობს სირთულის ადეკვატურად გადაწყვეტაში ჩართვას. მასწავლებელი მოსწავლეებისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომია – საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეები დახმარებისთვის თავისუფლად მიმართავენ. მასწავლებელი ყველა მოსწავლეს რთავს საკლასო აქტივობებში, თანაბრად ანაწილებს პასუხისმგებლობებს, ყველა მოსწავლისადმი იჩენს პატივისცემას, ხელს უწყობს ისეთ აქტივობებს, სადაც მოსწავლეები ერთმანეთის მოსმენასა და ემპათიურ დამოკიდებულებას სწავლობენ; მასწავლებელი მოსწავლეებისთვის სასურველი წამახალისებელი/დაჯილდოების სისტემას იყენებს, მაგალითად, კვირის საუკეთესო მოსწავლე, ან მოსწავლე, რომელიც კვირის განმავლობაში ყველაზე მეტად ეხმარებოდა სხვებს და სხვა**;** მასწავლებელი ხელს უწყობს თანამშრომლობით სწავლებას, სადაც მოსწავლეები გუნდურ მუშაობას სწავლობენ და ერთმანეთის მიმართ მეტ ნდობას ამჟღავნებენ**;** მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართვას ისეთ აქტივობებში, სადაც ისინი ერთად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ, მაგალითად, სადილი მიაქვთ მარტოხელა უმწეო მოხუცებთან, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა თავშესაფარს შენობის გარემონტებაში ეხმარებიან და სხვა. ასე ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ მასწავლებელს მოსწავლეები მიჰყავს *თვითაქტუალიზაციისაკენ*. მასწავლებელი მოსწავლეებისადმი მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამომჟღავნების მოლოდინს გამოხატავს; მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს თავისუფლებას, თვითონ გააკეთონ „აღმოჩენები“**;** გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელი იყენებს მეტაკოგნიტურ აქტივობებს, მოსწავლეებს ისეთ შემოქმედებით აქტივობებში რთავს, სადაც მათ თვითგამოხატვის საშუალება ეძლევათ. მასწავლებელს, რომელსაც შეუძლია მოსწავლეებს თავი კარგად და თავისუფლად აგრძნობინოს, რომელიც მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობას და პატივისცემას იჩენს, ძალუძს გაუღვიძოს მოსწავლეებს სწავლის სურვილი, მიზანსწრაფულობა, თვითაქტუალიზაციისა და თვითრეალიზაციის უნარი. აშშ-ში ჩატარდა კვლევა (2005) სკოლებში, სადაც

სწავლების ჰუმანისტურ ფორმას იყენებდნენ. აღმოჩნდა, რომ ასეთი სკოლების მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი თვითშეფასებით, შემოქმედებითი აზროვნებითა და თანამშრომლობის უნარით

მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტების სასწავლო პროგრამა სკოლაში წამახალისებელი და წარმატებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინა პირობაა. სკოლას აქვს უნიკალური შესაძლებლობა დაიხსნას ბავშვები მარტოობისაგან, გამოუმუშაოს რწმენა საკუთარ ძალებში; ჩამოუყალიბოს თვითშეფასების უნარი, რომელიც აუცილებელია კონკრეტული პიროვნების თვითგანვითარებისათვის. მოსწავლეები ყველაზე მეტად დაინტერესებული და ჩართული სასწავლო პროცესში მაშინ არიან, როდესაც ისინი წარმატებას აღწევენ მათთვის საინტერესო სფეროებში, რაც, თავის მხრივ, მაღალი დონის აზროვნებასა და შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას მოითხოვს. მოზარდებისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის შეძენა სკოლაში და ნიჭის განვითარება, არამედ ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება. სკოლის უსაფრთხოება საკმაოდ კომპლექსური საკითხია. უსაფრთხოების მნიშვნელობა დიდია ბავშვის და ზოგადად, ადამიანის პოტენციალის გამოვლენისათვის. ჰუმანისტურ მიდგომას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის უსაფრთხო სკოლის იდეის შექმნასა და განხორციელებაში. ჰუმანისტური სკოლა წარმოადგენს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების მნიშვნელოვნების აღიარებას, დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. ერთ-ერთ ძირითად მიზანს ბავშვებში თვითრეალიზაციის, საკუთარი თავის პოზიტიური აღქმისა და თვითეფექტურობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. უსაფრთხო სკოლა ეფუძნება ჰუმანისტურ პედაგოგიკას და ფსიქოლოგიას, რომელთა ძირითადი დებულებებია: ადამიანი ღირებულია, ღირებულებებია მისი განცდები, ადამიანის ცხოვრება – ერთიანი პროცესია; ადამიანები კარგი და კეთილი არსებები არიან, თითოეულ მათგანში არის სწრაფვა თვითრეალიზაციისაკენ (**როჯერსი**, **1961**).

უსაფრთხო სკოლის საერთაშორისო პრაქტიკა

სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ურთულეს პრობლემადაა მიჩნეული. ჩვენ გავეცანით უცხოეთის რამდენიმე ქვეყნის (ფინეთი, ინგლისი, ესპანეთი, ავსტრია) სკოლის უსაფრთხოების მოდელს. ჩვენ მიერ შესწავლილი უსაფრთხო სკოლის მოდელებიდან ფინური სკოლის მოდელი განსხვავებული აღმოჩნდა. მისი მიზანია: **„ან ცხოვრებისთვის ვემზადებით, ან – გამოცდებისთვის. ჩვენ პირველს ვირჩევთ“**. „საერთაშორისო კვლევების თანახმად, რომელსაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია სამ წელიწადში ერთხელ ატარებს, ფინელი მოსწავლეები მსოფლიოში ცოდნის ყველაზე მაღალ დონეს აჩვენებენ. გარდა ამისა, ისინი არიან პლანეტის ბავშვთა შორის ყველაზე მკითხველი ბავშვები, მათ მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და მეხუთე – მათემატიკაში. პედაგოგიური საზოგადოების გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ფინეთში სასწავლო პროცესი დიდი ხანგრძლივობით არ გამოირჩევა საშუალო განათლება სკოლებში ორ ნაწილად იყოფა: დაბალი – 1-6 კლასები. მაღალი – 7-9 კლასები. დამატებით მე-10 კლასში მოსწავლეებს თავიანთი ნიშნების გაუმჯობესების შესაძლებლობა ეძლევათ, შემდეგ კი ისინი პროფესიულ კოლეჯში ან ლიცეუმში აგრძელებენ სწავლას“ (**მსოფლიოში ყველაზე წარმატებული განათლების შვიდი პრინციპი, 2015**) და რაც მთავარია, ფინურ სკოლებში მოსწავლეები მშვიდად, გააზრებულად და ბედნიერად კითხულობენ წიგნებს, უყურებენ ფილმებს ფინური თარგმანის გარეშე, თამაშობენ კომპიუტერულ თამაშებს, დადიან ველოსიპედით, უსმენენ მუსიკას, მღერიან და ხარობენ სიცოცხლით. ამ ყველაფერთან ერთად, ასწრებენ სწავლას. ბავშვებს არ აწუხებთ ნერვული დაძაბულობა ღამით, არ ოცნებობენ სწრაფად გაზრდაზე, არ სძულთ სკოლა, არ ტანჯავენ საკუთარ თავსა და ოჯახს მორიგი გამოცდისთვის მზადებისას. ეს უპირველესად იმით აიხსნება, რომ ფინური განათლება ეფუძნება შემდეგ პრინციპების: თანასწორობა სკოლა, მშობლებთან დამოკიდებულება, ინვესტორი სახელმწიფოა, ინდივიდუალურობა, პრაქტიკულობა, ნდობა, ნებაყოფლობითობა, დამოუკიდებლობა (**მსოფლიოში ყველაზე წარმატებული განათლების შვიდი პრინციპი, 2015**). გავეცნოთ თითოეულ მათგანს: *თანასწორობა* – არ არსებობენ ელიტური და

სუსტი მოსწავლეები. ყველას ერთნაირი სასკოლო აღჭურვილობა და დაფინანსება აქვს. ყველაზე მრავალრიცხოვან სკოლაში 960 მოსწავლე სწავლობს. თითქმის ყველა სკოლა არის სახელმწიფოს კუთვნილება. მხოლოდ ათამდე ნახევრად კერძო სკოლაა, სადაც მშობლები იხდიან თანხას შვილების მაღალი საჭიროებებისათვის, როგორიცაა „პედაგოგიური“ ლაბორატორიები. კერძო სკოლებს მიეკუთვნება ის დაწესებულებები, სადაც სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, ფინეთში სრულყოფილი განათლების მიღება შესაძლებელია შვედურ ენაზეც. ადრე, ფინეთში სკოლის არჩევა აკრძალული იყო. ამჟამად ეს აკრძალვა მოხსნილია, მაგრამ მშობლები უპირატესობას ანიჭებენ ახლომდებარე სკოლებს, რადგან ყველა საშუალო სასწავლებელი ერთნაირია. ფინურ სკოლებში არ არსებობს უპირატესი საგნები. არ ითვლება, რომ ვთქვათ, მათემატიკა მნიშვნელოვანია ხელოვნებაზე. პირიქით, გამონაკლისი, რის გამოც ნიჭიერი ბავშვებისთვის იქმნება კლასები, სწორედ ხატვა, მუსიკა ან სპორტია. *მშობლები* – მასწავლებელს მოსწავლის მშობლის პროფესიის გაგება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია, ეს ინფორმაცია დახურულია. ფინეთში მოსწავლეებს არ ყოფენ უნარების ან კარიერული შესაძლებლობების მიხედვით. რაც შეეხებათ მასწავლებლებს, ისინი არ ავლენენ განსაკუთრებულ სიყვარულს ან უარყოფით დამოკიდებულებას რომელიმე მოსწავლისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი კონტრაქტი წყდება. ფინელი მასწავლებლები ერთნაირად ასრულებენ მენტორის მითითებებს. ფინური პრინციპით, მოსწავლეებისადმი პატივისცემა აუცილებელია. პატარებს პირველი კლასიდანვე ეცნობათ თავიანთი უფლებები. ეს ყველაფერი მშობლებს აჩვენებს, რომ ბავშვი დამოუკიდებელი პიროვნებაა და მისი შეურაცხყოფა დაუშვებელია. *ინვესტორი სახელმწიფო* – სწავლის გარდა, სახელმწიფოს მიერ ფინანსდება: კვება, ექსკურსიები, მუზეუმები და კლასგარეშე საქმიანობები, ტრანსპორტი, რომელიც ემსახურება ბავშვს. *ინდივიდუალურობა* – ყველა ბავშვისთვის განათლების და განვითარების ინდივიდუალური გეგმაა შედგენილი. ეს ეხება სახელმძღვანელოებს, დავალებებს, დროს, ასევე სასწავლო მასალას. გაკვეთილზე ერთსა და იმავე კლასში, ბავშვები სხვადასხვა სირთულის დავალებებს ასრულებენ და მათი შეფასებაც პერსონალურ დონეზე ხდება. ვინც საშუალო დონის დავალებას მაღალ დონეზე შეასრულებს, შემდეგ დღეს

უფრო რთულ დავალებას მისცემენ, ხოლო თუ ვერ გაუმკლავდება, კვლავ მსუბუქი დატვირთვით იმუშავებს მომდევნო დღეს. ფინური სკოლის უსაფრთხოება სრულად ჩანს მომდევნო პრინციპში *პრაქტიკულობა*. ფინელები ამბობენ: „ან ცხოვრებისთვის ვემზადებით, ან – გამოცდებისთვის. ჩვენ პირველს ვირჩევთ“. ამიტომაც, ფინურ სკოლებში გამოცდები არ ტარდება. არსებობს მხოლოდ აუცილებელი ტესტი საშუალო სკოლის დამთავრებისას. სკოლაში მხოლოდ იმას სთავაზობენ, რაც ცხოვრებაში გამოსადეგია. სამაგიეროდ, ბავშვებმა პატარაობიდანვე იციან, რას ნიშნავს პორტფოლიო, კონტრაქტი, საბანკო ბარათი. იციან პროცენტის გამოთვლა, სავიზიტო საიტის შექმნა ინტერნეტში და ა.შ. *ნდობა* – სკოლაში მომუშავეთათვის არ არსებობს შემოწმებები, მეთოდისტები. განათლების სისტემა ქვეყანაში ერთიანია, მაგრამ მხოლოდ საერთო რეკომენდაციებს მოიცავს და ყოველი პედაგოგი სწავლების იმ მეთოდს იყენებს, რომელსაც შესაფერისად თვლის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოსწავლეებისადმი ნდობა. *ნებაყოფლობითობა* – სწავლობს ის, ვისაც უნდა სწავლა. პედაგოგები ცდილობენ მოსწავლის ყურადღება მიიპყრონ, მაგრამ თუ მას ინტერესი და სწავლის სურვილი არ გააჩნია, მოსწავლის ორიენტირება პრაქტიკულ მომავალზე უნდა მოხდეს. ფინელები საშუალო სკოლის ამოცანას იმაშიც ხედავენ, აქვს თუ არა აზრი სწავლის გაგრძელებას მაღალ საფეხურზე, თუ სჯობს პროფესიულ სასწავლებელში გადასვლა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ორივე გზა ერთნაირად დაფასებულია. თითოეული ბავშვის მიდრეკილებების გამოვლენაზე, საუბრისა და ტესტების გზით, მუშაობს სპეციალისტი, რომელსაც „მომავლის მასწავლებელი“ ეწოდება. *დამოუკიდებლობა* – ფინელების რჩევით, სკოლამ ბავშვს უნდა მისცეს მთავარი – დამოუკიდებელი, წარმატებული ცხოვრება მომავალში. ამიტომ, ისინი ფიქრს და თვითშემეცნებას ასწავლიან. მთავარია არა დაზეპირებული ფორმულები, არამედ სახელმძღვანელოს, ინტერნეტის და სხვა საჭირო რესურსების გამოყენება მომავალი პრობლემების გადასაჭრელად. ფინელი პედაგოგები მოსწავლეთა კონფლიქტებში არ ერევიან, აძლევენ მათ შესაძლებლობას, ცხოვრებისეული სიტუაციებისთვის მოემზადონ და დადგნენ საკუთარ თავზე მაღლა (**თაბაგარი**, **2015**).

ფინეთის სასკოლო სისტემა სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს აკისრებს მოწმეებს ან თვითმხილველებს, რომლებიც წინ აღუდგებიან (ან პირიქით) ძალადობას

თანატოლთა შორის. სალმივალი და მისი კოლეგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ იმ სიტუაციებში, სადაც თანატოლთა დახმარების სისტემები არსებობს, მეტი ალბათობაა, რომ თანატოლთა ჯგუფი მსხვერპლის დაცვას შეეცდება. მსხვერპლის დამცველები და აუტსაიდერები ხშირად იკვრებიან და ერთად ეხმარებიან მსხვერპლს, რომელიც, სხვა შემთხვევაში, გარიყული და უარყოფილი იქნებოდა თანატოლთა ჯგუფისაგან (**ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში: როგორ შევცვალოთ გარემო? UNICEF**). მიუხედავად იმისა, რომ თანატოლთა დახმარების სისტემები უაღრესად სასარგებლოა როგორც ინდივიდუალურად მოსწავლეების, ასევე მთელი სკოლისათვის, მათი წარმატებისათვის აუცილებელია წინასწარი დაგეგმვა და მომზადება, აგრეთვე უწყვეტი შეფასება და მონიტორინგი (**ჰელენ კოუი**, **95-101**).

გაერთიანებული სამეფოს საგანმანათლებლო სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ, ყველაზე ეფექტურ და დაბალანსებულად ითვლება. სკოლის მოსწავლეებისათვის შექმნილია თავისუფალი, საინტერესო და კომფორტული გარემო. **ინგლისში** მოქმედი ნაციონალური კურიკულუმი მოიცავს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების ელემენტებს, ორიენტირებულია მოსწავლეებს მისცეს ცოდნა, ჩამოუყალიბოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ის უნარები და მსოფლმხედველობა, რომლებიც ხელს შეუწყობს კონფლიქტების და სირთულეების არაძალადობრივი გზით მოგვარებას. ამ მიმართულებით, ბევრმა სკოლამ უკვე დანერგა მთელი რიგი სიახლეები: სასკოლო საბჭოები და თანატოლთა შუამდგომლობა, რეგულარული სასკოლო კრებები, წრეობრივი მეცადინეობები და მეთოდები, რაც განავითარებს ფილოსოფიას ბავშვებისათვის და მოსწავლეთა შესაძლებლობას – გაიაზრონ სხვისი შეხედულებები და გააანალიზონ საკუთარი გრძნობები და ქცევა. მოსწავლეების ცოდნისა და შეგნების სიღრმე იცვლება დროის, ასაკისა და რეალური ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, რაც იწვევს ნაციონალური კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო საგნების რეგულარულად ცვლილების აუცილებლობას (**ჯული კეისი**, **73-89**).

ავსტრალიაში არსებობს უსაფრთხო სკოლების ნაციონალური პლატფორმა (National safe schools framework), რომელიც გათანაბრებულია ნაციონალურ კურიკულუმთან და აღწერს მასწავლებლების, მშობლებისა და თემის როლს სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ნაციონალური პლატფორმის მიხედვით „სკოლა

არის უსაფრთხო, მხარდამჭერი და მიმართულია ბავშვთა კეთილ-დღეობის უზრუნველყოფისკენ“ (**ლაბარტყავა**, **2018**). პლატფორმა ძირითად ცხრა ელემენტს მოიცავს: ლიდერობა სკოლაში უსაფრთხო გარემოს ფორმირებისთვის; მხარდამჭერი და ერთობაზე ორიენტი-რებული სასკოლო კულტურა; სკოლის პოლიტიკა და პროცედურები; სკოლის საზოგადოების პროფესიული განვითარება; ქცევის პოზი-ტიური მართვა; უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სასკოლო სასწა-ვლო გეგმა; ორიენტაცია მოსწავლეთა კეთილდღეობაზე; ადრეული ჩარევა და მიზანმიმართული მხარდაჭერა; თანამშრომლობა ოჯახსა და თემთან.

ესპანეთის საგანმანათლებლო სისტემაში უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის გასატარებლად დანერგილია თანატოლთა დახმარების მექანიზმები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კონვივენ-სიის გარემოს განვითარებას, რაც ერთად ჰარმონიული ცხოვრებისა და მუშაობის შესაძლებლობას ნიშნავს (ორტეგა,1998). თანატოლთა დახმარების სისტემები ამცირებენ აგრესიის უარყოფით იმპულსებს და, ძალადობრივი ინციდენტების შემთხვევაში, მსხვერპლსაც და მოწმეებსაც უადვილებენ მასწავლებლებისათვის ინფორმაციის მი-წოდებას ძალადობის შესახებ.

მეიერისა და ლეონეს მიერ ჩატარებულ კვლევაში (2003), აშშ მას-შტაბით 12-დან 19 წლამდე ასაკის მოსწავლეების ინტერვიუებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია სკოლის ძალა-დობის მოდელი. მოსწავლეებს უსვამდნენ კითხვებს სკოლის წესებსა და პროცედურებზე ძალადობის პირად გამოცდილებასა და სკოლაში ძალადობის ფაქტის შესახებ, ნარკოტიკული ნივთიერებების ხელმი-საწვდომობაზე, სკოლაში კრიმინალური დაჯგუფებების არსებობაზე, შიშზე, რომ არ გახდეს, ძალადობის ობიექტი და თავდაცვის ზომებზე. ამ ანალიზში მკვლევრებმა გამოიკითხეს მოსწავლეები, რომლებიც ინტერვიუს ჩატარებამდე 5-6 თვის განმავლობაში მაინც საჯარო სკოლაში დადიოდნენ. კვლევამ აჩვენა, სხვა სკოლებთან შედარებით, სკოლები, რომლებიც იყენებენ ფიზიკურ (მეტალის დეტექტორები, ჩაკეტილი კარი და სხვა) საშუალებებს და პერსონალზე დამყარებულ საშუალებებს (დაცვა/რესურსოფიცერი), უფრო ნაკლებად უსაფრ-თხონი იყვნენ. ამ სკოლებში მაღალი იყო ძალადობის შემთხვევები და მოსწავლეებში – ძალადობის შიში (**ანთაძე**, **გორგოძე**, **2011**). ძა-ლადობა საზოგადოებაში ყველგან ხდება. სკოლებმა ყურადღებით და

ფრთხილად უნდა შეარჩიონ ის ღონისძიებები, რომლებიც მათ გამოკვეთილი პრობლემის გადაჭრაში დაეხმარებათ, თან, არ გადააჭარბონ თავიანთ შესაძლებლობებს და შეუძლებელს არ შეეჭიდნონ, რადგან როგორც ინგლისელი მკვლევრები დოქტორები ჯული შოგნესი და ჯენიფერი (2003) მიიჩნევს „სინამდვილეში, სკოლებში ძალადობასთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემების სწრაფად მოგვარებას ყოველთვის არ მოჰყვება გრძელვადიანი ეფექტი". ერთიანი სასკოლო პოლიტიკის შემუშავება კომპლექსური და რთული სამუშაოა. თველმოუ და სხვები (2002) აღნიშნავენ, რომ რა მიდგომაც არ უნდა ავირჩიოთ სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მისი წარმატებისათვის აუცილებელია: მასწავლებლებს და ადმინისტრაციას ინტერვენციისადმი (ჩარევა) მაღალი ნდობა ჰქონდეთ; ინტერვენცია (ჩარევა) ორიენტირებული იყოს არა პრობლემურ ბავშვზე, არამედ საერთო სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებაზე; ხელს არ უშლიდეს სასწავლო პროცესს და არ წარმოადგენდეს გარკვეულ დანამატს ისედაც დატვირთულ კურიკულუმზე (**ანთაძე**, **გორგოძე**, **2011**).

როგორც აღვნიშნეთ მნიშვნელოვანია კონვივენსიის გარემოს შექმნა სკოლებში. ესპანური სიტყვა კონვივენსია ნიშნავს „ერთად ჰარმონიულ ცხოვრებას". ინგლისელი მკვლევარი, დოქტორი ჯული შოგნესი გამოყოფს კონვივენსიის რამდენიმე დონეს. განვიხილოთ თითოეული დონე: „კონვივენსიის ჩამოყალიბების პირველი დონეა ინფორმაციის მიღება სკოლის პოლიტიკის შესახებ, რომელიც მოიაზრებს კრების კალენდარს. იმისათვის, რომ სკოლის მთელმა საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია სკოლის პოლიტიკის შესახებ და კარგად გააანალიზოს იგი, ერთ-ერთი გზაა ღონისძიებათა ან კრებების ორგანიზება, რაც ავითარებს კონვივენსიას (**ჯული შოგნესი**, **2008: 57-65**).

კრების კალენდარი

თვე/წელი	**თემა**	**შემოთავაზებული ვარიანტები**
სექტემბერი	სოციალური სამართლის დღე	აქცენტი გააკეთეთ იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრების მანძილზე სამართლიანობისთვის იღწვოდნენ
ოქტომბერი	მსოფლიო წიგნის დღე	გაუზიარეთ ისტორიები სხვადასხვა ტრადიციებიდან

ნოემბერი	შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ცოდნის ამაღლების დღე	აღნიშნეთ რომელიმე ცნობილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის მიღწევები
დეკემბერი	საკუთარი თავის პატივისცემის დღე	აღნიშნეთ მშობელთა, მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მიღწევები
იანვარი	გარემოს დაცვის მსოფლიო დღე	გამოიძიეთ ადგილობრივი ან გლობალური გარემოს დაცვითი პრობლემა
თებერვალი	შემოქმედებითობის დღე	იზეიმეთ ვიზუალური და ლიტერატურული, თეატრალური ან მუსიკალური ხელოვნების დღე, განსხვავებული ტრადიციები
მარტი	მდგრადი განვითარების დღე	შეისწავლეთ მდგრადი ცხოვრების სტილი – ნარჩენების შემცირება და სამყაროზე ზრუნვა
აპრილი	ბავშვთა საერთაშორისო დღე	შეისწავლეთ და იმსჯელეთ ბავშვთა უფლებებზე
მაისი	ადამიანის უფლებათა დღე	განიხილეთ კანონმდებლობა და მისი მნიშვნელობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის

წყარო: ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში: როგორ შევცვალოთ გარემო? UNICEF. ჯული შოგნესი – კონვივენსიის გარემოს შექმნა სკოლებში ერთიანი სასკოლო პოლიტიკის მეშვეობით.

კონვივენსიის ჩამოყალიბების მეორე დონეა ჩართულობა, რომელშიც მოიაზრება გამოფენები. კონვივენსიის გარემოს შექმნის პროცესში სკოლის მთელი საზოგადოების მონაწილეობის წახალისების მიზნით, სკოლის კრებაზე უნდა წარმოადგინონ შესაბამისი თემა. აქ მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, ისაუბრონ საკუთარ პერსპექტივებზე და თავიანთი მოსაზრებები სხვა ასაკის მოზარდებსაც გაუზიარონ. ამ თემის ირგვლივ გამოფენის ორგანიზება სკოლის ტერიტორიაზეც შეიძლება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები, თანამშრომლები, მშობლები და უფრო ფართო საზოგადოების წარმომადგენლებიც, ასევე შესაძლებელი იქნება ვიზიტორთა მიღებაც. მოსწავლეებს, მშობლებს ან საზოგადოების წევრებს შეიძლება დაე-

ვალოს გამოფენის დაგეგმვა და ორგანიზება. კონვივენსიის ჩამოყალიბების მესამე დონეა თანამშრომლობა, რომელიც მოიაზრებს სკოლის მოსწავლეთა საბჭოს. სკოლის საბჭოების პრაქტიკა მოსწავლეთა სოციალური განვითარების ერთ-ერთ ეფექტიან გზად განისაზღვრა (შოგნესი და ჯენიფერი, 2003). მოსწავლეები თითოეული კლასიდან ირჩევენ წარმომადგენელს სკოლის საბჭოში, რომელიც მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ასეთი სახის მონაწილეობა ბავშვებს აქტიურ განვითარებაში ეხმარება, უფრო ღირებულს ხდის მათ ჩართულობას კონვივენსიის ჩამოყალიბებაში. სკოლის საბჭოები ხელს უწყობს დემოკრატიულ და თანამონაწილეობით პროცესებს და მოსწავლეებს იმ რეალური პრობლემატიკის ასახვისაკენ უბიძგებს, რაც მათ და სხვების ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. „დიდი ბრიტანეთის სკოლების საბჭო“ (დევისი, 1998) აცხადებს, რომ სკოლის საბჭოები მოსწავლეებს უვითარებს შემდეგ უნარ-ჩვევებს: ... წარმოადგინონ დასაბუთებული არგუმენტები; მშვიდად მოისმინონ და რეაგირება მოახდინონ მათთვის მნიშვნელოვან შეხედულებებზე; მონაწილეობა მიიღონ საერთო პრობლემების გადაწყვეტაში; ეფექტურად იმუშაონ სხვებთან ერთად კლასში სოციალური ჰარმონიის შესაქმნელად; ისწავლონ თანატოლების შუამდგომლობა; საჭიროებისამებრ, ჰქონდეთ მამაცობა და თვითდაჯერებულობა, გამოხატონ ისეთი აზრი, რაც ყოველთვის არ არის სხვებისათვის მისაღები. ამგვარად, სკოლის საბჭო ხდება სკოლის შეფასების პროცესის ნაწილიც. კონვივენსიის ჩამოყალიბების მეოთხე დონეა პარტნიორობა, რომელშიც მოიაზრება აღდგენითი სამართალი. კონვივენსია ჰარმონიის უზრუნველყოფას, ასევე, მოსწავლეებს შორის, მოსწავლეთა და მოზრდილებს შორის არსებულ ურთიერთობებში შექმნილი ხარვეზების გამოსწორებას გულისხმობს. მაგალითისთვის, აღდგენითი მიდგომები ზოგიერთ სკოლაში სცდება სამართლის სისტემის ფარგლებს და დანგრეული ურთიერთობების მოგვარებას ესწრაფვის. აღნიშნულმა მიდგომებმა, შესაძლოა, განსხვავებული ფორმალური და არაფორმალური სახე მიიღოს. თითოეული მათგანი გულისხმობს პარტნიორობის აღდგენას ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების გზით, ურთიერთობების მომავლისათვის“ (**ჯული შოგნესი**, **2008:65-73**).

მკვლევარი, პროფესორი მონა ო'მური (2003) ნაშრომში „ბავშვთა დაცვა“, უსაფრთხო სკოლებისა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიად თვლის მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სრულ ინკლუზიაში

გულისხმობს: „მოსწავლეებისათვის არჩევანის თავისუფლების მიცემა, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად ბავშვის უფლებების დაცვის თემატიკაზე პოსტერების, ნახატების, სკულპტურის, სპექტაკლის შექმნა, მოსწავლეთა დასწავლის სტილის გათვალისწინება. მოსწავლეთა ნაწილისათვის სასურველია დავალების წარმოდგენა და გაფორმება ნახატის სახით, სხვებისათვის – კომპიუტერით პოსტერების, ფლაერების და დოკუმენტების დამზადება მაღალ პროფესიულ დონეზე. უმცროსი ასაკის მოსწავლეებიც კი ისე ხატავენ, რომ გასაოცრად გამოსახავენ ყოჩობის (დაჩაგვრის) მათეულ გაგებას. უფროსი ასაკის მოსწავლეები კი პოსტერების დასამზადებლად იყენებენ თავიანთ გამოცდილებას. გამომსახველობითი ხელოვნება მარტივი და, ამასთან, ეფექტიანი გზაა ახალგაზრდების შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოსავლენად და სემიოტიკური კომპეტენციის განსავითარებლად. ამ გზით ისინი თავიანთ შეტყობინებებს გზავნიან ძალადობის წინააღმდეგ“ (**მონა ო'მური**, **113-137**).

ემოციური ბუნების ახალგაზრდებს (ზრდასრულები, კურატორი) შეუძლიათ არატრადიციული სკულპტურის მეშვეობით გადმოსცენ თავიანთი სურვილები, განცდები. ასეთი ხელოვნების ნიმუშები ამდიდრებს სკოლის გარემოს. შემოქმედებითი პროცესი შეიძლება გამოვიყენოთ სკულპტორთათვის ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ გააკეთონ სკულპტურა ბოთლებისაგან, მისცენ მათ ნებისმიერი ფორმა, მაგრამ აუცილებლად უნდა დაიცვან შემდეგი წესი: ნამუშევარი უნდა ასახავდეს ძალადობის აღსაკვეთად ჩატარებულ სამუშაოს; სკულპტურაზე ერთობლივი მუშაობის პროცესში, დაახლოებით, 15 წუთში ერთხელ, კურატორი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: „მოცემული დავალება ადვილია, თუ რთული, ვიდრე ვარაუდობდით?“, „რას უნდა ნიშნავდეს საკუთარი ფიქრებისა და განცდების გადმოცემა სკულპტურაზე მუშაობის გზით?“, „გეხმარებათ ეს პროცესი, იფიქროთ ყოჩურ ქცევაზე და წინ აღუდგეთ მას სხვადასხვა გზით?“, „რას ფიქრობთ ნამუშევრების გამოფენაზე?“. ბოლოს ხდება სკულპტურების საჯარო გამოფენა: ბოთლებისაგან გაკეთებული სკულპტურები მიმზიდველია. მათი ზომების გამო გამოფენის მოწყობაც მარტივია. გამოფენაში მონაწილეობა სურვილის შესაბამისად ხდება. მუსიკალური კომპოზიციაც პოპულარულია მოსწავლეებში. სიმღერის ტექსტის დაწერა, რითმისა და მარტივი ვოკალური მელოდიების შექმნა შეუძლია ყველას, უმცროსი ასაკის მოსწავლეებსაც და მათაც, ვინც თავს „ძალიან არამუსიკალურად“ თვლის. წარმოდგენების გამა-

რთვა ძალიან სასარგებლოა მოსწავლეთა ცოდნის გასაღრმავებლად სხვადასხვა საკითხის გარშემო. თუმცა, კურატორი, პედაგოგი უნდა იყოს ფრთხილად: არასწორმა შერჩევამ შეიძლება გამოიწვიოს იმ მოსწავლეთა ხელახალი ტრავმირება, რომლებიც „რეალურად“ იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი. შესაძლოა, უმჯობესი იყოს, მათი გამოყენება ძალადობისა და ყოჩური ქცევის გარშემო საკვანძო საკითხების განხილვაში: თანატოლთა ზეწოლა, მეგობრობის დინამიკა და „გრძნობების მართვა“. სკოლებს შეუძლიათ წარმატებით გამოიყენონ რამდენიმე პიესა ყოჩობის საწინააღმდეგო შინაარსით. შესაძლებელია სკოლაში ორიგინალური პიესის დადგმაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსწავლეებს სცენარის რედაქტირება უნდა შეეძლოთ. ფილმის სცენარის შექმნის პროცესი დაეხმარება ბავშვებს ძალადობისა და ყოჩობის პრობლემისა და მისი შედეგების აღქმასა და შეფასებაში (**ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში: როგორ შევცვალოთ გარემო? UNICEF**).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა არაერთი ღონისძიება: კონფერენციები, დისკუსიები, ფოტო-ნახატების გამოფენა მომავალ პედაგოგებთან, მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებთან მომზადდა პოსტერები, კალენდრები, საინფორმაციო ბუკლეტები (იხილეთ ინფორმაცია ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ იხ. თავი – 2. უსაფრთხო სკოლის მოდელი. ბსუ-ში ჩატარებული ღონისძიებები ძალადობის პრევენციის მიზნით გვ. 166).

ნაშრომში „სკოლის კურიკულუმის გამოყენება ძალადობის აღმოფხვრის მხარდასაჭერად“ ჯული კეისი განიხილავს სპირალური კურიკულუმის მოდელს. მეთოდი იყოფა შვიდ „თემად“, რომელთაგან თითოეული ორ თვეს გრძელდება, იწყება და მთავრდება საყოველთაო-სასკოლო კრებით. ეს თემებია: ახალი წამოწყებანი, წარმატება და ამოვარდნა, მიზნის მიდევნება, კარგი განწყობილება, არაკომფორტული გრძნობები, ცვლილება, დაშინება. ძირითადი სფეროები (თვითანალიზი, ემპათია, გრძნობათა მართვა, მოტივაცია, სოციალური უნარები) მუშავდება ეტაპობრივად მთელი კურსის მანძილზე, ერთი წლის განმავლობაში. თითოეული ეტაპი მოიცავს მოქნილ იდეებს გაკვეთილებისათვის და მეთოდებს, თვალსაჩინო ბმულებსა და აზრებს იმ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც კურიკულუმი ითვალისწინებს. მოდელს, რომელსაც, ჩვეულებრივ, საცდელი პროგრამა იყენებს სკოლაში ან რაიონში არსებული აკადემიური საშუალებების სქემატური აღრიცხვისათვის, „ტალღოვანი სამკუთხედი“ ეწოდება.

განვიხილოთ მოსწავლეებში სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის არსებული საშუალებების „ტალღოვანი“ მოდელი (**ჯული კეისი**, **84-88**).

ტალღა 1. მხარდაჭერა გულისხმობს ნებისმიერი სახის ჩარევას, რომელსაც სარგებლობა მოაქვს მოსწავლისათვის. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს მთლიანად სკოლის პერსონალის ტრენინგი სამუშაო ადგილიდან მოუწყვეტლად ქცევის მენეჯმენტში ან ურთიერთობების ფორმირებაში; პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმების ან სკოლის საერთო პოლიტიკის განვითარება.

ტალღა 2. მხარდაჭერა გულისხმობს ნებისმიერი სახის ჩარევას, რომელიც მხოლოდ ზოგიერთ მოსწავლეს სჭირდება. იგი შეიძლება ითვალისწინებდეს მოსწავლეთა მცირე ჯგუფების მხარდაჭერას, რომელთაც სჭირდებათ სოციალური, მრისხანების მართვის ან თანატოლებთან ურთიერთობის უნარების განვითარება.

ტალღა 3. მხარდაჭერა გულისხმობს ყველაზე მგრძნობიარე ინდივიდების ერთიერთზე ან ინტენსიურ მხარდაჭერას. ხშირად ასეთ მოსწავლეებს აქვთ ისეთი სერიოზული, ხანგრძლივი და მრავალფეროვანი პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ სპეციალისტების მრავალპროფილიანი გუნდის დახმარებას და ა.შ.

მოსწავლეებში სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის არსებული საშუალებების „ტალღოვანი“ მოდელი

წყარო: ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში: როგორ შევცვალოთ გარემო? UNICEF. ჯული კეისი – სკოლის კურიკულუმის გამოყენება ძალადობის აღმოფხვრის მხარდასაჭერად.

ინგლისელი მკვლევარი, პროფესორი ჰელენ კოუი ნაშრომში „მოსწავლეთა ჩართვა“ (მოსწავლეთა წინამძღოლობით ძალადობის აღმოფხვრის სტრატეგიის შემუშავება), ამახვილებს ყურადღებას თანატოლთა დახმარების სისტემებზე – სტრატეგიებზე, რომლებსაც თავად ახალგაზრდები წარმართავენ სკოლებში ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად. ავტორი მიმოიხილავს თანატოლთა დახმარების იმ მოდელებს, რომლებიც წარმატებითაა დანერგილი ევროპულ ქვეყნებში (**ჰელენ კოუი**, **95-101**).

საერთაშორისო გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ძირითადად გამოიყოფა უსაფრთხოების ორი მიდგომა: ***პროცესზე*** დაფუძნებული და ***პროდუქტზე*** დაფუძნებული მიდგომა. პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა დაცვას, კამერებს, დეტექტორებს, მოსწავლეთა პირადი საქმეების კომპიუტერულ უზრუნველყოფას მოიცავს; ხოლო პროცესზე დაფუძნებული მიდგომა კი პოზიტიურ სასკოლო კლიმატს, მოსწავლეთა და სკოლის, მოსწავლესა და მასწავლებელს, მოსწავლესა და მოსწავლეს შორის თანამშრომელთა მხარდაჭერის სისტემას და კონსულტაციების შესაძლებლობებს გულისხმობს (Danyel, Yvette and Bondi, Karla. „Safe School and Zero Tolerance: Policy, Programs and Practice in Ontario“. Canadian Journal of Education Administration and Policy. 70, (2008) 1-20) და სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი როლი, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მასწავლებლებს, ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებს ენიჭებათ. ისინი პირდაპირ ჩართულნი არიან უსაფრთხო სკოლის მოდელის მხარდაჭერაში, შესაბამისი პროგრამის დაგეგმვა-განხორციელებაში.

უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში

სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ურთულეს პრობლემადაა მიჩნეული. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? არის დღეს ქართული სკოლები უსაფრთხო და რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა ჩვენს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: კონტროლზე ორიენტირებულ, თუ ზრუნვაზე ორიენტირებულ უსაფრთხოებას? მანდატურის სკოლაში შემოსვლის შემდეგ, რამდენად შეიცვალა უსაფრთხოება სკოლაში? ძალადობის აღმოფხვრისა და კონვივენსიის (ერთად ჰარმონიული ცხოვრება) ხელშეწყობისათვის როგორი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან სკოლის პერსონალს და მოსწავლეებს მოტივაციის ასამაღლებლად? არის თუ არა სკოლა და მისი ყველა ასპექტი, მაგალითად, საკლასო ოთახები, იმგვარად ორგანიზებული, რომ ხელი შეეწყოს ძალადობის აღმოფხვრასა და კონვივენსიის (ერთად ჰარმონიული ცხოვრება) გარემოს შექმნას? რომელი სტრატეგიის გამოყენებას ურჩევდით მასწავლებლებს ძალადობის თავიდან აცილებისა და კონფლიქტების მოგვარების სფეროში? რა სარგებლობა მოაქვს სკოლის ფსიქოლოგს, მანდატურს და სოციალურ მუშაკს? რა შედის მათ უფლება-მოვალეობებში? რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება სასწავლო პროცესში? რა სახის დახმარება ან ტრენინგი არსებობს თანამშრომელთათვის, რაც დაეხმარება მათ მოსწავლეთა შორის ძალადობის შემთხვევების სამართავად? რა არის საჭირო იმისთვის, რომ სკოლა იქცეს ძალადობისგან თავისუფალ სივრცედ? – ეს ის კითხვებია, რომლებსაც ხშირად სვამს საზოგადოება. პასუხად სახელმწიფოს მოჰყავს სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გატარებული სხვადასხვა რეფორმა. თუმცა სკოლებში არსებული ვითარება და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მოზარდთა შორის დანაშაულის ზრდაზე მეტყველებენ, ეჭვის ქვეშ აყენებენ სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების ეფექტიანობას. სახელმწიფოს არაერთი მცდელობის მიუხედავად ბოლო პერიოდში სკოლებში მოზარდებს შორის ძალადობის შემთხვევებმა იმატა. მოზარდებს შორის მომხდარი სისხლიანი გარჩევებისას არაერთი არასრულწლოვანი დაიღუპა.

ქართული სახელმწიფო წლების განმავლობაში ცდილობს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით თუ ინიციატივით მოაგვაროს პრობლემა.

კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ (2005), ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან; სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე; სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით. დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (**საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ**, **2005**).

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ზოგადი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; საჯარო სკოლის დამოუკიდებლობა რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, კერძო სკოლის დამოუკიდებლობა პოლიტიკური გაერთიანებებისაგან; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა; ინკლუზიური განათლების დანერგვა; მასწავლებელთა პროფესიის რეგულირება.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 19. „მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით“ (ბავშვის უფლებათა კონვენცია, UNICEF, 2018 გვ. 20).

ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში სასკოლო კულტურასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ სასურველია სკოლამ ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო დანერგოს, სკოლამ განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება: ა) ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა – სწავლების დროს; ბ) სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. სკოლა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე. მოსწავლე უნდა ხედავდეს დავალების მიზანს, მის საჭიროებას, კავშირს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის. სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. ამავე დროს, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნა (**ეროვნული სასწავლო გეგმა**, **2016**).

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნას, უნარ-ჩვევებს და ვალდებულებებს; სასწავლო პროცესის მართვა გულისხმობს უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო

პროცესის დაგეგმვას, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდებისა და მრავალმხრივი შეფასების სისტემის გამოყენებას; მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის სკოლაში გეგმავს შესაბამისი გარემოს შექმნის ხელშემწყობ აქტივობებს, მასწავლებელი იკვლევს კულტურული თავისებურებების გავლენას მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირებაზე; შეიმუშავებს რეკომენდაციებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. ახორციელებს კონფლიქტის პრევენციაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს სკოლისა და სასკოლო თემის სპეციფიკასთან დაკავშირებული რისკფაქტორების გათვალისწინებით. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის თანახმად, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორ შექმნას მოსწავლეებისათვის უსაფრთხო და მზრუნველი გარემო, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობები და მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით (**მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი**, **2014**).

2007 წელს სამინისტროს და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ სკოლის უსაფრთხოების საკითხების კვლევამ აჩვენა, რომ სკოლაში მოსწავლეების დიდი უმრავლესობა თავს უსაფრთხოდ გრძნობდა და ძალადობის ფაქტების გახსენება და დასახელება უჭირდა; სკოლაში ძალადობის სხვადასხვა, მძიმე და მსუბუქი, ფორმებია გავრცელებული და რიგ შემთხვევებში, ნორმადაც ითვლებოდა; ძალადობის შემთხვევების დიდი წილი მოსწავლეებს შორის ძალადობაზე მოდიოდა. კვლევის შედეგები აისახა რეკომენდაციებში: სამინისტროს მიმართ უსაფრთხო სკოლის ეროვნული პოლიტიკის შემუშავება, მისი იმპლემენტაციის და შემდგომში უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის სისტემის უზრუნველყოფა; სასკოლო თემის გაძლიერების აუცილებლობა, განსაკუთრებით პრობლემების იდენტიფიცირებისა და რეაგირების კომპეტენციების განვითარების კუთხით; იმ მშობლებთან და თემთან მუშაობა სახლშიც და სკოლაშიც, სადაც ძალადობის ფაქტები ფიქსირდებოდა (მარგარეტ, 2007-08: 70-90).

2008 წლის აპრილში დამტკიცდა პროგრამა „უსაფრთხო სკოლა“. პროგრამის სამიზნე ჯგუფს 6-დან 17 წლამდე მოზარდები, მასწავლებლები და მშობლები წარმოადგენდნენ. პროგრამა საქართველოს მოსწავლეების 11%-ს ფარავდა. შედეგად შემუშავდა მოსწავლეთა ქცევისა და მასწავლებლის, დირექტორის ეთიკის კოდექსები, საჯარო სკოლის მართვაში გაჩნდა დისციპლინური კომიტეტი, დაიწყო მოსწავლეების პირადი საქმეების მოწესრიგება, გამკაცრდა მოსწა-

ვლეების დასწრების აღრიცხვის წესი. 2010 წლიდან საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში მანდატურის პოზიცია გაჩნდა. სკოლის უსაფრთხოება და შესაბამისად ძალადობის პრობლემის მართვა სასკოლო დონეზე შემდეგ ძირითად ღონისძიებებს მოიცავდა: სასკოლო მანდატურების ინსტიტუტის შექმნა, საკრედიტო ბარათების შემოღება და ფულის აკრძალვა სკოლებში. ყველაზე აქტიურად მანდატურის ინსტიტუტის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა. 2010 წლის 20 აგვისტოს, კანონში „ზოგადი განათლების შესახებ" შესული ცვლილებების შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მანდატურის სამსახური შეიქმნა, რომელსაც სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ევალებოდა (**„სკოლის მანდატურის სამსახურის" დებულება**, **2010**).

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით განისაზღვრა, რომ მანდატური არის შესაბამისი განათლების მქონე, ნასამართლეობის არმქონე, საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. მანდატურის სამსახური და თავად მანდატური განათლების სამინისტროს დაექვემდებარა. მანდატურისთვის უფლებამოსილებები და ფუნქციები ზოგიერთი ექსპერტის აზრით აჩენდა საფუძველს თვალსაზრისისთვის, რომ სისტემა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გამტარებლად გვევლინებოდა (**გორგოძე**, **ჯანაშია**, **2012**). ამაზე მიანიშნებს ვიდეო კონტროლის, მოსწავლეების შემოწმების, პირადი გადასინჯვისა და სკოლიდან გარიცხვის წესის მექანიზმების გამკაცრება (**„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**, **2010**).

2012 წელს USAID-ის მხარდაჭერით სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის პროექტის – „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის ადვოკატირების" – ფარგლებში უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის ალტერნატიული დოკუმენტი მომზადდა. მისი ავტორები არიან განათლების ექსპერტები სიმონ ჯანაშია და სოფო გორგოძე. „უსაფრთხო სკოლის კონცეფცია უნდა გულისხმობდეს მოსწავლეებისა და პერსონალის უსაფრთხოების ფართო გაგებას – როგორც ფიზიკურ, ასევე ემოციურ უსაფრთხოებას. მნიშვნელოვანია მოსწავლეების ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლის არქიტექტურა, ინვენტარი, ჯანსაღი კვება, უცხო პირების სასკოლო ტერიტორიაზე შეშვების, კატაკლიზმებთან

და საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული რუტინები და სხვა წინასწარი ზომები მოსწავლეების ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას ეხმარება“ – აღნიშნულია დოკუმენტში. ამ დოკუმენტის მიზანია უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მხოლოდ ერთი მიმართულების – ძალადობის შემცირების – თვალსაზრისით რეკომენდაციების შემუშავება. სკოლის პოლიტიკის დოკუმენტში ძალადობის აღმოფხვრის რეკომენდაციები ვრცლად იხ. თავი – 2. უსაფრთხო სკოლის მოდელი. გვ. 108.

ნაშრომში „კვლევა – უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში: წინაპირობა, შედეგები და დამოკიდებულებები“, ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი (2012), ავტორები აღნიშნავენ, რომ უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის კვლევამ სასკოლო უსაფრთხოების გამოწვევებისა და სკოლის თემის მიერ მანდატურის სამსახურის როლისა და ფუნქციების აღქმის შესახებ საინტერესო ტენდენციები აჩვენა. მაგალითად, მშობლებისა და მოსწავლეების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ სკოლა, მანდატურების შემოსვლის შემდეგ, უფრო უსაფრთხო გახდა. ზოგიერთ შემთხვევაში, წარმოდგენები მანდატურების უფლებამოსილებასა და ფუნქციებზე ბუნდოვანი და გაზვიადებული იყო. ნაწილი – კი თვლიდა, რომ სკოლის შინაგანაწესს სწორედ მანდატური ადგენდა, ასევე, მოსწავლეების ნაწილს მიაჩნდა, რომ მანდატურს მასწავლებლისა და დირექტორის გათავისუფლებაც შეეძლო. მასწავლებლები მიიჩნევდნენ, რომ მანდატურები „მათ აკონტროლებდნენ და არა მოსწავლეებს“ (**ანდღულაძე**, **2012: 32-80**).

მანდატურებისადმი დამოკიდებულება აჩვენებდა, მშობლები და მოსწავლეები მანდატურის როლს უფრო მეტად კონკრეტულ გადაცდომაზე რეაგირების ნაწილში ხედავდნენ, ხოლო მანდატურს, როგორც დაპირისპირებულ მხარეებს შორის მედიატორს მას ნაკლებად ენდობოდნენ. კრიტიკა მანდატურის სამსახურის მიმართ მას შემდეგ გაიზარდა, რაც სკოლის დირექტორად, რამდენიმე შემთხვევაში, მანდატური დაინიშნა. მსგავს ფაქტებს ზოგიერთი სკოლის დირექტორი მათი კონტროლისა და დაშინების მცდელობად მიიჩნევდა. ამავე პერიოდში სამინისტროს მიერ გავრცელებულ სიახლეებსა და პრესრელიზებში აღნიშნული იყო, რომ მანდატურების სკოლაში შესვლის შემდეგ ძალადობა 90%-ით შემცირდა. სწორედ ამიტომ, მანდატურის სამსახურის რეფორმა, ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული იყო და არის („სკოლის მანდატურის სამსახურის“ დებულება, 2010);

სპეციალისტების მხრიდან მანდატურის სამსახურის რეფორმის და უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის ცვლილების ძირითადი მოთხოვნა ყოველთვის იყო ზრუნვის პოლიტიკის, დანაშაულის პრევენციისა და სკოლის თემის გაძლიერებისკენ მიმართული პროგრამების დანერგვა. აღნიშნული მოთხოვნები დღესაც ძალაში რჩება (**ჭანტურია, 2020**).

2017 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა 2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით ჩატარებული მონიტორინგის შედეგები წარმოადგინა. აღნიშნული მონიტორინგი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ მხარდაჭერილი პროექტის, „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება", ფარგლებში ჩატარდა. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს: „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კვლავ გამოწვევად რჩება მოსწავლეთა დაცვა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და არასათანადო მოპყრობისაგან: ხშირია ბავშვის მიმართ როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის შემთხვევები უფროსებისა და თანატოლების მხრიდან; მოსწავლეთა შორის ბულინგი არასრულწლოვანთა ურთიერთობის ფართო მასშტაბით გავრცელებული ფორმაა; სუსტია მოსწავლეთა ცოდნა თავიანთი უფლებების შესახებ, ამასთან, დაბალია პასუხისმგებელ პირთა კომპეტენცია ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობაზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ ხორციელდება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მიმართული რეაგირება; არასაკმარისია ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისებიც. სუსტია მოსწავლეთა ცოდნა თავიანთი უფლებებისა თუ ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ, ამასთან, დაბალია პასუხისმგებელ პირთა კომპეტენცია ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობაზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით, სკოლებს არა აქვთ ძალადობის დაძლევის ერთიანი პოლიტიკა. მოსწავლეთა 13.2% და სკოლის თანამშრომელთა 4% ბავშვის მიმართ ძალადობად არ მიიჩნევს ცემას, მოსწავლეთა 37% და სკოლის თანამშრომელთა 12.7% ბავშვის მიმართ ძალადობად არ მიიჩნევს წამორტყმას, ყურის აწევა ძალადობად არ მიაჩნია მოსწავლეთა 42.5% და სკოლის თანამშრომელთა 13.9%, მსგავსი დამოკიდებულებები დაფიქსირდა სხვა მრავალი ფორმის ძა-

ლადობის, მათ შორის ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლინებების მიმართ. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ სკოლის თანამშრომელთა შორის დაბალია ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმის ცოდნა (**სპეციალური ანგარიში**, **საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი**, **2017**).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით (2018 წ.), მანდატურის სამსახურის რეფორმასთან დაკავშირებით „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი მომზადდა. კანონპროექტის მიხედვით: „სკოლებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეოკამერების არსებობა უნდა გახდეს სავალდებულო. ვიდეოკამერებით სკოლის მთელი ტერიტორია და გარე პერიმეტრი დაიფაროს. აღჭურვის პროცესი ეტაპობრივად წარიმართოს და საქართველოს უკლებლივ ყველა სკოლას მოიცავდეს. სკოლებში, სადაც უკვე არსებობს კამერები, გადამოწმდეს მათი დაფარვის არეალი და საჭიროების შემთხვევაში, გაიზარდოს ვიდეოკამერების რაოდენობა. ვიდეოკამერების ადმინისტრირებას მანდატურის სამსახური განახორციელებს; კიდევ უფრო გაიზარდოს კოორდინაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის. კერძოდ, სკოლაში რიკს-ჯგუფების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებისა და სკოლის გარეთ დანაშაულის პრევენციის მიზნით, მოხდეს სამინისტროებს შორის სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის გაცვლა; სკოლაში მოსწავლეთა შორის კონფლიქტის განეიტრალების და სკოლის გარეთ კონფლიქტის გაგრძელების პრევენციის მიზნით, მანდატურს უნდა ჰქონდეს მოზარდის შეყოვნების და მშობლისთვის და სამართალდარღვევის შემთხვევაში, პოლიციისთვის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულება; მანდატურის სამსახური ხდება გაცილებით დამოუკიდებელი და მაღალი ლეგიტიმაციის მქონე – მანდატურის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა განხორციელდეს არა სკოლის დირექტორის, არამედ მანდატურის სამსახურის უფროსის მიერ, რაც მანდატურის დამოუკიდებლობის ხარისხს გაზრდის. მანდატურის სამსახურის უფროსს, თავის მხრივ, თანამდებობაზე ნიშნავს განათლების მინისტრი; თუ დღეს მოქმედი კანონმდებლობით მანდატური შეიძლება გახდეს ზოგადი განათლების მქონე პირი, ცვლილების შემდეგ მანდატურად დაინიშნება მხოლოდ უმაღლესი განათლების

მქონე პირი; მანდატურის სამსახურში მიღების ასაკი გაიზარდოს 21 წლამდე; შეიცვალოს მანდატურის პროფესიული მომზადების წესი, რომელიც თეორიულ მომზადებასთან ერთად პრაქტიკულ კომპონენტსაც გაითვალისწინებს. სასურველია გაიზარდოს მოსამზადებელი კურსის ხანგრძლივობა. კურსს შესაბამისი ექსპერტები გაუძღვებიან, რაც სწავლების მაღალ ხარისხს და მანდატურთა პროფესიულ ზრდას უზრუნველყოფს. კანონპროექტი მიზნად ისახავდა მანდატურის სამსახურის ეფექტიანობის გაზრდას და უწყებებს შორის მჭიდრო კომუნიკაციის გზით როგორც სკოლის, ისე მიმდებარე ტერიტორიაზე მოზარდთა შორის დანაშაულის პრევენციას.

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, ამ მიმართულებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადაიდგა ნაბიჯები. კერძოდ: გაღრმავდა მანდატურსა და საპატრულო პოლიციას შორის თანამშრომლობა; გაძლიერდა პატრულირება სკოლის პერიმეტრზე; ამოქმედდა ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი; გაძლიერდა ფსიქოლოგიური მომსახურება სკოლებში. ეს პროცესი ეტაპობრივად მთელ ქვეყანას მოიცავს და შედეგად, ყველა სკოლას ეყოლება კვალიფიციური ფსიქოლოგი; ფსიქოლოგებთან თანამშრომლობის შედეგად, განათლების სამინისტროს მიერ შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები მშობლებისთვის, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის; სარეკომენდაციო ფლაერები ეტაპობრივად ყველა სკოლაში რიგდება, რაც ხელს უწყობს ძალადობისა და ბულინგის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, დანაშაულის პრევენციას, ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას“ (**საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის კანონპროექტი**, **2018**).

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა (2018) შეიმუშავა „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო“. სახელმძღვანელო წარმოადგენს სკოლაში დარღვევათა და სხვადასხვა გადაუდებელ, კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქციას. სახელმძღვანელოს მიზანია დროული რეაგირება და უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა, მოცემულია სხვადასხვა სახის კრიზისული სიტუაციების დროს, სკოლის დირექტორებისათვის და მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისათვის მოქმედების პროცედურები და რეკომენდაციები. „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელოში“ სიტუაციები დაყოფილია დონეებად, საფრთხის, ხა-

რისხისა და მათზე რეაგირების მიხედვით. საფრთხის დონეებად დაყოფა უზრუნველყოფს შექმნილ ვითარებაში ორიენტაციას, სწრაფ რეაგირებასა და გასატარებელ ღონისძიებათა ეფექტურ დაგეგმვას (**უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო**, **2018**).

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების (2019) მიხედვით მანდატურის სამსახურის ძირითად მიზანს წარმოადგენს: საჯარო სკოლების ტერიტორიაზე, სასკოლო დროს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა; საჯარო სკოლების ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება; მანდატურის სამსახურის ამოცანებსა და უფლებამოსილებებს წარმოადგენს: საჯარო სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა და ამ მიზნით სკოლასთან თანამშრომლობა; ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა ფსიქოლოგიური პრობლემების, ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეების, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტებისა და მათი მშობლებისათვის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების და/ან მასწავლებლებისათვის; სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში ან/და საჯარო სკოლებში დასაქმებული ფსიქოლოგების საქმიანობის კოორდინაციის და მათი საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა; კატასტროფისათვის (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მზადყოფნის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის, ბულინგის საწინააღმდეგო საგანმანათლებლო კამპანიების და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ტრენინგების საჭიროების განსაზღვრა და ორგანიზება; ზ) დასაქმებულთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზება; დასაქმებულთათვის სახელმძღვანელოების, სხვადასხვა სახის სამუშაო დოკუმენტებისა და სტანდარტების შემუშავება; მანდატურობის კანდიდატის მიერ მოსამზადებელი კურსების (სერტიფიცირების) გავლისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა; საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების

პროცესში სკოლასთან თანამშრომლობა; საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა; საგანმანათლებლო დაწესებულებაში განაწილებული საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის (შემდგომ – მანდატური) საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება; ნ) სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში (სამმართველო) მანდატურის მიერ სუბიექტის გადამისამართების მიზნით საჭირო პროცედურების დანერგვის უზრუნველყოფა და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება (**საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულება**, **2019**).

მანდატურის სამსახურის 2020 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2020 წელს, პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარებისა და არსებული გამოწვევების მიუხედავად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა. კერძოდ: საქართველოს 11 საჯარო სკოლაში, მათ შორის, სხვადასხვა ინტერნეტ-საკომუნიკაციო არხის გამოყენებით, აქტიურად გაგრძელდა ძალადობისა და ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის საპილოტე პროგრამის განხორციელება. პროექტი მოიცავდა ბულინგის, კიბერბულინგის, ტექნოდამოკიდებულების და მოსწავლეებში ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის საკითხებს; სასკოლო ცხოვრებაში თანაბარი შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფას ყველა ბავშვისთვის, საკლასო გარემოს მართვის უნარ-ჩვევების გაძლიერებას და კრიზისული სიტუაციების მართვაზე ორიენტირებულ მუშაობას. ფსიქოსოციალური ცენტრის მიერ მომზადდა ძალადობის და სარისკო ქცევების იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მოდული. შემუშავდა თანასწორგანმანათლებელთა სახელმძღვანელო ბულინგის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის; ბულინგის პრევენციისა და მასზე რეაგირების წესები და ფასეულობები. დაიწყო დისციპლინირების ეფექტიანი ზომების დანერგვაზე მუშაობა. მომზადდა მოსწავლის სოციალური მოწყვლადობის იდენტიფიცირების ინსტრუმენტი. ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოსწავლეების, მათი მშობლებისა და პედაგოგებისთვის, დამზადდა საინფორმაციო-შემეცნებითი ვიდეორგოლები: ბულინგის, მხარდაჭერის მნიშვნელობის, მოსწავლეებში გაჯეტდამოკიდებულების, მშობლებსა და პედაგოგებს შორის ეფექტური კომუნიკაციის და სხვა

აქტუალურ თემებზე. შემუშავდა სასკოლო მედიაციის კონცეფცია, რომლის მიზანია, ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა. დაინერგა მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის პრინციპები, რომელიც ემყარება შემთხვევის შესწავლას, პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას ფსიქო-სოციალურ ჭრილში. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის კუთხით გამოვლენილ დარღვევებს განახლებულ საინფორმაციო ელექტრონულ პროგრამაში – erofficers.emis.ge აღრიცხავენ. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს მშობლების, სკოლის ადმინისტრაციის, მანდატურებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლების მაღალ ჩართულობას სასკოლო პროცესებში (**საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2020 წლის ანგარიში**).

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა 2021 წელს განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც წარმოდგენილია: სკოლებში უსაფრთხო, ზრუნვაზე ორიენტირებული და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს ხელშეწყობისა და განმტკიცების მიზნით, მანდატურის სამსახურმა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, მათ შორის: საუკეთესო დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით, ადგილობრივ და ევროპელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა სკოლებში სოციალური მუშაობის მოდელი შეიმუშავა. დაიწყო საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება და სოციალური მუშაკების როლის გაზრდა, რაც გულისხმობს მოსწავლეთა, მათი მშობლებისა და პედაგოგების მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესში; მოსწავლეთა ეფექტიანი სოციალური ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრას. 2021 წლიდან, მანდატურის სამსახურმა სასკოლო მედიაციის უპრეცედენტო პროექტი აამოქმედა საპილოტედ შერჩეულ, საქართველოს 29 საჯარო სკოლაში, მათ შორის, აჭარის, იმერეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის რეგიონებსა და თბილისში. მედიაციის პროცესს მანდატურის სამსახურის სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლები უძღვებიან. 2021 წელს, მანდატურის სამსახურის მიერ საპილოტე

სკოლებში გაგრძელდა ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენ-ციის პროგრამა 13 წელს ზემოთ და 13 წლამდე ასაკის მოსწავლეე-ბისთვის, მტკიცებულებითი მეთოდის (EU DAP Unplugged Program) გამოყენებით (**საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამ-სახურის 2021 წლის ანგარიში**). სსიპ საგანმანათლებლო დაწესებუ-ლების მანდატურის სამსახურის ანგარიშის (2022) მიხედვით: აქტიუ-რად გაგრძელდა მუშაობა საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის კომპონენტისა და სოციალური მუშაკების როლის გაძლი-ერების მიზნით, რაც გულისხმობს მოსწავლეთა, მათი მშობლებისა და პედაგოგების მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესში; მო-სწავლეთა ეფექტიანი სოციალური ფუნქციონირებისათვის ხელშე-მშლელი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრას. ფსიქოსოცია-ლური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, სოციალური მუშაობის ფარგლებში, 2022 წლის განმავლობაში, სხვადასხვა საინ-ფორმაციო, საგანმანათლებლო, შემეცნებით, სპორტულ, სადისკუ-სიო და საინტერვენციო აქტივობაში ჩაერთო: 6 328 მასწავლებელი, 1 256 ადმინისტრაციის წარმომადგენელი; 70 358 მოსწავლე; 11 114 მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი მომსახურების დანერგვის მიმართულებით, 2022 წელს, საგანმანათლებლო დაწესე-ბულების მანდატურის სამსახურში დაიწყო რეფორმირების პროცესი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ჩა-რთულობით, მომზადდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდა-ტურის სამსახურში ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი სისტემის დაფუძნებისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებე-ბის პროექტი, ასევე ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი სისტემის მისიის განაცხადის სამუშაო ვერსია (**საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2022 წლის ანგარიში**).

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, მანდატურის სამსახურმა შე-იმუშავა სკოლაში სოციალური მუშაობის კონცეფცია, განსაზღვრა სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის ფუნქციები. მანდატურის სა-მსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ისტორიაში პირველად, შემუშავდა სუპერვიზიის კონცეფცია და დაიწყო მისი გა-ნხორციელება როგორც ფსიქოლოგებისათვის, ისე სოციალური მუ-

შაკებისათვის. მოსწავლეებში აგრესიული ფონის დარეგულირება და მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება ფსიქოლოგის კომპეტენციაა. ფსიქოლოგ მაია ცირამუას მოსაზრებით სასკოლო უსაფრთხოების ერთიანი ხედვა არ არსებობს, რადგან ეს არის საკითხი, რომელზეც არ შეიძლება სასკოლო ცხოვრების მხოლოდ ერთი რომელიმე რგოლი იყოს პასუხისმგებელი. ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ სკოლაში ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული და, სამწუხაროა, როდესაც ეს ასე არ არის დანახული და აქცენტი ფიზიკურ უსაფრთხოებაზე კეთდება. **რა სარგებლობა მოაქვს სკოლის ფსიქოლოგს? რა ევალება მას? რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება სასწავლო პროცესში?** სკოლის ფსიქოლოგის მოვალეობაა – მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ხელშეწყობა საჭირო უნარების განსავითარებლად. ის ამოწმებს ბავშვების მენტალურ ჯანმრთელობას, სწავლას, ქცევას და ეხმარება მათ, ჰქონდეთ წარმატებები აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ სფეროებში. სკოლის ფსიქოლოგი თანამშრომლობს ოჯახებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასა და სხვა პროფესიონალებთან, რათა შექმნას ძლიერი კავშირი სკოლასა და სახლს შორის. ფსიქოლოგის მოვალეობაა რიგ საკითხებში სკოლის დახმარება, ესენია: აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება: მოსწავლეებისა და კლასების მონაცემების შეგროვებითა და დამუშავებით სკოლის ფსიქოლოგს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შესახებ. შემდეგ ის ცდილობს, იპოვოს დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი და შესაბამისად დაგეგმოს ჩარევის სქემა. სკოლის ფსიქოლოგი ზრუნავს მოსწავლეების კომუნიკაციური და სოციალური უნარების ამაღლებაზე, მათი ემოციური და ქცევითი საჭიროებების გამოვლენაზე, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებით ცდილობს მიაწოდოს, ასწავლოს მათ პრობლემის აღიარება, ბრაზის მართვა და კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის გზები; პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნა: სკოლის ფსიქოლოგი უზრუნველყოფს ბულინგისა და ძალადობის სხვა ფორმების პრევენციას; ოჯახსა და სკოლას შორის ძლიერი კავშირის ჩამოყალიბებას, განსხვავებული მოსწავლეების მხარდაჭერას (**საჯაია**, **2016**).

სოციალური მუშაკები საჯარო სკოლებში 2021 წლის აპრილიდან მუშაობენ, ისინი მონაწილეობას იღებენ ბავშვის სოციალური კეთილდღეობის დაცვაში, რაც გამოიხატება: „იზრუნოს ბენეფიციარის საუ-

კეთესო ინტერესის დაცვაზე, მათ შორის, მისი უფლებების დაცვაზე“ ***(საქართველოს კანონი**, **სოციალური მუშაობის შესახებ**)*.

ნაშრომში „ფსიქოსოციალური სამსახური საჯარო სკოლებში“ (2011) ფსიქოლოგი მაია ცირამუა განიხილავს ფსიქოსოციალური სამსახურის სხვადასხვა მოდელს: პირველ მოდელში მოიაზრება ორი სოციალური მუშაკი და ერთი ფსიქოლოგი, ორი სოციალური მუშაკი და ორი ფსიქოლოგი – ეს ვარიანტი შეიძლება რელევანტური იყოს ისეთი შემთხვევისათვის, როცა სკოლის ფსიქოლოგის ფუნქციებს დაემატება პედაგოგებისათვის ტრენინგების მოწყობა (რთული ქცევის კლასის მართვა, განვითარების დარღვევები და მასთან მუშაობის თავისებურებები). ფსიქოლოგი მაია ცირამუა აღნიშნავს, რომ ეს მოდელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თავიდან ააცილებს პედაგოგთა დიდი რაოდენობისათვის ტრენინგების მოწყობის აუცილებლობას. ტრენინგების გავლა საჭირო იქნება მხოლოდ იმ ფსიქოლოგებისთვის, რომლებსაც გადაეცემათ მუშაობის მეთოდიკა და მოდულები. ამ მოდელის მიხედვით, ერთი ფსიქოლოგი იზრუნებს მასწავლებელთა გადამზადებაზე, მეორე ფსიქოლოგი მეტად ჩაერთვება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დახმარების საქმეში: ჩაატარებს ტესტირებას, მოახდენს დიაგნოსტირებას და დაგეგმავს მხარდამჭერ აქტივობებს. ფსიქოსოციალური სამსახურის მეორე მოდელი შედგება ორი სოციალური მუშაკისაგან, ხოლო სკოლის ფსიქოლოგი შესაძლოა ერთბაშად ემსახურებოდეს ორ ან სამ სკოლას (ეს მოდელი ეკონომიურია, მაგრამ ეფექტიანი ვერ იქნება); ან სკოლის ფსიქოსოციალური სამსახური შედგება ერთი სოციალური მუშაკის და სკოლის ერთი ფსიქოლოგისაგან. ასეთი მოდელის არჩევის შემთხვევაში ან სოციალური მუშაკის სამოქმედო არეალი უნდა შეიზღუდოს, ან მისი მუშაობის მიმართულებები“ (**ცირამუა**, **2011**).

მ. ცირამუას მოსაზრებით, სკოლაში მომუშავე სოციალური მუშაკის სამუშაო გამიჯნულია სკოლის ფსიქოლოგის სამუშაო ვალდებულებებისაგან. სკოლის სოციალური მუშაკი პედაგოგის, კლასის დამრიგებლის, მანდატურის მიმართვის საფუძველზე სწავლობს და აანალიზებს წარდგენილ საკითხს. მისი ფუნქციაა: პრობლემის დაფიქსირება, შეფასება, სოციალური ანალიზი. ამისათვის ის უფლებამოსილია: მოიძიოს მხარდამჭერი რესურსები და სერვისები, განახორციელოს სოციალური ინტეგრაცია, პირველადი ინტერვიუ და

სოციალური საჭიროებების კვლევა, მედიაცია სკოლაში; დაგეგმოს პრევენციული აქტივობები და პრევენციული პროგრამები. განვიხილოთ თითოეული მათგანი. **დამხმარე/მხარდამჭერი რესურსებისა და სერვისების მოძიება –** სკოლის სოციალური მუშაკი ცდილობს სკოლის სივრცეში წამოჭრილი პრობლემებისათვის დამხმარე სერვისების ან რესურსების მოძიებას; **სოციალური ინტეგრაცია –** სკოლის სოციალური მუშაკი მოსწავლის სკოლაში შესვლის/გადასვლის პირველივე დღეებიდან ცდილობს დაეხმაროს მას სოციალურ ინტეგრაციაში, აცნობს სკოლის შინაგანაწესს – პირველ კლასელებს ეხმარება სასწავლო წესების ათვისებაში, სხვადასხვა სახის ჯგუფური აქტივობების დაგეგმვის საშუალებით; მოსწავლეებს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, შინაგანაწესს, აწყობს ახალი მოსწავლის კლასისათვის წარდგენის აქტივობას და თვალყურს ადევნებს მოსწავლის კლასთან ინტეგრაციის პროცესს; **პრევენციული აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება –** სოციალური მუშაკი სხვადასხვა ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის სკოლაში ნერგავს სახელმწიფო ან არასამთავრობო სექტორების მიერ მოწოდებულ პროგრამებს. ასევე სოციალური მუშაკი სკოლის ფსიქოლოგთან თანამშრომლობის საფუძველზე ქმნის დევიანტური, ადიქტიური ქცევების პრევენციულ პროგრამებს – კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, კონფლიქტების მართვის და სხვა; პირველადი ინტერვიუ და სოციალური საჭიროებების კვლევა – სკოლის სოციალური მუშაკი მასწავლებლის, მანდატურის ან სკოლის სხვა პერსონალის მიმართვის საფუძველზე აწყობს პირველად ინტერვიუს სკოლის მოსწავლეებთან და, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს რეფერირებას სკოლის ფსიქოლოგთან; ასევე, საჭიროების შემთხვევაში სპეციალური კითხვარის საშუალებით სწავლობს ბავშვის / მოზარდის სოციალურ გარემოს; **მედიაცია სკოლაში –** სკოლის სოციალური მუშაკი სკოლის მანდატურის ან პედაგოგის მიმართვის საფუძველზე ცდილობს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას კონფლიქტის ორივე მხარესთან მუშაობის საშუალებით და აწყობს ე.წ. მედიაციის სესიას, სადაც ხვდება კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე, მათი მშობლები და სკოლის მანდატური.

სოციალური მუშაკის მუშაობის ფორმებია: ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა. სოციალური მუშაკი აწყობს ინდივიდუალურ შეხვედრებს სკოლის მოსწავლესთან პირველადი ინტერვიუს სახით, სადაც, გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად, საჭიროების შემ-

თხვევაში, ახდენს მის რეფერირებას სკოლის ფსიქოლოგთან. ასევე, სოციალური მუშაკი აწყობს ინდივიდუალურ შეხვედრას ბავშვის ოჯახთან, ჯგუფურ შეხვედრებს მოსწავლეებთან ან მოსწავლეთათვის (შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოწვევით) პროფილაქტიკური ღონისძიებების სახით (**ცირამუა**, **2011**).

უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია სკოლებში სამედიცინო კაბინეტების გამართვა და მოწესრიგება, რაც გამოიხატება პირისთვის პირველადი დახმარების გაწევითა და სამედიცინო კონსულტაციით. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ საკუთარი შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება და მიზნების მიღწევა უსაფრთხო, მზრუნველ და მოწესრიგებულ სკოლაში, სადაც მოსწავლეები დაცულნი არიან ნებისმიერი სახის ზიანისგან, საფრთხისა და შიშისგან, სადაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ერთმანეთს ეპყრობა პატივისცემითა და ნდობით, სკოლა სადაც სკოლის საზოგადოების თითოეული წევრის მიერ ხდება საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების სრულფასოვანი გააზრება და რეალიზება. ასეთი ატმოსფეროს შექმნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს.

მშობელთა ჩართულობის როლი უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის განხორციელებაში

განათლების სპეციალისტების შეფასებით სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მხოლოდ სახელმწიფო რეგულაციები არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია სკოლამ, ოჯახმა, საზოგადოებამ დროულად მოახდინოს ძალადობის იდენტიფიცირება და ერთობლივად შეიმუშაონ ინტერვენციის გზები, სკოლაში უსაფრთხოების გაძლიერების ინიციატივები-თანამშრომლობა საზოგადოებასთან, ოჯახთან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან. სკოლას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია საგანმანათლებლო-აღმზრდელობით ინსტიტუტთა შორის. სკოლას აქვს უნიკალური შესაძლებლობა, დაიხსნას ბავშვები მარტოობისაგან, გამოუმუშაოს რწმენა საკუთარ ძალებში, ჩამოუყალიბოს თვითშეფასების უნარი, რომელიც აუცილებელია სრულფასოვანი თვითრეალიზაციისათვის, კონკრეტული პიროვნების თვითგანვითარებისათვის, მისი თვითაქტუალიზებისა და საზოგადოებისათვის სასურველი მიმართულებით თვითაღზრდის წარმართვისათვის. წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სკოლასა და მშობელს შორის არსებული კეთილგანწყობაა. მოსწავლეთა წარმატებისთვის მშობლების სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ოჯახი არის უმნიშვნელოვანესი გარემო, სადაც ბავშვი საწყის განათლებას იღებს. ბავშვის განათლებასა და განვითარებაზე გავლენა ოჯახს სკოლის პერიოდში და შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე აქვს. თავის მხრივ, სკოლას აქვს ვალდებულება ხელი შეუწყოს მომავალი თაობების აღზრდას. იგი უზრუნველყოფს „მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნას“ (**საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ**, **მუხლი**. **3**. **2005**). სკოლისა და მშობლის თანამშრომლობა მოიაზრებს მასწავლებლის მხრიდან მშობლის ინფორმირებას ბავშვის უფლებების, ძალადობის ფორმების გამოვლენის, კიბერბულინგისა და სხვათა შესახებ და მშობელთა აქტიურ ჩართულობას ძალადობის აღმოფხვრის კლასგარეშე აქტივობებში. რაც უფრო მეტადაა ჩართული მშობელი შვილის სწავლებისა და განათლების მიღების პროცესში, რაც უფრო მჭიდროა თანამშრომლობა სკოლასა და ოჯახს შორის, მით უფრო იზრდება

მოსწავლეებში მშობლისადმი ნდობა, სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება. ბავშვები გულახდილად საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე როგორც მასწავლებელთან, ასევე მშობელთან. შედეგად კი მცირდება ძალადობის მცდელობები და ძალადობის გამოვლენა, იზრდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება სკოლაში.

მასწავლებლის ეთიკის კოდექსში, მუხლი 5. მშობლებთან ურთიერთობა (**მასწავლებლის ეთიკის კოდექსი**, **პროექტი**, **2010**) დასახელებულია ის აქტივობები, რომელიც უნდა განახორციელოს მასწავლებელმა: „1. მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და, საჭიროების შემთხვევაში, აწყობს მასთან ინდივიდუალურ შეხვედრებს. 2. მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და თავაზიანია მასთან ურთიერთობისას. 3. ყოველი სასწავლო ტრიმესტრის დასაწყისში მასწავლებელი განმარტებებს აძლევს მშობლებს სასწავლო გეგმისა და მის მიერ არჩეული სწავლების მეთოდების შესახებ. 4. მასწავლებელი, მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, მშობელს დროულად და ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ. 5. მასწავლებელს, თუ ის კლასის დამრიგებელია, აქვს ყველა მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად შეძლოს მშობელთან დაკავშირება. 6. მასწავლებელი ატყობინებს მშობელს მოსწავლის დისციპლინური დარღვევის შესახებ და ხელს უწყობს მის ჩართვას სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინურ წარმოებაში. 7. მასწავლებელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებას, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა სკოლაში, ან მის ჯანმრთელობას და პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა“.

„მშობლისა და სკოლის ურთიერთობის დროს წამყვანი როლი სკოლას და მასწავლებელს ენიჭება, რადგან სკოლას მასწავლებლის სახით ჰყავს კვალიფიციური კადრი, რომელიც თავის მუშაობას მეცნიერულ საფუძვლებზე აგებს. მშობელი კი, ხშირ შემთხვევაში, ვერ ფლობს პედაგოგიური განათლების მინიმუმს. ამიტომ მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მშობელს და აამაღლოს მასში ოჯახური აღზრდის პედაგოგიური კულტურა. მოსწავლის მშობელთან ურთიერთობა მასწავლებლის პროფესიულ მოვალეობებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია. ამ ურთიერთობამ ხელი უნდა შეუწყოს სასწავლო პროცესის, სწავლებისა და სწავლის ეფექტურობას, მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის გააქტიურებას“ (**თავდგირიძე**, **2010**).

ნებისმიერი მშობელი ზრუნავს საკუთარი შვილის განათლებაზე და მისი სასკოლო ასაკის დადგომისთანავე ცდილობს შეიყვანოს იგი წარმატებულ სკოლაში. თავის მხრივ, სკოლის ხელმძღვანელების უმრავლესობა ენთუზიაზმით იწყებს პროფესიულ საქმიანობას და ცდილობს შექმნას ისეთი სკოლა, რომელიც ბევრი მოსწავლის მშობლის არჩევანი იქნება. როგორი უნდა იყოს მოსწავლისა და მშობლისთვის სასურველი სკოლა? რით გამოირჩევიან მაღალი შედეგების მქონე სკოლები ნაკლებად წარმატებული სკოლებისგან? განათლების ექსპერტები მრავალი წელია ცდილობენ, ამოხსნან წარმატებული და ეფექტიანი სკოლების საიდუმლო და ფართოდ გაუზიარონ იგი განათლების სფეროს ყველა დაინტერესებულ მხარეს (მარზანო, 2003; ლანკსტეინ, 2010; შანონ და ბილსმა, 2007). სკოლა და ოჯახი ორმხრივად უნდა ეძიებდეს მოსწავლის პროგრესსა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას. ტერმინი „მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც შინ, ასევე სკოლაში. ის აერთიანებს მშობლებსა და მასწავლებლებს, რათა მათ ერთიანი ძალისხმევით შეუწყონ ხელი მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. „მშობელთა ჩართულობა“ ნიშნავს მშობლების მონაწილეობას რეგულარულ, მრავალმხრივ კომუნიკაციაში, მოსწავლის სასწავლო პროცესში და სკოლის სხვადასხვა ღონისძიებაში.

გ, ბისეიშვილი, ნ. გოგიჩაძე, ლ. იანგი. თ. ლოდია, ნ. მეფარიშვილი, მ. ხარებავა წიგნში „ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა“ გვაცნობს **ავსტრიის**, **კანადის**, **ფინეთის**, **ნორვეგიის** ქვეყნებში სკოლებთან მშობელთა თანამშრომლობისა და ჩართულობის მაგალითებს. სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის **ავსტრიული** მოდელის მიხედვით, მშობლებს შეუძლიათ სხვადასხვა გზით იქონიონ ზეგავლენა სკოლაზე და მონაწილეობა მიიღონ სასკოლო კლიმატის შექმნაში. ავსტრიაში სკოლასა და ბავშვის აღზრდაზე უფლებამოსილ პირს შორის თანამშრომლობის ფორმები კანონმდებლობით არის განსაზღვრული: ეს ოფიციალური დოკუმენტებია: სასკოლო გაკვეთილის კანონი, სკოლის ორგანიზაციის კანონი, სავალდებულო სასკოლო განათლების კანონი. სკოლასთან თანამშრომლობის ფარგლებში მშობლებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სამ ჯგუფში: 1) „**კლასის ფორუმი** (გადაწყვეტილების მიმღები რგოლი – კლასის დამრიგებელი, ყველა

მშობელი. მრჩეველთა რგოლი – სკოლის დირექტორი, სხვა მასწავლებლები, სკოლის ექიმი. გაერთიანებულია კლასის ყველა მშობელი. კლასის ფორუმის უფლება-მოვალეობანი კანონმდებლობით არის განსაზღვრული. ყოველწლიურად ხდება კლასის ფორუმიდან ერთი მშობლის არჩევა წარმომადგენლად სკოლის ფორუმში, ის არის პასუხისმგებელი სკოლასა და კლასს შორის კომუნიკაციაზე. 2) **სკოლის ფორუმი** (გადაწყვეტილების მიმღები რგოლი – სკოლის დირექტორი, კლასის დამრიგებლები და კლასების წარმომადგენელი მშობლები. მრჩეველთა რგოლი – სკოლის ექიმი, სხვა მასწავლებლები, მშობელთა კერძო გაერთიანების თავმჯდომარე და სხვ. სკოლის ფორუმში გაერთიანებულია თითო წარმომადგენელი სკოლის ყველა კლასიდან. სკოლის ფორუმი უფლებამოსილია მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (მაგალითად, სასწავლო გეგმის ცვლილების შესახებ სკოლის ავტონომიის ფარგლებში) და წარმოადგინოს კლასის მშობლების ინტერესები სკოლის ხელმძღვანელობის წინაშე. 3) **სკოლის გაერთიანებული კომიტეტი**. (გადაწყვეტილების მიმღები რგოლი – სკოლის დირექტორი, მასწავლებელთა სამი წარმომადგენელი, მშობელთა სამი წარმომადგენელი, მოსწავლეთა სამი წარმომადგენელი. მრჩეველთა საბჭო – სკოლის ექიმი, მასწავლებლები, მშობელთა კერძო გაერთიანების თავმჯდომარე და ა. შ“. (**ბისეიშვილი**, **2014**).

სკოლისა და ოჯახს შორის თანამშრომლობის **კანადური** გამოცდილება სსსმ მოსწავლეზე ფოკუსირებით ხდება. ბევრ რაიონში არსებობს სასკოლო გუნდები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპეციალური განათლების მასწავლებლები, კონსულტანტები, ადმინისტრატორები, რიგითი მასწავლებლები, რომლებიც იცნობენ სასწავლო პრობლემებს და სტრატეგიებს. მასწავლებლებს შეუძლიათ გუნდის რჩევით შეიმუშაონ ინდივიდუალური სტრატეგია მოსწავლეებისათვის სწავლის/ათვისების პრობლემების მოგვარების მიზნით, თუ სასკოლო სტრატეგია არ არის ეფექტური, მასწავლებელი მშობელთან შეთანხმებით (ინფორმირებული თანხმობა) ადგენს „სპეციალურ მიმართვას“, რომელიც აუცილებელია გაკეთდეს ნებისმიერი სპეციალური კვლევის (როგორიცაა, ფსიქოსაგანმანათლებლო, მეტყველების, ინტელექტის ტესტი) დაწყებამდე (**ბისეიშვილი**, **2014**).

ნორვეგიაში 1968 წელს მიღებულ კანონში განათლების შესახებ ჩნდება ჩანაწერი: „ოჯახთან შეთანხმებით და თანამშრომლობით“, რაც ცალსახად გამოკვეთს ბავშვის წარმატებით აღზრდაში მხარე-

ებს შორის პასუხისმგებლობის განაწილების აუცილებლობას (**ბისეიშვილი**, **2014**).

ფინეთში ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის მთავარი ამოცანაა: ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებების დაკმაყოფილება, ზრუნვა, სამართლიანობის და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა. **ფინეთში** ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა ეფუძნება 4 პრინციპს: **მოსმენა –** „მოსმენა ხდება მაშინ, როცა არის გულწრფელი დაინტერესება სხვისი იდეის, აზრის და საკითხის მიმართ. ეს მოითხოვს უსაფრთხო და გულღია გარემოს არსებობას, რაც განსხვავებული შეხედულებების და აზრების მიღების და ურთიერთგაგების პროცესს შეუწყობს ხელს. მოსმენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობის საწყის და გარდამავალ პერიოდებში. სკოლების მთავარ სირთულეს წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდება/გაზიარება და ამასთანავე მშობლების იდეების, სურვილების, ბავშვებთან დაკავშირებით პრობლემების მოსმენა. მოსმენის გარდა მნიშვნელოვანია განხილვები დისკუსიების ფორმაში. **პატივისცემა** – პატივისცემით გაჯერებული და თანაზიარი დამოკიდებულება ქმნის დადებით და ღია გარემოს. სწორედ პატივისცემა იძლევა საშუალებას ყველამ გამოხატოს საკუთარი შეხედულება პრობლემური საკითხის ირგვლივ. პატივისცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სიტუაციებში სადაც ვხვდებით აშკარა აზრთა სხვადასხვაობას ფასეულობებზე“ კულტურულ საკითხებზე, სკოლისა და ოჯახის გამოცდილებებზე. (**ბისეიშვილი**, **2014:80**). **ნდობა** – ნდობა ეფუძნება სამართლიანობის განცდის არსებობას. ის წარმატებული თანამშრომლობის შედეგია და დროს მოითხოვს. მშობლის ნდობა სკოლის მიმართ განპირობებულია დაწვრილებითი ინფორმაციის მიღებით შვილების განათლების შესახებ. მასწავლებლების თავაზიანი დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ აუმჯობესებს მშობლების ნდობის მაჩვენებელს სკოლაში არსებულ სამართლიან და თანასწორ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. ურთიერთნდობა მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ხელს უწყობს თანამშრომლობის წარმატებულად განვითარებას და საუკეთესო გზების პოვნას საუკეთესო სასწავლო გარემოს შექმნისთვის. **ინტერაქტივი** – ინტერაქტივი ნიშნავს თანასწორ დიალოგს, რომელსაც მივყავართ ურთიერთგაგებამდე. წარმატებული დიალოგისთვის უმთავრესია, რომ ის მიმდინარეობს ყველასთვის გასაგებ ენაზე და ყველას თანამონაწილეობით“ (**ბისეიშვილი**, **2014:83**).

მშობელთა ჩართულობის ეფექტიანი კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია ხელისშემშლელი ფაქტორების შესუსტება. ამ მიმართულებით საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ 2012 წელს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო სასკოლო-საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების (დირექტორის, მასწავლებლის, მშობლის) აზრის გამოკითხვა მშობელთა ჩართულობის მოდელის შესახებ და საქართველოში არსებული სიტუაციის შესწავლა მშობელთა ჩართულობის მოდელის რეალობაზე მოსარგებად. აღნიშნულმა კვლევამ დაადასტურა სკოლების ხელშეწყობის აუცილებლობა მშობელთა ჩართულობის მიმართულებით.

2012 წლის კვლევის შედეგების საფუძველზე საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავდა **მშობელთა ჩართულობის მოდელი**. ქართულ რეალობაზე მორგებული მოდელი ითვალისწინებს შესაბამისი მასალების ინტეგრირებას დირექტორებისა და მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამებში და მშობლებისთვის სავარჯიშოების, აქტივობების ბარათებისა და რეკომენდაციების მომზადებას, რომლებიც დაეხმარება მშობლებს და მათ შვილებს, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, დამეგობრდნენ, დაეხმარონ ერთმანეთს სოციალური გამოცდილებისა და ცოდნის შეძენაში.

ხშირ შემთხვევაში სკოლები მშობლებს არ რთავენ თავიანთ საქმიანობაში, რადგან ჰგონიათ, რომ ისინი თავს ვერ გაართმევენ. „ეს უფრო წინასწარი მცდარი აზრია. მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ ოჯახებს არ უნდათ მონაწილეობის მიღება, როცა სინამდვილეში ოჯახებმა არ იციან, როგორ მიიღონ მონაწილეობა“, განაცხადა კარენ სალინასმა (სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებასთან პარტნიორობის ცენტრის კომუნიკაციების დირექტორი, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, სკოლაში მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მხარდამჭერი). თავის მხრივ, მშობლები ზოგჯერ თავს იკავებენ სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვისგან, რადგან მათ ცოტა თავისუფალი დრო აქვთ. ერთ-ერთი დიდი პრობლემა სკოლასა და ოჯახებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობაა; მშობლები თვლიან, რომ მათ სკოლაში სიხარულით არ ელიან. ეს ნაწილობრივ შედეგია უარყოფითი გამოცდილებისა, რაც აფიქრებინებთ, რომ მშობლის

ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში დადებით შედეგს არ მოიტანს (**G-PRIED საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი**, **2015:9**).

მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობაში არსებული ბარიერების გადალახვისათვის მნიშვნელოვანია კომუნიკაციის გაუმჯობესება; მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ სკოლის პერსონალისა და ოჯახის ცნობიერების ამაღლება; პერსონალიზაცია. სკოლასა და ოჯახს შორის კომუნიკაცია ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭიროა, რომ მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს ინფორმაციას უზიარებდნენ. სკოლებში ინფორმაციის გასაცემად ეფექტური საშუალებებია: საინფორმაციო ბიულეტენები, ვებ-გვერდები, სკოლის საინფორმაციო დაფები, სადაც შესაბამისი მასალები/გზავნილები განთავსდება. ხშირად სკოლებში შემუშავებულია ანალოგიური მექანიზმები მშობლების აქტიური უკუკავშირის უზრუნველსაყოფადაც. როდესაც მშობლებისა და სკოლის კომუნიკაცია რეგულარული და ეფექტიანია, იზრდება მშობლების ჩართულობა, მათ მიერ სკოლის შეფასება მაღლდება და უყალიბდებათ სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მშობლები თავს იკავებენ სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობისაგან, არის სკოლასთან დაკავშირებული გარკვეული დისკომფორტი, რომელიც ხშირად გამოწვეულია იმით, რომ მშობლებმა არ იციან, როგორ ჩაერთონ მის ცხოვრებაში. მეგობრული დამოკიდებულება სკოლასა და მშობელს შორის შედეგიანი ურთიერთობის დამყარების პირველი ნაბიჯია. მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად სკოლამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა გადამზადება მშობლებთან კომუნიკაციის საკითხებში (**G-PRIED საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი**, **2015:9**). მშობელთა ჩართულობის წარმატებული პროგრამები იქმნება სკოლის ან მისი საზოგადოების კონკრეტული საჭიროების გათვალისწინებით და მოქნილია/ მორგებულია ამ საჭიროების დაკმაყოფილებაზე. სტრატეგია, რომელიც ერთ სკოლაში წარმატებულია, შეიძლება არ გამოდგეს მეორე სკოლაში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, სხვადასხვა სკოლებში მშობელთა ჩართულობის განსხვავებული პროგრამები იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, ერთმა სკოლამ შეიძლება დანერგოს პროგრამა „მენტორი მშობელი“, რომელშიც მშობლები უკავშირდებიან სხვა მოსწავლეების ოჯახებს და უყვებიან სკოლის საქმიანობის შესახებ; სხვა სკოლამ შე-

იძლება დაიწყოს პროგრამა, რომელიც მოხალისე მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, ქულები დააგროვონ სხვადასხვა ჯილდოების მოსაპოვებლად, (მაგ: ყველაზე აქტიური მშობლის სერტიფიკატი და ა.შ.). ორივე პროგრამას გააჩნია მშობელთა ჩართულობის მნიშვნელოვნად ამაღლების პოტენციალი (**G-PRIED საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი**, **2015:9**). წიგნში „მშობელთა ჩართულობა, რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის" მშობლებთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად საინტერესო მოსაზრებებია გადმოცემული, შემოთავაზებულია აქტივობები**: ინფორმაციის მიწოდება** – მშობლებს უნდა მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია, როგორც სკოლაში უკვე განხორციელებული ღონისძიებების და სამუშაოების შესახებ, ასევე მომავალში დაგეგმილი აქტივობების თაობაზე. მშობლებს ასევე მიაწოდოს ინფორმაცია: წლიური სამოქმედო გეგმის შესახებ, სასწავლო პროგრამების შინაარსზე, შეფასების პროცედურების და კრიტერიუმების შესახებ, მოსწავლეთა მომსახურების პროგრამებზე, სკოლის მთავარი პრინციპების შესახებ, როგორ შეიძლება ბავშვებს დაეხმარონ შინ მეცადინეობის დროს; საგნობრივი ტესტები მარტივი ნიმუშების სახით – თუ ეს შესაძლებელია. **მშობელთა ჩართულობის ბანერი** – სკოლის გარეთ სასურველია დაიკიდოს ბანერი. მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან მათი ლოგო, რომელიც იქნება მაჩვენებელი, რომ მათი სკოლა არის აქტიური ოჯახის ჩართულობის კუთხით. **მშობლებთან შეხვედრა და გულთბილად მისალმება** – სკოლაში დამკვიდრებული მისალმებისა და დახვედრის კულტურა ხელს უწყობს მშობლებსა და სკოლას შორის ერთობის გაძლიერებას; ეხმარება მშობლებს იმის გაცნობიერებაში, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიანი და დაფასებული წევრები არიან. **შენობის გეგმა ორიენტაციის გასაიოლებლად** – სკოლის შესასვლელში სასურველია გამოკრული იყოს შენობის გეგმა შენობაში ორიენტაციის გასაიოლებლად – მასზე ნაჩვენები იქნება, თუ სად მდებარეობს ესა თუ ის კაბინეტი, რაც დაეხმარება მშობელს მარტივად მიაგნოს სასურველ კლასს. **სკოლის შესასვლელში განცხადებების დაფის გაკვრა** – დაფაზე სკოლას შეუძლია განათავსოს ინფორმაცია სასკოლო ღონისძიებების, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან შეხვედრის ზუსტი თარიღის შესახებ. **ახალი მოსწავლეებისა და მათი მშობლების მიღების წესი/რიტუალი** – სასურველია, სკოლაში დამკვიდრებული იყოს ახალი მოსწავლეებისა

და მათი მშობლების მიღების წესი/რიტუალი. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები, ძველი მოსწავლეების მშობლები საგანგებო შეხვედრას უწყობენ ახალგადმოსულ ბავშვებს და მათ მშობლებს, აცნობენ მათ სკოლას. შეიძლება, გადასცენ სკოლის გზამკვლევიც, რომელშიც აღწერილი იქნება მოსწავლეთა და მშობელთა უფლებები და მოვალეობები, სკოლის ტრადიციები, ყველა ის მნიშვნელოვანი აქტივობა, მათ შორის – მშობელთა მონაწილეობით, რომლებიც დაგეგმილი აქვს სკოლას მთელი წლის განმავლობაში და ა.შ. **მოხალისე მშობლების წახალისება** – პატივისცემისა და მადლიერების გამოხატვა სკოლის ცხოვრებაში ჩართული მოხალისე მშობლებისადმი: მშობლების წვლილის აღნიშვნა სკოლის წარმატებაში, მადლობის წერილების გაგზავნა; ყოველწლიური შეხვედრების დაგეგმვა, სადაც განიხილება მშობელთა მიღწევები; აქტიურ მოხალისე მშობლებისთვის პრიზების ან „ყველაზე აქტიური მშობლის“ სერტიფიკატის გადაცემა. **კომუნიკაციის ფორმის განსაზღვრა** – კომუნიკაციის ფორმის განსაზღვრა სასურველია მოხდეს კითხვარით, რომელშიც მშობელი თავად მიუთითებს მისთვის სასურველ კომუნიკაციის საშუალებას (სატელეფონო ზარი, ელექტრონული ფოსტა, წერილი და ა.შ). კითხვარის დასაწყისში მკაფიოდ უნდა იყოს ნაჩვენები მშობლის ჩართულობის მნიშვნელობა, მისი დადებითი მხარეები და ის, თუ რა ზეგავლენას ახდენს მშობლის ჩართულობა ბავშვის განათლებაზე. **კითხვარის საშუალებით მშობლის ინტერესის სფეროს გაგება** – მშობლებისათვის კითხვარის მომზადება, რომელიც დაგვეხმარება დავადგინოთ: მშობლების ინტერესის სფერო, სასკოლო ღონისძიებებში მათი ჩართვის მზაობა. ასევე შესაძლებელია, ამ კითხვარით მივიღოთ ინფორმაცია ოჯახში არსებული პრობლემის შესახებ, რომლის გამო მშობელი ვერ/არ ერთვება სასკოლო ცხოვრებაში. **კითხვარი მშობელთათვის ბავშვისა და ოჯახის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით** – სწავლის დაწყებიდან ორი ან სამი კვირის შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება შინ გაუგზავნოს მშობელს კითხვარი, რომელიც მოიცავს ამგვარ შეკითხვებს: როგორი იყო თქვენი შვილი უფრო ადრეულ ასაკში? რა არის თქვენი შვილის ძლიერი და სუსტი მხარე? რას აკეთებს თქვენი შვილი თავისუფალ დროს? ეს ინფორმაცია დაეხმარება მასწავლებელს, გაიცნოს თითოეული ბავშვი, როგორც პიროვნება და მოსწავლე. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იცოდეს, თუ როგორ ამოწმებენ მშო-

ბლები შვილებს და მათი სწავლის პროცესს. **ღია კარის დღე/მშობლის დღე** – დამრიგებელმა შესაძლებელია დანიშნოს ერთი დღე (კვირაში ან თვეში), რომლის განმავლობაში ყველა მშობელს შესაძლებლობა მიეცემა, დღის ნებისმიერ მონაკვეთში მივიდეს სკოლაში და გაესაუბროს დამრიგებელს, შეხვდეს საგნების მასწავლებლებს და მიიღოს დეტალური ინფორმაცია ბავშვის შესახებ. **მშობლებთან შეხვედრების ეფექტიანობის შეფასება** – სასურველია მარტივი შეფასების ფორმის მომზადება თითოეული შეხვედრის ან ღონისძიების შეფასებისათვის მშობლების მხრიდან. **მშობლებისთვის „დადებითი ინფორმაციის" გავრცელება** – მასწავლებლებმა უნდა გამოიმუშაონ ჩვევა, რომ მოსწავლის შესაქებად ტელეფონით დაუკავშირდნენ მის მშობელს ან გაუგზავნონ წერილი ელექტრონული ფოსტით. დიდი დრო ეთმობა მოსწავლეებს, რომლებიც არ აკეთებენ იმას, რასაც მასწავლებელი სთავაზობს. ის მოსწავლეები კი, რომლებიც კარგად ასრულებენ სამუშაოს, არ იღებენ შესაბამის ქებას. მშობლები რჩებიან კმაყოფილები და ხშირად – გაკვირვებულებიც, როცა მასწავლებელი ურეკავს და მათ შვილს აქებს (**G-PRIED საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი**,**2015:9**).

ლ. თავდგირიძე, გ. გობრონიძე სტატიაში „მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობის ზოგიერთი ასპექტი" (**თავდგირიძე**, **2010**) გვთავაზობს მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობის გზებს. კერძოდ, მასწავლებელი სასწავლო წლის დაწყებამდე, აგვისტოში, უნდა შეხვდეს მშობელს, გააცნოს მათი შეხვედრების გრაფიკი და სასწავლო წლის მანძილზე სამუშაო გეგმა – რას გეგმავს სასწავლო წლის მანძილზე, რა ცოდნას მიიღებს მოსწავლე, რა შედეგები ექნება მოსწავლეს; მშობელთან კომუნიკაციისათვის პედაგოგმა შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა ხერხი: ზეპირი, წერილობითი, ელ-ფოსტა, სატელეფონო საუბრები, ინდივიდუალური საუბრები, მშობელთა კრება, ოჯახში სტუმრობა და სხვა. კომუნიკაციის ხერხს მასწავლებელი ირჩევს სიტუაციიდან გამომდინარე. მშობელი სისტემატურად უნდა იყოს ინფორმირებული მისი შვილის აკადემიური მოსწრების, საქციელის, მისი წარმატებების შესახებ; მშობელთა პედაგოგიური განათლების მიზნით სასურველია შევთავაზოთ ტრენინგები მშობლებს მათთვის საინტერესო თემებზე (მაგ., საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხოური ენის სწავლება, მოსწავლის საშინაო დავალებების მომზადება, დისკუსია თემაზე: „მე და ჩემი შვილი"); ჩავუტაროთ

სემინარები ფსიქოლოგთან ერთად პროფესიული ორიენტაციისა და აკადემიური პროგრამების არჩევის შესახებ; დავგეგმოთ მშობელთა და მასწავლებელთა ერთობლივი კონფერენციები, გავაცნოთ მშობლებს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობის სტრატეგიები; მასწავლებელმა კრებაზე მოსულ მშობლებს დიალოგის და თანამშრომლობის შესაბამისი გარემო უნდა შეუქმნას – მერხები ისე განალაგოს, რომ მშობლები ერთმანეთს ხედავდნენ და ყველა ერთად კი – მასწავლებელს; კრების დასაწყისში, სანამ თავად მასწავლებელი მიაწვდის ინფორმაციას მშობლებს, სასურველია მან გაიგოს მშობლების კრებაზე მოსვლის მოლოდინები: რის შესახებ აინტერესებთ ინფორმაცია მშობლებს, რა პრობლემები აქვთ სახლში შვილთან ურთიერთობის დროს და ა.შ; გამოცდილი მასწავლებელი მშობელს კრებაზე დისკუსიაში აქტიურად ჩართვის საშუალებას აძლევს. დისკუსიის მიზანია ჭეშმარიტების ერთობლივი ძიება. ყველა მშობელს ეძლევა აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება. მასწავლებელი ყურადღებით უსმენს მშობლებს და იზიარებდეს მათ მოსაზრებებს. მშობელთა კრების დასასრულს მასწავლებელი კითხვარების გამოყენებით აჯამებს მშობელთა შთაბეჭდილებას სამუშაო შეხვედრის შესახებ (ლ. თავდგირიძე, გ. გობრონიძე 2010). ამავე სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ აკადემიური მოსწრების და დისციპლინის საკითხების გარდა კრებაზე იხილება სამეცნიერო-პედაგოგიური და მეთოდიკური საკითხები, რომელიც ეხება ოჯახური აღზრდის პრობლემებს, ხდება ცალკეულ მშობელთა გამოცდილების გაზიარება, შეფასების ახალი მეთოდების გაცნობა. ამასთან მშობელი იგებს ინფორმაციას მოსალოდნელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც ახლო მომავალში ჩატარდება და რომლის მომზადებაში მშობლებიც უნდა ჩაერთონ. მშობლისა და მასწავლებლის შეთანხმებული ერთობლივი საქმიანობა მოსწავლეში მოტივაციას ამაღლებს. არის რიგი საკითხებისა, რომლებსაც მასწავლებელი საერთო კრებაზე ვერ განიხილავს, რისთვისაც ატარებს ინდივიდუალურ შეხვედრებს. მასწავლებელი ინდივიდუალურ რჩევა-დარიგებას აძლევს მშობელს, უწევს კონსულტაციას. ინდივიდუალური მუშაობა მოიცავს სხვადასხვა მხარეებს: მოსწავლეთა სასწავლო მეცადინეობას, შრომითი საქმიანობის ორგანიზაციას, პროფორიენტაციას და სხვა. ინდივიდუალური მუშაობა მასწავლებელს უხდება დაბალი აკადემიური მოსწრების, რთული, წესრიგისდამრღვევ, ნიჭიერ, ზედმეტად აგზნებად და მგრძნობიარე ან

ჯიუტ ბავშვებთან. მშობლებთან ინდივიდუალური მუშაობის ნაცადი ფორმაა მასწავლებლის მისვლა **მოსწავლის ოჯახში**. მასწავლებელი უშუალოდ ეცნობა ბავშვის ცხოვრებას: ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას, საყოფაცხოვრებო პირობებს, მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულებას, კულტურას, რელიგიურ აღმსარებლობას. იმას, თუ როგორ ატარებს ბავშვი თავისუფალ დროს, კითხულობს თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას, რა სახის ლიტერატურას კითხულობს და ა. შ. მშობელთან ან ოჯახის სხვა წევრებთან საუბრისას მასწავლებელს ექმნება ერთგვარი წარმოდგენა მოსწავლის ხასიათზე, მის მიდრეკილებებსა და ინტერესებზე.

ნ. ელბაქიძე სტატიაში „მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიები“ გვაძლევს რეკომენდაციას (**ელბაქიძე**, **2009:18**) როგორი უნდა იყოს წერილი? „წერილი დაიწყება მიმართვით (ოფიციალური ან არაოფიციალური მიმართვა. ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ ურთიერთობაშია მასწავლებელი მშობელთან). წერილი უნდა იყოს ლაკონიური და მშობლისათვის გასაგები ენით დაწერილი. წერილი არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. დღეს, XXI საუკუნეში, კომპიუტერული ტექნოლოგიების საუკუნეში, მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ახალი, თანამედროვე მეთოდები გამოიყენება: სკოლის ვებ-გვერდის ელექტრონული ჟურნალის, ელექტრონული დღიურის მეშვეობით მშობელს სახლიდან, სამსახურიდან გაუსვლელად საშუალება ეძლევა მუდმივი კონტაქტი იქონიოს სკოლასთან და ყოველდღიურად მიიღოს სრული ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრებისა თუ შემოქმედებითი წარმატებების შესახებ.

მშობელთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს განსხვავებული შედეგები და სარგებელი მოაქვს სკოლისთვის. გრძელვადიანი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, მშობელთა ჩართულობის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები იყოს კარგად დაგეგმილი, მრავლისმომცველი და ყველა მოსწავლის მშობელზე გათვლილი. მაგალითად, „მკითხველთა კლუბი“ – მშობლებისთვის დამატებითი საკითხავი რესურსის (მაგ., მეგობრობა, ტოლერანტობა, ქველმოქმედება...) გაცნობა, შვილთან ერთად წიგნების კითხვის პროცესში ჩართვა, წაკითხულის გარშემო დისკუსიის გამართვა. კითხვის კონკურსი – მნიშვნელოვანია ტარდებოდეს „მკითხველთა კლუბის“ შეხვედრების შემაჯამებელი აქტივობა, რაც გულისხმობს წელიწადში 1-2-ჯერ კითხვაში სახალისო კონკურსის ჩატარებას მშობლების აქტიური მონაწილეობით.

კონკურსი დაეხმარება მასწავლებელს დაახლოვდეს მშობლებთან, გააქტიუროს ისინი და დაინახვოს რამდენად კარგად აითვისეს ბავშვებმა წაკითხული მასალა. ასევე, მასწავლებელს მიეცემა შესაძლებლობა კონკურსის მსვლელობისას ასწავლოს მშობელს როგორ უნდა ჩაერთოს იგი სწავლის პროცესში და როგორ უნდა შეუწყოს ხელი შვილის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. „თამაშის საღამო“ – ისეთი კომპიუტერული, სამაგიდო ან ინტელექტუალური თამაშების (ჭადრაკი, შაში, სიტყვების გამოცნობა, მწერალთა გამონათქვამების გამოცნობა, ა.შ.) შერჩევა, რომელიც ხელს შეუწყობს კრიტიკული, კრეატიული, დამოუკიდებელი აზროვნების, ემპათიის უნარის და ასერტული ქცევის განვითარებას. „თამაშის საღამოზე“ მშობლების მოწვევა და ჩართვა ბავშვებთან ერთად თამაშის პროცესში. გამარჯვებულების გამოვლენა. პროექტი „თხრობის საათი“ – იურისტების, ფსიქოლოგების, მწერლების, პოეტების მოწვევა, რათა მათ მოსწავლეებს უამბონ ისტორიები ძალადობის, სიძულვილის ენის, დისკრიმინაციის შესახებ, გააცნონ მოსწავლეებს მათი უფლება-მოვალეობები. პროექტი“ „ვინ ვარ მე“ – კლასის დამრიგებლებმა სასურველია სასწავლო წლის დასაწყისში გააცნოს მშობელს პროექტი, რომელიც გულისხმობს წლის განმავლობაში მოხალისე მშობლის მიერ მოსწავლეებისათვის საინფორმაციო შეხვედრის ჩატარებას, რომლის დროსაც ის ბავშვებს გააცნობს ძალადობის გამოვლენის და მათი თავიდან აცილების ფორმებს. კინო კლუბი, სადაც მოსწავლეები მასწავლებელთან და მშობლებთან ერთად ესწრებიან ფილმის ჩვენებას და ერთობლივად განიხილავენ. მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლება აუმჯობესებს პედაგოგებსა და მშობლებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების პროცესს. აკად. დ. უზნაძე აღნიშნავდა: „პედაგოგიური მომზადება არა მარტო მომავალ პედაგოგებს უნდა მიეცეს, არამედ მომავალ აღმზრდელებსაც, ე. ი. ყოველ მოქალაქეს, როგორც მომავალ მშობელს“ (უზნაძე, 1998:34).

ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობის ერთ-ერთი არსებითი მხარე არის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის ამაღლება, ოჯახსა და სკოლას შორის თანამშრომლობის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. ერთობლივი ხედვის ჩამოყალიბების ძირითადი დასაყრდენია მხარეების მიერ ერთმანეთის ღირებულებების აღიარება და პოზიტიური თანამშრომლობისათვის საჭირო ხერხებისა და საშუალებების თანმიმდევრული გამოყენება. პედაგოგისა და

მშობლის შეთანხმებულ ურთიერთობაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი და ოჯახის კეთილდღეობა. ამიტომ მშობელი პედაგოგის მოსაზრებებს უნდა იზიარებდეს, პედაგოგი – მშობლისას.

ნაშრომში „სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ქართული მოდელი“ (ბისეიშვილი, 2014) ავტორები განიხილავენ ოჯახსა და სკოლას შორის კომუნიკაციის კომპონენტს: კომუნიკაციის უწყვეტობის პირობა – სკოლაში შექმნილია სათანადო პირობები ოჯახსა და სკოლას შორის რეგულარული, ორმხრივი და შინაარსიანი კომუნიკაციისთვის; მშობლის გაძლიერება – მშობლის უნარების განვითარების ხელშეწყობა და წახალისება, რათა მან, თავის მხრივ, ხელი შეუწყოს ბავშვის განვითარებას; მოსწავლის სწავლა – მშობელი მისი კომპეტენციის და შესაძლებლობის ფარგლებში საჭირო და საკმარის დახმარებას უწევს მოსწავლეს სწავლის პროცესში; მოხალისეობა – მშობელთა მხარდაჭერის და დახმარების მცდელობის დაფასება; გადაწყვეტილების მიღება და ადვოკატირება – მშობლები სრულფასოვანი პარტნიორები არიან იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვებსა და ოჯახებზე; თემთან თანამშრომლობა – საზოგადოებრივი თემის რესურსები გამოიყენება, სკოლის, ოჯახის და მოსწავლის სწავლის გაძლიერებისთვის. ოჯახთან თანამშრომლობის კომპონენტები ხორციელდება 3 დონეზე: სკოლის დონეზე, კლასის დონეზე, ინდივიდუალური (ბისეიშვილი, 2014).

ოჯახსა და სკოლას შორის კომუნიკაციის 6 ბაზისური კომპონენტი			**ოჯახთან თანამშრომლობის კომპონენტები ხორციელდება 3 დონეზე**
1	**კომუნიკაციის უწყვეტობის პირობა**	სკოლაში შექმნილია სათანადო პირობები ოჯახსა და სკოლას შორის რეგულარული, ორმხრივი და შინაარსიანი კომუნიკაციისთვის	სკოლის დონეზე
2	**მშობლის გაძლიერება**	მშობლის უნარების განვითარების ხელშეწყობა და წახალისება, რათა მან, თავის მხრივ, ხელი შეუწყოს ბავშვის განვითარებას	კლასის დონეზე
3	**მოსწავლის სწავლა**	მშობელი მისი კომპეტენციის და შესაძლებლობის ფარგლებში საჭირო და საკმარის დახმარებას უწევს მოსწავლეს სწავლის პროცესში.	ინდივიდუალური

4	**მოხალისეობა**.	მშობელთა მობრძანება სკოლაში, მათი მხარდაჭერის და დახმარების მცდელობა დაფასებულია	
5	**გადაწყვეტილების მიღება და ადვოკატირება**	მშობლები სრულფასოვანი პარტნიორები არიან იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვებსა და ოჯახებზე.	
6	**თემთან თანამშრომლობა**	საზოგადოებრივი თემის რესურსები გამოიყენება, სკოლის, ოჯახის და მოსწავლის სწავლის გაძლიერებისთვის	

წყარო: გიორგი ბისეიშვილი, ნინო გოგიჩაძე, ლუმი იანგი, თეონა ლოდია, ნატა მეფარიშვილი, მადონა ხარებავა „სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ქართული მოდელი“.

უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ კვლევაში განხილული ქვეყნები ძალისხმევას მიმართავენ სათანადო პირობების შექმნაზე მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის. კომუნიკაციის გაუმჯობესებისთვის ყურადღება მახვილდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: გადაწყვეტილების მიღების პროცესში მშობელთა მონაწილეობის შესაძლებლობა; ინფორმაციის გაზიარების ფორმალიზება; მშობლის მიმდინარე სასკოლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების წარმოების შესაძლებლობით აღჭურვა.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ მოზარდთა პიროვნების ფორმირებისათვის აუცილებელია სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობა, მშობელთა პედაგოგიური განათლების ამაღლება, სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის გაძლიერება. სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სკოლის (დამრიგებლის) მიერ მშობლისათვის მოზარდის ყოფა-ქცევისა თუ აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით (როგორც ეს ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული), არამედ სკოლა უნდა წარმოადგენდეს ძირითად სააღმზრდელო ორგანიზაციას. სკოლამ უნდა შეძლოს მშობელთა პედაგოგიზაციის ხელშეწყობა სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით (შექმნას მშობელთა კლუბები, დამრიგებელმა მოაწყოს სისტემატიური საუბრები და არა მხოლოდ შესთავაზოს პრობლემის გამოსწორების გზები, არამედ დაეხმაროს სწორად წარმართვაში). აღმზრდელობითი ღონისძიებების ეფექტური წარმა-

რთვისათვის დამრიგებელმა უნდა უხელმძღვანელოს აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობას და ორგანიზება გაუწიოს აღმზრდელობით პროცესში თანამედროვე მოთხოვნებისა და ინოვაციური მეთოდების დანერგვას შემდეგი საქმიანობის განხორციელებით: სკოლის პედაგოგების, ფსიქოლოგის, თანამშრომლების წინადადებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, სკოლის დირექტორთან შეთანხმებით (**მამრიკიშვილი, 2017**).

უსაფრთხო სკოლის მოდელის მიზანია საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული თავისუფალი, კეთილგანწყობილი, საინფორმაციო და მეთოდური სივრცის შექმნა, სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის გზების შემუშავება, არსებული სირთულეების ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ გადაჭრა. პედაგოგიური საქმიანობა მიმდინარეობს დიალოგზე დაყრდნობით და ემსახურება მხარეებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილებას, რაც მიზანმიმართული ძალადობის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი საშუალებაა.

თავი II

ძალადობის პრევენციის და უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის გატარების გზები და საშუალებები

ძალადობის პრობლემა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით

პირველ თავში განვიხილეთ უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება, უსაფრთხო სკოლის მოდელები, კონცეფციები. ყველა ქვეყანა ატარებს გარკვეულ ღონისძიებებს სკოლებში ძალადობისა და დაშინების პრევენციისათვის. მიუხედავად ამისა, კვლავ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის, მისი აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები. კვლევებმა ბავშვზე ძალადობის საკითხებზე ნათლად დაგვანახვა, რომ ბავშვებზე ძალადობის შემთხვევას ვხვდებით მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და რომ ბავშვებზე ძალადობამ დღეისათვის დიდ მასშტაბებს მიაღწია. არსებობს შესაძლებლობა გატარდეს ძალადობის აღმოსაფხვრელი ზომები, რადგანაც ძალადობა არ არის ადამიანური ყოფის შემადგენელი ნაწილი. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები აღიარებენ ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბებს, ხანგრძლივი ზემოქმედების მძიმე შედეგებს და ცდილობენ, შეასრულონ ბავშვების უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებები. თითოეული სახელმწიფო, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიუხედავად, ვალდებულია, შეაჩეროს ბავშვზე ძალადობა.

ძალადობა, ისევე, როგორც სკოლის უსაფრთხოება, ფართო თემაა და მოიცავს როგორც მოსწავლეებს შორის არსებულ ძალადობას, ისე – ზრდასრულებსა და ბავშვებს შორის არსებულ პრობლემებს. როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში, ერთ-ერთ მწვავე პრობლემას ბულინგი წარმოადგენს. ბულინგი არის ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც თითქმის ყოველი ეპოქის თანმდევი მოვლენაა, თუმცა ბულინგის პრობლემის აქტუალურობა განსაკუთრებით ბოლო ხანებში გაიზარდა სკოლებში. მიუხედავად იმისა, რომ კვლე-

ვები ამ მიმართულებით ცოტაა, ბოლო წლების მონაცემები ცხადყოფს, რომ მოსწავლეების საკმაოდ დიდი რაოდენობისათვის ძალადობა სასკოლო ცხოვრების ნაწილია.

სკოლაში ბულინგი (ქართ. დაშინება) განიმარტება, როგორც არასასურველი, აგრესიული ქცევა მოსწავლეებს შორის და რომელიც მიზნად ისახავს, ადრესატის რეალურ ან/და წარმოსახვით ძალაუფლების დამორჩილებას. ეს ქცევა, როგორც წესი, განმეორებით ხასიათს ატარებს და წარმოშობს არამდგრად ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გარემოს. გავრცელებულია შემდეგი სახის ბულინგი: ვერბალური, სოციალური, ფსიქოლოგიური და კიბერბულინგი, თითოეული მათგანი კი დაშინების მრავალფეროვან მეთოდებს აერთიანებს. Stopbullying,gov. What Is Bullying. Via URL: https://www.stopbullying.gov/bullying/what-is-bullying. ბულინგი ერთგვარ სოციალურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც სპეციალისტების მტკიცებით ძირითადად დამახასიათებელია ბავშვებისათვის. ბულინგი გულისხმობს ისეთ ქცევებს, როგორიცაა: მეტსახელების შერქმევა, დაცინვა, მუქარა, ხელისკვრა, ჯგუფიდან გარიყვა, სხვა ბავშვის შესახებ დამამცირებელი, უცენზურო წარწერების გაკეთება, იგნორირება, ცილისწამება და სხვ., ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ვეტენბურგისა და ჰიუბრეგტის კვლევების (2001) მიხედვით, სკოლაში მოსწავლეთა 90% აღიარებს სიტყვიერი ძალადობას. ძალადობის ეს ფორმა გულისხმობს სხვათა გაღიზიანებასა და შეურაცხყოფას, თან გარკვეული დოზით ტყუილსა ან ჭორს შეიცავს. ძალადობის მეტად განზოგადებული ფორმაა დესტრუქციული საქციელი საკლასო ოთახში. ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი, თუმცა ბულინგის მსხვერპლნი უფრო მეტად ხდებიან რაიმე ნიშნით განსხვავებული ბავშვები: ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ. ბულინგის მოტივაცია სხვადასხვაგვარია – შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა და სხვ. ბულინგი შეიძლება სხვადასხვა ადგილებში მოხდეს: სკოლაში ან სკოლასთან ახლოს, კლასში, სკოლის გზაზე, დერეფანში, ტუალეტში, სასადილოში, სპორტულ მოედანზე და ა.შ. სამწუხაროდ ხშირად გვხვდება მცდარი შეხედულებები: ბულინგი ნორმალური მოვლენაა, ის ყოველთვის იყო და იქნება, ბავშვს უნდა შეეძლოს თავის დაცვა, ამიტომ ბულინგი გარკვეული დოზით საჭიროც კია ბავშვის გაძლიერებისათ-

ვის; ბულინგის შესახებ ვინმესთვის თქმა – ენის მიტანა და დასმენა ბავშვური საქციელია; ბულინგი ეხება ბავშვების მხოლოდ მცირე რაოდენობას; ბულინგის შემთხვევების უმეტესი ნაწილი ხდება არა სკოლაში, არამედ სკოლის გარეთ; დახმარება ესაჭიროება ბულინგის მსხვერპლს, აგრესორი კი უბრალოდ უნდა დაისაჯოს. ამ მოსაზრებებს საზოგადოების ნაწილი იზიარებს.

ხშირად გვესმის შემდეგი კითხვები: როგორია ბულინგის შედეგები? როგორია ბავშვი-მსხვერპლი? როგორია ბავშვი-აგრესორი? როგორ ვებრძოლოთ ბულინგს? ბულინგის შედეგები შემდეგნაირია: ძალადობაგანცდილი მსხვერპლი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ განიკურნოს ფიზიკური დაზიანებებისაგან და/ან განიცდიდეს მუდმივ შიშს, შფოთვას, თავს დამცირებულად ან დათრგუნულად გრძნობდეს. ასეთი ბავშვები თავს არიდებენ სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას, კარგავენ მეგობრებს თანაკლასელთა შორის; ძალადობის მსხვერპლნი ხშირად განიცდიან ისეთ შეგრძნებებს, როგორიცაა რისხვა, იმედგაცრუება, მარტოობა, დამცირება, სასოწარკვეთა, ფიზიკური ტკივილი და ფიზიკური ტრავმის მიღების შიში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სისტემატურად მეორდება. შედეგად, ჩნდება წარუმატებლობის მძაფრი განცდა, ქვეითდება თავის პატივისცემა, რასაც მოსდევს აპათია, დეპრესია, ნერვული მოშლილობა და თვითმკვლელობაც კი (კალტიალა-ჰეინო და სხვები, 1999; ლოულორი, 2002; ო'მური, 2003 რიგბი, 1998) ბულინგის ინიციატორი ბავშვები თავიანთი აგრესიულობის დემონსტრირებას მოზრდილობის ასაკშიც აგრძელებენ და ხშირად ცხოვრების კრიმინალურ გზავს ირჩევენ; ფსიქიკური ტრავმა შეიძლება იმ ბავშვებმაც მიიღონ, რომლებიც ძალადობის უშუალო მსხვერპლი არ არიან, მაგრამ არიან ძალადობის ფაქტის შემსწრენი. ასეთ ბავშვებს ეშინიათ, თვითონაც არ გახდნენ აგრესორის მსხვერპლი. ბავშვი-მსხვერპლი შეიძლება სხვა ბავშვებისაგან განსხვავდებოდეს და იყოს სხვებზე უფრო დაბალი, მაღალი, წყნარი, შენელებული; ჭკვიანი, მდიდარი, ღარიბი, მსუქანი და ა.შ. ბავშვი-მსხვერპლი საფრთხის გაჩენის შემთხვევაში მაშინვე ფრთხება, ტირის, საცოდავად და უმწეოდ გამოიყურება. ის უმეტეს დროს (შესვენებაზეც) საკლასო ოთახში ატარებს, ბავშვების ხმაურიან თავყრილობებს გაურბის. ასეთ ბავშვს შეიძლება სამედიცინო ჩივილებიც გაუჩნდეს: მოუსვენარი ძილი, თავის ან მუცლის ტკივილი, უმადობა, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა).

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მიერ სავარაუდოდ გამოვლენილი ნიშნები:

ძილის სირთულეები – ხშირი გამოღვიძება, კოშმარები, დაძინების შიში

ჰიპერსიფრთხილე – შფოთი, შიშები, ძლიერი რეაქცია მაღალ ხმასა და უეცარ მოძრაობებზე

აგრესიული ქცევის სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა

განშორების შფოთვის ზრდა – სკოლაში წასვლაზე უარის თქმა

სომატური ჩივილები – თავის, მუცლის ან სხვა ტკივილები სამედიცინო მიზეზის გარეშე

რეგრესი – უკვე შეძენილი უნარებისა და კომპეტენციების დაკარგვა

თვითიზოლაცია – მეგობრების, სკოლის, აქტივობების მიმართ ინტერესის დაკარგვა

ძალადობის ამოცნობა რთული პროცესია, რადგან მხოლოდ ერთი ნიშნის იდენტიფიცირება საკმარისი არ არის დავასკვნათ, რომ ბავშვზე ძალადობენ. ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ძალადობის და სხვა ნიშნების რეგულარულობის დასადგენად, მნიშვნელოვანია ბავშვზე დაკვირვება, დაკვირვების შედეგად კი, ეჭვების გაღრმავების შემთხვევაში – სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი საფუძვლიანი ეჭვის დასადგენად (**ალელიშვილი**, **ჯანელიძე, 2019**).

ბავშვ-აგრესორს ძირითადად ახასიათებს: ჭარბი ენერგია, საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენა, სხვებზე ზეგავლენის მოხდენის და სხვა ადამიანების გამოყენების უნარი, ძალაუფლების, მბრძანებლობის დიდი სურვილი; შიში იმისა, რომ თვითონ არ დაამცირონ. ბავშვი-აგრესორი მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს, ხშირად ეუხეშება მასწავლებელს, მშობლებს, საკუთარ და-ძმას. ურთიერთობებში, თამაშებში აღიარებს მხოლოდ ძალას, სისასტიკეს და ამის დემონსტრირებასაც ახდენს. ნებისმიერი კონფლიქტის გადასაჭრელად უპირატესობას ძალისმიერ გზას ანიჭებს. ბავშვი თანატოლების მიმართ აგრესიას ავლენს შემდეგ შემთხვევებში: სურს მიიქციოს ყურადღება, აქვს საკუთარ თავზე გადაჭარბებულად კარგი, ან გადაჭარბებულად ცუდი წარმოდგენა, არ შეუძლია მეგობრობა, არა აქვს დანაშაულის გრძნობა და სხვისი განცდების გაგების უნარი (**თავართქილაძე, 2007**).

ყოველივე აქედან გამომდინარე, საჭიროა გარკვეული სასკოლო რეფორმებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ბულინგი ძალადობის განსაკუთრებით საზიანო ფორმაა და სკოლებში აუცილებელია პრევენციული პროგრამების შემოღება. ასევე საჭიროა სკოლებში ძალადობის უწყვეტი მონიტორინგი. მიზანშეწონილია სკოლის ფსიქოლოგების როლის გაზრდა და გადამზადება, რომელთაც უნდა შეეძლოთ ადეკვატური მხარდაჭერის გაწევა ძალადობის მსხვერპლთათვის.

ძალადობასთან ბრძოლის ნებისმიერი სამოქმედო გეგმა, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობაში გაჩენილი აგრესიის პრევენციას ემსახურება. განსაკუთრებით მწვავედ დგას სკოლის ასაკის ახალგაზრდებში არსებული ძალადობის პრობლემა, შესაბამისად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სკოლებში ძალადობის პრევენციას. სკოლაში ბავშვზე ძალადობის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარია. შესაბამისად, ძალადობის პრევენციული სტრატეგიებიც განსხვავდება. არსებობს ბავშვზე ძალადობის პრევენციის და ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე ზრუნვის უნივერსალური სტრატეგიები, რომელთა ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო სხვადასხვა ქვეყანაში, წლების განმავლობაში, დაგროვილი გამოცდილება და მრავალი მეცნიერული შრომა. პრევენციის სტრატეგია ბავშვზე ძალადობის შემთხვევების ადრეულ აღმოჩენასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს, რაც მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ცალკეული ბავშვისა და ოჯახისათვის. თუმცა, მხოლოდ ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად ვერ შეამცირებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევათა რიცხვს. ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ დასახულ ღონისძიებათა მაქსიმალური ეფექტურობისთვის აუცილებელია, რომ ნებისმიერი სტრატეგია, განსაკუთრებით – პრევენციული სტრატეგიები, აუცილებლად ითვალისწინებდეს ბავშვზე ძალადობის გამომწვევ რისკსა და ძალადობისაგან დამცავ ფაქტორებს და მიმართული იყოს რისკის შემცირებისა და დამცავი ფაქტორების გაძლიერებისკენ.

უსაფრთხო სკოლა პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი საშუალებაა, ამიტომ ქვემოთ განვიხილავთ უსაფრთხო სკოლის ჩვენეულ მოდელს, რომელშიც გავიზიარეთ ცნობილი ფსიქოლოგების და მკვლევრების მოსაზრებები და უსაფრთხო სკოლის ქართული და უცხოური მოდელების გამოცდილებები. სახელმწიფომ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს სკოლის ძირითადი ფუნქციის – საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელე-

ბისთვის. ძალადობის პრევენციის კუთხით სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია შემდეგი ამოცანების განხორციელებას მოიცავს: ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და სხვა სოციალური ღირებულებების სწავლების დანერგვა, მშვიდობიანი გზებით კონფლიქტის გადაჭრის მეთოდების დაუფლების (კომპრომისის მიღწევა არგუმენტაციის, მოლაპარაკების გზით) სწავლების დანერგვა; უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა ხორციელდება, როგორც ფორმალურ, ასევე, არაფორმალური განათლების დროს. არაფორმალური განათლების ნაწილში მოსწავლეთათვის ძალადობის პრევენციის სპეციალური კურსის შეთავაზება, რათა მათთვის გასაგები გახდეს ძალადობის გამომწვევი მიზეზები (მაგ.: ძალადობა სკოლაში, ოჯახში) და მათი აღმოფხვრის გზები. მნიშვნელოვან პრევენციულ ასპექტს წარმოადგენს სპორტის, როგორც სასკოლო საგნის, ფუნქციის ახლებური გააზრება და სათანადოდ დანერგვა. სპორტული აქტივობა მოსწავლეს პრაქტიკულ მაგალითს აძლევს ჯანსაღი კონკურენციის, სხვისი წარმატების აღიარების, სამართლიანობის და სხვა სოციალური სიკეთეების შესახებ; აუცილებელია მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა ობიექტური და ერთიანი სტანდარტით შეფასება. მოსწავლეს არ უნდა გაუჩნდეს უსამართლობის და მასწავლებლისგან არაღიარების განცდა; მიზანშეწონილია სკოლების შინაგანაწესის შემუშავების პროცესში მოსწავლეების ჩართვა; მნიშვნელოვანია პედაგოგების გადამზადება ძალადობის ფორმების და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით (**ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია**).

ინგლისელი მკვლევარი პიტერ კ. სმიტი თავის კვლევებში აღწერს იმ პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც ევროპის ბევრ ქვეყანაში გამოიყენება. გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ქვეყნების მხოლოდ ნახევარზე ნაკლებს (ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, ლუქსემბურგი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო) ჰქონდა კონკრეტული და სამართლებრივი მოთხოვნები სკოლებში ძალადობის აღმოფხვრისათვის (ანანიადუ და სმიტი, 2002). მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, განსხვავებული წესები და მოთხოვნები აქვთ. ზოგიერთი ქვეყნის სამართლებრივი ბაზის მიხედვით, სკოლებს, შესაძლოა, მოეთხოვებოდეთ კომპლექსური მიდგომის ან პოლიტიკის შემუშავება ძალადობასთან გასამკლავებლად. ძალადობის პრევენციისათვის დანიაში არსებობს:

ბავშვთა საპარლამენტო დღე, როდესაც ბავშვებს ეძლევათ საშუალება, გამოხატონ წუხილი და შეშფოთება სკოლებთან დაკავშირებით, განაცხადონ, რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ და როგორ. ასეთმა ღონისძიებამ, შესაძლოა, გააძლიეროს მონაწილეობისა და მოქალაქეობის აღქმა და პრაქტიკული წინადადებებიც კი მივიღოთ სკოლაში ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ანალოგიური „საპარლამენტო დღეები“ საფრანგეთსა და შვედეთშიც მოსინჯეს. შემუშავებულია სასწავლო პროგრამები და აქტივობები: სპეციალისტების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები, მულტიმედია საშუალებები, როგორებიცაა კომპაქტ-დისკებზე ჩაწერილი მასალა და ვირტუალურ სამყაროში ურთიერთობათა საშუალებები; სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევების სწავლებისათვის რამდენიმე პროგრამა შეიქმნა, მაგალითად, დაწყებითი სკოლის პროგრამა (PPacific primary Programme), რომელიც ფრანგულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი, აგრეთვე, SEBS-ის პროგრამა ინგლისში. პიტერ კ. სმიტი წიგნში „ძალადობასთან ბრძოლა სკოლებში: ევროპული ხედვა“ ასახელებს ცალკეულ ქვეყნებში დაგეგმილ პრევენციულ ღონისძიებებს იმ მოსწავლეთა დასახმარებლად, რომლებიც შესაძლოა გახდნენ მოძალადეები. პრევენციული ღონისძიებებია: ბელგია – „პოზიტიური ინფორმაციის ბარათის“ სქემა; ირლანდია – ტრენინგი სოციალურ კომპეტენციებსა და უნარებში; ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში „ბრალდების გარეშე“ (მეინსი და რობინსონი, 1992); „საერთო შეშფოთების მეთოდი“ (პიკასი, 2002); ფინეთი – დახმარება ძალადობის მსხვერპლთათვის: ნუტინენის სლაიდების ჩვენება Nuutinen Slide Show – რაც მიზნად ისახავს მოსწავლეებში ძალადობის მიმართ დამოკიდებულების შოკურ ცვლილებას;. სასკოლო უსაფრთხოებისა და უშიშროების ორგანიზებისათვის ავსტრიაში, ესპანეთსა და გაერთიანებულ სამეფოში მოსწავლეებისათვის შექმნილია სპეციალური ცხელი ხაზი; ფინეთში – მოსწავლეთა დაუცველი ჯგუფებისათვის ე.წ. „განგაშის სამაჯურის“ გაკეთება, რაც მათ საშუალებას აძლევს, დახმარება მოითხოვონ თავდასხმის ან მუქარის შემთხვევაში; პორტუგალიაში – სკოლაში დაცვის დაქირავება (პორტუგალიის უსაფრთხო სკოლების პროგრამა) და სკოლაში საერთო უსაფრთხოების გარემოს გაძლიერება (იარაღის ტარების ან სკოლის შენობაში შესვლაზე კონტროლი, ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენება). რეაგირების

ასეთი საშუალებები, შესაძლოა, აუცილებელი იყოს ზოგ სიტუაციაში, მაგრამ არსებობს რისკი, რომ ამგვარი ღონისძიებები უარყოფითად იმოქმედებს სასკოლო გარემოსა და კონვივენსიის გაუმჯობესებაზე.

პორტუგალიაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ორიენტირებული „უსაფრთხო სკოლების პროგრამა“ (სმიტი, 2010:15-20) გზას უთმობს პედაგოგიურ პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომას და ორიენტირებულია მოსწავლეთა თვითშეფასებისა თუ პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებაზე. ანალოგიურად, დიდი ბრიტანეთის ზოგიერთ სკოლაში არსებული მიდგომა, რომელიც რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული და სარეაბილიტაციო სამართალს ეფუძნება, ძალიან კარგ შედეგებს იძლევა, როგორც ძალადობის მსხვერპლთა, ასევე ძალადობის ჩამდენებისათვის. პიტერ კ. სმიტი ნაშრომში „ძალადობასთან ბრძოლა სკოლებში: ევროპული ხედვა“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ პროგრამებს, რომლებსაც ევროპის ქვეყნები იყენებენ სკოლაში ძალადობის აღმოსაფხვრელად: ბულინგის წინააღმდეგ მიმართული პროგრამა (ავსტრია, ნორვეგია, ფინეთი, გერმანია, ისლანდია); უსაფრთხო სკოლების პროგრამა (გაერთიანებული სამეფო, პორტუგალია); გადარჩენის პროგრამა (ესპანეთი);

პიტერ კ, სმიტის აზრით, „მასწავლებელთა მხარდაჭერა ძალადობის წინააღმდეგ მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის პრობლემა სკოლაში მომუშავე ყველა ადამიანს ეხება, სწორედ მასწავლებლები დგანან წინა ხაზზე მოსწავლეთა შორის ძალადობის აღმოფხვრისა და მასზე რეაგირების თვალსაზრისით. ამდენად, აუცილებელია მასწავლებელთა შესაბამისი მომზადება. უკეთესი შედეგების მიღება შეიძლება, თუ მომზადებას გაივლის სკოლის დანარჩენი პერსონალიც: სათამაშო მოედნის ზედამხედველები, სკოლის ყარაული, მზარეული და ექთნები, რომლებიც, შესაძლოა, ძალადობის მოწმენი გახდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ მოახდინონ რეაგირება. მეტის მიღწევა შეიძლება, თუ სკოლის პერსონალს ეცოდინება, როგორ ჩართონ მშობლები სკოლაში ძალადობის აღმოფხვრის ღონისძიებებში. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მასწავლებლები სპეციალურ ტრენინგს გადიან ძალადობაზე რეაგირების თემაზე (ირლანდია და ესპანეთი); საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში ძალადობის აღმოფხვრის ღონისძიებებში ჩართულ მასწავლებლებს ეხმარებიან სპეციალური განათლების ასისტენტები ან მენტორები“ (**სმიტი**, **2010:15-20**).

	პროგრამები	**სასწავლო პროგრამები და აქტივობები**	**ცალკეულ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც, საფრთხეა, გახდნენ მოძალადეები**	**დახმარება ძალადობის მსხვერპლთათვის**
ნორვეგია	ბულინგის წინააღმდეგ მიმართული პროგრამა	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები - მულტიმედია საშუალებები, როგორებიცაა კომპაქტ-დისკებზე ჩაწერილი მასალა და ვირტუალურ სამყაროში ურთიერთობათა საშუალებები. - სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევების სწავლებისათვის რამოდენიმე პროგრამა შეიქმნა, მაგალითად, წყნარი დაწყებითი სკოლის პროგრამა (PPacific primary Programme), რომელიც ფრანგულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი, აგრეთვე, SEBS-ის პროგრამა ინგლისში.	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	
ავსტრია	ბულინგის წინააღმდეგ მიმართული პროგრამა	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	
ფინეთი	ბულინგის წინააღმდეგ მიმართული პროგრამა	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	ნუტინენის სლაიდების ჩვენება – რაც მიზნად ისახავს მოსწავლეებში ძალადობის მიმართ დამოკიდებულების შოკურ ცვლილებას.

გერმანია	ბულინგის წინააღმდეგ მიმართული პროგრამა	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	კონფლიქტების გადაჭრის თუ რჩევების გაცემის სქემები
ისლანდია	- ბულინგის წინააღმდეგ მიმართული პროგრამა - უსაფრთხო სკოლების პროგრამა	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	კონფლიქტების გადაჭრის თუ რჩევების გაცემის სქემები
პორტუგალია	უსაფრთხო სკოლების პროგრამა	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	კონფლიქტების გადაჭრის თუ რჩევების გაცემის სქემები
გაერთიანებული სამეფო	უსაფრთხო სკოლების პროგრამა	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	დამეგობრების, მედიაციისა და კონფლიქტების გადაჭრის თუ რჩევების გაცემის სქემები (კოუი და ველესი, 1998)
ესპანეთი	გადარჩენის პროგრამა	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	
შვედეთი	საპარლამენტო დღეები	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	

დანია	ბავშვთა საპარლამენტო დღე	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	
საფრანგეთი	საპარლამენტო დღეები	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	
ბელგია	საპარლამენტო დღეები	- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში	
ირლანდია		- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები	- ტრენინგი სოციალურ კომპეტენციებსა და უნარებში - ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში - „ბრალდების გარეშე“ (მეინსი და რობინსონი, 1992) - საერთო შეშფოთების მეთოდი“ (პიკასი, 2002)	
იტალია		- სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეომასალები		დამეგობრების, მედიაციისა და კონფლიქტების გადაჭრის თუ რჩევების გაცემის სქემები (კოუი და ველესი, 1998)

წყარო: ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში: როგორ შევცვალოთ გარემო? UNICEF. პიტერ კ. სმიტი ძალადობასთან ბრძოლა სკოლებში: ევროპული ხედვა, 2010.

პიტერ კ. სმიტი მიიჩნევს კარგად ორგანიზებული სკოლის მოდელი არის „ზედაპირული მოდელი, რომელიც ეფექტიანია ძალადობის პრევენციისა და აღმოსაფხვრელად“, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ (**სმიტი**, **2010: 15-23**).

	კომუნიკაცია	**მოტივაცია**	**კორექცია**	**ორგანიზაცია**
1. სკოლის საერთო პრინციპები და პოლიტიკა არაძალადობასთან მიმართებით	პრინციპებისა და ფასეულობათა გაზიარება; არაძალადობის პოლიტიკა მთელი სკოლის პოლიტიკაა, ხოლო მისაღები ქცევის მოდელები სკოლაში ყველასათვის არის გასაგები	სკოლაში დანერგილია უკუკავშირისა და წახალისების პოლიტიკა და სისტემები (ვერბალური, ვიზუალური, წერილობითი) წარმატების აღიარება და დაფასება	რეაგირებისა და ჩარევის პოლიტიკა და სისტემები ითვალისწინებს ვერბალურ კორექციას, სანქციების გატარებასა და შედეგების მიღებას	პოლიტიკის, სოციალური და ემოციური განვითარების კურიკულუმის შემუშავება; განსაკუთრებულ საჭიროებათა დაკმაყოფილება; ხელმძღვანელობის (ლიდერობის) სტრუქტურა და ა.შ.
2. საკლასო ოთახის და/ან დეპარტამენტის პრაქტიკა. კონკრეტული კლასისა და კონკრეტული წლის ჯგუფების პრაქტიკა;	წესები და მოლოდინები. მოსწავლეთა და პერსონალის ურთიერთობანი. რჩევების მიღების შესაძლებლობა. კონკრეტული კლასისა და წლის ჯგუფის დასწრების მაჩვენებლები.	სწავლების წახალისება. რეგულარული დაჯილდოება (ვერბალური, არავერბალური, წერილობითი); წარმატების აღიარება და დაფასება	საკლასო ოთახის/ დეპარტამენტის საკორექციო სისტემები. კლასისა და კონკრეტული წლის ჯგუფისათვის რეაგირებისა და მხარდაჭერის სტრატეგიები	რუტინა მხარდაჭერის სისტემები; საკლასო ოთახის გარემო, მაგ. „ცხელი წერტილები“; გაკვეთილის დაგეგმვა და გაკვეთილების ცხრილის შედგენა; ა.შ.

3. სკოლის პერსონალის მხარდაჭერის სისტემები;	ყველა ზემოთ აღნიშნულ სფეროს საფუძვლად უდევს და აძლიერებს სკოლის პერსონალის მხარდაჭერის სისტემები და ტრენინგი; სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან მენტორობა და რჩევები			
4. მოსწავლეთა ინდივიდუალური სტრატეგიები	განათლების ინდივიდუალური გეგმებისა და მიზნების შეთანხმება მოსწავლეებთან, სკოლის პერსონალსა და ოჯახთან.	მოტივაციის დიფერენცირებული სტრატეგიები: საჭიროებათა აღიარება, დაჯილდოება და შექება.	დიფერენცირებული კორექცია და შედეგად მიღებული სტრატეგიები და პროგრამები, მაგ. სიბრაზის მართვა.	დიფერენცირებული მუშაობა, სოციალური და ემოციური უნარების სწავლება; საჭიროებათა მხარდაჭერა და ა.შ.;
5. მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემები	მხარდაჭერა კლასის მასწავლებლის ან კლასის ხელმძღვანელის მხრიდან.	მასწავლებელთათვის საჭიროებათა წარდგენა	სკოლაში არსებული მხარდამჭერი პერსონალის წინაშე წარდგინება	ადგილობრივ სპეციალისტთან გაგზავნა, მაგალითად, ფსიქოლოგთან და სხვ.,

წყარო: ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში: როგორ შევცვალოთ გარემო? UNICEF. პიტერ კ. სმიტი ძალადობასთან ბრძოლა სკოლებში: ევროპული ხედვა.

ჯული კეისი ნაშრომში „რა უნდა ისწავლებოდეს? – სკოლის კურიკულუმის გამოყენება ძალადობის აღმოფხვრის მხარდასაჭერად“ (**კეისი**, **2010:78**) გვთავაზობს იმ უნარებს, რომლებიც ისწავლება გაერთიანებული სამეფოს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების პროგრამაში. განიხილავს სფეროებს: თვითანალიზი, ემპათია, გრძნობების მართვა, მოტივაცია სოციალური უნარები (კეისი, 2010:78)

სფერო	კონფლიქტების ეფექტიანი მოგვარებისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარები და შეგნება
თვითანალიზი	გრძნობების ამოცნობა და იდენტიფიკაცია; პრობლემის განსაზღვრა-გააზრება („თავს ასე ვგრძნობ იმიტომ, რომ...“); საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებლობის აღება (კონტროლის კულმინაცია)
ემპათია	სხვა მხარეების განცდილი გრძნობების ამოცნობა და იდენტიფიკაცია; სხვა პიროვნების ჩადენილი მოქმედების მიზეზის გაგების უნარი; იმის მიხვედრის უნარი, თუ რატომ არის საჭირო, რომ მოლაპარაკების ნებისმიერი შედეგი ყველა მხარისთვის თანაბრად ხელსაყრელი და სამართლიანი იყოს.
გრძნობების მართვა	გაბრაზების დროს დამშვიდების უნარი
მოტივაცია	კონფლიქტის მოგვარების სურვილი (გამართლება არ აქვს სხვა პიროვნებისათვის განწყობის გაფუჭებას); საკუთარი სურვილების ჩამოყალიბება: „რა გინდა, რომ მოხდეს?“ (მიზნის დასახვა); გეგმის დასახვა, რომელსაც სხვა პიროვნებასთან ერთად განახორციელებს; გეგმის განხორციელება, სირთულეების გადალახვა და ა.შ
სოციალური უნარები	მოსმენის კარგი უნარი; თავდაჯერებულობის უნარი საჭიროების შესაბამისად; პატიების თხოვნისა და მიღების ცოდნა

წყარო: ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში: როგორ შევცვალოთ გარემო? UNICEF. ჯული კეისი. რა უნდა ისწავლებოდეს? – სკოლის კურიკულუმის გამოყენება ძალადობის აღმოფხვრის მხარდასაჭერად.

მნიშვნელოვანია, სკოლაში **ძირითადი სოციალური უნარების განვითარება – სიბრაზის მართვა**. მონა ო'მური და სტივენ ჯეიმსის აზრით, მოზარდების უმეტესობა ხდება ძალადობის თანამონაწილე იმიტომ, რომ მას არ შეუძლია ან ეძნელება გააკონტროლოს თავი გაბრაზების დროს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე სიბრაზეს გამოხატავს ორი შესაძლო ფორმით: „პირველი, მოსწავლეს გარეთ გამოაქვს სი-

ბრაზე (გაბრაზება შეიძლება გამოიწვიოს შემთხვევამ სახლში (მაგალითად, კონფლიქტი მშობლებს შორის) ან სკოლაში (მოსწავლემ შეიძლება ჩათვალოს, რომ მასწავლებელი უსამართლოდ მოექცა)). ასეთ დროს მოსწავლე ბოღმას ანთხევს „უსაფრთხო სამიზნეზე“, რაც ტიპურია ბულინგის დროს. მეორე, მოსწავლე სიბრაზეს გულში იკლავს. ამ დროს ემოცია გროვდება საკუთარ თავში, რაც იმედგაცრუებისა და სიძულვილის მძაფრ განცდას იწვევს. შესაძლოა, ამან მოსწავლე საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენებამდე ან თვითმკვლელობის იდეამდეც კი მიიყვანოს. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია, მოსწავლეები წავახალისოთ, რომ მათ თავიანთი მძაფრი განცდებისა და ემოციების მიზეზები სხვებსაც გაუზიარონ. მოსწავლეებმა თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შეისწავლონ სიბრაზის ფენომენი და მასთან ურთიერთობა. სიბრაზის მართვის საკითხზე უნდა მომზადდეს პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის მოგვარებას“ (**მონა ო’მური**, **2010:129**) იხ. თავი – 2. უსაფრთხო სკოლის მოდელი. ბსუ-ში ჩატარებული ღონისძიებები ძალადობის პრევენციის მიზნით. გვ. 108.

ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, რომ ევროპის ქვეყნებში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ორიენტირებული „უსაფრთხო სკოლის პროგრამა“ ამჟამად გზას უთმობს უფრო პედაგოგიურ პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომას და ორიენტირებულია მოსწავლეთა თვითშეფასებისა თუ პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2008 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით დაიწყო „უსაფრთხო სკოლის პროგრამის“ განხორციელება. პროგრამის უმთავრესი მიზანია თითოეული მოსწავლისათვის უსაფრთხო სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს შექმნის უზრუნველყოფა. პროგრამის ამოცანებია: საჯარო სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცება; დისციპლინური გადაცდომებისა და ძალადობის ფაქტების დროული გამოვლენა და რეაგირება; მშობლის ინფორმირება და ჩართულობის ზრდა; მოსწავლეების კანონმორჩილ მოქალაქეებად ჩამოყალიბება; ყალბი ფასეულობების („ქუჩის რომანტიზმი“, „ძველბიჭობა“, „ქუჩის აკადემია“) გავლენის შემცირება. (**ანთაძე**, **გორგოძე 2011:25-27**) პროგრამის ფარგლებში ტარდება ღონისძიებები შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ქცევის კოდექსი; მასწავლებლის ეთიკის კო-

დექსი; საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი; საჯარო სკოლის სააპელაციო კომიტეტი; მოსწავლეთა პირადი საქმეები; სკოლის შიდა აუდიტი; კლასგარეშე დროის გამოყენებისათვის კლუბებისა და წრეების მუშაობის ორგანიზება; სკოლის და პოლიციის თანამშრომლობა; ტრენინგმოდულის შექმნა პოლიციის თანამშრომლებისათვის; გაცდენა-დაგვიანებების აღრიცხვა და კონტროლი; კვლევა; ბროშურები. განისაზღვრა სკოლაში ძალადობის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი სასწავლო პროგრამები და აქტივობები: ინტერაქტიული თეატრი; სასჯელაღსრულებით დაწესებულებებთან თანამშრომლობა; ცნობილ სახეებთან ერთად ანტიდანაშაულებრივი კამპანიის წამოწყება; სკოლის ფსიქოლოგთა გადამზადება; სკოლის მოსწავლეების წაყვანა წარმატებულ ორგანიზაციებში; მშობელთა პედაგოგიზაცია; საგზაო უსაფრთხოება მოზარდებისთვის; სკოლის მასწავლებელთა ტრენინგი. პრევენციული ღონისძიებები: სიბრაზის მართვა; კურიკულუმის შესაბამისი რესტრუქტურიზაცია; პოზიტიური სასკოლო დისციპლინის სისტემის ჩამოყალიბება; ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში; ტრენინგი სოციალურ კომპეტენციებსა და უნარებში. დაიგეგმა სკოლის ფიზიკური სტანდარტების შემუშავება და აკრედიტაციის სტანდარტში ჩადება; კურიკულუმში ისეთი პროგრამები უნდა შესულიყო, რაც მიმართული იქნებოდა ჩაგვრის წინააღმდეგ. პროგრამის მიმართულებებისა და ქვეპროგრამების განხორციელება 2008 წლის სექტემბრიდანვე დაიწყო, შეიქმნა ქცევის კოდექსები, საპილოტე სკოლებში ინტერაქტიული თეატრი ამოქმედდა, გამოიცადა საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო, თანამშრომლობა დაიწყო პოლიციასთან. თუმცა, უსაფრთხო სკოლის პროგრამის საფუძვლიანი შეფასება არ მომხდარა.

ამავე პერიოდში, UNICEF-თან თანამშრომლობით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კიდევ ერთი პროგრამა წამოიწყო – „ძალადობის შემცირება სკოლებში“. პროგრამის ფარგლებში შედგა სატრენინგო მოდული მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციისათვის და გამოიცა შესაბამისი სახელმძღვანელოც. პროგრამის ფარგლებში გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა, თუმცა, ტრენინგებს მასშტაბური ხასიათი არ მიუღია (**ანთაძე**, **გორგოძე 2011:23-25**).

საქართველოს სკოლებში ძალადობის აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებები

პროგრამები	**სასწავლო პროგრამები და აქტივობები**	**პრევენციული ღონისძიებები**	**ცალკეულ მოსწავლეთა დახმარება**
უსაფრთხო სკოლა	ინტერაქტიული თეატრი	სოციალური უნარების სწავლება **– სიბრაზის მართვა**.	ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამაღლებაში
	სასჯელაღსრულებით დაწესებულებებთან თანამშრომლობა	კურიკულუმის შესაბამისი რესტრუქტურიზაცია	
	ცნობილ სახეებთან ერთად ანტიდანაშაულებრივი კამპანიის წამოწყება	ანტისოციალური ქცევის ადრეული იდენტიფიკაცია	
	სკოლის ფსიქოლოგთა გადამზადება	პოზიტიური სასკოლო დისციპლინის სისტემის ჩამოყალიბება	ტრენინგი სოციალურ კომპეტენციებსა და უნარებში
	ბავშვთა ტოლერანტობა		
	სკოლის მოსწავლეების წაყვანა წარმატებულ ორგანიზაციებში		
	მშობელთა პედაგოგიზაცია		
	საგზაო უსაფრთხოება მოზარდებისთვის		
	სკოლის მასწავლებელთა ტრენინგი		
	საბოლოო შედეგების კვლევა		

დღის წესრიგში დადგა სკოლებში აღმზრდელობითი ფუნქციის გაძლიერება, აღმზრდელობითი აქტივობების დაგეგმა-ჩატარება. მაგალითად, კლასის დამრიგებლის საათი, დისკუსია, სიტუაციების ანალიზი, როლური თამაშები, რაც თავის მხრივ მოზარდის მოძალადედ ფორმირების რისკებს შეამცირებს. ჩვენ გთავაზობთ აღნიშნულ

თემატიკასთან დაკავშირებით პედაგოგიურ სიტუაციებს, დისკუსი-ისა და დებატის თემატიკას. აქტივობებს /სავარჯიშოებს, როლური თამაშის სცენარებს, რომლებიც შეიძლება ეფექტურად გამოვიყენით როგორც საგაკვეთილო პროცესში ასევე არაფორმალურ განათლე-ბაში მოზარდებში ძალადობის პრევენციის, მათი უფლებების დაცვის მიზნით. (იხ. თავი 2, უსაფრთხო სკოლის მოდელი. გვ. 108).

როგორც აღვნიშნეთ, პრობლემის ეფექტური და ჰუმანური გადა-წყვეტის გზა ძალადობის პრევენციაა. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება აუცილებლად უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს სამყა-როს მოზარდი, რომელმაც პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად თანატოლზე ძალადობა არჩია. ნაშრომში (2019) „სერიოზული ამბები უფროსებისთვის“ – გზამკვლევი მშობელთა დასახმარებლად, ავტო-რები აღნიშნავენ, რომ ბავშვზე ძალადობის პრევენციული ღონის-ძიებები სამ სხვადასხვა დონეზე ხორციელდება: საყოველთაო, მიზ-ნობრივი და ინდივიდუალური. „პირველი დონე – საყოველთაო პრე-ვენცია გათვლილია საზოგადოების ფართო სპექტრზე. საყოველთაო პრევენციის ძირითადი მიზნებია: მშობელთა/მზრუნველთა ცოდნის გაფართოება, რათა მათ იცოდნენ, როგორ მიმდინარეობს ბავშვის გა-ნვითარების პროცესი, განვითარების ამა თუ იმ საფეხურს როგორი ქცევა თუ მდგომარეობა შეესაბამება; მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობის და კომუნიკაციის გაძლიერება; მშობლებისთვის, რო-მელთა ბავშვები განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებენ, სტრესთან გამკლავების სწავლება; მშობელთა ცოდნის ამაღლება ოჯახის მართ-ვა-გაძღოლის საკითხებში; სოციალური და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრისათვის. მეორე დო-ნე-მიზნობრივი პრევენცია მიმართულია საზოგადოების იმ ჯგუფის-კენ, რომელშიც არსებობს ბავშვზე ძალადობის ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორი; მიზნობრივი პრევენციის ძირითადი მიზნებია: მშო-ბელთა ცოდნის გაზრდა, რათა მათ გააცნობიერონ, როგორ გავლე-ნას ახდენს მათი ბავშვობისდროინდელი გამოცდილება მათ ქცევაზე უკვე მშობლის როლში; მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობის მოწესრიგება; საჭიროების შემთხვევაში, მშობლების დაკავშირება თემში არსებულ იმ სამსახურებთან, რომელიც მიმართულია ოჯა-ხის, მშობლის და ბავშვის სპეციფიკური პრობლემების მოგვარე-ბაზე; შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის მშობელთა დახმარება სტრესთან გასამკლავებლად; სოციალური და სამედიცინო სერვისე-

ბის ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრისათვის. მესამე დონე – ინდივიდუალური პრევენცია მიმართულია იმ ოჯახებისკენ ან სხვა ადგილებისკენ, სადაც ბავშვზე ძალადობა ხდება. მისი მიზანია ძალადობის განმეორებისგან ბავშვების დაცვა. ინდივიდუალური პრევენციის ძირითადი მიზნებია: ბავშვზე ძალადობისა და უგულებელყოფის განმეორების შემცირება ბავშვისთვის საცხოვრებელი გარემოს შეცვლით ან მოძალადისათვის თავისუფლების აღკვეთით; მშობელთა ნარკო და ალკოჰოლ დამოკიდებულების შემცირება; ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ძალადობით მიღებული ზიანის შემცირება; ოჯახის დაკავშირება ოჯახის დამცავ ჯგუფებთან და სხვა დამცავ სისტემებთან; მშობლების კავშირის გაძლიერება თემში არსებულ დამხმარე სამსახურებთან" (**გოგოლაძე**, **2019**).

ნაშრომში „ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები" (2011) ავტორები საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობენ პრევენციის სტრატეგიების შერჩევის შესახებ და აღნიშნავენ, რომ სკოლის ხელმძღვანელებს, მასწავლებლებს და მშობლებს უნდა შეეძლოთ ძალადობის სიმპტომების აღმოჩენა და ოპერატიული რეაგირების მოხდენა. ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს შესაბამისი პრევენციული სტრატეგია, რომ აღმოფხვრას ძალადობა და დანერგოს ბავშვებისთვის გამარტივებული, კონფიდენციალური გასაჩივრების სისტემა. ბავშვების ჩართვა ინფორმაციის გავრცელებისა და თანატოლთა დახმარების პროცესში ეფექტური საშუალებებია სკოლებში ძალადობის აღმოფხვრისთვის. პრევენცია მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს უშლის პრობლემის წარმოქმნას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შევამჩნიეთ, რომ ბავშვზე ძალადობენ, აუცილებელია მისი შეჩერება და მოსალოდნელი შედეგების შემცირება. პრევენციის მრავალი არსებული სტრატეგია ბავშვზე ძალადობის შემთხვევების ადრეულ იდენტიფიკაციას და ინტერვენციას გულისხმობს. იგი მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ცალკეული ბავშვისა და ოჯახისათვის, მაგრამ იგი სერიოზულად ვერ ამცირებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევათა რიცხვს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ სტრატეგიების გამოყენებით, რომელთა პროგრამები მიმართულია რისკ-ფაქტორების შესამცირებლად და დამცავი ფაქტორების გასაძლიერებლად. პრევენციის სტრატეგიის შერჩევისას წარმატების მისაღწევად გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებული რეალური გარემო (**თავართქილაძე**, **2011**).

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტის – „საქართველოში ბავშვებზე ზრუნვის მომსახურებისა და სისტემების გაძლიერების“ – ფარგლებში, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, გაეროს ბავშვთა ფონდმა ჩაატარა კვლევები: ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებთან დაკავშირებული თვისებრივი კვლევა და რაოდენობრივი კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებაში გავრცელებული ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შესასწავლად და სხვა. კვლევა 2012 წლის ზაფხულში შესრულდა (**ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში**. **ეროვნული კვლევა**, **2013**). ჩამოყალიბებულია ძირითადი დებულებები.

იმისთვის, რომ ძალადობაზე რეაგირება მოახდინოს, ადამიანს უნდა ესმოდეს, თუ რა სახის ქმედება წარმოადგენს ძალადობას. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით საქართველოს მოსახლეობას ნაწილობრივ აქვს ცოდნა ბავშვებზე ძალადობის ყველა ფორმის შესახებ და სწორად შეუძლია მათი განსაზღვრა. წარმოდგენილი ძალადობის ოთხი ფორმიდან (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა და ინტერესების უგულებელყოფა) გამოკითხულთა მესამედის ძალადობის სამი ფორმის ამოცნობა შეუძლია, ხოლო 8%-მა მხოლოდ ერთი ფორმის ამოცნობა შეძლო ან საერთოდ ვერც ერთი ვერ ამოიცნო (**გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული სამუშაო – კვლევა**, **2012**). ჩატარებული კვლევების მიხედვით, მანდატურები და მასწავლებლები საკუთარ როლზე ბავშვზე ძალადობაზე რეაგირების პროცესში თვლიან, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა ძალადობა გარკვეულ ინტენსიურობას აღწევს. გადამწყვეტ ფაქტორებად მათ შემთხვევის სიმძიმე და სიხშირე დაასახელეს. მანდატურების 70% და მასწავლებლების 75% ფიქრობს, რომ ზოგჯერ ძალადობა იმდენად სერიოზული არ არის, რომ მასზე რეაგირება იყოს საჭირო. უფრო მეტიც, მათი 55% მიიჩნევს, რომ ძალადობის ფაქტის შესახებ მოხსენება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა ეს ძალადობა რეგულარულად მეორდება.

მსგავსი კვლევა ჩავატარეთ 2021-2023 წლებში. ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვენახა რა ცვლილებები განხორციელდა ძალადობის პრევენციის მიმართულებით და გვეჩვენებინა სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების ეფექტიანობა. კვლევაში მონაწილეობა მი-

იღო მასწავლებლებმა, ფსიქოლოგებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა. კვლევების (2021-2023) შედეგად დადგინდა, რომ აჭარის საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლებს მიაჩნიათ – ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა არის ძალადობის მძიმე შემთხვევები. 14-17 წლის მოსწავლეებთან ჩატარებული კვლევის (თუ გრძნობთ თავს უსაფრთხოდ სკოლაში?) შედეგების მიხედვით მოზარდთა უმეტესობა თავს უსაფრთხოდ გრძნობს სკოლაში; რესპონდენტთა უმცირესი ნაწილი აღნიშნავს, რომ თავს მხოლოდ ზოგჯერ გრძნობს უსაფრთხოდ. 14-17 წლის მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს (ძალადობის გამოვლენის ფორმები სკოლაში) მიხედვით, მოსწავლეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სხვა მოსწავლემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სკოლაში, ნაწილი ამბობს, რომ მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ხოლო გამოკითხულთა უმცირესი ნაწილი ასახელებს, რომ სხვა მოსწავლემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და დასცინა.

კითხვაზე – უსაფრთხოების დაცვის რა საშუალებებია სკოლაში, გამოკითხულთა 88% აცხადებს, რომ სკოლას ჰყავს მანდატური, დარაჯი, აქვს ვიდეოკამერები სკოლის შენობაში. რესპოდენტების 12% ამბობენ, რომ სკოლაში არ არის მეტალის დეტექტორი.

უცვლელად წარმოგიდგენთ რესპონდენტთა მოსაზრებებს. **კითხვაზე რას ნიშნავს თქვენთვის უსაფრთხო სკოლა? (ფსიქოლოგი** შ.მ.) „ჩემთვის უსაფრთხო სკოლა ნიშნავს, სკოლას, სადაც იქ მომუშავე, მასწავლებელი, მოსწავლე და სკოლის სხვა პერსონალი დაცულად გრძნობს თავს. ასევე, უსაფრთხო სკოლა მოსწავლის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განმაპირობებელი ფაქტორია. სწორედ, ამაში იგულისხმება პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და ის, თუ რამდენად დაცულად გრძნობს მოსწავლე თავს როგორც ფიზიკურად, ასევე ემოციურად – ფსიქოლოგიურად“.

მასწავლებლები: „სკოლა მაშინ არის უსაფრთხო თუკი სასკოლო ცხოვრებაში ჩართული ყველა პირისთვის არსებობს სოციო-ემოციური მხარდაჭერის სისტემა“. „მოსწავლეებში ცუდი ზეგავლენისგან, ურთიერთკონფლიქტისგან დაცული და უზრუნველყოფილი დადებითი გარემო“; „სკოლა უსაფრთხოა მაშინ, თუ მოსწავლეზეა ორიენტირებული. თუ სკოლა აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს“. „სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებისა და

პირველადი დახმარების აღმოჩენის კანონმდებლობის შესაბამისად; სკოლამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა; სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა“.

მოსწავლეები: „სკოლა უსაფრთხოა მაშინ როცა მეტი ყურადღება ეთმობა მოსწავლის სურვილებს და ენდობიან მოსწავლეებს“; „სკოლა ადგილია, სადაც აღსაზრდელები და მასწავლებლები თავს მშვიდ, საგანმანათლებლო სივრცეში გრძნობენ, რომლის უსაფრთხოებაზეც პასუხისმგებელია მანდატურის სამსახური და დირექცია“; „ჩემთვის უსაფრთხო სკოლა არის ადგილი სადაც, დაცული ვარ ნეგატიური აზროვნებისაგან“;

„საკლასო ოთახებში მოსწავლეების მუდმივი კონტროლი“; „სკოლა, რომელსაც აქვს სხვადასხვა თავდაცვითი აღჭურვილობა და ასევე აკონტროლებს მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას“; „სკოლა სადაც მე ან სხვისი უფლებები და უსაფრთხოება იქნება დაცული ან ზიანის ალბათობა მინიმუმისკენ იქნება დაწეული“; „უსაფრთხო სკოლა არის ადგილი სადაც დაცულია მოზარდების უფლებები“; „უსაფრთხო სკოლა ნიშნავს, სადაც არ ხდება ძალადობა“; „ჩემთვის, როგორც მოსწავლისთვის. უსაფრთხო სკოლა ასოცირდება დაცულ და თავისუფალ გარემოსთან, სადაც არ არის შიში“; „ჩემთვის უსაფრთხო სკოლა წარმოადგენს დაცულ ადგილს, სადაც მისვლა არ შემეშინდება, არ მექნება იმის შეგრძნება, რომ ვიღაც დამხვდება და ცუდ გავლენას მოახდენს ჩემზე“; „ჩემთვის უსაფრთხო სკოლა ნიშნავს სკოლას, სადაც არ აქვს ადგილი ძალადობას, არ აქვს მნიშვნელობა რა სახის იქნება ის“; „უსაფრთხო სკოლა არის ადგილი, სადაც არანაირი საშიშროება არ არსებობს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ადგილი, სადაც მანდატურებს ენდობიან“; „უსაფრთხო სკოლა ჩემთვის ასოცირდება გარემოსთან, სადაც მოსწავლეები მხოლოდ განათლებასა და განვითარებაზე არიან ორიენტირებულნი. არ ხდება ბულინგი, ჩაგვრა და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაცია მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიმართ, სადაც დაცულია ჩემი ინტერესები და შეხედულებები“, „ადგილი, სადაც არ ზღუდავენ ადამიანის უფლებებს და ყველას ეპყრობიან თანაბრად“; „უსაფრთხო სკოლა არის ადგილი, სადაც საგაკვეთილო პროცესი არ იშლება. არ აქვს ადგილი არანაირ სასწავლო შეფერხებას, ძალადობას, ნარკოტიკების მოხმარებას, ბულინგსა და შიშს. არ არსებობს არანაირი დისკრიმინაცია განურჩევ-

ლად რასის, ორიენტაციისა თუ რელიგიისა“; „უსაფრთხო სკოლა არის სკოლა, სადაც სწავლის პროცესი არ ფერხდება. არ არის ძალადობა ბულინგი და შიშის ქვეშ ყოფნა. არ არის იმის საშიშროება რომ უცხო პირი შეძლებს სკოლაში შემოღწევას“; „უსაფრთხო სკოლა ჩემთვის ნიშნავს, ადგილს სადაც ნაკლები ბულინგის მსხვერპლნი იქნებიან და იქნება მოსწავლის უფლებები დაცული“. „უსაფრთხო სკოლა ასოცირდება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ჯანსაღ ურთიერთობასა და სკოლაში დამყარებულ ურთიერთპატივისცემასთან“; „ისეთ სკოლას, რომელშიც ყოველდღე მისვლა მოსწავლეს არ დათრგუნავს, იმაზე ფიქრით, რომ ცუდი რამე მოხდება, დასცინებენ, უყვირებენ და ა.შ, პირიქით ისეთი სკოლა, სადაც მოსწავლეს მისვლა გაუხარდება“; „უსაფრთხო სკოლა ნიშნავს ადგილს, სადაც თავს დაცულად ვიგრძნობ და მექნება განათლებისთვის განკუთვნილი დროის მაქსიმალურად გამოყენების საშუალება“; „სკოლა, სადაც ჩემი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა იქნება დაცული“.

კითხვაზე რა არის ემოციური უსაფრთხოება? საჯარო სკოლის **ფსიქოლოგი** აღნიშნავს: „როცა ვსაუბრობთ უსაფრთხოებაზე, ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად აუცილებელია მოსწავლეების ემოციურ უსაფრთხოებაზე გაკეთდეს მნიშვნელოვანი აქცენტები. ვინაიდან, როცა მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად უსაფრთხოდ და დაცულად, ეს თავისთავად დადებით გავლენას ახდენს იმაზე, რომ ის იყოს უფრო მეტად წარმატებული და რეალიზებული ცხოვრებაში. ასევე, ემოციური უსაფრთხოება, მდგომარეობაა, როცა არ ხარ ზეწოლის ქვეშ, მასწავლებლისგან, მოსწავლისგან, მშობლისგან ან დირექციისგან“.

მასწავლებლები: „აზრის გამოხატვა შიშის გარეშე“; „ფსიქოლოგიური ფაქტორი, როცა მოსწავლე დაცულია, თავს გრძნობს უსაფრთხოდ“; „ემოციური უსაფრთხოება ბევრ სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. ემოციური უსაფრთხოება, ვფიქრობ, არის გარემო სადაც პიროვნება მშვიდად გრძნობს თავს“; „ემოციური უსაფრთხოება ნიშნავს მოსწავლეთა შიშისა და ნეგატიური ემოციებისგან დაცვას“; „ემოციური უსაფრთხოება სკოლებში არსებული ძალადობრივი გარემოს აღმოფხვრას გულისხმობს. ის აერთიანებს, როგორც მოსწავლეებს შორის ერთმანეთის მიმართ განხორციელებული ძალადობის, ისე მათ მიერ, ზოგადად, არაეთიკური და დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების საკითხებს. ემოციური უსაფრთხოება ერთ-ერთი

მთავარი მსაზღვრელია იმისა, თუ რამდენად მყარია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა და რამდენად შესწევს მას უნარი, მოსწავლეები განათლების სისტემის შემდეგ საფეხურზე გადაიყვანოს და ისინი პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოაყალიბოს“.

მოსწავლეები: „ძალადობისგან, თავისუფალი სკოლა, სადაც არის მოსწავლეების მასწავლებლებისა და სკოლის მომსახურე პერსონალის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა“; „ემოციური უსაფრთხოებაა, როცა დაცულია ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა“; „ემოციური უსაფრთხოება გულისხმობს მოსწავლის და არამხოლოდ მოსწავლის პირადი ინტერესების დაცვას. საკუთარი შეხედულებების ქონას ამა თუ იმ საკითხის მიმართ, არ არის დანაშაული და შენს განსხვავებულობაზე ხაზგასმა თავისთავად მოიაზრებს ემოციურ უსაფრთხოებას“. „ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ბულინგისგან თავის არიდება“; „ემოციური უსაფრთხოება ჩემთვის ფსიქოლოგიური ზეწოლის შიშის ქვეშ ყოფნა არაა“; „ემოციური უსაფრთხოება მოიცავს, სულიერ სიმშვიდესა და აუღელვებლობას, როდესაც ბავშვი ჰარმონიულად გრძნობს თავს ამა თუ იმ დაწესებულებაში“; „ჩემთვის გარემო, სადაც არ არის ზეწოლა, დაცინვა და ბულინგი“; „როცა მოსწავლე არ ნერვიულობს სკოლაში ყოფნისას, თავისუფლად გამოხატავს საკუთარ აზრს თავის კლასელებთან, არ გრძნობს ფსიქოლოგიურ ზეწოლას“.

კითხვაზე, **დაასახელეთ ბულინგის ადგილები და სიხშირე**, რესპონდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ბულინგი ყველაზე ხშირად ხდება სკოლის ეზოში; სკოლისაკენ ან სკოლიდან მომავალ გზაზე, დანარჩენი ასახელებს სკოლის ტუალეტს, დერეფნებს; მოზარდების აზრით, ბულინგი ნაკლებად ხდება კომპიუტერის კაბინეტებში. კითხვაზე, დაასახელეთ ბულინგის დრო და სიხშირე, რესპონდენტთა 56% აღნიშნავს, რომ ბულინგი ყველაზე ხშირად ხდება სკოლის გაკვეთილების დასრულების შემდეგ; 34% ასახელებს გაკვეთილებს შორის შესვენებას.

როგორც ვხედავთ, სკოლასთან დაკავშირებული ბულინგი ხდება დღის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, ყველაზე ხშირად სკოლის შემდეგ და გაკვეთილებს შორის შესვენებების განმავლობაში.

კითხვაზე, **არის დღეს ქართული სკოლები უსაფრთხო და რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა ჩვენს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: კონტროლზე ორიენტირებულ**, **თუ ზრუნვაზე ორიენტირებულ უსაფრთხოებას?**

მასწავლებლები: „დღევანდელ სკოლაში უსაფრთხოებისთვის საჭიროა, როგორც მანდატური, ასევე ვიდეოკამერები, როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის ეზოში“. „ქართული სკოლები ძირითადად ზრუნვაზეა ორიენტირებული თუმცა მოზარდს კონტროლი და მხარდაჭერაც ესაჭიროება და აუცილებელიცაა. თუ მშობელთა ცნობიერება და ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვნად გაიზრდება სკოლა იქნება მხოლოდ ზრუნვაზე ორიენტირებული“; „თანამედროვე ქართული სკოლები ნაწილობრივ აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებს. საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონტროლზე ორიენტირებაზე უფრო მნიშვნელოვანია ზრუნვაზე ორიენტირებული უსაფრთხოება. სამწუხაროდ ჩვენს სკოლებში მხოლოდ კონტროლზე ორიენტირებული სკოლებია“.

მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ „ზრუნვაზე ორიენტირებულ უსაფრთხოებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რათა მოსწავლემ სკოლაში თავი კომფორტულად იგრძნოს, თუმცა კონტროლის ფაქტორი არ უნდა იქნეს სრულად უგულებელყოფილი“; „ზრუნვაზე ორიენტირებული უსაფრთხოება აუცილებელია, ვინაიდან ბავშვს შეექმნება უსაფრთხო, დაცული და უზრუნველყოფილი სასწავლო გარემო“; „დღესდღეობით ქართული სკოლები შეძლებისდაგვარად იცავენ უსაფრთხოების ნორმებს, მაგრამ საჭიროა უპირატესობა მიენიჭოს ორივეს – კონტროლსა და ზრუნვას, რადგან საჭიროა ყველა სკოლაში მუშაობდნენ მანდატურები მეტალო დეტექტორებითა და ვიდეოკამერებით სკოლის მთელ პერიმეტრზე, რადგან ბავშვთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა ასე უფრო გაადვილდება“; „მხოლოდ კონტროლზე ორიენტირება არ იქნება საკმარისი. საჭიროა ზრუნვაზე ორიენტირებული სკოლები, ცნობიერების ამაღლება მოსწავლეებში, მასწავლებლებსა და მშობლებში მაქსიმალურად შეამცირებს ბულინგსა და დაუცველ გარემოს სხვადასხვა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ადგილებში“.

კითხვაზე, **როგორ აფასებთ დღეს მანდატურის საქმიანობას?** საჯარო სკოლის მასწავლებლების აზრით, „მნიშვნელოვანია სკოლაში მანდატურის ფუნქცია, მანდატურმა უნდა შეამოწმოს სკოლის მიმდებარე ტერიტორია. მოახდინოს ძალადობის პრევენცია“; „მანდატური ეხმარება სკოლას უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად“.

კითხვაზე, **მანდატურის სკოლაში შემოსვლის შემდეგ**, **რამდენად შეიცვალა უსაფრთხოება სკოლაში? მასწავლებლები** აღნიშნავენ,

რომ „შეიცვალა უკეთესობისკენ, მაგრამ მოსწავლეთა დიდი ნაწილი იცნობს მხოლოდ მათ უფლებებს და არა მოვალეობებს, აქედან გამომდინარე, რთულდება მათთან ურთიერთობა“.

კითხვაზე, თქვენი აზრით, ძალადობის აღმოფხვრისა და კონვივენსიის (ერთად ჰარმონიული ცხოვრება) ხელშეწყობისათვის როგორი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან სკოლის პერსონალს და მოსწავლეებს მოტივაციის ასამაღლებლად?

საჯარო სკოლის **ფსიქოლოგი** თვლის, რომ „პირდაპირ უნდა იყოს ჩართული სკოლის დირექცია შემთხვევების აღმოსაფხვრელად, უნდა ტარდებოდეს „სადამსჯელო“ აქტივობები (მაგალითად სკოლისთვის სასარგებლო საქმიანობა, დალაგება სკოლის ეზოს), ხოლო სასურველია მოტივაციის ამაღლების მიზნით უნდა მოხდეს ხშირი წახალისება იმ მოსწავლეების, რომლებიც არ არიან შემჩნეული ძალადობაში“.

მასწავლებლების მოსაზრებებით: „სადაც მანდატური არაა, არ ექნებათ საკმარისი მოტივაცია“, „იგეგმება სხვადასხვა პროექტები ჯგუფური სამუშაოები. საგანი „სამოქალაქო განათლება“ ძალიან დიდ როლს ასრულებს სასკოლო ცხოვრებაში მაგრამ მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ აქვს მოტივაცია. ჩემი აზრით, სკოლებში თუ იქნება სახელოვნებო კლუბები ან სახელოსნოები და ა.შ. სადაც იქნება სწავლა კეთებით გათვალისწინებული: მოსწავლეთა სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით; ექნება მხარდაჭერა და აღჭურვილი იქნება სათანადოდ, მეტად ჰარმონიული მომავალი თაობა გვეყოლება“, „არ აქვს რა თქმა უნდა მოტივაცია, პედაგოგებს და დახმარება სჭირდებათ ვინმე კომპეტენტური პირისაგან“, „ვფიქრობ, სასკოლო საზოგადოების ცნობიერება წარსულთან შედარებით მნიშვნელოვნად პროგრესირებულია. ამ ეტაპზე მეტწილად აქვთ ამავე საზოგადოების წევრებს მოტივაციაც და ცოდნაც შესაძლო ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების, მასზე ჯეროვანი რეაგირებისა და ჰარმონიული თანაცხოვრების ხელშეწყობისა“. „არ აქვს მოტივაცია“.

მასწავლებლების მოსაზრებები **კითხვაზე – არის თუ არა სკოლა და მისი ყველა ასპექტი, მაგალითად, საკლასო ოთახები, იმგვარად ორგანიზებული, რომ ხელი შეეწყოს ძალადობის აღმოფხვრასა და კონვივენსიის (ერთად ჰარმონიული ცხოვრება) გარემოს შექმნას? –** „ვფიქრობ, ზოგადად სკოლებში ბევრ ასპექტს, ჭირდება გადახედვა და მოდიფიცირება“, „არა“, „მეტ-ნაკლებად“, „ფიზიკური გარემო ნაწილობრივ არის სტანდარტის შესაბამისად ორგანიზებული. თანასწორ-

გამოყენებადი ნაკლებად არის, რადგან ყველა შემთხვევაში არაა გათვალისწინებული სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებები, მაგალითად, ბრმებისთვის არსად შემხვედრია ხმოვანი მანიშნებლები“.

კითხვაზე, რომელი სტრატეგიის გამოყენებას ურჩევდით მასწავლებლებს ძალადობის თავიდან აცილებისა და კონფლიქტების მოგვარების სფეროში? ფსიქოლოგი შ.მ. აღნიშნავს, რომ „მნიშვნელოვანია ის, რომ ძალადობა და კონფლიქტი არ არის ერთი და იგივე. ძალადობის შემთხვევაში დამნაშავეა მოძალადე, ხოლო კონფლიქტის შემთხვევაში შეიძლება დამნაშავე იყოს ორივე მხარე და პასუხისმგებლობა ორივე მხარეს ეკისრება. აღსანიშნავია ის, რომ მასწავლებელს უნდა ესმოდეს თავისი მოსწავლეების და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს მათ. ამავე დროს მათი მეგობარიც უნდა იყოს. კონფლიქტების მოგვარების პროცესში მნიშვნელოვანია დაეხმაროს სკოლის ფსიქოლოგიც. ასევე, მოდელებითა და როლური თამაშებით სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

კითხვაზე, რა სარგებლობა მოაქვს სკოლის ფსიქოლოგს, მანდატურს და სოციალურ მუშაკს? რა შედის მათ უფლება-მოვალეობებში? რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება სასწავლო პროცესში?

ფსიქოლოგების აზრით „სასწავლო პროცესში უდიდესი როლი აკისრია, ფსიქოლოგს, მანდატურსა და სოციალურ მუშაკს, მათი პირდაპირი მოვალეობა მოსწავლეზე ზრუნვაა. ისინი ამახვილებენ ყურადღებას, როგორც მოსწავლის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვას, ასევე მათ საგანმანათლებლო ჩართულობასა და უსაფრთხოებაზე. სკოლაში აუცილებელია არსებობდეს ფსიქოლოგიური სამსახური, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრთელობას და ამავე დროს ხელს შეუწყობს სწავლის პროცესში წარმოქმნილი ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევას. სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ეფექტიანი მუშაობა აუცილებლად გულისხმობს სკოლის პედაგოგების აქტიურ ჩაბმას ფსიქოლოგიურ სამსახურში. ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელობით პედაგოგს უნდა დაევალოს ინდივიდუალური, ფსიქოლოგიური-პედაგოგიური, აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება მოსწავლეებთან. ასეთი მიდგომა პროფესიონალ პედაგოგს უყენებს მაღალ მოთხოვნებს და ამავე დროს ხელს უწყობს მათი პროფესიული დონის ამაღლებას. ბუნებრივია, რომ პედაგოგი მუდმივად კონტაქტში უნდა იყოს ფსიქოლოგიურ სამსახურთან და

მოსწავლეებისადმი ფსიქოლოგიური დახმარება უფრო ეფექტური და უფრო სწრაფი იქნება. ერთობლივი მუშაობა კი მიმართულია საერთო მიზანზე – მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბება“. **მასწავლებლების აზრით** „სკოლის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის, მანდატურის და სოციალური მუშაკის ჩართულობა ძალადობის პრევენციისთვის. ფსიქოლოგი უნდა ატარებდეს ტრენინგებს ძალადობის საკითხებზე, როგორც ბავშვებთან და მასწავლებლებთან, ასევე მშობლებთან“.

კითხვაზე, რა სახის დახმარება ან ტრენინგი არსებობს თანამშრომელთათვის, რაც დაეხმარება მათ მოსწავლეთა შორის ძალადობის შემთხვევების სამართავად? მასწავლებელთა უმრავლესობის აზრით, „საუბრები, მშობელთა კრებები“, „ტრენინგები ბულინგზე ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკებისათვის“, ნაწილის აზრით, „არსებობს და მასწავლებლები კიდევაც გადიან ამ ტრენინგებს, თუმცა დიდი ცვლილება მაინც არ არის“, „ბულინგის პრევენციისა და აღმოფხვრის ტრენინგით მასწავლებლები დაეუფლნენ სტრატეგიებს, რომლებსაც წარმატებით იყენებენ საკლასო სივრცეში“.

კითხვაზე, უსაფრთხო სკოლასთან დაკავშირებით ხომ არ დაამატებდით რაიმეს, თქვენი რეკომენდაციები უსაფრთხო სკოლის შესახებ, მივიღეთ ასეთი პასუხები: „მცირეკონტიგენტიან სკოლებშიც უნდა იყოს მანდატური“, „მანდატურის სამსახური უნდა იყოს ყველა სკოლაში მოსწავლეთა მცირე კონტიგენტის მიუხედავად“, „უნდა იყოს რაღაც სხვა გზები შემუშავებული და ამასთანავე უნდა იყოს სისტემატური მონიტორინგი თუ როგორ სრულდება დაგეგმილი აქტივობები ან რა შედეგები დაიდო განხორციელებული აქტივობების შემდეგ“, უსაფრთხოებისათვის ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია სასკოლო საზოგადოებისათვის სოციალურ-ემოციური კომპეტენციების გაუმჯობესება. ვფიქრობ, როგორც არჩევითი საგანი, შესაძლოა, ისწავლებოდეს, მით უფრო, რომ უკვე პროგრამა არსებობს“.

კითხვაზე, დავუშვათ, თქვენ მუშაობთ უსაფრთხოების კონცეფციაზე, თქვენი – როგორც მოსწავლის – გამოცდილების გათვალისწინებით, რას ურჩევდით უფროს ადამიანებს?

მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ: „უფროს ადამიანებს ვურჩევდი. მაგალითი მისცენ უმცროსს თაობას და ყველანაირად ეცადონ დაიცვან წესები არამხოლოდ პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად, არამედ სიცოცხლის დასაცავად“; „მეტი რჩევა მიეცით ბავშვებს და

აგრძნობინეთ რომ ენდობით და გჯერათ მათი“; „უფროსს ადამიანებს ვურჩევდი მეტად სერიოზულად მოეპყრონ მოსწავლეებს და მათ გაკიცხვას არ ეცადონ შეცდომის დაშვების დროს და რჩევის სახით დაარიგონ ისინი, რათა მეორედ არ დაუშვან იგივე შეცდომა“; „ვურჩევდი, ფრთხილად მოეკიდონ მოზარდების მენტალურ ჯანმრთელობას“. „მეტი გონიერება და პატივისცემა“; „ემეგობრონ ბავშვებს, უნდა იყოს დაცული ბავშვების უფლებები და რადგან ბავშვია, არ უნდა უწევდეს გაჩუმება და არ უნდა ვჩაგრავდეთ უმიზეზოდ“; „უფრო გულმოდგინედ გაითვალისწინონ ბავშვების სურვილები და მეტად ყურადღება მიაქციონ უსაფრთხოებას“. „მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეების სუბიექტური თუ ობიექტური აზრი ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით. თუ მოსწავლე მასწავლებლისგან განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ცდება. ვისწავლოთ ერთმანეთის აზრის პატივისცემა“. „უფროს ადამიანებს ვურჩევდი მაგალითი მისცენ უმცროს თაობას და ყველანაირად ეცადონ დაიცვან წესები არამხოლოდ პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად, არამედ სიცოცხლის დასაცავად“. „მასწავლებლებს ვურჩევდი, იყვნენ უფრო გამგები ბავშვის მიმართ, მოისმინონ მისი აზრი, პატივი სცენ მას, როგორც ადამიანს. ასევე გასათვალისწინებელია სიმკაცრის ზომიერება, სიმკაცრე როგორც დირექციის, ისე მანდატურის მხრიდან აუცილებელია, თუმცა ზომიერების ფარგლებში“; „ხშირად უნდა განახლდეს სკოლის უსაფრთხოების გეგმები, ყველა უნდა გაეცნოს უსაფრთხოების პირობებს, სკოლაში აუცილებელია რომ ჩატარდეს უსაფრთხოების ტრენინგები, უნდა იქნეს ორგანიზებული სკოლის უსაფრთხოების ჯგუფი“; „უფრო გულმოდგინედ გაითვალისწინონ ბავშვების სურვილები და მეტად ყურადღება მიაქციონ უსაფრთხოებას“; „ვეტყოდი, იყვნენ უფრო ღია დისკუსიისათვის, მიიღონ რჩევები მოსწავლეებისაგან და იურთიერთონ ბავშვებთან მათი ინდივიდუალური თავისებურებებისა და ასაკის გათვალისწინებით“.

კითხვაზე, თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ სკოლა იქცეს ძალადობისგან თავისუფალ სივრცედ? საჯარო სკოლის მასწავლებლების აზრით, „სკოლა რომ იქცეს თავისუფალ სივრცედ, პირველ რიგში საჭიროა პრევენციული ღონისძიებების გატარება. მაგალითად, საინფორმაციო ბუკლეტები, საინფორმაციო კამპანიები, ასევე სისტემატურად ტარდებოდეს ბავშვებთან, მშობლებთან ძალადობის ფორმების შესახებ სხვადასხვა აქტივობები“. „გაძლიე-

რდეს ფსიქოლოგის ჩართულობა მოსწავლეებთან სხვადასხვა აქტივობებში, სასურველია გადამზადდნენ ფსიქოლოგები, რადგან დახმარება გაუწიონ მოზარდებს. ჩვენს სკოლაში არ არის სოციალური მუშაკი, ვფიქრობ აუცილებელია, რადგან საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს და შეისწავლოს არასასურველი ქცევის მოზარდის ოჯახი და დახმარება გაუწიოს ფსიქოლოგთან ერთად".

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა: აჭარის საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლების, მშობლების, სტუდენტების აზრით, თანამედროვე ქართული სკოლები უსაფრთხოა, თუმცა სკოლის უსაფრთხოება დამოკიდებულია კონტროლზე: მანდატურის სამსახური, დარაჯი, ვიდეოკამერები სკოლის შენობაში; მანდატურისადმი ნდობა ამაღლდა. ბავშვთა მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ხშირად ვლინდება სკოლის შემდეგ, სკოლის ტუალეტში, სკოლაში ან სკოლიდან მიმავალ გზაზე; გამოკითხულთა უმეტესობა თვლის – სკოლის უსაფრთხოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებისათვის სოციალურ-ემოციური კომპეტენციების ჩამოყალიბება ბულინგის პრევენციისა და აღმოფხვრის ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების, მოწინავე გამოცდილების გაზიარებით; მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში ისწავლებოდეს სასწავლო კურსები: „ბავშვთა უფლებები", „უსაფრთხო სკოლა". რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, სკოლა უნდა იქცეს თავისუფალ სივრცედ, სადაც იქნება მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის მომსახურე პერსონალის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; განხორციელდება ძალადობის პრევენციული ღონისძიებები, ჩატარდება ბავშვებთან, მშობლებთან ძალადობის ფორმების შესახებ სხვადასხვა აქტივობები, საინფორმაციო კამპანიები და ცნობიერების ამაღლების მიზნით დამზადდება საინფორმაციო ბუკლეტები.

უსაფრთხო სკოლის მოდელი

ჩვენ განვიხილეთ უსაფრთხო სკოლის ქართული და უცხოური გამოცდილება. მათზე დაყრდნობით და მათი იდეების გაზიარებით ვფიქრობთ, შესაძლებელია უსაფრთხო სკოლის მოდელის შექმნა. ძალადობის თავიდან აცილება, პრევენცია შესაძლებელია მათთვის შესაბამისი ფიზიკური, ემოციური, ფსიქოლოგიური, საკლასო ოთახში სანდო და უსაფრთხო გარემოს შექმნით, რათა მოსწავლეებს თავიანთი მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა მიეცეთ; რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ? როგორ და რა საშუალებებით არის დაცული მოსწავლეები შეურაცხჰყოფის, დაცინვის, ფიზიკური თუ მორალური ძალადობისგან საკლასო გარემოსა და სკოლის საზოგადოებაში? რა ცოდნას და გამოცდილებას, ღებულობენ მოსწავლეები სკოლაში ამ თვალსაზრისით? როგორ იყენებენ მოსწავლეები სკოლაში მიღებულ ინფორმაციას სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში? რა ცოდნა შეიძინეს მოსწავლეებმა, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ? ეს არის კითხვები, რომლებზეც დაფიქრება გვმართებს როგორც მშობლებს, პედაგოგებს, სკოლის ადმინისტრაციას და თავად მოსწავლეებს. კარგად უნდა გვახსოვდეს „ადამიანისა და ბავშვთა უფლებები არ წარმოადგენს მშრალ სამართლებრივ სტანდარტებს. იმისათვის, რომ მათ საკუთარი ფუნქცია შეასრულონ და მნიშვნელობა შეიძინონ უნდა წარმოადგენდნენ ინსტრუმენტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს; მათი მეშვეობით უნდა იმართებოდეს ჩვენი ძალისხმევა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში სამართლიანობისა და თანასწორობის დამკვიდრებას ემსახურება“ (**გოლობი**, **2013:38**). სკოლის უსაფრთხოებას განაპირობებს არა მხოლოდ ტექნიკური უზრუნველყოფა, არამედ, სკოლის კვალიფიციური პერსონალი, მასწავლებელი, დირექტორი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, მანდატური. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში ისეთი სასწავლო კურსის შეტანა, რომლის მიზანია: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ბავშვთა უფლებების სწავლებისა და დაცვის სათანადო ინსტრუმენტის და შესაბამისი აქტივობების გაცნობა, გაკვეთილის და სააღმზრდელო ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება; სასწავლო კურსი, რომელიც მომავალ მასწავლებელს ასწავლის მოსწავლეებისათვის თავისუ-

ფალი, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის სტრატეგიებს; როგორ გაამხნევონ ბავშვები თავისუფლად გამოხატონ და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები და მორალური პრინციპები; ასწავლის: როგორ დაეხმარონ მოსწავლეებს – დაინახონ მათ გარშემო არსებული დილემის ყველა ასპექტი; როგორ დავაკისროთ მოსწავლეებს პასუხისმგებლობა არაზნეობრივ საქციელზე.

• იმისათვის, რომ ბავშვის მორალურ განვითარებას (ლ. კოლბერგი) ხელი შევუწყოთ, მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა ყურადღება გადავიტანოთ იმ წყენასა და ტკივილზე, რაც მათ სხვა ადამიანებს მიაყენეს. მაგალითად, შეგვიძლია ავუხსნათ მოსწავლეს, თუ რა ფიზიკურ ზიანს და ტკივილს აყენებს სხვა ადამიანს მისი საქციელი, ან რა ემოციურ წყენას და ტკივილს იწვევს იგი. ასევე, შეგვიძლია, ავუხსნათ და დავანახვოთ მოსწავლეს, თუ როგორ შეაწუხა სხვა თავისი საქციელით. ავუხსნათ და დავანახვოთ სხვა ადამიანის შეხედულება, განზრახვა და მოტივი („ნახატი, რომელსაც შენ ასე დასცინე, შეიძლება ისე არაჩვეულებრივად არ არის შესრულებული, როგორც შენი, მაგრამ მე ვიცი, რომ თეამ დიდი დრო დახარჯა მასზე და ძალიან ამაყობს თავისი ნამუშევრით“).

• დაეხმარეთ მოსწავლეებს სიტუაციის სხვადასხვა ადამიანების პოზიციიდან შეხედონ. წაახალისეთ, გამოიჩინონ ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობა და მეგობრული დამოკიდებულება. მაგალითად, ვთხოვოთ, წარმოიდგინონ თავი დაჩაგრულის ადგილზე, ლიტერატურული ნაწარმოების, ისტორიული ეპოქის სხვადასხვა გმირის ადგილზე. მათი ყურადღება გავამახვილოთ ისეთ სიტუაციებზე (მაგალითად, ომი, ფიზიკური ტკივილი, ძალადობა), სადაც სხვა ადამიანების მოთხოვნები ბევრად აღემატება მათ მოთხოვნებს. როცა მოსწავლეებს მათ შორის წარმოქმნილ კონფლიქტის მოგვარებაში ვეხმარებით, შეგვიძლია გავამხნევოთ, რომ სიტუაციას თანაკლასელის პოზიციიდან შეხედონ და ერთად იმუშაონ პრობლემის სამართლიანად გადაწყვეტაზე;

• მიეცეთ მოსწავლეებს მორალური საქციელის ბევრი მაგალითი. ბავშვები და მოზარდები მაგალითს სხვა ადამიანებისგან (მათ შორის, მასწავლებლებისგან, მშობლისგან) ხედავენ. მაგალითად, როცა ბავშვები ხედავენ, რომ მათი თანატოლები და უფროსები სულგრძელობას და თანაგრძნობას იჩენენ სხვა ადამიანებისადმი, ისინიც, შესაბამისად, ცდილობენ ასე მოიქცნენ. მორალური საქციელის მა-

გალითები, აგრეთვე, შეიძლება ლიტერატურიდან, ისტორიიდან და თანამედროვე ცხოვრებიდან მოვიყვანოთ;

• ჩართეთ დისკრიმინაციის, ბავშვთა ჩაგვრის საკითხები და დილემები საკლასო დისკუსიებში. გაამხნევეთ ბავშვები, ახსნან და დაასაბუთონ თავიანთი მორალური შეხედულებები. აკადემიური მასალის განხილვის დროს ხშირად თავს იჩენს განსხვავებული სოციალური და მორალური დილემები. ასეთ დილემებს ყოველთვის როდი აქვს ნათლად განსაზღვრული სწორი და არასწორი პასუხები. მასწავლებლებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა დისკუსიებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით.

• მოსწავლეები ჩავრთოთ ისეთ პროექტებში, რომლებიც აამაღლებს მათ პასუხისმგებლობას (უმცროსკლასელები ამეცადინონ, დაეხმარონ მოხუცებს, დაალაგონ ეზო).

„ბავშვებმა უნდა იცოდნენ რა უფლებებს ფლობენ ისინი, მაგრამ მათ ასევე უნდა ისწავლონ როგორ დააფასონ ეს უფლებები და როგორ ისარგებლონ ამ უფლებებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სკოლამ უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების შესახებ სწავლებისათვის, დისკრიმინაციის თავიდან აცილების შესაფერისი გარემოსა და შესაძლებლობების შექმნა. ბავშვები საკუთარ უფლებებს აცნობიერებენ და აფასებენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სარგებლობენ ამ უფლებებით როგორც სკოლაში, ასევე სკოლის ფარგლებს გარეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსწავლეთა წასახალისებლად მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ეფუძნება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა პრინციპებს“ (**გოლობი**, **2013:118**). ამიტომ ჩვენ ამ პარაგრაფში თავი მოვუყარეთ პედაგოგიურ სიტუაციებს, დისკუსიისა და დებატის თემატიკას. აქტივობებს/სავარჯიშოებს, როლური თამაშის სცენარებს, რომლებიც შეგვიძლია ეფექტურად გამოვიყენოთ როგორც საგაკვეთილო პროცესში ასევე არაფორმალურ განათლებაში მოზარდებში ძალადობის პრევენციის, მათი უფლებების დაცვის მიზნით.

ჩვენს ნაშრომში მოყვანილი სიტუაციები/შემთხვევები/სავარჯიშოები სრულად შეგიძლიათ იხილოთ სახელმძღვანელოებში: მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგ-მოდულები: „პოზიტიური მშობლობა“, „უსაფრთხო სკოლა“ – ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის როლი, ტრენინგ – მოდული წამყვანი მასწავლებლებისათვის „როგორ განვავითაროთ მოსწავლეებში პრობლე-

მის შემოქმედებითად გადაჭრის უნარები“. მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი, 2019; ნენსი ფლაუერსი „კომპასიტო“ – სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის; ნინო ლაბარტყავა, ანასტასია ქიტიაშვილი, სადამრიგებლო საათის პროგრამა V-IX კლასების დამრიგებელთათვის, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, თბილისი, 2011; მ. გოგოლაძე, მ. ჯინჭარაძე რ. თევზაძე, სერიოზული ამბები უფროსებისთვის. გზამკვლევი მშობელთა დასახმარებლად. თბილისი, 2019; რ. გოლობი, პ. კრაფი, ბავშვთა უფლებების კვლევა, ცხრა მცირე პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013).

გთავაზობთ მორალური დილემების გადაჭრის პრაქტიკულ სავარჯიშოებს, პედაგოგიურ სიტუაციებს მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და მოსწავლეებისათვის.

რამდენად დაცულია ბავშვის უფლებები საქართველოში? შეიძლება თუ არა ბავშვის უფლებები ირღვეოდეს ოჯახის წევრების მხრიდანაც? რომელი უფლება ირღვევა და ვისი მხრიდან? ვის ევალება ბავშვის უფლებების დაცვა და როგორ? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები მომავალ პედაგოგებთან, მასწავლებლებთან.

პედაგოგიური სიტუაციები, რომელთა მიზანია ბავშვის უფლებების კონვენციის გაცნობა, კონვენციის ზოგიერთი მუხლის შინაარსის გაანალიზება ბავშვთან ყოველდღიური ურთიერთობის მაგალითების საფუძველზე. როგორ არღვევს მშობელი, პედაგოგი, თანაკლასელი ნებსით თუ უნებლიეთ ბავშვის უფლებას მიიღოს განათლება, გაუფრთხილდეს ჯანმრთელობას, უზრუნველყოს ბავშვის უსაფრთხოება (**ტრენინგ-მოდული „პოზიტიური მშობლობა“**, **გაეროს ბავშვთა ფონდი**, **2022**).

პედაგოგიური სიტუაცია 1.

ნატა და გიორგი სამი შვილის მშობლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი დასაქმებულია, მათი ოჯახი ხშირად აწყდება ფინანსურ სირთულეებს. ამ სირთულეების დასაძლევად მათ ხშირად ღამის ცვლაშიც უწევთ მუშაობა. მცირეწლოვანი შვილების გაზრდაში მათ უფროსი ქალიშვილი, 13 წლის ელენე ეხმარება. ელენე 5 და 7 წლის და-ძმისთვის საჭმელს ამზადებს, ტანსაცმელს რეცხავს, ჰიგიენის დაცვაში ეხმარება და ცდილობს იმეცადინოს კიდეც. თუ-

მცა, მას ხშირად არ რჩება დრო გაკვეთილების მომზადებისთვის, რის გამოც, უწევს სკოლის გაცდენაც. მშობლები ელენეს ყოველთვის მადლობას უხდიან ოჯახისთვის გაწეული დახმარებისთვის და ცდილობენ, როცა შესაძლებლობა ექნებათ, მცირედი საჩუქრებით გაახარონ ხოლმე.

გააანალიზეთ სიტუაცია, მოახდინეთ პრობლემის იდენტიფიცირება. ირღვევა თუ არა ელენეს უფლება?

სასურველია პედაგოგმა მსჯელობა ასე წარმართოს: *ხშირად არასრულწლოვნები მშობლებთან ერთად თუ მათ გარეშე, მონაწილეობას იღებენ სეზონურ სამუშაოებში და ამით ცდილობენ ოჯახის დახმარებას. ნებისმიერ შემთხვევაში, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ დავფიქრდეთ, სად გადის ზღვარი ბავშვის მიერ ოჯახისთვის მისი შესაძლებლობების ფარგლებში დახმარების გაწევასა და ბავშვის უფლებების დარღვევას/მის შრომით თუ სხვა სახის ექსპლუატაციას შორის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მშობლები აღიარებენ და აფასებენ ელენეს დახმარებას, ელენეს უფლებები ირღვევა – იზღუდება მისი განათლების უფლება და იკვეთება შრომითი ექსპლუატაციის ნიშნები. ხშირად, ეს და მსგავსი შემთხვევები კამათს იწვევს, რადგან ფიქრობენ რომ ოჯახებს რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვა გამოსავალი არ აქვთ. ეს პოზიციაც გასაგებია, რადგან, გარდა ოჯახისა, თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო პირობები ოჯახების მხარდაჭერისა და ბავშვის სათანადო განვითარებისთვის, თუმცა, თუ კითხვას ვსვამთ, ირღვევა თუ არა ბავშვის უფლებები, ვისი პასუხისმგებლობაც არ უნდა იყოს ეს, პასუხია – კი.*

კითხვაზე, თუ ვის ევალება ბავშვის უფლებების დაცვა და როგორ? ცალსახა პასუხის გაცემა რთულია. ერთი მხრივ, მშობლები უნდა დაფიქრდნენ და გააცნობიერონ, რამდენად დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდება ელენე, თუ ის ვერ შეძლებს განათლების მიღებას. შესაბამისად, ისინი უნდა შეეცადონ, ნაკლებად დატვირთონ ელენე და მინიმუმამდე დაიყვანონ შემთხვევები, როდესაც ელენე ვერ ახერხებს მეცადინეობას და აცდენს სკოლას. ასევე, მიმართონ სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს დახმარებისთვის. სკოლას შეუძლია დაეხმაროს ელენეს, მის მიმართ ინდივიდუალური ყურადღების გამოჩენით – შეიძლება შესთავაზოს დამატებითი მეცადინეობების ჩატარება როგორც უშუალო შეხვედრების გზით, ასევე, დისტანცი-

ურად, მიაწოდოს საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, ჩართოს შესაბამის პროექტებში და სხვ.

სიტუაციის განხილვის შემდეგ მოსწავლეებს გავაცნოთ შესაბამისი მუხლი ბავშვის უფლებათა კონვენციიდან: ***მუხლი 32**. (1) **მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას**, **დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან**, **რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში**, **ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას**, **ფიზიკურ**, **გონებრივ**, **სულიერ**, **მორალურ და სოციალურ განვითარებას**.*

სიტუაცია 2.

14 წლის ნუცას მუდმივად კონფლიქტი აქვს მშობლებთან იმის გამო, რომ არ სურს სკოლაში სიარული და მეცადინეობა არცერთ საგანში. ნუცა მოცეკვავეა და ურჩევნია, მთელი თავისი დრო ცეკვაში ვარჯიშს დაუთმოს, თავისუფალი დრო კი, მეგობრებთან გაატაროს. იგი მშობლებს ეუბნება, რომ მისი უფლებაა ისწავლის თუ არ ისწავლის და მათი მხრიდან სკოლაში სიარულისა და მეცადინეობის მოთხოვნა ჩვეულებრივი ძალადობაა.

გაანალიზეთ სიტუაცია, მოახდინეთ პრობლემის იდენტიფიცირება. ირღვევა თუ არა ნუცას უფლება?

სასურველია პედაგოგმა მსჯელობა ასე წარმართოს: *ვინაიდან, განათლების მიღების უფლება ბავშვის ერთ-ერთი საბაზისო უფლებაა, მშობლები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ამ უფლების რეალიზება და სკოლაში სიარულისა და მეცადინეობის მოთხოვნა არ შეიძლება ჩაითვალოს ნუცას უფლებების დარღვევად. თუმცა, რა თქმა უნდა, მეცადინეობის მოთხოვნისას, მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ ნუცას ინტერესები და შესაძლებლობები და აქცენტი გააკეთონ არა ყველა საგანში საუკეთესო აკადემიური მოსწრების მოთხოვნაზე, არამედ, განუმარტონ ნუცას, რატომ არის მნიშვნელოვანი სხვადასხვა მეცნიერებაში საბაზისო ცოდნის შეძენა და რაში დაეხმარება ეს ცოდნა მას მომავალში. მშობლებს მხარდაჭერისთვის შეუძლიათ მიმართონ ცეკვის მასწავლებელსაც და სთხოვონ, მანაც განუმარტოს ნუცას სკოლაში სიარულისა და განათლების მიღების მნიშვნელობა.*

განხილვის შემდეგ მოსწავლეებს გავაცნოთ შესაბამისი მუხლი ბავშვის უფლებათა კონვენციიდან: ***მუხლი 28**. (**1**. ა.ბ.) **მონაწილე სახელ-***

მწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს აქვს განათლების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების თანდათანობით განხორციელების მიზნით ისინი, კერძოდ:

ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;

ბ) ხელს უწყობენ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათ ხელმისაწვდომობას და ღებულობენ ისეთ აუცილებელ ზომებს, როგორიცაა უფასო განათლების შემოღება და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა;

მუხლი 14. (2) მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევაში კანონიერ მეურვეთა უფლებებსა და მოვალეობებს, უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლებების იმ მეთოდით განხორციელებაში, რომელიც შეესატყვისება ბავშვის განვითარებად უნარებს.

სიტუაცია 3.

თამთა და ნიკა კლასში პოპულარობით სარგებლობენ. მათ სკოლის ადმინისტრაციას პირობა წაუყენეს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდნენ მონაწილეობას სასკოლო სპექტაკლში, თუ მათთან ერთად მთავარი როლის შესრულებაზე უარს ეტყოდნენ ზუკას, მათივე სმენადაქვეითების მქონე თანაკლასელს. თამთას და ნიკას სიტყვებით, რეპეტიციების გამო ზუკასთან ხანგრძლივი ურთიერთობა მოუწევთ, მათ კი არ აქვთ ჩამორჩენილ ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი.

გააანალიზეთ სიტუაცია, მოახდინეთ პრობლემის იდენტიფიცირება. ირღვევა თუ არა ზუკას უფლება?

სასურველია მსჯელობა ასე წარიმართოს: *რა თქმა უნდა, მოცემულ შემთხვევაში, ცალსახად იკვეთება ზუკას დაჩაგვრის, დისკრიმინაციისა და უფლებების დარღვევის მცდელობა თამთასა და ნიკას მხრიდან. სკოლისთვის ამ ორი მოსწავლის ქცევა საგანგაშო სიგნალი უნდა იყოს, რაც შეიძლება არა მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებულ, არამედ უფრო სიღრმისეულ პრობლემაზე მიუთითებდეს. სკოლას ევალება დაიცვას ზუკას უფლებები და უზრუნველყოს თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება სკოლაში, რისთვისაც საჭირო იქნება ერთი მხრივ, ამ კონკრეტული შემთხვევის და მეორე მხრივ, მთლიანად, სასკოლო კლიმატის საფუძვლიანი ანალიზი. საჭიროა, თამთასთან და ნიკასთან*

კონსტრუქციული საუბარი, კითხვების დასმა, მათი ქცევის მიზეზების ანალიზი, შემდეგ კი, მათთვის არგუმენტირებული განმარტება, თუ რატომ არის მათი პოზიცია მიუღებელი და ერთობლივი შეთანხმება პრობლემის გადაჭრის მიმართულებით. სასკოლო კლიმატის ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნების საფუძველზე, საჭიროა, სკოლამ დაგეგმოს გრძელვადიანი ინტერვენციები, რომლებიც მიმართული იქნება როგორც მოსწავლეებზე, ასევე, მათ მშობლებზე და რომელთა მიზანიც იქნება ჩაგვრის, ძალადობისა და დისკრიმინაციის შემთხვევების პრევენცია და ბავშვის უფლებების, ინკლუზიური განათლების, თანასწორობისა და სამართლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

გავაცნოთ შესაბამისი მუხლი ბავშვის უფლებათა კონვენციიდან: ***მუხლი 2**. (1) მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვეციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად.*

(2) მონაწილე სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას ღებულობენ დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ გამჟღავნებულ მრწამსს.

მუხლი 29. (1) მონაწილე სახელმწიფოები ეთანხმებიან იმას, რომ ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს: (ბ) ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში განცხადებული პრინციპებისადმი პატივისცემის გაღვივებისაკენ.

სიტუაცია 4.

ლადომ უკვე ბევრჯერ დაარღვია ოჯახში შეთანხმებული წესი და მშობლების ქალაქგარეთ ყოფნის დროს, კიდევ ერთხელ გამართა სახლში მეგობრების წვეულება. ლადოს მამამ მისი მკაცრად დასჯა გა-

დაწყვიტა – მას 10 დღის განმავლობაში სახლიდან გასვლა აუკრძალა, მობილური ტელეფონი და ლეპტოპი ჩამოართვა და დაავალა სახლის დალაგებაში ყოველდღე მიეღო მონაწილეობა.

სასურველია მსჯელობა ასე წარიმართოს: *ლადოს მამის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასჯის ფორმასთან დაკავშირებით არ არის ლადოს პრობლემური ქცევის პროპორციული. მართალია, მან ბევრჯერ დაარღვია შეთანხმებული წესი, თუმცა, 10-დღიანი სრული სოციალური იზოლაცია ზედმეტად მკაცრი სასჯელია და ნიშნავს მისი ინდივიდუალობის, განვითარების, მეგობრებთან ურთიერთობის შესაძლებლობების შეზღუდვას და თუ ეს შემთხვევა სკოლაში სწავლის პერიოდს ემთხვევა, მისი განათლების უფლების შეზღუდვასაც. მთლიანობაში, ეს სასჯელი შეიძლება შეფასდეს, როგორც ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობა, ხოლო, საოჯახო საქმეებში იძულებითი ჩართულობა შეიძლება ლადოს მიერ აღიქმებოდეს როგორც ღირსების შემლახავი. გარდა ამისა, სახლის დალაგება, როგორც სასჯელის ფორმა, აღზრდის არასწორ სტრატეგიაზე მიუთითებს, რადგან საოჯახო საქმეებში ჩართულობა არა სასჯელი, არამედ ჩვეულებრივ პასუხისმგებლობად უნდა განიხილებოდეს ოჯახის ყველა წევრისთვის, ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისად. რადგან ლადო პერმანენტულად არღვევს შეთანხმებულ წესს, მნიშვნელოვანია, მშობლებმა კიდევ ერთხელ გადახედონ წესებსა და შეთანხმებებს, ისაუბრონ ლადოსთან, დარწმუნდნენ, რომ იგი ნამდვილად ეთანხმება ამ წესს და არა იმიტომ, რომ იძულებულია ასე მოიქცეს. გარდა ამისა, მათ შეიძლება ლადოსთან ერთად განიხილონ, კონკრეტულად, რა მიზეზები აქვს ლადოს იმისთვის, რომ ურჩევნია წვეულება მშობლების არყოფნისას გამართოს. იქნებ შეიძლება შეთანხმდნენ გარკვეულ პირობებზე, რომლებსაც ლადოც დაიცავს და მშობლებიც და წვეულებები ორივე ან ერთ-ერთი მშობლის სახლში ყოფნისას გამართოს? ნებისმიერ შემთხვევაში, მშობლებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ლადოსთვის მნიშვნელოვანია მეგობრების სახლში მოწვევა და უნდა შეეცადონ, მას ამის შესაძლებლობა ჰქონდეს შესაბამისი პირობების დაცვით.*

სიტუაციის განხილვის დროს ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე და გავაცნოთ შესაბამისი მუხლი ბავშვის უფლებათა კონვენციიდან: ***მუხლი 19. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ***

და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით.

სიტუაცია 5.

14 წლის ლუკა კლასის პრეზიდენტად აირჩიეს. დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმიანობას. თანაკლასელებსა და კლასის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მან ზოგიერთ გამოწვევასთან დაკავშირებული რამდენიმე წინადადება მოამზადა დირექციასთან განსახილველად და კლასის ხელმძღვანელთან ერთად წარადგინა ისინი. დირექციასთან დისკუსიისას დამატებითი პრობლემური საკითხი გამოიკვეთა, რასთან დაკავშირებითაც კლასის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებებს შემდეგ შეხვედრაზე გააცნობდნენ, მას შემდეგ, რაც საკითხს მთელს კლასთან განიხილავდნენ. თუმცა, ლუკამ თქვა, რომ აღნიშნულ საკითხზე თანაკლასელების მოსაზრება ისედაც იცოდა, კლასის პოზიციის გასამყარებელი არგუმენტების მოყვანაც შეეძლო და ამიტომ, ჯობდა, ამავე შეხვედრაზე დაეწყოთ განხილვა. კლასის ხელმძღვანელი მას შეეკამათა და უთხრა, რომ საერთო შეთანხმების გარეშე მას არ აქვს უფლება პოზიციის დაფიქსირების, შესაბამისად, მოითხოვა შეხვედრის დასრულება და ისინი დირექციას დაემშვიდობნენ. საღამოს ლუკამ კლასის ხელმძღვანელისგან შეტყობინება მიიღო, სადაც იგი წერდა, რომ ლუკას სერიოზულად შეეშალა მასთან ურთიერთობაში, რადგან დირექციის წინაშე მის მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინა და ისე გამოვიდა, რომ კლასის ხელმძღვანელის აზრს არაფრად აგდებდა. იგი წერდა, რომ შესაბამისად, საჭირო იყო ამ ინციდენტის განხილვა და იმაზე მსჯელობა, თუ როგორ უნდა აკონტროლოს ლუკამ საკუთარი თავი მომავალში, ხოლო, თუ ამას ვერ შეძლებს, განიხილავს მის მიერ პრეზიდენტის პოსტის დატოვებას. ლუკა კარგად ვერ მიხვდა, რატომ მიიჩნია მასწავლებელმა მისი საქციელი უპატივცემულობად და იმდენად ინერვიულა, რომ მშობლებსაც გაუზიარა ეს ამბავი. მთელი ღამე ნერვიულობაში გაატარა და დილით გამოუძინებელი წავიდა სკოლაში.

სასურველია მსჯელობა ასე წარიმართოს: *მასწავლებლის მხრიდან აშკარად სახეზეა ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობა და მისი აზრის გამოხატვის უფლების დარღვევა. ლუკას მიერ კლასის ხელმძღვანელისგან განსხვავებული პოზიციის გამოხატვა, ამავე შეხვედრაზე განეხილათ დამატებითი საკითხიც, არ შეიძლება ჩაითვალოს კლასის ხელმძღვანელისადმი უპატივცემულობად, რადგან მას სრული უფლება ჰქონდა გამოეხატა საკუთარი განსხვავებული აზრი. მასწავლებლის მიერ სასაყვედურო შეტყობინების გაგზავნა, რომელიც ცალსახად არაკონსტრუქციული და მუქარის შემცველიც კი იყო, არასწორი, არაპედაგოგიური მიდგომაა, რომელშიც ჩანს, რომ მას არ აქვს საკმარისი ცოდნა ბავშვის განვითარებისა და ფსიქოლოგიის მიმართულებით და ვერ აცნობიერებს, რამდენად რთულ ემოციურ მდგომარეობაში შეიძლება ჩააგდოს ამ ფაქტმა მოზარდი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული დამატებითი საკითხის განხილვით იმავე შეხვედრაზე რომელიმე კლასელის ან კლასელების უფლება ან რეპუტაცია შეილახებოდა (კონვენციის მე-13 მუხლი), მასწავლებელს შეეძლო იმავე შეხვედრაზე არგუმენტირებულად დაესაბუთებინა ეს ლუკასთვის და ამით დაესრულებინა ამ შემთხვევის განხილვა.*

განხილვის შემდეგ მოსწავლეებს გავაცნოთ შესაბამისი მუხლი ბავშვის უფლებათა კონვენციიდან: ***მუხლი 13. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.***

2. ამ უფლების განხორციელება, შესაძლოა, ერთგვარად შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი უნდა იყოს:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;

ბ) სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის.

მუხლი 28. (2) მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას მიმართავენ, რათა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება.

მუხლი 19. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას

ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით.

„ბავშვებმა უნდა იცოდნენ რა უფლებებს ფლობენ ისინი, მაგრამ მათ ასევე უნდა ისწავლონ როგორ დააფასონ ეს უფლებები და როგორ ისარგებლონ ამ უფლებებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სკოლამ უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების შესახებ სწავლებისათვის შესაფერისი გარემოსა და შესაძლებლობების შექმნა. ბავშვები საკუთარ უფლებებს აცნობიერებენ და აფასებენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სარგებლობენ ამ უფლებებით როგორც სკოლაში, ასევე სკოლის ფარგლებს გარეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსწავლეთა წასახალისებლად მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ეფუძნება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა პრინციპებს“ (**გოლობი**, **2013:118**).

სიტუაცია 6.

ჩემს კლასში ამ ბოლო დროს სიტუაცია დაიძაბა. ჩემი კლასელი ელენე გუგამ და მიშიკომ ამოიჩემა, მუდმივად დასცინიან. გუშინ დღიური მოპარეს, ელენეს საიდუმლოებებს ხმამაღლა კითხულობდნენ და „ხალისობდნენ“. საწყალი ელენე კი თვალცრემლიანი სახით უსმენდა, მაგრამ პროტესტი არ გამოუთქვამს. კლასიდან არცერთი ბავშვი არ გამოსარჩლებია ელენეს, ყველა გულგრილად ისმენდა ელენეს დამცირებას. ძალიან მადარდებს არა მარტო გუგას და მიშიკოს საქციელი, არამედ კლასის გულგრილობაც. ჩვენი კლასის დამრიგებელი საქმის კურსშია, მაგრამ არაფერს არ აკეთებს ამის აღმოსაფხვრელად.

გააანალიზეთ სიტუაცია

პრობლემის ანალიზი: კლასში ელენეს მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულებაა, ორი მოსწავლე ამჟღავნებს არატოლერანტული დამოკიდებულების ისეთ ფორმას, როგორიც არის დაცინვა, ხოლო კლასის დიდი უმრავლესობა იგნორირებას უკეთებს ამ ფაქტს, ე.ი. გულგრილობას იჩენენ. არცერთ მოსწავლეს კლასში და განსაკუთრებით გუგას და მიშიკოს არ აქვთ ემპათიის განცდა, მათ არ შეუძლიათ ჩაწვ-

დნენ სხვის სუბიექტურ რეალობას, ელენეს თვალით შეხედონ სიტუაციას, მიხვდნენ, რას გრძნობს სხვა, როცა მას დასცინიან, აბუჩად იგდებენ. აქ იკვეთება ელენეს პრობლემაც, ელენეს არ აქვს თავის დაცვის უნარი, იგი არ არის ასერტული, ე.ი. გამოხატო და დაიცვა საკუთარი გრძნობები და უფლებები ისე, რომ არ დაარღვიო სხვების უფლებები. თუ ასე გაგრძელდა, გუგა და მიშიკო ჩამოყალიბდებიან მჩაგვრელებად, როდესაც მასზე სუსტს შეხვდებიან, ელენე ვერ დაიცავს საკუთარ თავს და მუდმივად ჩაგრულის პოზიციაში იქნება, ხოლო კლასის დიდი ნაწილი კი საზოგადოების გულგრილ წევრებად ჩამოყალიბდებიან.

პრობლემის გადაჭრის გზები: *შესაძლოა მასწავლებელმა გამოიყენოს როლური თამაში, სადაც გუგა და მიშიკო საზოგადოების პასიურ და მიუღებელ წევრებად აღმოჩნდებიან, შემდეგ უნდა გაიმართოს დისკუსია, თუ რა განცდები დაეუფლათ, რას გრძნობდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სხვები, რომ მიეღოთ ესენი მათ წრეში. შესაძლებელია, რომ მას შემდეგ, რაც გუგა და მიშიკო თავის თავზე გამოცდიან გარიყულობას, გაეღვიძოთ ემპათიის გრძნობა და შეცვალონ დამოკიდებულება ელენესადმი. მაგრამ მასწავლებელს ამ აქტივობის განსახორციელებლად დიდი სიფრთხილე და გაწაფულობა სჭირდება. მთელ კლასთან კი მასწავლებელმა უნდა იმუშაოს ემპათიური გრძნობის განვითარებაზე, ამისთვის უნდა დაგეგმოს საქველმოქმედო აქციები მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით. ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა, ბავშვთა თუ მოხუცებულთა სახლებზე შეფობის აღება და პერიოდულად მათთან ვიზიტები. ელენეს კი მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ასერტული ქცევა – ასწავლოს გამოხატოს რას გრძნობს, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, დაინტერესდეს მოწინააღმდეგის მოსაზრებით საკითხთან დაკავშირებით, ე.ი. დაამყაროს უკუკავშირი მეორე მხარესთან. ასეთი მიდგომა კლასში შექმნის მეგობრულ, ემპათიურ, ტოლერანტულ გარემოს* (**ტრენინგ-მოდული წამყვანი მასწავლებლებისათვის „როგორ განვავითაროთ მოსწავლეებში პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარები“. მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი**, **2019**).

სიტუაცია 7.

მე-11 კლასის მოსწავლე გოგონას თმა ჰქონდა ლურჯად შეღებილი, რის გამოც ბულინგის მსხვერპლი გახდა მასწავლებლების მხრიდან. კონკრეტულად კი, ინგლისურის მასწავლებელი შეურაცხმყოფელი

ფრაზებით მიმართავდა გაკვეთილზე კლასის წინაშე: „რას ჰგავხარ“ „სახლში პატრონი არ გყავს, ამხელა გოგოს“, „ამ თმით გაკვეთილზე შემოსული არ დაგინახო“. როგორც გაირკვა, მხოლოდ ინგლისურის მასწავლებელი არ ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, სხვა მასწავლებლებიც თითს იშვერდნენ გოგონას მიმართულებით და დამამცირებელ ფრაზებს ეძახდნენ. მე-11 კლასელი ბავშვის თმის ფერი სკოლის სამასწავლებლო ოთახში მთავარი განხილვის საგანი იყო მთელი ერთი წლის მანძილზე, რადგან ეს ბავშვი თმის ფერს სპეციალურად არ იცვლიდა. რეაგირება სკოლას მასწავლებლების ბულინგის ფაქტზე არ ჰქონია, რადგან ფაქტობრივად მთელი სკოლა ჩართული იყო ამ პროცესში. სასწავლო წელი ისე დამთავრდა, რომ მოსწავლის ფსიქოლოგიურ-ფსიქიკური მდგომარეობა არც სკოლას და არც კონკრეტულად დამრიგებელს არ გამოუკვლევია.

რეკომენდაცია: 17 წლის ასაკში, მსგავსი ქცევა მოზარდების მხრიდან რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას: თვითდამკვიდრება; ყურადღების მიქცევა; თვითგამოხატვა; პროტესტი. ასაკობრივი მახასიათებლების მიხედვით სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემო მყოფებთან. ემოციური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა გრძნობების გაგება (თანაგრძნობა) და სათანადოდ რეაგირება. სოციალურ-ემოციური სფერო თავის მხრივ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: თვითიდენტობა („მე“-კონცეფცია) – ეს არის ადამიანის წარმოდგენა საკუთარი თავის შესახებ: ვინ ვარ მე? რომელ ჯგუფს ვაკუთვნებ ჩემს თავს? ბავშვი მიაკუთვნებს საკუთარ თავს გარკვეულ სქესს, ეროვნებას და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში საკუთარ კლასს, მეგობრების ჯგუფს. თვითშეფასება – ეს არის ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ, როგორ აფასებს საკუთარ თავსა და ქცევას – დადებითად თუ უარყოფითად, აგრეთვე საკუთარი თავის რწმენასა და იმედს, რომ წარმატებული იქნება ამა თუ იმ საქმიანობაში ან სხვებთან ურთიერთობის დროს. თვითმართვა – გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს, რაც მოიცავს სტრესული სიტუაციების დაძლევას, იმედგაცრუების და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. ქეისში არაფერია ნათქვამი ბავშვის თვითმართვის უნარებზე, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჯიუტი

წინააღმდეგობით ცდილობდა სტრესი დაეძლია. თვითგამოხატვა – გულისხმობს ადამიანის უნარს სწორად გაიგოს საკუთარი განცდები და სათანადოდ გამოხატოს საკუთარი თავი, დამოკიდებულებები და გრძნობები. თმის ლურჯად შეღებვა სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი თვითგამოხატვა. ურთიერთობა – ეს არის ადამიანებს ან ჯგუფებს შორის კავშირის დამყარების პროცესი, რომელიც რთული და მრავალმხრივია. ბავშვი ჯერ იწყებს უფროსთან ურთიერთობას და შემდეგ ვითარდება ურთიერთობა თანატოლებთან. ამ შემთხვევაში ჩვენს გოგონას არ გაუმართლა და ის უფროსების ბულინგის მსხვერპლად იქცა. სოციალური ქცევა – გულისხმობს მოზარდის უნარს შეეგუოს იმ ადამიანებს, რომლებთანაც უწევს ურთიერთობა და იმ სიტუაციას, რომელშიც იმყოფება. ერთი მხრივ, გამოამჟღავნოს ნდობა, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და, მეორე მხრივ, გაუგოს სხვას. ეს ასპექტი მჭიდროდაა დაკავშირებული როლური უნარ-ჩვევების განვითარებასთან, რაც გულისხმობს მოვლენათა სოციალური კონტექსტის სხვადასხვა პერსპექტივიდან, სხვადასხვა პოზიციიდან დანახვისა და შეფასების უნარს. სხვისი როლის გათავისების უნარის უქონლობა მოზარდს ხელს უშლის დაინახოს მოვლენები სხვა ადამიანის თვალთახედვიდან, თანაუგრძნოს სხვა ადამიანს. ასაკობრივ ზრდასთან ერთად მოზარდს ეს უნარი უვითარდება, რაც სხვების მიმართ კეთილგანწყობასა და სოციალური სიტუაციების სწორ შეფასებაში მჟღავნდება.

ძირითადი სტრატეგიები: ყველა მოზარდი საჭიროებს სიყვარულსა და მზრუნველობას. მათ შორის ჩვენი ქეისის გმირი გოგონაც. მშობელი უნდა დაეყრდნოს რამდენიმე, ასეთ შემთხვევაში, ეფექტურ რეკომენდაციას: დაეხმაროს მოზარდს საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით; შეაქოს და პოზიტიური განწყობა შეუქმნას, თუნდაც არ მოსწონდეს მისი ლურჯი თმა; მისცეს დადებითი მაგალითი ემოციების მართვისას; მიაქციოს ყურადღება მოზარდის დამოკიდებულებას განსხვავებული ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, წაახალისოს განსხვავების მიმართ შემწყნარებლობა; აჩვენოს დადებითი მაგალითი კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას; არ იყოს მის მიმართ აგრესიული და უსამართლო. გახსოვდეთ, მოზარდი წაბაძვით სწავლობს და მშობლის, მასწავლებლის დადებითი მაგალითი ძალზედ მნიშვნელოვანია (**გოგოლაძე**, **2019**).

სიტუაცია 8.

ამბავი X სკოლის მე-11 კლასში მოხდა. ერთ-ერთი ბავშვი, რომელიც სტიქაროსანი იყო თანაკლასელების მხრიდან ბულინგის მსხვერპლი გახდა თავისი რელიგიური შეხედულების გამო. გაკვეთილზე, სამმა ბიჭმა უხეშად და დამამცირებლად მიმართეს სტიქაროსან მოსწავლეს და შეურაცხყვეს მისი რწმენა. თავდაპირველად სტიქაროსანმა მოსწავლემ ბიჭებს სთხოვა ტაქტიანად ესაუბრათ მის რელიგიურ შეხედულებებზე, თუმცა უშედეგოდ. იგივე ფაქტის განმეორების შემდეგ მოსწავლემ ამჯერად დამრიგებელს მიმართა თხოვნით, რომ როგორმე ეს პრობლემა მოეგვარებინა კლასში, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ, რადგან მასწავლებელს არცერთ ბიჭთან არ უსაუბრია. საბოლოოდ აღმოჩნდა რომ ერთ-ერთი მოსწავლე იმ სამიდან ოქროს მედალოსანი და საკმაოდ გავლენიანი პიროვნების შვილი იყო, რის გამოც მასწავლებელი თავს იკავებდა ჩარევისგან და აშკარა რელიგიურ დისკრიმინაციაზე თვალს ხუჭავდა.

რეკომენდაცია: მასწავლებელი ვალდებულია აღნიშნული ფაქტი მკაცრად გააკონტროლოს და არ დაუშვას ძალადობის განმეორება. რელიგიური თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაცია იკრძალება კანონის ფარგლებში, რის შესახებაც მოსწავლეები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი. მასწავლებლის მოვალეობაა დაგეგმოს კონფლიქტის გადაჭრის გზები, შეაფასოს პრობლემა და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს კანონით დაკისრებული ვალდებულება, რეფერირება.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები: ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის, გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 10 დეკემბრის №869 განკარგულება, ეს ბრძანება და სხვა სამართლებრივი აქტები (მუხლი 2) (**გოგოლაძე**, **2019**).

სიტუაცია 9.

მე-7 კლასში ვსწავლობ, ლუკა მქვია. კლასში უცნაურს მეძახიან. ალბათ იმიტომ, რომ სიწყნარე მიყვარს, ხატვა და კითხვა. არასდროს ვაქტიურობ, მაგრამ გაკვეთილების სწავლა მომწონს. განსაკუთრებით ქართულის, ისტორიის და ხელოვნების. საინტერესო გაკვეთილებია. მასწავლებლებთან ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და ვიცი, რომ მათაც ვუყვარვარ. კლასელებთან ვერ ვმეგობრობ, მხოლოდ ირაკლისთან ვარ ახლოს. კლასელი ბიჭებისგან მუდმივად ვგრძნობ დამამცირებელ გამოხედვასა და სიტყვიერი შეურაცხყოფებიც არის. ყოველთვის ვეუბნები, რომ არ მინდა უთანხმოება და ჩხუბი, მაგრამ ისინი თითქოს ერთობიან ჩემი დამცირებით. ირაკლიც არიდებს თავს მათთან უთანხმოებას. ეს სიტუაცია ასატანი იყო მანამ, სანამ ერთ-ერთი კლასელი ფიზიკურად არ დამიპირისპირდა და უცენზურო სიტყვებითაც მომმართა. ინციდენტი სპორტის გაკვეთილზე მოხდა. მასწავლებელმა მხოლოდ ჩემი საპასუხო ხელის კვრა დაინახა და სასწავლო ნაწილთან გამიშვა მანდატურთან ერთად. კითხვებს არ ვპასუხობდი. ვიფიქრე, რომ ეს უშედეგო იქნებოდა, მაგრამ სასწავლო ნაწილმა გამოკითხვა დაიწყო. არ სჯეროდა, რომ მე კონფლიქტს გამოვიწვევდი და ბოლომდე გაარკვია პრობლემა. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, თითქოს ყველა პრობლემა დამთავრდა და მე ვიგრძენი მხარდაჭერა არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ კლასელების მხრიდანაც. მათ აღიარეს, რომ ხედავდნენ ჩემ მიმართ განხორციელებულ ყველა შეურაცხმყოფელ ქმედებას და არ მოსწონდათ, თუმცა არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. სასწავლო ნაწილის ჩარევის შემდეგ კი ყველამ დააფიქსირა თავიანთი პოზიცია და ახლა მშვიდად ვგრძნობ თავს.

რეკომენდაცია: რა არის ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობა? ემოციური ძალადობა გულისხმობს ბავშვთან მუდმივად ისეთი ურთიერთობის ფორმების გამოყენებას, რომელიც იწვევს ემოციურ ტკივილს. ასეთი ურთიერთობის ფორმებში შეიძლება შედიოდეს: შეურაცხყოფის მიყენება, კრიტიკა, აგრესიული და ასაკისთვის შეუფერებელი მოთხოვნების წაყენება, დაშინება, ბავშვის აუცილებელი მოთხოვნილებების უგულებელყოფა, სითბოსა და მზრუნველობის მოკლება, უსამართლო ბრალდებების წაყენება, ემოციური მანიპულაცია, გადამეტებული კონტროლი, იზოლირება, დაცინვა და დამცინავი სახელებით მიმართვა სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუდმივად გაკრიტიკება – ბავშვის მუდმივი დამცირება, დაცინვა, კრიტიკა, შე-

რცხვენა (განსაკუთრებით სხვების თანდასწრებით) და ყვირილი – ეს ყველაფერი ფსიქოლოგიური ძალადობის ელემენტებია. ბულინგი/ჩაგვრა, ეს არის პირდაპირი ძალადობა, საკმაოდ უსიამოვნო ფაქტი, რაც კი შეიძლება მოხდეს სკოლის არეალში. რაც შეეხება შევიწროებას, ეს ჩნდება მაშინ, როდესაც მოსწავლე განიცდის ბულინგს, მისი პიროვნული მახასიათებლების გამო. ანუ განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება მოსწავლის გენდერი, წარმომავლობა ან ქმედუუნარობა.

ბულინგისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია შემდეგი გარემოებები: ეს არის აგრესიული სახის ქცევა, რომელსაც განმეორებადი ხასიათი აქვს; მჩაგვრელს აქვს მეტი ძალაუფლება, ვიდრე დაჩაგრულს (უფრო ძლიერია ფიზიკურად, ან სტატუსით უფრო მაღლა დგას); მჩაგვრელის ქმედება არის წინასწარ განზრახული; მჩაგვრელი არ იღებს პასუხისმგებლობას ჩადენილ საქციელზე და ხშირად აღნიშნავს, რომ მსხვერპლმა „დაიმსახურა“ ასეთი მოპყრობა. ხშირ შემთხვევაში ბავშვი, რომელიც არის ჩაგვრის მსხვერპლი, არ საუბრობს საკუთარ პრობლემებზე. თუმცა შეიძლება არსებობდეს ნიშნები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვს ჩაგრავენ და სჭირდება უფროსების მხრიდან მხარდაჭერა, ყურადღება, მოსმენა. ჩვენი შემთხვევა ამ მხარდაჭერის საუკეთესო მაგალითია, როცა მშობელი, მასწავლებელი ცდილობს გამოასწოროს მდგომარეობა, ენდოს მოზარდს, მოუსმინოს მას და პრობლემის ანალიზი გააკეთოს (**გოგოლაძე**, **2019**).

განვიხილოთ სიტუაციები სასკოლო ცხოვრებიდან, რომელსაც გვთავაზობს მ. ინასარიძე, ს. ლობჟანიძე, შ. მამუკაძე სახელმძღვანელოში (**ინასარიძე**, **2009**) თითოეული სიტუაცია გაანალიზებულია განათლების სპეციალისტის, მასწავლებლის, ფსიქოლოგის პოზიციიდან. აღნიშნული სიტუაციების ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, პრაქტიკოს პედაგოგებთან.

პედაგოგიური სიტუაცია 1.

მოსწავლე გვიამბობს: „ბოლო დროს თმის ცვენა დამეწყო. ბევრ ექიმთან ვიყავი, მკურნალობაც ჩავიტარე, მაგრამ უშედეგოდ. თმა თავზე თითქმის აღარ მაქვს. კანი მიჩანს. ძალიან განვიცდი ამას. მთელი ზაფხული ქუდით დავდიოდი. ძალიან ვნერვიულობდი იმაზე, რომ კლასში ბავშვები დამცინებდნენ. სკოლაშიც ქუდით მივედი და ასე დავდიოდი. ერთ-ერთი მასწავლებელი მთელი კვირის განმავლო-

ბაში შენიშვნას მაძლევდა და დაჟინებით მთხოვდა ქუდის მოხდას. მე არ ვემორჩილებოდი. ერთხელაც, გაკვეთილზე შესვლისთანავე, კატეგორიულად გამომიცხადა: ან ქუდს მოიხდი, ან გაბრძანდი გაკვეთილიდანო. მე გაკვეთილიდან გამოსვლა ვარჩიე.

როგორ ახსნის ამ პრობლემას მასწავლებელი: *კლასში მოსწავლის ქუდით ჯდომა ქცევის მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება. ეს კლასისა და მასწავლებლისადმი ერთგვარი უპატივცემულო დამოკიდებულების გამოხატულებად მიიჩნევა. ამიტომ მასწავლებლის რეაქცია ბუნებრივია. მოსწავლის დაუმორჩილებლობამ ის კიდევ უფრო გააღიზიანა და, სავარაუდოდ, ამით არის გამოწვეული მისი კატეგორიული ტონი. ფაქტია: კლასში სიტუაცია გართულდა. მიუხედავად ზემოთქმულისა, ცხადია, რომ ბრალი ამაში დიდწილად მასწავლებელს მიუძღვის და აი რატომ: პედაგოგი არ დაინტერესებულა, რატომ არ იხდიდა, მისი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, მოსწავლე ქუდს. შესაბამისად, იგი ვერ მოიპოვებდა მოსწავლის თვალში ნდობას, რომ ბავშვს მისთვის გაეზიარებინა პრობლემა, რომელსაც თავად ესოდენ ტრაგიკულად აღიქვამდა. მოსწავლის ნდობის მოპოვების ერთ-ერთი საუკეთესო გზა მოსწავლეთა აზრებისადმი გულისყურითა და სერიოზულობით მოკიდება და მათი პირადი პრობლემებით დაინტერესებაა. პედაგოგი უნდა იყოს მრჩეველი არა მარტო სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სიძნელეების გადალახვაში, არამედ, მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, დაეხმაროს მას პირადი პრობლემების მოგვარებაშიც.*

როგორ ახსნის ამ პრობლემას განათლების სპეციალისტი: *პედაგოგმა თავისი შეუვალი პრინციპულობით შექმნა კონფლიქტური სიტუაცია. აღსანიშნავია, რომ მოსწავლის კლასიდან გაშვებით მასწავლებელმა დაუშვა კიდევ ერთი შეცდომა: მოზარდი დატოვა უმეთვალყურეოდ. ამით მან უღალატა პროფესიულ პასუხისმგებლობას. სასწავლო პროცესის დროს პედაგოგმა უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის უსაფრთხოება (არა მარტო ფიზიკური, არამედ ინტელექტუალური და ემოციურიც). თუ გაკვეთილის მიმდინარეობისას ბავშვს რაიმე შეემთხვევა, პასუხი, უპირველეს ყოვლისა, მას მოეთხოვება. ემოციური უსაფრთხოება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური. მასწავლებელს უნდა შეექმნა კლასში ისეთი სიტუაცია, რომ ბავშვს თავისი განსხვავებულობის გამო უხერხულად არ ეგრძნო თავი და გაექარწყლებინა მისთვის თანაკლასელების დაცინვის შიში.*

როგორ ახსნის ამ პრობლემას ფსიქოლოგი: *პედაგოგს, ბუნებრივია, არ უნდა გაეშვა ბავშვი კლასიდან. გაკვეთილის მსვლელობისას აღარ უნდა გაემახვილებინა ყურადღება მოსწავლის გაჯიუტებაზე, გაკვეთილების დასრულების შემდეგ კი გასაუბრებოდა ბავშვს. ალბათ, არ მოიძებნება მასწავლებელი, რომელიც გაიგებდა ქუდის ტარების ნამდვილ მიზეზს და არ მისცემდა მოსწავლეს სკოლაში თავსაბურავით სიარულის უფლებას. სანამ მოსწავლეს შენიშვნებით აავსებდა, მას უნდა ეცადა ჯერ ბავშვთან პირისპირ საუბარი. თუ მოსწავლე არ გაუმჟღავნებდა მას საკუთარ პრობლემას, მიემართა მშობლისთვის, რომლისგანაც ის გაიგებდა ბავშვის ქცევის ნამდვილ მოტივს. შეიტყობდა რა მოსწავლის ქცევის ნამდვილ მიზეზს, მასწავლებელს ყველაფერი უნდა ელონა, რომ ბავშვს უფრო მსუბუქად აღექვა თავისი პრობლემა. ის უნდა გასაუბრებოდა კლასს, მაგრამ არა კონკრეტულად ამ ბიჭის პრობლემაზე (სასურველია, არა მისი თანდასწრებით). მათ ერთად უნდა ემსჯელათ შემწყნარებლობის, თანაგრძნობის მნიშვნელობაზე.*

სიტუაცია 2.

მოსწავლე მოგვითხრობს: „ჩემს კლასში სწავლობს ბიჭი, რომელსაც აქვს განსხვავებული ვარცხნილობა და აცვია განსხვავებულად. არცერთ მასწავლებელს არ მოსწონს მისი ჩაცმულობა და ვარცხნილობა. ბევრჯერ სთხოვეს, რომ სკოლაში ასე აღარ მოსულიყო, მაგრამ გიორგის არაფერი შეუცვლია. ერთი კვირის წინ ქიმიის მასწავლებელმა მას მთელი კლასის წინაშე უყვირა: „რას ჰგავხარ, როგორ გაცვია, სახლიდან ასე როგორ გიშვებენ?.“. რაზეც გიორგიმ უპასუხა, რომ ის ჩაიცვამდა ისე, როგორც მას მოსწონს. მასწავლებელი დიდხანს ლანძღავდა „ახლანდელ თაობასა და ახლანდელ ბავშვებს“.

როგორ ახსნის ამ პრობლემას მასწავლებელი: *სიტუაციიდან ჩვენთვის უცნობია, თუ რას გულისხმობდა თავისი თანაკლასელის შესახებ ნათქვამ ფრაზაში მთხრობელი მოსწავლე: „ბიჭი, რომელსაც აქვს განსხვავებული ვარცხნილობა და აცვია განსხვავებულად“. ეს ფრაზა რომ მასწავლებლის მიერ იყოს ნათქვამი, შეიძლება ჩაგვეთვალა, რომ მოსწავლე იცვამს თავისი ასაკისთვის დამახასიათებელი გამომწვევი სტილითა და გამიზნულად ხაზგასმული დაუდევრობით, რაც მიუღებელია უფროსი თაობისათვის. მაგრამ გიორგის ჩაცმულობისა და ვარცხნილობის განსხვავებულობაზე ლაპარაკობს მისივე თანაკლასელი და თანატოლი. როგორც ჩანს, ბიჭის გარეგნული იერი მისთვი-*

საც უჩვეულოა და განსხვავდება სხვა თანატოლების ვარცხნილობისა და ჩაცმულობისაგან. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ყველა მასწავლებელი მაინცდამაინც გიორგის გარეგნული სახის მიმართ გამოთქვამს უკმაყოფილებას, ზოგიერთი კი აშკარად ავლენს აგრესიას, როგორც აღწერილ სიტუაციაში ქიმიის მასწავლებელი.

როგორ ახსნის ამ პრობლემას განათლების სპეციალისტი: *ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რით არის განსხვავებული გიორგის ჩაცმულობა და ვარცხნილობა: შეესაბამება თუ არა მის ასაკს, სქესს, ელემენტარული ეთიკის ნორმებს. თუ გიორგის ტანსაცმლისა და ვარცხნილობის განსხვავებულობა არ ეწინააღმდეგება სკოლის შინაგანაწესით დადგენილ წესებს, მაშინ გიორგის პედაგოგები და, კერძოდ, ქიმიის მასწავლებელი არ უტოვებენ მას თავისუფალი არჩევანის საშუალებას, რაც მოსწავლის პიროვნული უფლებაა. ბავშვების გამომწვევი გარეგნული იერი, მათი ჩაცმულობა შესაძლოა იყოს პროტესტის ნიშანი, საკუთარი ინდივიდუალობის ხაზგასმა, მსოფლმხედველობრივი კუთვნილების გამოძახილი. მასწავლებელი რომ დაინტერესებულიყო იმით, თუ რა განაპირობებდა გიორგის გამორჩეულობის სურვილს, გულისყურით მოესმინა მოსწავლის აზრი, შეექმნა გულწრფელობისა და გულახდილობის ატმოსფერო, შესაძლოა, კონფლიქტური სიტუაცია არ წარმოქმნილიყო. მოსწავლე გვიამბობს, რომ მასწავლებელი დიდხანს ლანძღავდა ახლანდელ თაობას. ამით პედაგოგმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. განაზოგადა რა კონკრეტული მოსწავლის ქცევა, სხვა მოსწავლეების უკმაყოფილებაც გამოიწვია, რაზეც ეს მონათხრობი მეტყველებს. ამასთან მან არამიზნობრივად გამოიყენა გაკვეთილისათვის განკუთვნილი დრო.*

როგორ ახსნის ამ პრობლემას ფსიქოლოგი: *მასწავლებელი უნდა იცნობდეს იმ თაობის ინტერესებსა და გემოვნებას, რომელსაც ეკუთვნიან მისი მოსწავლეები, რათა შეძლოს ამ ინტერესების გათვალისწინება სწავლებასა და ურთიერთობებში. თუ გიორგის ჩაცმულობა და ვარცხნილობა საშიშროებას უქმნის სასწავლო პროცესის მსვლელობას, მასწავლებელმა, პირველ რიგში, უნდა გაარკვიოს, რა საფუძველი აქვს მოსწავლის განსხვავებულ გარეგნობას. ამისათვის მან უნდა სცადოს ბავშვთან პირისპირ გულახდილი და გულწრფელი საუბარი. მოსწავლესთან დიალოგი და გულახდილი საუბარი კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ის ხედავს, რომ მის აზრებს სერიოზულად ეკიდებიან და მის ინტერესებს ითვალისწინებენ. თუ მასწავლებელი ამოწურავს მოსწავლესთან თანამშრომლობის ყველა*

გზას, სასურველია, ამ პრობლემის გადაჭრა მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობით სცადოს. თუ სკოლის შინაგანაწესში არ არის პუნქტი მოსწავლეთა ჩაცმულობაზე, მაშინ სასურველია, პედაგოგმა რეკომენდაციით მიმართოს სკოლის დირექციას შინაგანაწესში შესაბამისი პუნქტის შეტანის თაობაზე. ზოგადად, მიზანშეწონილია, რომ მასწავლებელმა არ გაამახვილოს ყურადღება და უკომენტაროდ დატოვოს გაკვეთილის მსვლელობისას განსხვავებულად ჩაცმული მოსწავლე, რადგან ზოგჯერ მოსწავლეთა უცნაურ ან დაუდევარ ჩაცმულობასა და ვარცხნილობას სწორედ უფროსთა მხრიდან ყურადღების მიქცევის ან მათი გამოწვევის სურვილი განაპირობებს (**ინასარიძე, 2009**).

სიტუაცია 3.

მასწავლებელი გვიამბობს: „სკოლა დიდი ღონისძიებისთვის ემზადებოდა. მზადებას სათავეში ედგა უცხოური ენის მასწავლებელი. მთელი ექვსი თვის განმავლობაში იგი თავდაუზოგავად შრომობდა, გამოიყენა სკოლაში არსებული ყველა რესურსი: მოსწავლეებთან ერთად დაწერა სცენარი, მუსიკის პედაგოგთან ერთად შეარჩია მუსიკალური ფონი, ატარებდა რეპეტიციებს, გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი დაიხმარა კოსტიუმების შესაკერად. არაჩვეულებრივი სპექტაკლი გამოვიდა. მასზე მოწვეული იყვნენ მშობლები, მეზობელი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, რაიონის ხელმძღვანელობა, საზოგადოების წარმომადგენლები. დაიწყო წარმოდგენა და სცენაზე ერთ-ერთი გოგონა კოსტიუმის ნაცვლად ჩვეულებრივი ტანსაცმლით გამოვიდა, რამაც სრული დისონანსი შეიტანა წარმოდგენაში. სპექტაკლის შემდეგ, როდესაც სტუმრები დაიშალნენ, მასწავლებელმა თავი ვერ შეიკავა და მოსწავლეებისა და მშობლების თვალწინ გალანძღა გოგონა, ფიზიკურადაც შეეხო: თმა მოქაჩა. ბავშვი თავს იმართლებდა, რომ დააგვიანდა და ვერ მოასწრო ტანსაცმლის გამოცვლა. მასწავლებელმა არ მიიღო მოსწავლის ახსნა-განმარტება და განაგრძობდა მის ლანძღვას. პედაგოგის საქციელმა გააბრაზა მშობლები. მან სკოლის დირექტორისაგანაც მიიღო საყვედური“.

როგორ ახსნის ამ პრობლემას განათლების სპეციალისტი: *სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კარგად დაგეგმილი კლასგარეშე საქმიანობა, სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას, ბავშვებისა და პედაგოგების თანამშრომლო-*

*ბითი ურთიერთობების გაღრმავებას. აღწერილი სიტუაციიდან ჩანს, რომ უცხოური ენის მასწავლებელი დიდი ხნის განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობდა. მან გამოავლინა ორგანიზატორული ნიჭი, თანამშრომლობის უნარი. მასწავლებელმა ღონისძიების სამზადისში ჩართო მოსწავლეები და ისინი აქცია ამ დიდი დღესასწაულის არა უბრალო მონაწილეებად, არამედ ნამდვილ თანაავტორებად: მან მოსწავლეებთან ერთად დაწერა სცენარი, წარმატებით ითანამშრომლა თავის კოლეგებთან, მუსიკისა და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგებთან და ხელი შეუწყო სკოლის პოტენციალის წარმოჩენას. პედაგოგის მიერ სკოლის როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსების მიზანმიმართული გამოყენება შეესაბამება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს: პედაგოგმა „იცის სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან პროდუქტიული თანამშრომლობის მეთოდები“ (**მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი**, **გვ. 10**).*

როგორ ახსნის ამ პრობლემას მასწავლებელი: *ბუნებრივია, პედაგოგს სურდა, რომ მისი, მისი კოლეგებისა და მოსწავლეების შრომის ნაყოფი რაც შეიძლება ეფექტური ყოფილიყო. ერთი ბავშვის, შესაძლოა, უპასუხისმგებლო საქციელის გამო კი ჩათვალა, რომ მთელი შრომა წყალში ჩაიყარა. მან ვერ შეძლო სიმშვიდის შენარჩუნება და შეურაცხყოფა მიაყენა მოსწავლეს, რითაც, ფაქტობრივად, ფასი დაუკარგა ექვსთვიანი შრომით მიღწეულ წარმატებას, დღესასწაულს კი – ხალისი და, მადლობის ნაცვლად, სკოლის ხელმძღვანელობისა და მშობლების საყვედური დაიმსახურა.*

როგორ ახსნის ამ პრობლემას ფსიქოლოგი: *აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებელმა გოგონას თავის მართლების საშუალება არ მისცა. შესაძლოა, ბავშვს უპასუხისმგებლობის გამო არ დაუგვიანებია და ჰქონდა საპატიო მიზეზი. ამ ღონისძიების მონაწილე თავადაც იყო და, სავარაუდოდ, მასაც არანაკლებ დასწყდებოდა გული. მასწავლებელმა კი მიზეზის ახსნაც არ აცალა და საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა და ფიზიკურადაც კი შეეხო მას. პედაგოგმა პრობლემურ სიტუაციაში ვერ შეძლო გამკლავებოდა საკუთარ ემოციებს, რითაც ჩრდილი მიაყენა საკუთარ და სკოლის რეპუტაციას. ყველასთვის გასაგებია, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში ძნელი, მაგრამ აუცილებელი იყო, რომ მასწავლებელს თავი შეეკავებინა. არცერთ სიტუაციაში არ არის პედაგოგიურად გამართლებული მასწავლებლისაგან მოსწავლის სიტყვიერი, ფიზიკური ან სხვა სახის შეურაცხყოფა* (**ინასარიძე**, **2009**).

სიტუაცია 4.

მოსწავლე მოგვითხრობს: „ერთხელ გაკვეთილზე უადგილოდ ვიხუმრე. მასწავლებელი დაფისკენ რომ მიტრიალდა, ქაღალდისგან გაკეთებული თვითმფრინავი ვესროლე. ბავშვებმა სიცილი ატეხეს, მასწავლებელმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და კლასიდან გამაგდო. პატიება ვთხოვე. მან არ მიიღო ჩემი ბოდიში და ამიკრძალა გაკვეთილზე დასწრება. საქმეში ჩაერივნენ ჩემი დამრიგებელი, სასწავლო ნაწილი, დირექტორი, მაგრამ მასწავლებელმა უკან არ დაიხია. ჩემი აზრით, კონფლიქტი უნდა ამოწურულიყო, რადგან ვინანე ჩემი საქციელი და მოვიხადე ბოდიში“.

როგორ ახსნის ამ პრობლემას მასწავლებელი: *მოსწავლემ ქაღალდის თვითმფრინავი უბრალოდ (უმისამართოდ) კი არ ისროლა კლასში ან თანაკლასელისაკენ კი არ მიმართა, არამედ უშუალოდ მასწავლებელს ესროლა და კლასმაც ამიტომ ატეხა სიცილი. ცხადია, მასწავლებლისათვის შეურაცხმყოფელი და გულსატკენია მოსწავლის ამგვარი ქმედება, მისი დაუყოვნებელი რეაქცია ბუნებრივია, მან დაიცვა თავისი პიროვნული ღირსება და საჯარო შეურაცხყოფა რეაგირების გარეშე არ დატოვა, თუმცა მას შემდეგ, რაც მოსწავლემ აღიარა თავისი შეცდომა და ბოდიში მოიხადა, ვფიქრობ, მასწავლებელს იგი უნდა დაეშვა გაკვეთილზე.*

როგორ ახსნის ამ პრობლემას განათლების სპეციალისტი: *პედაგოგი აშკარად ვერ ახერხებს ამ კონფლიქტური სიტუაციის უემოციოდ, მშვიდად გაანალიზებას, არ უსმენს მოსწავლეს (და შესაბამისად, ვერც ხედავს, რომ ის ნანობს თავის საქციელს), არ ითვალისწინებს არც კოლეგების შუამდგომლობას. მასწავლებელი ამგვარი არაადეკვატური პრინციპულობით აზარალებს ბავშვს. ის მოსწავლეს გაკვეთილზე დასწრების ნებას არ რთავს. შესაბამისად, თავის საგანში განათლების მიღების შესაძლებლობას ართმევს და ამით ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებების კონვენციას. განათლების მიღების შესაძლებლობა, ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, მისი უმნიშვნელოვანესი უფლებაა (იხ. ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 27). აღსანიშნავია შემდეგიც: გაკვეთილს გარეთ უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მასწავლებელი, რასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ითვალისწინებს.*

როგორ ახსნის ამ პრობლემას ფსიქოლოგი: *მასწავლებელმა ვერ დაიცვა ზომიერება და ვერ შეინარჩუნა სიმშვიდე ამ კონფლიქტურ*

სიტუაციაში, რამაც ხელი შეუშალა ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. სიტუაციიდან არ ჩანს, რომ მოსწავლეს ამ საქციელით მასწავლებლის პიროვნული ღირსების შეურაცხყოფა სურდა. არც ის ჩანს, რომ მისი ამგვარი საქციელი სისტემატურ ხასიათს ატარებდა. მოსწავლე გულწრფელად ამბობს, რომ ვერ ხვდება, რატომ არ შეიძლება მასწავლებელმა კონფლიქტი დასრულებულად ჩათვალოს: მან ხომ მოინანია საკუთარი საქციელი და ბოდიშიც მოიხადა. მაგრამ ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს პედაგოგი მსგავს სიტუაციებში? მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს ამოძრავებს ერთი მიზანი – მას სურს გამოიწვიოს მასწავლებელი. რაოდენ ძნელიც უნდა იყოს, პედაგოგი არ უნდა „წამოეგოს“ მოსწავლის პროვოკაციაზე და თავდაჯერებული სიმშვიდით გააგრძელოს გაკვეთილი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლის საქციელი და მასწავლებლის შეურაცხყოფა უპასუხოდ უნდა დარჩეს. გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეს, რატომ არის მისი საქციელი პედაგოგისთვის შეურაცხმყოფელი და ზოგადად მიუღებელი. თუ მოსწავლის საქციელი საგაკვეთილო პროცესს ჩაშლით ემუქრება და მასწავლებელი საჭიროდ ჩათვლის მოსწავლის კლასიდან გაძევებას, მან უნდა უზრუნველყოს ის, რომ კლასიდან გაშვებული ბავშვი დერეფანში უმეთვალყურეოდ არ დარჩეს. როდესაც მოსწავლე ნანობს თავის საქციელს და ბოდიშს იხდის, პედაგოგმა დიდსულოვნების მაგალითი უნდა მისცეს, მიიღოს ბავშვის ბოდიში და მიუტევოს. არ არის რეკომენდებული, მასწავლებელმა ბავშვს დიდი ხნით აუკრძალოს გაკვეთილზე დასწრება. ამასთანავე, გაკვეთილიდან გაძევება შეიძლება ცუდი ქცევის ერთ-ერთი წამახალისებელიც კი გახდეს ისეთი ბავშვებისათვის, რომელთაც გაკვეთილზე დასწრება არ სურთ (**ინასარიძე**, **2009**).

სიტუაცია 5.

მოსწავლე გვიამბობს: „IX კლასში ვარ. ჩემი თანაკლასელი ნიკა ახალი სასწავლო წლიდან სულ შეიცვალა. აღარ სწავლობს და გაკვეთილის მსვლელობისას თანაკლასელებთან ლაპარაკითა და ხმაურით ხელს უშლის მასწავლებლებს. ერთხელ, როდესაც დაფასთან გამოსულმა ნიკამ უარი თქვა გაკვეთილის მოყოლაზე, რადგან მას მასალა ისევ არ ჰქონდა ნასწავლი, ისტორიის პედაგოგმა კლასის წინაშე მიმართა დამამცირებელი სიტყვებით: დებილო, უნამუსო, დეგენერატო

და სხვა. ნიკამ არ მოუთმინა და შეეპასუხა: „თქვენ შეგიძლიათ, დამიწეროთ რა ნიშანიც გინდათ, მაგრამ არ გაქვთ ჩემი შეურაცხყოფის უფლება“. ამისათვის პედაგოგმა ნიკა კლასიდან გააგდო.

როგორ ახსნის ამ პრობლემას მასწავლებელი: *მასწავლებლის მიერ მოსწავლის სიტყვიერი ან სხვა სახის შეურაცხყოფა პედაგოგიურად არასწორი ქმედებაა. ცხადია, რომ რთულია მასწავლებლისათვის კლასის მართვა, როდესაც მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობას ხელს უშლის ლაპარაკით და ხმაურით. თუ ამას ემატება ისიც, რომ ის სისტემატურად არ ამზადებს გაკვეთილებს, კიდევ უფრო გასაგები ხდება მასწავლებლის გაღიზიანება. ნიკა არც თვითონ სწავლობს და მასწავლებელსაც უშლის ხელს იმაში, რომ მან მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი ენერგია გაკვეთილის ეფექტიანად წარმართვისათვის. მაგრამ მოსწავლის შეურაცხყოფა ამ სიტუაციას უკეთესობისაკენ ვერ შეცვლის.*

როგორ ახსნის ამ პრობლემას განათლების სპეციალისტი: *ნიკას თანაკლასელი სიტუაციის აღწერისას გვიყვება, რომ იგი მიმდინარე სემესტრის განმავლობაში აღარ სწავლობს გაკვეთილებს, ანუ ადრე ნიკა შედარებით კარგი მოსწავლე იყო. ბავშვის აკადემიური მოსწრების გაუარესება სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს (კონფლიქტურმა სიტუაციებმა ოჯახში, ავადმყოფობამ, ბავშვისათვის არაადეკვატურად დიდმა დატვირთვამ და ა. შ). თუმცა, გარდატეხის ასაკში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოზარდის აკადემიური მოსწრება და ქცევა უარესდება იმის გამო, რომ ის თვითდამკვიდრებას, თანატოლების კეთილგანწყობისა და პატივისცემის მოპოვებას ცდილობს უკვე არა კარგი სწავლით, არამედ გამომწვევი ქცევით. შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც სწორედ ეს განაპირობებს მოსწავლის შეცვლას. მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, რომელიც „აცნობიერებს მოსწავლეების განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათ გავლენას სწავლებასა და სწავლაზე“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, გვ. 6), ითვალისწინებს მოსწავლის, ამ შემთხვევაში ნიკას, ასაკობრივ ან ინდივიდუალურ თავისებურებებს, არ შეურაცხყოფს მოსწავლეს. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი – კლასიდან გაგდება. ნიკამ მასწავლებლის შეურაცხყოფას შეურაცხყოფითვე არ უპასუხა, მხოლოდ მიუთითა, რომ მას მოსწავლის გალანძღვის უფლება არ ჰქონდა. პედაგოგი ამან კიდევ უფრო გააღიზიანა, ნიკას რეპლიკა პროფესიულ შეურაცხყოფად აღიქვა და*

მოსწავლე კლასიდან გააგდო. მან ვერ შეძლო საკუთარი ემოციების მართვა, ვერ შეინარჩუნა სიმშვიდე.

როგორ ახსნის ამ პრობლემას ფსიქოლოგი: *მოცემული სიტუაციის ანალიზისას გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ნიკა IX კლასშია, ანუ გარდატეხის ასაკში. ამ ასაკში მოზარდს უძნელდება ურთიერთობა მშობლებთანაც და მასწავლებლებთან. გარკვეულწილად სწორედ მასწავლებელზეა დამოკიდებული, რამდენად უმტკივნეულოდ ჩაივლის ეს ასაკი. სამწუხაროდ, ასეთი პედაგოგი, როგორიც მოცემულ სიტუაციაში გვხვდება, ვერ მისცემს მოსწავლეებს ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქცევის მაგალითს. მასწავლებლის მხრიდან საკმარისი იქნებოდა მოსწავლის შეფასება სათანადო დაბალი ქულით, მაგრამ ამის ნაცვლად მან მთელი კლასის წინაშე შეურაცხყოფა მიაყენა ნიკას. უდავოა, რომ ბავშვის შეურაცხყოფა არც ერთ ასაკში არ შეიძლება, მაგრამ განსაკუთრებით სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ფაქტს გარდატეხის ასაკის მოზარდისათვის. ისინი მწვავედ აღიქვამენ ნებისმიერ კრიტიკას და, მით უმეტეს, შეურაცხყოფას. პედაგოგს უნდა ეცადა, გაკვეთილის შემდეგ ნიკასთან გულახდილი საუბრისას გაერკვია, რამ გამოიწვია მისი შეცვლა; ბავშვის ინტერესების, მისი გატაცებებისა და თავისებურებების უკეთ შესწავლის მიზნით, მოეპოვებინა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ნიკას შესახებ კლასის ხელმძღვანელისგან, მშობლებისაგან, ეთანამშრომლა მათთან, რათა ერთობლივად გამოენახათ ნიკას სასწავლო პროცესში ჩართვის გზები და საშუალებები* (**ინასარიძე**, **2009**).

განვიხილოთ სავარჯიშოები კლასის საათისთვის, **როლური თამაშისთვის**, **სცენარი სპექტაკლისათვის:**

სავარჯიშო 1.

ჩვენ ვქმნით წესებს ჩვენი კლასისთვის (**გოლობი**, **2013**).

ძირითადი კითხვები: რა უფლებებით სარგებლობს თითოეული პირი საკლასო ოთახში? რა უნდა ახასიათებდეს კარგ წესს? რატომ შეიძლება იყოს წესები გამაღიზიანებელი? რატომ შეიძლება იყოს სასარგებლო? როგორ შეიძლება გავაცოცხლოთ ბავშვთა უფლებები საკლასო ოთახში?

ძირითადი ამოცანები: მოსწავლეები მუშაობენ, ჯგუფებში, მოსწავლეები ადგენენ, სკოლის წესებთან დაკავშირებით, თავიანთი

მოსაზრებების ჩამონათვალს; მოსწავლეები ფიქრობენ წესრიგისა და წესების პრინციპებზე; მოსწავლეები მუშაობენ, ჯგუფებში და ქმნიან თავიანთ წესებს, რომლებიც ჰარმონიზებულია ბავშვთა უფლებებთან; მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ თავიანთ მოსაზრებებს და ცდილობენ, ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღონ, კლასში საერთო წესების შემოღებასთან დაკავშირებით.

რესურსები: A4 ფორმატის თითო ფურცელი თითოეული ჯგუფისათვის; სამუშაო ფურცლები მოსწავლეებისათვის, ასლები ან მოსწავლეების ხელით ნაწერი. ჟურნალებიდან გაზეთებიდან ამოჭრილი სურათები; მაკრატელები; წებო; ჟურნალები; ქაღალდის ფურცლები.

სწავლების მიზნები – როდესაც კლასის წესებს ადამიანის ან ბავშვთა უფლებებს ვუკავშირებთ, ეს წესები ისეთ სპექტრს იძენს, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ საკლასო ოთახში წესრიგისა და მშვიდობიანი ატმოსფეროს დაკავშირებით.

ადამიანისა და ბავშვთა უფლებები არ წარმოადგენს მშრალ სამართლებრივ სტანდარტებს. იმისათვის, რომ მათ საკუთარი ფუნქცია შეასრულონ და მნიშვნელობა შეიძინონ, უნდა წარმოადგენდნენ ინსტრუმენტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, მათი მეშვეობით უნდა იმართებოდეს ჩვენი ძალისხმევა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში სამართლიანობისა და თანასწორობის დამკვიდრებას ემსახურება. მოსწავლეებისათვის სკოლა მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რაღაც ასპექტში, იგი მათი ყოველდღიური ცხოვრების ცენტრალური ნაწილია. სკოლა, საკლასო ოთახი, სკოლის შენობა და მისი შემოგარენი, აგრეთვე სკოლის სტრუქტურა და მისი ხელმძღვანელობა, ქმნის საზოგადოების მინიატიურულ მოდელს – მიკროსაზოგადოებას, ის რასაც მოსწავლეები ამ საზოგადოებაში სწავლობენ და გამოცდიან, სასარგებლოა ეს მათთვის თუ არა, ძალიან დიდი ალბათობით ასახვას პოვებს მათ ცხოვრებაზე საკლასო გარემოსა და სკოლის ფარგლებს მიღმა.

„უფლებები და მოვალეობები წარმოადგენს სავალდებულო ცნებებს. ისინი ერთმანეთის თანამდევია, როგორც დღე და ღამე, როგორც ზაფხული და ზამთარი უფლებები და მოვალეობები ურთიერთდამოკიდებულია. ადამიანისა და ბავშვების უფლებების აღქმა დაუშვებელია უფლებებსა და მოვალეობებს შორის არსებული კავშირის გარეშე“ (რ. გოლობი, პ. კრაფი, 2007).

ჩვენ მიერ აღწერილი საგაკვეთილო პროცესი „ჩვენ ჰქმნით წესებს ჩვენი კლასისთვის“ საშუალებას აძლევს პედაგოგს მოახდინოს მოსწა-

ვლეთა ყურადღების კონცენტრაცია ბავშვის უფლებათა კონვენციის შემდეგ მუხლებზე: მუხლი 12, საკუთარი შეხედულებების გამოთქმის უფლება; მუხლი 13, აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება; მუხლი 28, განათლების მიღების უფლება; მუხლი 31, დასვენებისა და გართობის უფლება.

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად

შესახებ	საშუალებით	მიზნით
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოსა და სასკოლო საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
	მოსწავლეები აცნობიერებენ წესების აუცილებლობას, რათა შეძლონ ერთად ცხოვრება; აგრეთვე, აცნობიერებენ, რომ ბავშვთა უფლებები საფუძვლად უდევს და განსაზღვრავს წესების ამგვარ სისტემას.	მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ როგორ იქნება წესები დემოკრატიულ საზოგადოებაში. მათ შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პროცესებში.

მოსწავლეები

რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?
მე ვიცი, რომ მაქვს უფლება, მონაწილეობა მივიღო ჩვენი კლასის წესების შემუშავებაში. მე ვაცნობიერებ, რომ ბავშვთა უფლებების კონვენციის შექმნაც მსგავსი პროცესების ნაყოფია.	მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ უფლებები და მოვალეობები განუყრელია. ისინი აცნობიერებენ, რომ წესები შეიქმნა ადამიანების მიერ, ადამიანებისვე საკეთილდღეოდ, რომ ამ წესების შეცვლა შესაძლებელია და ჯგუფის წევრებს შორის ყველასათვის სავალდებულო წესების შესახებ შეთანხმება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება.	ახლა მე შემიძლია შევიმუშაო მსგავსი წესები, რომლებიც ჩემს მშვიდობიან თანაცხოვრებას უზრუნველყოფს ოჯახში, სპორტულ კლუბში ან მეგობრების წრეში. აუცილებელია დავრწმუნდეთ და უზრუნველვყოთ, რომ ამგვარი წესების შემუშავებაში რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ჩართული და რომ მათ შეძლონ საერთო ენის გამონახვა და გარკვეულ დათმობებზე წასვლა.

გაკვეთილი 1. მსვლელობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობებს პროექტს.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს „უფლებებისა და მოვალეობების“ საკითხს, ამის შემდეგ განსაზღვრულია პროცედურები, რომლებიც აღწერილია ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოში.

1. კლასის დაჯგუფება „თამაშის“ გამოყენებით (ბარათების დარიგება, ჟონგლიორთა, მევიოლინეთა და ა.შ. ჯგუფების შექმნის მიზნით) კლასი იყოფა სამ, ექვს ან ცხრა ჯგუფებად, კლასის მოცულობის გათვალისწინებით. თითო ჯგუფი უნდა შედგებოდეს არა უმეტეს ხუთი მოსწავლისაგან. ჯგუფებს ენიჭებათ შესაბამისი ნომრები ა, ბ, გ.
2. ყოველი ჯგუფი ირჩევს მომხმარებელს. მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, მოკლედ გააცნონ კლასს, თუ რა პრინციპით აირჩევს მომხმარებელი.
3. ყოველ ჯგუფს ურიგდება სამ ნაწილად დაყოფილი თითო ფურცელი. ფურცლის ზედა მესამედში მოსწავლეები ჩანაწერებს აკეთებენ თავიანთი ჯგუფის მოსაზრებების შესახებ იმის თაობაზე, თუ რა უფლებებით სარგებლობს კლასის ყოველი ინდივიდუალური წევრი (მათ შორის, მასწავლებელიც მათ ყველა თავიანთი მოსაზრება პუნქტების სახით უნდა დაიტანონ ფურცელზე, გამოყოფილ ნაწილში.
4. მოსწავლეები პასუხობენ შემდეგ კითხვებს: რამდენად წარმატებით გავართვით თავი მოცემულ ამოცანას? რას აკეთებდა თითოეული ჩვენთაგანი რამაც დახმარება გაგვიწია? რა გვიშლიდა ხელს?
5. მოსწავლეთა ჯგუფები ცვლიან თავიანთ ნამუშევრებს (ა ჯგუფი გადასცემს ბ ჯგუფს, ბ ჯგუფი – გ ჯგუფს, გ ჯგუფი – ა ჯგუფს)
6. შემდეგ თითოეული ჯგუფი, კითხვებზე პასუხის მეშვეობით, განიხილავს სხვა ჯგუფის მიერ შედგენილ უფლებათა ჩამონათვალს: რა პასუხისმგებლობა მოგვეთხოვება ამ უფლებების დასაცავად? რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის? როგორ უნდა მოვიქცეთ? მაგალითად, „ყველას აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი“ „ჩვენი პასუხისმგებლობაა, მოვუსმინოთ ერთმანეთს“.

მოსწავლეები ფურცლის შუა მესამედ ნაწილში ჩამოწერენ პირველ მესამედში მოცემული უფლებების შესაბამის პასუხისმგებლობებს

(იმ შემთხვევაში, თუ მათ შეუძლიათ, მოუნახონ უფლებას შესაბამისი პასუხისმგებლობა), იმავე ნუმერაციის დაცვით.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აგროვებს მოსწავლეთა ნამუშევრებს, რათა გაეცნოს მათ შემდეგ გაკვეთილამდე.

გაკვეთილი 2

მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეებს, რომ განიხილონ რამდენიმე საკითხი, რომელიც წესებს ეხება:

– რა მაღიზიანებს წესებში?

– როდის ვარ კმაყოფილი იმით, რომ წესები არსებობს?

– ვინ ქმნის წესებს?

– ვინ უზრუნველყოფს წესების დაცვას?

მოსწავლეებს პირველ ორ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაეხმარება ის ინფორმაცია, რომელსაც მათ მასწავლებელი აწვდის ქცევით მოცემული ტექსტის სახით ან ამ თემაზე მათთვის მომზადებული სხვა მასალის სახით.

რესურსი: დისციპლინა და წესრიგი დემოკრატიული თვალსაზრისით:

1. წესრიგი საჭიროა ყველა გარემოში. ადამიანთა ჯგუფი, წესრიგისა და ძირითადი წესების გარეშე, ვერ იქნება მიჩნეული დემოკრატიულად.
2. ზღვრების დადგენა აუცილებელია. წესები შეიძლება იყოს არასწორი ან შეუსაბამო, მაგრამ თუ არ იცვლება, საჭიროა მათი დაცვა. თუმცა აუცილებელია არსებობდეს მათი შეცვლის შესაძლებლობა.
3. ბავშვები, ძალიან ადრეული ასაკიდან, უნდა მონაწილეობდნენ წესების შედგენასა და მათი გატარების პროცესებში, მხოლოდ ამ გზით შეძლებენ ისინი წესების დაცვის აუცილებლობის განვითარებას.
4. საკლასო ოთახში თავმოყრილი საზოგადოება ვერ იფუნქციონირებს მის წევრებს შორის ურთიერთნდობისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე, ზოგ შემთხვევაში ამგვარი ატმოსფეროს შექმნა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება.
5. საკლასო გარემოში კონკურენცია გუნდური მუშაობის სულისკვეთებამ უნდა ჩაანაცვლოს.

6. სასიცოცხლოდ აუცილებელია, საკლასო ოთახში მეგობრული ატმოსფერო სუფევდეს.
7. მასწავლებლის სოციალურ უნარებს (დემოკრატიული ხელმძღვანელობის უნარი, მოსწავლეებისათვის იმის შთაგონების უნარი, რომ ისინი ჯგუფის სრულფასოვანი წევრები არიან, კლასში ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარი და ა.შ.) უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია.
8. დემოკრატიულ კლასში მუდმივად სუფევს ატმოსფერო, სადაც წევრები ერთმანეთთან კომუნიკაციისათვის არიან განწყობილი. **„ადამიანთა ჯგუფი წესრიგისა და ძირითადი წესების გარეშე, ვერასოდეს იქნება დემოკრატიული“.**
9. მოსწავლეები, როგორც გოგონები, ასევე ვაჟები წახალისებულ უნდა იქნენ, რათა მათ რაღაც ახალი აღმოაჩინონ და საკუთარი გამოცდილებით, საკუთარ შეცდომებზე სწავლის საშუალებით შეიძინონ ცოდნა.
10. შექმნილი უნდა იყოს ისეთი ატმოსფერო, სადაც არსებობს საკუთარი თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა, დადგენილი ზღვრების ფარგლებში. მოსწავლეებს მხოლოდ ამ გზით უვითარდებათ პირადი პასუხისმგებლობის შეგნება.
11. დისციპლინისა და წესრიგის დაცვა შეიძლება სახალისოც კი იყოს, თუ იგი საზოგადოების თითოეულ წევრს ეხმარება, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები და ჯგუფის წევრებს შორის სასურველი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და დამაკმაყოფილებელი სამუშაო პირობების შექმნა უწყობს ხელს.

მოსწავლეები ნაწილდებიან იმავე ჯგუფებში, რომლებშიც წინა გაკვეთილის განმავლობაში მუშაობდნენ. მასწავლებელი ურიგებს ქაღალდის ფურცლებს და მოუწოდებს მათ, ჩაერთონ შემდეგ აქტივობაში:

მასწავლებლის ჩართვა: წესები წესებისთვის.

– მოიფიქრეთ რამდენიმე წესი, რომლებიც გსურთ, რომ კლასში იყოს მუდმივად გამოკრული.

– წესები პოზიტიურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული – „გააკეთე რამე“, ისინი არ უნდა შეიცავდეს. აკრძალვებს და ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „არ გააკეთო“.

– წესები შესაბამისი უნდა იყოს და განსაზღვრავდეს კლასში ქცევის მოთხოვნებს. მაგალითად ყველას აქვს უფლება, გამოთქვას სა-

კუთარი აზრი, ჩვენი პასუხისმგებლობაა, მოვუსმინოთ ერთმანეთს, წესი არ იხმაურო, როცა სხვა საუბრობს.

– ჯგუფები ამჯერადაც ცვლიან თავიანთ ნამუშევრებს. თითოეული ჯგუფი ეცნობა წინა ორი ჯგუფის ნამუშევრებს და თანხმდება მაქსიმუმ, ხუთ წესზე, რომელიც მსხვილი ასოებით უნდა იყოს დატანილი ფურცლის ქვედა მესამედ ნაწილში. მოსწავლეებმა ფურცლის ეს მესამედი ნაწილში უნდა ჩამოაჭრან დანარჩენს და გამოაკრან კედელზე. ჯგუფების მომხსენებლები სიტყვით გამოდიან და მთელ კლასს აცნობენ მათი ჯგუფის მიერ შემუშავებულ წესებს.

– მასწავლებელი უძღვება მოსწავლეების მიერ გამართულ განხილვას. მოსწავლეები გამოყოფენ არა საჭირო, უსარგებლო წესებს, აერთიანებენ წესებს, რომლებიც ერთმანეთის ანალოგიურია, ან ტოვებენ მათგან ერთ-ერთს (ზოგიერთმა ჯგუფმა შეიძლება პროტესტი გამოთქვას მის მიერ შემუშავებული წესის ამოღებაზე. ამგვარ სიტუაციაში მოსწავლეებმა უნდა გადახედონ, დეტალურად განიხილონ და ერთმანეთს შეადარონ სადავო წესის სხვადასხვა ვერსია. უნდა შეეცადონ, მოლაპარაკებისა და არგუმენტებით გამყარებული მსჯელობის საფუძველზე დაარწმუნონ ერთმანეთი, რათა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც ყველა ეთანხმება. თუ ამ ჯგუფის წევრების დარწმუნება ვერ მოხერხდა, შესაძლებელია მათი ვერსია დროებით ჩართონ წესების ჩამონათვალში).

– მოსწავლეები კენჭს უყრიან წესებს. თითოეულ მათგანს აქვს ოთხი არჩევანის გაკეთების უფლება – აქვს ოთხი ჟეტონი, რომლის გამოყენებითაც მათ ხმა მისცენ იმ წესებს, რომლებიც, მათი მოსაზრებებით, კლასში უნდა მოქმედებდეს. მოსწავლეებს შეუძლიათ, თავიანთი სურვილისამებრ გამოიყენონ საკუთარი ხმები, მაგალითად, ოთხივე ხმა ერთ წესს მიანიჭონ, ან გადაანაწილონ სხვადასხვა წესზე. ოთხი წესი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, შეტანილი იქნება კლასის წესდებაში მოსწავლეები გადაიტანენ მათ ფურცელზე; თითოეული მოსწავლე თავის ხელმოწერას დაურთავს ფურცელს და იგი გამოიკვრება კედელზე. ეს წესები კლასში მუდმივად უნდა მოქმედებდეს. მოსწავლეებს შეუძლიათ, წესების ფურცელზე გადატანის ამოცანის შესრულება მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფს დაავალონ და შეთანხმდნენ, როგორ დააჯილდოონ ამ ჯგუფის წევრები გაწეული სამსახურისთვის.

– სწავლა თანამშრომლობის საფუძველზე. რა დაგვეხმარა? რა იყო ხელის შემშლელი? რაში მდგომარეობს თითოეული ჩვენთაგანის მიერ შემუშავებაში შეტანილი წვლილი? შეგიძლიათ, დაასახელოთ მოსწავლე ან მოსწავლეები, რომლითაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს წესების შემუშავებაში? რაში გამოიხატება მათ მიერ შეტანილი წვლილი?

მოსწავლეებს პირველად ეძლევათ შესაძლებლობა, გამოიყენონ მათ მიერვე შემუშავებული წესები. მასწავლებლებს შეუძლია, შეაქოს ის მოსწავლეები, რომლებიც ზედმიწევნით იცავენ წესებს. მასწავლებელი შეძლებისდაგვარად უნდა ეცადოს, არ გაამახვილოს ყურადღება იმ მოსწავლეებზე, რომლებიც წესებს არღვევენ, ეს მათთვის სამარცხვინო დაფაზე გაკვრის ტოლფასი იქნება.

გაკვეთილი 3

მასწავლებელი მოკლედ აცნობს მოსწავლეებს ბავშვთა უფლებებს. მოსწავლეთა უმეტესობისათვის ეს ნაცნობი მასალის გამეორება იქნება.

– როგორ შეიქმნა ბავშვთა უფლებები? რა კავშირია ბავშვთა უფლებებსა და ადამიანის უფლებებს შორის? რატომ გახდა საჭირო ბავშვთა უფლებების შემოღება, როდესაც უკვე გვქონდა ადამიანის უფლებები?

ამჯერად მასწავლებლები მოსწავლეებს აცნობს ბავშვთა შემდეგ უფლებებს:

მუხლი 12, შეხედულებებისა და ინტერესის გამოხატვის უფლება;

მუხლი 13, გამოხატვის თავისუფლება;

მუხლი 28, განათლების მიღების უფლება;

მუხლი 31, დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება.

მოსწავლეები ამზადებენ სამუშაო ფურცელს ორი სვეტით. მარცხენა ვიწრო სვეტში ისინი ჩაწერენ მოცემულ ოთხ უფლებას, ფურცლის მთელ სიგრძეზე თანაბარი დაშორებებით. მარჯვენა ფართო სვეტში კონკრეტული უფლების შესახებ საკუთარ მოსაზრებებსა და ამ უფლებების შესაბამის ვალდებულებებს წერენ, რომელიც გულისხმობს როგორც პირველი პირის ვალდებულებებს, რომელიც ამ უფლებებით სარგებლობს, ასევე სხვა პირების ვალდებულებებსაც: იმ შემთხვევაში, თუ ჩემი მეზობელი, მეგობარი ან თანაკლასელი სარგებლობს ამ უფლებით რა ვალდებულებები ეკისრებათ მათ გარშემო მყოფთ? როგორი უნდა სკოლა, რათა უზრუნველყოს სწავლება

(მუხლი 28)? როგორ შემიძლია მე, როგორც ამ კლასის წევრს, საკუთარი წვლილი შევიტანო მოცემული უფლების დაცვაში.

ჯგუფის წევრები (სახელები)	წესები და მოვალეობები
მუხლი 12 ***შეხედულებებისა და ინტერესის გამოხატვის უფლება*** რას გულისხმობს ეს უფლება? **მუხლი 13** ***გამოხატვის თავისუფლება*** რას გულისხმობს ეს უფლება? **მუხლი 28** ***განათლების მიღების უფლება*** რას გულისხმობს ეს უფლება? **მუხლი 31** ***დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება*** რას გულისხმობს ეს უფლება?	

გაკვეთილი 4

მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ შედეგებს კლასის წინაშე. თითოეულ ჯგუფს ჰყავს თავისი მომხსენებელი. თავიანთ მოხსენებაში მოსწავლეებს შეუძლიათ, შეეხონ შემდეგ ასპექტებს: როგორ მივუდექით ჩვენ წინაშე მდგარ ამოცანას? (ჯგუფური მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი). რა იყო მნიშვნელოვანი ჩვენთვის (კრიტერიუმები და ღირებულებები)? როგორ უნდა დავრწმუნდეთ, რომ წესებს იცავენ ის ადამიანები, რომელითაც ამ წესების დაცვა ევალებათ (წესებისადმი დამოკიდებულება, წესების გატარება)?

მოსწავლეები თანხმდებიან კლასის წესებზე. ერთ-ერთი ჯგუფი იღებს დავალებას, წესებს მისცეს დოკუმენტის სახე, საჭირო გაფორმებებით. ამ დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს კლასის უკლებლივ ყველა მოსწავლემ და მასწავლებელმაც. დოკუმენტში მოცემული წესები ძალაში რჩება იმ დრომდე, სანამ მოხდება მათი ჩანაცვლება ახალი წესებით. დოკუმენტი ყველასათვის სარგებელ ადგილზე უნდა გამოიფინოს ბავშვთა საყოველთაო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების განმავლობაში, როგორც მაგალითი იმისა, თუ როგორ ხორციელდება დემოკრატია საკლასო გარემოში.

სავარჯიშო 2. უსაფრთხოება, ძალადობა

თემა: ძალადობა;

ასაკი: 7-15 წელი

ხანგრძლივობა: 45 წთ

ჯგუფის სიდიდე: 4-24 ბავშვი

სავარჯიშოს აღწერა: ბავშვები ჰყვებიან ამბებს იმ პერიოდის შესახებ, როცა ისინი აღმოჩნდნენ მსხვერპლი, შეურაცხმყოფელები, დამკვირვებლები ან დამხმარეები ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ სიტუაციებში

სავარჯიშოს ტიპი: ამბის თხრობა, განხილვა

მიზნები: დადგენა იმისა, რომ ყველა ხვდება ცხოვრებაში ძალადობას ამა თუ იმ ფორმით; ერთმანეთის პატივისცემის და დაცვის პასუხისმგებლობის ხაზგასმით აღნიშვნა.

რეკომენდაციები პედაგოგს თუ როგორ წარმართოს დისკუსია:

1. შეახსენეთ ბავშვებს, რომ ძალადობა და შეურაცხყოფა, არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სიტყვიერიც და ემოციურიც, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას. ჰკითხეთ მათ ძალადობის და შეურაცხყოფის სხვა მაგალითები.
2. დაყავით ბავშვები სამ-ოთხკაციან ჯგუფებად. აუხსენით თამაში ისე, რომ ბავშვებმა კარგად გაიგონ თითოეული კატეგორია. ა) თითოეული პარტნიორი ილაპარაკებს ძალადობის და შეურაცხყოფის სხვადასხვა მაგალითის შესახებ: როცა ხედავთ, რომ ვინმეს შეურაცხყოფას აყენებენ ან უსამართლოდ ექცევიან; როცა მონაწილეობას იღებთ ვინმესთვის შეურაცხყოფის მიყენებაში ან უსამართლოდ მოპყრობაში; სთხოვეთ მათ მაგალითების მოყვანა თითოეულ კატეგორიაზე – თითო ჯერზე ერთი მაგალითის. ბ) თამაშის ამ ნაწილისთვის გექნებათ 15 წუთი. დასაწყისისთვის ცოტა ხანს ისხედით ჩუმად და იფიქრეთ იმაზე, რისი თქმაც გსურთ. მიეცით თითოეულ მათგანს ფურცელი, რომელიც გაყოფილი იქნება ოთხ ნაწილად. თითოეულ ნაწილში ჩაწერილი იქნება განსხვავებული სიტუაცია, რაც დახმარებას გაგიწევთ განხილვისთვის მიმართულების მიცემაში.
3. ისევ ერთ ჯგუფად შეკრიბეთ ბავშვები მათი დაკვირვებების განსახილველად. თავდაპირველად სთხოვეთ მაგალითების

მოყვანა ადამიანების შეურაცხყოფასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე ნუ ეცდებით იმ ამბების გამოყოფას, რომლებშიც ბავშვებს თვითონ აქვთ მიღებული მონაწილეობა.

4. ასახელებენ მაგალითებს, რომლებშიც ბავშვები „დამხმარეების“ როლს ასრულებდნენ.
5. განიხილავენ მაგალითებს, რომლებშიც ისინი „დამკვირვებლის“ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ. მასწავლებელი სვამს კითხვას: „რისი გაკეთება შეიძლებოდა ზოგიერთ ამ სიტუაციაში იმისთვის, რომ „დამკვირვებლის“ ნაცვლად „დამხმარედ“ ქცეულიყავით?“ დაიტანეთ მათი პასუხები დიდ ფურცელზე.

სავარჯიშოს შემდგომი განხილვა და შეფასება 1. ხმამაღლა წაიკითხეთ შემოთავაზებული ქცევების ჩამონათვალი. ა. რომელი შემოთავაზებული მოქმედების შესრულება იქნება რთული? რომელი იქნება შესასრულებლად ადვილი? ბ. არის თუ არა ჩამონათვალში მოცემული რაიმე ისეთი მოქმედება, რომლის შესრულებასაც თქვენ შეძლებდით? გ. რა უშლის ადამიანებს ხელს დახმარებაში? დ. თუ უფრო მეტი ადამიანი გახდება დამხმარე, ვიდრე დამკვირვებელი, გაუმჯობესდება თუ არა ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა? 2. განიხილეთ, როგორ შეგვიძლია ერთმანეთის დახმარება ისეთი კითხვებით, როგორიცაა: რა თვისებები და აზროვნება უნდა ჰქონდეს ადამიანს იმისთვის, რომ გახდეს „დამხმარე“, ანუ იმოქმედოს როგორც ადამიანის უფლებათა დამცველმა?; როგორ უნდა დავეხმაროთ ადამიანის უფლებათა დამცველებს?; როგორ წავახალისოთ ჩვენი ჯგუფის ადამიანები იმისთვის, რომ ისინი „დამხმარეები“ გახდნენ?; 3. განაცხადეთ დასკვნის სახით, რომ ნებისმიერი შეურაცხყოფა და ძალადობა ბავშვების წინააღმდეგ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს ბავშვები შემჩნეულნი არიან ძალადობაში ერთმანეთის მიმართ, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას. ეს ხდება ნებისმიერ საზოგადოებაში და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. განსაკუთრებით აღნიშნეთ, რომ ადამიანის უფლებათა შესწავლა ასევე ნიშნავს საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვას. ჩვენ ვერ მოვსპობთ ძალადობას ან შეურაცხყოფას მთლიანად, მაგრამ შეგვიძლია ერთმანეთის დახმარება.

რჩევები შემდგომი მუშაობისთვის – ისეთი თამაში, როგორიცაა „სიტყვები, რომლებიც გულს გვტკენს“, რომელიც ეხება ბავშვების

რეალურ ქცევას, უადვილებს მათ განხილვის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

რამდენიმე იდეა, **რომლებიც მუშაობაში დაგეხმარებათ** – თუ თქვენმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა წესები ერთმანეთში ურთიერთობისთვის, იმსჯელეთ, როგორ შეიძლება ამ წესების ნაწილი გადაიქცეს „დამხმარის ქცევად“ (**ფლაუერსი**, **2009**).

სავარჯიშო 3. **როგორ ავიცილოთ ძალადობა**. **ახლა ვხედავ**, **რისი გაკეთება შემეძლო!**

თემა: ძალადობა

ასაკი: 7-15 წელი

ხანგრძლივობა: 45 წთ

ჯგუფის სიდიდე: 4-24 ბავშვი

სავარჯიშოს აღწერა: ბავშვები აჩვენებენ კონფლიქტურ სიტუაციას ან ძალადობას „ადამიანთა ფოტოს“ მეშვეობით და შემდეგ აღწერენ, როგორ შეიძლება ამ სიტუაციის მოგვარება ძალადობის გარეშე

მიზნები: ძალადობის ძირითადი მიზეზების შესახებ ცოდნის გაღრმავება; კონფლიქტის მოგვარების არაძალადობრივი გზების შემუშავება; დისკუსიის დაწყება ძალადობის მიზეზების შესახებ.

რეკომენდაციები პედაგოგს:

1. ჯგუფთან ერთად განიხილეთ „ძალადობის“ თემა. რა არის ძალადობა? ძალადობის რა არსებული ფორმები შეუძლიათ ბავშვებს გაიხსენონ? დაეხმარეთ ბავშვებს, გაიფართოონ წარმოდგენა ძალადობის შესახებ და გაიგონ, რომ ფიზიკურის გარდა ძალადობა სიტყვიერი და ფსიქოლოგიურიც შეიძლება იყოს.
2. დაყავით ბავშვები ოთხ-ექვსკაციან ჯგუფებად. განუმარტეთ, რომ თითოეულმა ჯგუფმა 15 წუთის განმავლობაში უნდა განიხილოს ძალადობრივი სიტუაციები, რომლებსაც შესწრებიან ან განუცდიათ (მაგალითად„ სკოლაში, ოჯახში, მეგობრებთან). ჯგუფმა განხილული სიტუაციებიდან ერთ-ერთი უნდა შეარჩიოს და ამ სიტუაციაზე „ადამიანთა ფოტო“ შექმნას და სხვებს აჩვენოს. ეს „ადამიანთა ფოტო“ უნდა მოიცავდეს ჯგუფის ყველა წევრს და უნდა იყოს „გაშეშებული“, ანუ უხმო და უძრავი. ბავშვებმა პოზებით და სახის გამომეტყველებით

უნდა გამოხატონ თავიანთი როლები „ფოტოზე“ (მაგალითად, მსხვერპლის, მოძალადის ან მოწმის).

3. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, წარმოადგინოს თავისი „ადამიანთა ფოტო“. სხვა ჯგუფებმა უნდა თქვან, რას ასახავს „ფოტოსურათი“. „ფოტოსურათის“ წარმომდგენმა ჯგუფმა კომენტარები არ უნდა გააკეთოს.
4. მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი აჩვენებს თავ-თავის „ფოტოს“, სასურველია, ისევ თავიანთ ჯგუფებად დაიყონ და მოიფიქრონ, როგორ შეიძლება მათ მიერ წარმოდგენილი სიტუაციის ან კონფლიქტის მოგვარება ყოველგვარი ძალადობის გარეშე. შემდეგ ჯგუფებმა უნდა შექმნან სხვა „ფოტო“, რომლითაც აჩვენებენ, როგორ მოგვარდა სიტუაცია.
5. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, დანარჩენებს აჩვენოს „კონფლიქტის მოგვარების ფოტო“. ყოველი ჩვენების შემდეგ გაიმართება მოკლე დისკუსია, რომლის დროსაც ჯერ სხვა ჯგუფები იტყვიან, რა დაინახეს „ფოტოსურათზე“, შემდეგ კი„ ფოტოს“ წარმომდგენი ჯგუფი ახსნის, რაში იყო საქმე და როგორ მოგვარდა სიტუაცია. სთხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ კონფლიქტის მოგვარების სხვა შესაძლო გზები. სთხოვეთ, შეაფასონ მოგვარების ეს გზები თავიანთი გამოცდილების გათვალისწინებით და ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ, ჩვეულებრივ, ძალადობის დაძლევის ერთზე მეტი გზა არსებობს.

სავარჯიშოს შემდგომი განხილვა და შეფასება 1. განიხილეთ სავარჯიშო შემდეგი კითხვების დასმით: შეგიძლიათ საკუთარი თავის გაიგივება ძალადობრივ სიტუაციაში „ადამიანთა ფოტოსთან“? ოდესმე თუ მოხვედრიხართ მსგავს სიტუაციაში? ძნელი იყო სიტუაციის/კონფლიქტის არაძალადობრივი მოგვარების გზის პოვნა? რატომ? როგორ მოძებნეთ მოგვარების გზა? როგორია „ადამიანთა ფოტოს“ ნაწილად ყოფნა? უკეთ იგრძენით თავი მოგვარებული სიტუაციის „ფოტოს“ ჩვენებისას? რატომ იგრძენით ან რატომ არ იგრძენით უკეთ თავი? რა მიზეზებმა შეიძლება გახადოს სიტუაცია ძალადობრივი ან ადამიანი მოძალადე? რა გზები არსებობს იმისა, რომ რთულ სიტუაციებში შეამცირო ან თავიდან აიცილო ძალადობა? ძალადობრივი ქცევის რა ნიშნები არსებობს? 2. დაუკავშირეთ სავარჯიშო ადამიანის უფლებებს შემდეგი კითხვების დასმით: არსებობს თუ არა უფლება, რომელიც

ადამიანს ძალადობისგან იცავს? ადამიანის რომელი უფლებები ეხება ძალადობის აღმოფხვრას? რატომ არის ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებები ძალიან მნიშვნელოვანი? როგორ შეიძლება ადამიანის ამ უფლებების დაცვა?

რამდენიმე იდეა, **რომლებიც მუშაობაში დაგეხმარებათ** შექმენით პლაკატები ძალადობაზე და ძალადობის აღმოფხვრაზე და გამოკიდეთ ისინი საჯარო ადგილებში. მიუთითეთ იმ დაწესებულის ტელეფონის ნომერი ან მისამართი, რომელსაც ძალადობის მსხვერპლმა შეუძლია მიმართოს; დადგით წარმოდგენა, რომელშიც აჩვენებთ, თუ როგორ შეიძლება კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარება.

სასარგებლო რჩევები წამყვანს დიდი სიფრთხილით მოეკიდეთ იმ ბავშვებს, რომლებსაც უკვე გამოცდილი აქვთ ძალადობა. ბავშვებმა შეიძლება „ტიპური“ სიტუაცია აირჩიონ; არ არის აუცილებელი, თავიანთ თავზე ისაუბრონ, თუ ეს მათ არ სურთ. როდესაც გააცნობთ სავარჯიშოს, შეგიძლიათ ერთ მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად „ადამიანთა ფოტო“ წარმოადგინოთ. ბავშვებს შეიძლება გაუჭირდეთ ძალადობრივი სიტუაციების მოგვარების რეალური გზების მოძებნა, განსაკუთრებით იმ სიტუაციებისა, რომლებშიც უფროსები მონაწილეობენ. უნდა შეგეძლოთ დახმარების და დაცვის წყაროების, მათ შორის ბავშვთა დაცვის ადგილობრივი ორგანიზაციების დასახელება (**ფლაუერსი**, **2009**).

სავარჯიშო 4. **ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის მაგალითები ძალადობის წინააღმდეგ**

თემა: ძალადობა.

ასაკი: 7-15 წელი

ხანგრძლივობა: 60 წთ

ჯგუფის სიდიდე: 5-24 ბავშვი

სავარჯიშოს აღწერა: ბავშვები საუბრობენ ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის ჩამდენებზე და აჩვენებენ, თუ როგორ მოიქცევიან ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის სხვადასხვა შემთხვევაში

მიზნები: სხვადასხვა სახის ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის განხილვა; სტრატეგიის, ადამიანების და ორგანიზაციების იდენტიფიცირება ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლი ბავშვების დასახმარებლად; ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე რეაგირების სხვადასხვა სახის ანალიზი.

რეკომენდაციები პედაგოგს:

1. გააცანით ბავშვებს ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის საგანი და დასვით შემდეგი კითხვები: რას ნიშნავს ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლა? რა სახის ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელება შეუძლიათ ადამიანებს? როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართავენ ადამიანები ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ზეწოლას ერთმანეთის მიმართ? რა გავლენას ახდენს ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლა მათზე, ვინც მისი მსხვერპლი ხდება? ვინც სხვის მიმართ ახორციელებს ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ზეწოლას? მთელ საზოგადოებაზე?
2. სთხოვეთ თითოეულ ბავშვს, გამოჭრას ფერადი ქაღალდისგან საკუთარი ხელის გამოსახულება. შემდეგ ყველა თითისთვის მოიფიქროს თითო ადამიანი (მაგალითად, მეგობარი, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრატორი, პოლიცია, კონსულტანტი, და-ძმა), ვისაც მიმართავს, თუ ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლი გახდება. სთხოვეთ ბავშვებს ისაუბრონ იმ დამხმარეებზე, ვინც დაასახელეს.
3. უთხარით ბავშვებს, რომ ახლა განიხილავთ სხვადასხვა გზას, თუ როგორი რეაგირება შეუძლიათ ადამიანებს მოახდინონ ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე. ამის საილუსტრაციოდ: წამყვანი წაიკითხავს ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის აღწერას. თითოეული სიტუაციისთვის მოცემულია სამი სავარაუდო რეაგირება. გარდა ამისა, ყოველთვის შეიძლება მეოთხე რეაგირების მოფიქრება; ოთახის თითოეული კუთხე დანომრილია. როდესაც თქვენ მოისმენთ სიტუაციას და რეაგირების შესაძლო ვარიანტებს, წადით იმ კუთხეში, რომლის ნომერიც შეესაბამება თქვენს მოქმედებას.
4. წაიკითხეთ ფიზიკურ/ფსიქოლოგიური ზეწოლის სიტუაცია და მიეცით ბავშვებს დრო, რომ აირჩიონ რეაგირების სახე და წავიდნენ ოთახის შესაბამის კუთხეში. როდესაც ბავშვები სათანადო პოზიციას დაიკავებენ, ჰკითხეთ თითოეულ კუთხეში მდგომ ბავშვებს, რატომ აირჩიეს აღნიშნული რეაგირება, მისი უპირატესობა და სირთულეები. ღია კუთხეში მდგომ ბავშვებს სთხოვეთ, აღწერონ, თუ როგორი იქნება მათი რეაგირება.

სავარჯიშოს შემდგომი განხილვა და შეფასება 1. ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის ხუთი ან ექვსი სცენის გათამაშების შემდეგ გაარჩიეთ სავარჯიშო და დასვით შემდეგი კითხვები: როგორ მოგეწონათ სავარჯიშო? ძნელი ხომ არ იყო ზოგიერთ მაგალითზე რეაგირება? რომელზე და რატომ? შეგიძლიათ თუ არა დაუკავშიროთ რომელიმე მაგალითი თქვენს გამოცდილებას? სჭირდება თუ არა დახმარება და მხარდაჭერა ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლს? რატომ? ვის შეუძლია მიმართოს დახმარების და მხარდაჭერისთვის ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლმა? დაასახელეთ ზოგიერთი მიზეზი, რის გამოც სხვათა მიმართ ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ზეწოლას მიმართავენ. რამდენად სამართლიანია ეს მიზეზები? რას მოიმოქმედებდით, ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლი რომ გამხდარიყავით და ის ადამიანი, ვისაც დახმარებისთვის და მხარდაჭერისთვის მიმართეთ, არანაირ რეაგირებას არ მოახდენდა? არის თუ არა ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის რომელიმე სახეობა, რომელსაც ხშირად ეგუებიან ბავშვები და უფროსები? ვისი მოვალეობაა, დაეხმაროს და მხარი დაუჭიროს ფიზიკურ/ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლ ბავშვებს? შეიძლება თუ არა ზრდასრული ადამიანი გახდეს ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლი? დაასახელეთ მაგალითები. ვისი მოვალეობაა, დაეხმაროს ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლ ზრდასრულ ადამიანებს? რა შეიძლება გაკეთდეს იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც თავად მიმართავენ ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ზეწოლას სხვათა მიმართ, რომ მათი ქცევა შეიცვალოს? რა მოხდება, თუ არავინ გაუწევს წინააღმდეგობას ადამიანებს, ვინც ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ზეწოლას მიმართავს სხვათა წინააღმდეგ? 2. დაუკავშირეთ ეს სავარჯიშო ადამიანის უფლებებს და დასვით შემდეგი კითხვები: აქვს ვინმეს სხვის მიმართ ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელების უფლება? რატომ აქვს ან რატომ არა აქვს? ადამიანის რომელი უფლება ირღვევა, როდესაც სხვათა მიმართ ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ზეწოლას მიმართავენ? როგორ გააუმჯობესებს ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის აღკვეთა ადამიანის უფლებების გარემოს ყველასთვის? 3. განხილვის ბოლოს სთხოვეთ ბავშვებს, კვლავ დახედონ მათ მიერ გამოჭრილ „დახმარების ხელს“ და დაამატონ სხვა ადამიანები ან ორგანიზაციები, რომლებსაც მიმართავენ ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევაში. შემდეგ „დახმარების ხე-

ლები“ ოთახის რომელიმე ადგილზე მოათავსეთ, რომ ბავშვებმა შეძლონ მათი გამოყენება მომავალში.

რამდენიმე იდეა მასწავლებლებს, რომლებიც მუშაობაში დაეხმარებათ – აღწერეთ ის გზები, რომლებიც ჯგუფს ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის საწინააღმდეგო კამპანიის საწარმოებლად შეუძლია გამოიყენოს და სთხოვეთ თემის წევრებს, რომ შეუერთდნენ ამ ინიციატივას. მაგალითად, მოაწყვეთ გამოფენა და მოიწვიეთ ბავშვებთან სასაუბროდ ბავშვთა დახმარების ორგანიზაციის პროფესიონალი მუშაკი და/ან მოახდინეთ სკოლაში მომუშავე იმ პირის იდენტიფიცირება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მიმართავენ. დადგით თეატრალური წარმოდგენა, რომელშიც აჩვენებთ, თუ როგორ უნდა უპასუხონ ბავშვებმა იმ ადამიანებს, ვინც მათ მიმართ ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ ზეწოლას ეწევა. მოსწავლეებს მივაწოდოთ ინფორმაცია ცხელი ხაზის ფუნქციის/დანიშნულების შესახებ; გაიგეთ, ადგილობრივი თემის რომელ სამსახურებს შეუძლიათ მიმართონ ბავშვებს დახმარებისთვის. ეს ინფორმაცია ბავშვებს მიაწოდეთ სავარჯიშოს დროს და, თუ შესაძლებელია, მოიწვიეთ ამ უწყებათა წარმომადგენლები ბავშვებთან სასაუბროდ.

სასარგებლო რჩევები წამყვანს – გაითამაშეთ, რომ გაქვთ ჯადოსნური ჯოხი/სალაპარაკო ჯოხი ან მიკროფონი, ისე, რომ ვისაც აზრის გამოთქმა სურს, თავის რიგს დაელოდოს. შესაძლოა ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის რაიმე ფორმა ბავშვების ჯგუფშიც იყოს. ფიზიკური/ ფსიქოლოგიური ზეწოლა ყველა ბავშვზე სხვადასხვა გავლენას ახდენს და მან მრავალნაირი ფორმა შეიძლება მიიღოს. ფრთხილად იყავით იმ სიტუაციებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა არსებობს ჯგუფში და ნუ გაამახვილებთ ყურადღებას რომელიმე პერსონალურ სიტუაციაზე.

ადაპტირებული ვარიანტი – დაწერეთ ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის საკუთარი სცენები, რომლებსაც თქვენი ჯგუფის ბავშვები განიხილავენ, იმ სცენების ნაცვლად, რომლებიც წარმოდგენილი იყო. დაყავით ბავშვები მცირე ჯგუფებად, მიეცით მათ განსახილველად ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის სიტუაციები და სთხოვეთ, გაითამაშონ როგორც ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის, ასევე მასზე რეაგირების სცენები. განიხილეთ თითოეული მაგალითი და სთხოვეთ სხვა ჯგუფებს, მოიფიქრონ რეაგირების ალტერნატიული გზები.

დასარიგებელი მასალა: ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზეწოლის სცენები.

სიტუაციები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ გაკვეთილზე (ფლაუერსი, 2009).

თქვენი ამხანაგები უდიერად მოგიხსენიებენ, უზრდელ შეტყობინებებს გიგზავნიან და გაიძულებენ სხვადასხვა ნივთები მისცეთ. თქვენ ცუდად გრძნობთ თავს ამის გამო. რა უნდა გააკეთოთ ასეთ დროს? 1. არაფერი. ალბათ შეცდომა დაუშვით, რაკი თქვენი ამხანაგები ასე გექცევიან. 2. თქვენც უდიერად უნდა მოექცეთ და დაემუქროთ. 3. უნდა დაელაპარაკოთ მშობლებს ან მასწავლებელს და მოუყვეთ, რაც ხდება. 4. სხვანაირად უნდა მოიქცეთ (ღია კუთხე).

თქვენი კლასელების ერთი ჯგუფი მობილური ტელეფონის გზავნილებით საწყენ ჭორებს ავრცელებს თქვენს შესახებ. ბევრ ბავშვს აღარ სურს თქვენთან თამაში და აღარც გელაპარაკებათ. თქვენი ამხანაგებიც კი ფიქრობენ, რომ შეიძლება ეს სიმართლეა. რა უნდა გააკეთოთ ასეთ დროს? 1. არაფერი. არავინ არ დაგიჯერებთ, თუ ყველას მიაჩნია, რომ ჭორები მართალია. 2. თქვენც უნდა დაიწყოთ ცუდი ჭორების გავრცელება სხვა ბავშვებზე. 3. ყველას უნდა უთხრათ, რომ ჭორები არ შეესაბამება სიმართლეს. 4. სხვანაირად უნდა მოიქცეთ (ღია კუთხე).

თქვენი უფროსი და/ძმა გამუდმებით გირტყამთ როდესაც დაგიმარტოხელებთ და გემუქრებათ უარესით, თუ ვინმეს ეტყვით ამის თაობაზე. რა უნდა გააკეთოთ ასეთ დროს? 1. მშობლებს ან მასწავლებელს უნდა უთხრათ, რაც ხდება. 2. სკოლის ამხანაგებს უნდა სთხოვოთ, დაგეხმარონ დასთან/ძმასთან ჩხუბში. 3. უთხრათ დას/ძმას, რომ უნდა შეწყვიტოს ასეთი ქცევა, რადგან ეს მტკივნეულია. 4. სხვანაირად უნდა მოიქცეთ (ღია კუთხე).

მასწავლებელი სულელს გიწოდებთ ყოველთვის, როდესაც კლასში არასწორ პასუხს იძლევით, და ამბობს, რომ უაზროა თქვენთვის რაიმეს ახსნა, რადგან სწავლა არ შეგიძლიათ. სხვა ბავშვებმაც დაიწყეს თქვენი უდიერად მოხსენიება. რა უნდა გააკეთოთ ასეთ დროს? 1. პირდაპირ ხელმძღვანელ პირთან უნდა წახვიდეთ და უთხრათ, რაც ხდება. 2. დაიწყოთ გაკვეთილების გაცდენა, რადგან არ მოგწონთ

სკოლაში სიარული. 3. ჰკითხოთ მშობლებს, თუ შეგიძლიათ კლასის ან სკოლის შეცვლა. 4. სხვანაირად უნდა მოიქცეთ (ღია კუთხე).

თქვენ შეამჩნიეთ, რომ თქვენი ამხანაგი აბრაზებს და დასცინის უმცროს ბავშვებს საზაფხულო ბანაკში. გარდა ამისა, იგი ართმევს მათ სხვადასხვა ნივთს. რა უნდა გააკეთოთ ასეთ დროს? 1. უთხრათ ბანაკის უფროსებს, რაც ხდება ისე, რომ ამხანაგმა ვერ გაიგოს. 2. დაეხმაროთ ამხანაგს პატარა ბავშვებისთვის ნივთების წართმევაში, რათა თქვენ არ წაგართვათ რამე ნივთი. 3. უთხრათ ამხანაგს, რომ, თქვენი აზრით, ის არასწორად იქცევა და რომ თავი უნდა დაანებოს პატარებს. 4. სხვანაირად უნდა მოიქცეთ (ღია კუთხე).

სხვა სკოლის უფროსკლასელებს მოსწონთ თქვენი სკოლელი დაწყებითი კლასების მოსწავლეების გაბრაზება. ისინი უსაფრდებიან შინ მიმავალ ან ავტობუსის გაჩერებაზე მყოფ ბავშვს, გარს შემოეხვევიან და ართმევენ ფულს, საჭმელს ან სათამაშოებს. ქვებსაც ესვრიან და უარესით ემუქრებიან. რა უნდა გააკეთოთ ასეთ დროს? 1. სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ და სკოლაში ჯგუფთან ერთად წახვიდეთ და იქიდანაც ჯგუფთან ერთად წამოხვიდეთ. 2. უფროსებს უნდა უთხრათ მომხდარის თაობაზე და დახმარება სთხოვოთ. 3. ქვები ან დანა უნდა ატაროთ თავის დასაცავად. 4. სხვანაირად უნდა მოიქცეთ (ღია კუთხე).

კლასში ახალი მოსწავლე ბიჭი გადმოვიდა, რომელიც ლტოლვილია. თქვენი ამხანაგები რასისტული გამონათქვამებით მიმართავენ, დასცინიან მისი ქართულის ცოდნის დონეს და ეუბნებიან, წადი შენს სამშობლოშიო. რა უნდა გააკეთოთ ასეთ დროს? 1. თქვენც უნდა შეუერთდეთ მათ, ის ხომ თქვენი მეგობარი არ არის და არც უნდა გაღელვებდეთ. 2. უთხრათ მასწავლებელს, რომ თქვენი ამხანაგები რასისტული გამონათქვამებით მიმართავენ ახალ მოსწავლეს. 3. შესთავაზოთ ბიჭს ქართულში მეცადინეობა მაშინ, როდესაც არ თამაშობთ, რომ დაეხმაროთ მას სიტუაციის ადაპტირებაში. 4. სხვანაირად უნდა მოიქცეთ (ღია კუთხე).

თქვენ აბრაზებდით ერთ-ერთ ამხანაგს, რომელსაც მართლაც უჭირდა წერა-კითხვა. შემდეგ შენიშნეთ, რომ ის მარტო იჯდა. ერთხე-

ლაც კი დაინახეთ, რომ თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. რა უნდა გააკეთოთ ასეთ დროს? 1. არაფერი, რადგან ალბათ ცუდი დღე ჰქონდა და თქვენთან ამას არავითარი კავშირი არა აქვს. 2. აღარ გააბრაზებთ ამხანაგს და ჰკითხავთ, რატომ ტირის. 3. ეტყვით ამხანაგს, რომ აღარ გააბრაზებთ სხვათა თანდასწრებით, მაგრამ ისე ნამდვილი შტერია და დამატებითი მეცადინეობა სჭირდება. 4. სხვანაირად უნდა მოიქცეთ (ღია კუთხე) (**ფლაუერსი**, **2009**).

სავარჯიშო 5. **ძალადობა ჩემი წარმოდგენით**

დახატეთ: ა) მოძალადის პორტრეტი; ბ) ძალადობის მსხვერპლი ბავშვი.

ნახატი გამოვფინოთ. დამთვალიერებელმა ისაუბროს მის მიერ არჩეული სურათის შესახებ (**მეგრელაძე**, **2002**).

სავარჯიშო 6. **მე შემიძლია სიბრაზის მართვა**

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ რას გრძნობენ ისინი, როდესაც უსამართლობის, დაჩაგვრის ან აგრესიის შემსწრენი ხდებიან? როგორია სიბრაზის განცდა? რას ვგრძნობთ, როდესაც ბრაზდებით? მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ უსიამოვნო სიტუაციაზე გაბრაზება ჩვეულებრივი რეაქციაა, რასაც ფიზიოლოგიურადაც ვგრძნობთ ხოლმე: მაგ., გულისცემა ხშირდება, კუნთები იჭიმება... ხოლო, როგორ ვიქცევით არასასიამოვნო სიტუაციის დროს, ეს უკვე ჩვენს ხასიათზე, ტემპერამენტსა და საკუთარი თავის მართვის უნარზეა დამოკიდებული. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, თუ რა აბრაზებთ მათ თანატოლებს ყველაზე ხშირად? არის თუ არა შესაძლებელი თავის არიდება ან სხვაგვარი დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემის/საკითხის მიმართ? როგორ იქცევიან მოზარდები, როდესაც ბრაზდებიან? მოსწავლეებმა, შესაძლოა, ღიად გამოხატული აგრესიული ქცევები ჩამოთვალონ. მასწავლებელი ეკითხება მათ, ხომ არ იწვევს აღნიშნული ტიპის ქცევები პრობლემების მომრავლებას. მაგ., დაპირისპირება სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა, მშობლები ჩაერთვნენ, ამის გამო კომუნიკაცია შევწყვიტეთ და ა.შ. ამის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რა გზებს მიმართავენ ისინი სიბრაზის გრძნობასთან გასამკლავებლად? ან თვითონ სთავაზობს ჩამონათვალს: ზოგჯერ ადამიანი იოლად მშვიდდება გონებაში ოცამდე დათვლით, ზოგს სასიამოვნო

სიტუაციის მოგონება შველის, ზოგს „სიბრაზის გრძნობის“ დახატვა, ზოგისთვის კი სპორტული აქტივობებია ყველაზე ეფექტური. მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ასერტული – თავდაჯერებული ქცევის მნიშვნელობაზე. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ადამიანები სხვადასხვაგვარად იქცევიან პრობლემურ სიტუაციაში: ზოგი აგრესიულად იქცევა – აგრესიულია ადამიანი, რომელიც არ ისმენს სხვის აზრს, მუდამ ჩხუბობს, ხმამაღლა საუბრობს. ზოგი გაუბედავად იქცევა – უჭირს საკუთარი აზრის გამოთქმა, ლაპარაკობს ხმადაბლა, ძალიან იოლია მისი დაყოლიება. ზოგი თავდაჯერებულია – საუბრობს მშვიდად, კამათისას ყოველთვის გამოთქვამს საკუთარ აზრს, აფიქსირებს, თუ რას გრძნობს პრობლემური სიტუაციის დროს, მოწინააღმდეგესაც ეკითხება მის პოზიციასთან დაკავშირებულ მოსაზრებას, ეძებს გამოსავალს. მასწავლებელი განიხილავს პრობლემურ სიტუაციას: „ნატო დაბადების დღის აღსანიშნავად ემზადება. ის სტუმრების სიას ადგენს. საზეიმო სამზადისში მას უახლოესი მეგობარი, თამუნა ეხმარება. ნატომ სიაში ჩაწერა მეზობელი გოგონა სოფო. აღმოჩნდა, რომ თამუნას არ მოსწონს სოფო და ნატოს უთხრა, ეს სოფო არ დაპატიჟოო. სოფო ნატოს ძალიან ახლო მეგობარია და თამუნას ნათქვამზე გული სტკივა“.

ნატო აგრესიულად რომ მოქცეულიყო, თამუნას წაეჩხუბებოდა – სოფო ჩემი მეგობარია და როგორც მინდა, ისე მოვიქცევიო. გაუბედავად რომ მოქცეულიყო, ხმადაბლა ეტყოდა, რომ სოფო ძალიან უყვარს, მაგრამ თამუნას ძალიან რომ „ეყოჩაღა“, შესაძლოა, არც დაეპატიჟებინა სოფო დაბადების დღეზე. თავდაჯერებულად რომ მოქცეულიყო, ასე უპასუხებდა: „თამუნა, სოფო მე ძალიან მიყვარს და გული მტკივა, ჩემ მეგობარზე ასე რომ ამბობ. თქვენ ჩემთვის ორივე ძვირფასი ხართ და ორივენი მიყვარხართ. ძალიან მინდა, რომ ორივე იყოთ ჩემს დაბადების დღეზე. შენ არ ხარ ვალდებული, რომ ჩემსავით გიყვარდეს სოფო, მაგრამ როგორც ჩემს მეგობარს და სტუმარს, გამეხარდება, რომ კარგად შეხვდე“.

შესაძლებელია, მასწავლებელმა როლური თამაშიც შესთავაზოს მოსწავლეებს. მასწავლებელმა ბარათებზე წინასწარ უნდა დაწეროს სიტყვები: „თავდაჯერებული“, „გაუბედავი“, „აგრესიული“. მოსწავლეებს შესთავაზოს პრობლემური სიტუაცია და სთხოვოს რეაგირება არჩეული როლის შესაბამისად. თანაკლასელებმა კი უნდა გამოიცნონ, თუ რა როლი შეხვდა მათ თანაკლასელს. მასწავლებელი

აჯამებს შეხვედრას, ამბობს, რომ პრობლემას ყოველთვის გაამწვავებს აგრესიული ქცევა, ხოლო ნაკლებად გაამწვავებს გაუბედავი ან თავდაჯერებული საქციელი. თავდაჯერებული ქცევის დროს მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, არ შეილახოს მისი უფლება და დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია (**ლაბარტყავა**, **2011**).

სავარჯიშო 7. არა – ძალადობას!

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სადისკუსიო თემებს: რას ნიშნავს ძალადობა? რამდენად ხშირია ძალადობა ჩვენს დროში? ვინ შეიძლება აღმოჩნდეს ძალადობის მსხვერპლი? ვინ არის ხოლმე მოძალადე? როგორ შეგვიძლია ჩვენს მიმართ ძალადობის შეჩერება? ვის მივმართავთ ასეთ შემთხვევაში? ვსაუბრობთ ამგვარ საკითხებზე მშობლებთან? მეგობრებთან? მასწავლებლებთან? როგორ ფიქრობთ, ბავშვთა უფლებების კონვენციის ცოდნა შეამცირებს/აღმოფხვრის ძალადობის ფაქტებს თანატოლთა შორის? დამრიგებელი ესაუბრება მოსწავლეებს, ცნებაზე „ძალადობა“ და მის ფორმებზე. ძალადობა ეს არის ზიანის მომტანი, მავნებელი ან აგრეთვე, ზიანის საფრთხის შემცველი ქცევა, რომელიც განზრახაა ჩადენილი (შენიშვნა: შემთხვევით მიყენებული ზიანი, როგორც წესი, ძალადობად არ ითვლება).

ძალადობა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური. ფსიქოლოგები ასახელებენ ფსიქოლოგიური ძალადობის შემდეგ ფორმებს: 1. გარიყვა; 2. უარის თქმა ადამიანის თხოვნაზე, როდესაც მას რეალურად სჭირდება დახმარება და შესაძლებელია მისი დახმარება; 3. ინდიფერენტული, ცივი დამოკიდებულება ბავშვის მიმართ; 4. დამცირება – განსაკუთრებით ადამიანის სახალხოდ დამცირება, ქილიკი მის ინტელექტუალურ მონაცემებსა და შესაძლებლობებზე. მაგ., „შენ სულელი ხომ არ ხარ?“ 5. ტერორიზება – სიტუაცია, როდესაც ბავშვი სხვაზე განხორციელებული ძალადობის შემსწრე ხდება ან როდესაც მას მუდამ ემუქრებიან; 6. იზოლაცია – როდესაც ბავშვს არ აძლევენ სხვებთან თამაშის, აქტივობაში მონაწილეობის უფლებას; 7. ექსპლუატაცია – იგულისხმება ბავშვის გულუბრყვილობით სარგებლობა. ძალადობა მოქმედებს ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე, მის თვითშეფასებაზე. თუ ადამიანი ხშირად ხდება სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლი, მას შეიძლება გარემოს მიმართ უნდობლობა გაუჩნდეს. მასწავლებელი სთავაზობს კლასს სიტუაციების გარჩევას: 1) „კატომ თავის დაბადების დღეზე მთელი კლასი დაპატიჟა სოფოს

გარდა, გადაწყვეტილება შემდეგნაირად დაასაბუთა: „სოფო მოსაწყენი ადამიანია, სულ ჩუმად არის, არც ცეკვა უყვარს და არც ჩვენს საყვარელ მუსიკას უსმენსო“, მეორე დღეს თანაკლასელები სოფოს თანდასწრებით მხიარულად ჰყვებოდნენ წინა დღეს გატარებულ დროზე“. 2) „გიორგი ძალიან აქტიური და კონტაქტური ადამიანია, მას ბევრი მეგობარი ჰყავს, მაგრამ განსაკუთრებით ზურასთან მეგობრობს. გიორგი ხშირად იმიზეზებს წელის ტკივილს და საკუთარ ჩანთას ზურას ატარებინებს. საკუთარი მობილურითაც იშვიათად სარგებლობს და ძირითადად ზურას ტელეფონით ურეკავს ხოლმე მშობლებს“.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, აქვს თუ არა ადგილი ზემოთაღწერილ სიტუაციებში ძალადობას? რატომ? რა სახის ძალადობასთან გვაქვს საქმე? რას ურჩევდით სიტუაციის გმირებს? (**ლაბარტყავა**, **2011**).

სავარჯიშო 8. **განიხილეთ შემდეგი ორი განცხადება:**

განცხადება 1. ძალადობა სასკოლო გარემოში მიუღებელია. ძალადობის მრავალი მიზეზი არსებობს და იგი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ სკოლები, რომლებიც საგანგებო ყურადღებას მიმართავენ და კონსტრუქციულად მუშაობენ ამ საკითხზე, ახერხებენ ძალადობისა და აგრესიული მოქმედების შემთხვევათა შემცირებას. ფორმულა მარტივია: მთელ სკოლაში ასწავლეთ პიროვნული განვითარებისათვის საჭირო უნარები, მათ შორის, ემოციები და სოციალური უნარები; მყარად დადექით პრინციპზე – „არავითარი ძალადობა“; მხარი დაუჭირეთ სკოლაში არსებულ ძალადობაზე რეაგირების გეგმას, მათ შორის, მიზნობრივი პროგრამების ამოქმედებას. თუ აღნიშნულ ზომებს მოსწავლე არ უპასუხებს, მოუწოდეთ მათ შემდგომი ჩარევისაკენ. ბავშვებს, რომლებიც არ ემორჩილებიან საყოველთაო და მიზნობრივ პროგრამებს, სჭირდებათ ინტენსიური ინდივიდუალური მხარდაჭერა, რაშიც ჩაერთვებიან განათლების ფსიქოლოგები, სპეციალიზირებული მასწავლებლები, მშობლები, სხვა სპეციალისტები და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებები.

განცხადება 2. ძალადობა სოციალურ კონტექსტში ხდება, ხოლო მასწავლებლებმა, ჩვეულებრივ, კარგად იციან იმ მოსწავლეთა ისტორია, რომლებიც ძალადობას მიმართავენ. ამ ბავშვებისათვის ძალიან

სასარგებლო იქნება თუ ეყოლებათ ემოციების ერთგვარი ინსტრუქტორი (მაგალითად: კლასის დამრიგებელი, განათლების ფსიქოლოგი, დამხმარე პროფესიონალი ან მოხალისე საზოგადოებიდან). ასეთი ადამიანი მოსწავლეებს დაეხმარებოდა ემოციების კონტროლის, ურთიერთთანამშრომლობისა და პრობლემების გადაჭრის უნართა გამომუშავებაში. ემოციების უკონტროლობა ყოველთვის არ არის ძალადობრივი აქტის საბაბი, მაგრამ ძალადობის ადგილიდან მოსწავლეების დაუყოვნებლივ გაყვანა და მათთან გასაუბრება, მიზეზის მიუხედავად, მოსწავლეებს დაეხმარება იმის გააზრებაში, რომ ძალადობა მიუღებელია და მათ თავიანთ ქცევაზე პასუხისგება მოუწევთ. ამავდროულად, ისინი უნდა დაფიქრდნენ იმაზეც, აგრესიის რა ალტერნატივა არსებობს და როგორ შეიძლება ჩადენილის გამოსწორება.

თქვენს სკოლაში არსებული მიდგომები შეესაბამება თუ არა ზემოთ მოყვანილ განცხადებებს? რამე ხომ არ არის გამორჩენილი? რა სახის რეაგირების გეგმები გაქვთ შემუშავებული? ამ გეგმებში გათვალისწინებულია თუ არა ძალადობის მიზეზები, ძალადობის მსხვერპლის მხარდაჭერა და ძალადობის შედეგთა აღმოფხვრა? ზოგადად, ძალადობაზე სასწრაფო რეაგირება ითვალისწინებს შემდეგს: ყველა მოსწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა – საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დახმარების მოხმობა, აგრესორების განცალკევება, მეთვალყურეების დაგზავნა; საჭიროების შემთხვევაში, პირველადი ფიზიკური და ემოციური დახმარების გაწევა; საბაზისო ფაქტების შეგროვება ინციდენტის შესახებ მოხსენების დასაწერად; სათამაშო მოედნიდან მოძალადე ბავშვების დაუყოვნებლივ გამოყვანა – მათი გაგზავნა ან გაცილება წინასწარ მოწყობილ „გასაგრილებელ“ ოთახში, სადაც მათ გასაუბრებამდე უნდა მოიცადონ; მოსწავლის უსაფრთხო შებოჭვის მეთოდის გამოყენება, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (**ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში: როგორ შევცვალოთ გარემო?**).

სავარჯიშო 9. სიტყვები, რომლებიც გულს გვტკენს

თემები: დისკრიმინაცია, ძალადობა

ასაკი: 11-14 წელი

ხანგრძლივობა: 60 წუთი

სავარჯიშოს აღწერა: ბავშვები ასახელებენ გულსატკენი გამონათქვამების მაგალითებს და აანალიზებენ მათ მიზეზებს და შედეგებს

მიზნები: გულსატკენი გამონათქვამების მიზეზების განხილვა; იმის გარკვევა, თუ როგორ განსხვავდება ადამიანის რეაქცია სხვადასხვა გამონათქვამზე; გამოხატვის თავისუფლების ზღვარის გარკვევა; გულსატკენი გამონათქვამების ოპონირების საშუალებებში გაწაფვა.

მომზადება: ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-13 მუხლი გადაიტანეთ დიდი ფორმატის ფურცლებზე ან დაწერეთ დაფაზე

მასალები: პატარა ზომის წებოვანი ფურცლები და წებოვანი ლენტი; დიდი ფურცლები და მარკერი, ან დაფა და ცარცი; ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-13 მუხლის ასლი

მითითებები: 1. დაწერეთ და წაიკითხეთ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-13 მუხლი. მიუთითეთ, რომ ეს მუხლი ანიჭებს ბავშვს გამოხატვის უფლებას, მაგრამ ზღუდავს ისეთ გამოხატვას, რომელიც არღვევს და ზიანს აყენებს სხვათა უფლებებს და რეპუტაციას. განიხილეთ გამოხატვის უფლება შემდეგი კითხვების დახმარებით: ა. ყოველთვის უნდა გვქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ რაც გვინდა, ის ვთქვათ? ბ. უნდა ვიყოთ თუ არა შეზღუდულნი იმაში, თუ რისი თქმა შეგვიძლია საკუთარი აზრის ან მრწამსის შესახებ? გ. რა ტიპის გამონათქვამები არღვევს სხვათა უფლებებს? დ. რა ტიპის გამონათქვამებს შეუძლია სხვათა რეპუტაციის შელახვა? 2. ახსენით, რომ ეს სავარჯიშო ზემოხსენებული საკითხების დადგენას ემსახურება. 3. დაურიგეთ ყველას პატარა ფურცლები და სთხოვეთ, დაწერონ გულსატკენი გამონათქვამები, რომლებსაც ადამიანები ხმარობენ, ან სახელები, რომლებსაც ბავშვები ერთმანეთს უწოდებენ. თითო გამონათქვამი თითო ფურცელზე დაწერეთ. 4. დახატეთ ქვემოთ მოყვანილი სქემა და ჩამოკიდეთ კედელზე. სქემაში ჩაწერეთ გამონათქვამების სრული სპექტრი „გასაბრაზებელიდან“ „ძალიან გულსატკენამდე“. სთხოვეთ ბავშვებს, ჩასვან „თავიანთი“ სიტყვები შესაბამის გრაფაში. სთხოვეთ, დაიცვან სიჩუმე ამ სავარჯიშოს დროს.

გასაბრაზებელი/ სახუმარო არაგულსატკენი	ცოტა გულსატკენი/ შეურაცხმყოფელი	საშუალოდ გულსატკენი/ შეურაცხმყოფელი	ძალიან გულსატკენი/ შეურაცხმყოფელი	განსაკუთრებულად გულსატკენი/ შეურაცხმყოფელი

5. სთხოვეთ ბავშვებს, კარგად დააკვირდნენ სქემას და შეინარჩუნონ სიჩუმე. როგორც წესი, ერთი და იგივე სიტყვა რამდენიმე გრაფაშია გამოყენებული და სხვადასხვა ხარისხის შეურაცხყოფად აღიქმება.

სავარჯიშოს შემდგომი განხილვა და შეფასება

1. მას შემდეგ, რაც ყველა ბავშვი თავის ადგილს დაუბრუნდება, ქვემოთ მოყვანილი კითხვების დახმარებით ჰკითხეთ, თუ რა შეამჩნიეს სქემაზე დაკვირვებისას: ა. ზოგიერთი სიტყვა ერთზე მეტ გრაფაში ხომ არ ყოფილა ნახმარი? ბ. რატომ ფიქრობენ ერთნი, რომ ზოგი გამონათქვამი/სიტყვა არ არის გულსატკენი, მეორენი კი მას გულსატკენად და შეურაცხმყოფელად აღიქვამენ? გ. აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ ან ვინ გამოთქვამს ამა თუ იმ სიტყვას? დ. რატომ ხმარობენ ადამიანები ასეთ გამონათქვამებს/სიტყვებს? ე. ადამიანებისთვის გულისტკენა ძალადობის ფორმა ხომ არ არის? რატომ?

2. სთხოვეთ ბავშვებს, დაადგინონ, არსებობს თუ არა ტიპური გულსატკენი გამონათქვამები ან მათი კატეგორიები. მას შემდეგ, რაც ბავშვები გაიხსენებენ ამა თუ იმ გამონათქვამს ან ჩამოთვლიან მათ კატეგორიებს (მაგალითად, ფიზიკური ნაკლის ან უნარის, გონებრივი უნარის, სექსუალობის, ოჯახური ან ეთნიკური წარმომავლობის შესახებ), ჩამოწერეთ ისინი დაფაზე. გააანალიზეთ მიღებული პასუხები შემდეგი კითხვების დახმარებით: ა. არის გამონათქვამები/სიტყვები, რომლებიც მხოლოდ გოგონებს შეეხება? ან მხოლოდ ბიჭებს შეეხება? ბ. თქვენი აზრით, რატომ იხმარება გულსატკენი გამონათქვამები ამ თემებთან მიმართებაში? გ. რომელ საკითხებთან მიმართებაში იხმარება ყველაზე უფრო გულსატკენი გამონათქვამები? დ. რა დასკვნებს გამოიტანთ გულსატკენი გამონათქვამების შესახებ?

3. სთხოვეთ ბავშვებს, მოაცილონ პირველ სქემაზე დაკრული წებოვანი ფურცლები და მიაკრან ისინი იმ თემის ან კატეგორიის ქვეშ, რომელსაც ისინი ყველაზე უფრო მიესადაგება. შეიძლება დაამატოთ კატეგორია სახელწოდებით „სხვა“. ბავშვები რომ თავიანთ ადგილებს დაუბრუნდებიან, ჰკითხეთ: ა. რომელ კატეგორიაში მოგროვდა ყველაზე მეტი ფურცელი? როგორ ახსნით ამას? ბ. ყველაზე უფრო გულსატკენად მიჩნეული სიტყვები რაიმე განსაკუთრებულ კატეგორიებად ხომ არ იყოფა? გ. ხმამაღლა ნუ უპასუხებთ, იფიქრეთ: თქვენს მიერ ნახმარი გამონათქვამებიც/სიტყვებიც ხომ არ იყოფა კატეგორიებად? დ. დაყავით ბავშვები მცირერიცხოვან ჯგუფებად და მიეცით თითოეულ ჯგუფს რამდენიმე ფურცელი, სადაც ყველაზე უფრო გულსატკენი სიტყვა წერია. სთხოვეთ ერთ წარმომადგენელს ყოველი ჯგუფიდან, წაიკითხოს პირველი სიტყვა ან ფრაზა. ჯგუფმა უნდა აღიაროს, რომ ეს ფრაზა გულსატკენია და განიხილოს: უნდა მიეცეთ თუ არა ადამიანებს მისი თქმის უფლება და რა უნდა ვქნათ,

თუკი ეს მოხდება. გაიმეორეთ ეს სავარჯიშო თითოეული სიტყვის/ გამონათქვამის შემთხვევაში.

4. სთხოვეთ ბავშვებს, მოახსენონ დანარჩენ ბავშვებს თავიანთი დასკვნები მე-3 ეტაპთან დაკავშირებით. დაუკავშირეთ გულსატკენი გამონათქვამები ადამიანის უფლებების საკითხებს შემდეგი კითხვების დახმარებით: ა. ევალებათ თუ არა უფროსებს გულსატკენი გამონათქვამების აკრძალვა? თუ ევალებათ, რატომ? ბ. ევალებათ თუ არა ბავშვებს გულსატკენი გამონათქვამების აკრძალვა? თუ ევალებათ, რატომ? გ. თქვენ რისი გაკეთება შეგიძლიათ თქვენს გარშემო გულსატკენი გამონათქვამების წინააღმდეგ? დ. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? ე. როგორ არღვევს გულსატკენი გამონათქვამები ადამიანის უფლებებს?

რჩევები შემდგომი მუშაობისთვის:

მეტი ისაუბრეთ იმის თაობაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ბავშვებს გულსატკენი გამონათქვამების აღსაკვეთად. მიეცით ბავშვებს როლები და ათამაშეთ, თითქოს მათ ვიღაც გულსატკენ სახელებს ეძახის. ერთად გამოძებნეთ რეაგირების გზები.

რამდენიმე იდეა, რომლებიც მუშაობაში დაგეხმარებათ:

• გამოიყენეთ ეს სავარჯიშო იმის განსახილველად, თუ როგორ იყენებენ ბავშვები სხვადასხვა გამონათქვამს ჯგუფში. არის ისეთი გამონათქვამები, რომლებიც, ბავშვების აზრით, ჯგუფში საერთოდ არ უნდა იხმარებოდეს?

• თუკი ჯგუფის ქცევის წესები უკვე დადგენილია, დაამატეთ მათ სხვადასხვა გამონათქვამთან დაკავშირებული წესი.

სასარგებლო რჩევები მასწავლებელს:

ამ სავარჯიშოში წამყვანს დიდი სიფრთხილე მართებს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებმა ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან ბევრი „ცუდი სიტყვა“ იციან, ისინი უფროსებთან ამ თემაზე იშვიათად საუბრობენ. მე-2 და მე-4 პუნქტებმა შესაძლოა უხერხულობა და ნერვული სიცილი გამოიწვიოს ბავშვებში. მასწავლებელმა მათ უნდა განუმარტოს, რომ ამ კონტექსტში ამ სიტყვების გამეორება დასაშვებია და რომ ეს მხოლოდ განხილვაა და მათ ხმარებას არ ნიშნავს.

კარგი იქნება, თუკი სიტყვები ხმამაღლა კი არ ითქმება, არამედ ფურცელზე დაიწერება, გარდა მე-3 პუნქტში მოყვანილი სიტყვებისა, სადაც ბავშვები განმარტავენ, მისაღებია თუ არა ამა თუ იმ სიტყვის გამოყენება.

ძირითადი საგანმანათლებლო დატვირთვა ამ სავარჯიშოში შემდეგშია: ერთი და იგივე სიტყვა შესაძლოა სხვადასხვა გრძნობას გამოხატავდეს, მაგალითად, სიტყვა, რომელიც ერთი ბავშვისთვის სახუმაროა, მეორესთვის შეიძლება გულსატკენი იყოს. ნუ მისცემთ შესაძლებლობას, რომ დისკუსიამ ზემოქმედება მოახდინოს მგრძნობიარე ბავშვებზე. თუ საჭიროა, უფრო მეტი დრო დაუთმეთ ზოგიერთი გამონათქვამის გარჩევას და ბავშვების ყურადღების მიქცევას მათზე.

ეს სავარჯიშო არ არის რეკომენდებული სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის. გასათვალისწინებელია, ის რომ ზოგიერთმა ბავშვმა შესაძლოა არ იცოდეს სიტყვის მნიშვნელობა. უმცროსი ასაკის ბავშვებს შესაძლოა არ ესმით, რომ ზოგიერთი სიტყვა სექსუალურ ქცევასთან არის დაკავშირებული. სასურველია ამ სავარჯიშოს ადაპტირება ბავშვების ასაკთან. ამ სავარჯიშოსთვის განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს. მიეცით ბავშვებს საკმარისი დრო, რომ საკუთარ კატეგორიებად დაყონ გამონათქვამები/სიტყვები და თავიანთი საკუთარი დასკვნები გამოიტანონ, სხვაგვარად კავშირი ადამიანის უფლებებთან სუსტი იქნება.

ეს სავარჯიშო შეიძლება წარმატებით იქნეს მოდიფიცირებული უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის (მაგალითად, 8-10 წლის ან უფრო მცირე ასაკის), თუ გამოტოვებული იქნება მითითებების პუნქტი 1 და მხოლოდ კითხვა 1 სავარჯიშოს შემდგომი განხილვიდან. სავარჯიშოს დასასრულს წამყვანი ბავშვებთან ერთად ფიქრობს, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან გულსატკენი სიტყვების ხმარება.

უფროსი ასაკის ბავშვებისთვის: შეიძლება სავარჯიშო დაიყოს და ორ სხვადასხვა დღეს ჩატარდეს. მაგალითად, პირველ დღეს ჩატარდეს სავარჯიშო და სავარჯიშოსშემდგომი განხილვის პუნქტი 1 და 2, ხოლო მომდევნო დღეს ჩატარდეს პუნქტები 3 და 4 იმისთვის, რომ ბავშვებს მიეცეს დრო, გაითავისონ ის, რაც ისწავლეს და მეტად ინფორმირებულებმა განაგრძონ დაკვირვება მათ გარშემო არსებულ გარემოზე.

უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის: სავარჯიშოსშემდგომი განხილვის პუნქტი 1 შესაძლოა საკმარისი იყოს. მას შეიძლება მოჰყვეს როლების გათამაშება გულსატკენი გამონათქვამების თემაზე.

სავარჯიშო 10. „აგრესიის შეცვლა“ (8-18 წელი)

ინსტრუქცია: მასწავლებელი/ფსიქოლოგი ჯგუფს ჰყოფს სამ გუნდად და აძლევს შემდეგ ინსტრუქციას: „სავარჯიშოს შესრულების

დროს ლაპარაკი არ შეიძლება“, პირველი გუნდის წევრები იქნებიან „არქიტექტორები“, მეორე გუნდის წევრები „კორექტორი“, მესამე – „ქანდაკება“. „არქიტექტორები“ უნდა შეეცადონ უსიტყვოდ შექმნან-გამოძერწონ მესამე გუნდის წევრებისგან „ქანდაკება“ თემაზე-აგრესია. მეორე გუნდის წევრებმა, ანუ „კორექტორმა“, უნდა გადააკეთონ ეს ქანდაკება ისე, რომ ის აღარ იყოს აგრესიული. „არქიტექტორების“, კორექტორისა“ და „ქანდაკებისგან“ შემდგარი გუნდები რიგრიგობით ასრულებენ დავალებას, დანარჩენები ჩუმად უყურებენ მათ.

შეკითხვები: რა მოგეწონა სავარჯიშოს შესრულების დროს? რა გაგიჭირდა? რთული იყო „არქიტექტორის“, „კორექტორის“ ან „ქანდაკების“ როლის შესრულება? რას გვასწავლის ეს სავარჯიშო?

სავარჯიშო 11. „ღრუბელზე გასეირნება“ (8-18 წელი)

ინსტრუქცია: მასწავლებელი/ფსიქოლოგი სვამს ჯგუფის წევრებს წრეში და აძლევს შემდეგ ინსტრუქციას: „დასხედით, თავისუფლად მოეწყვეთ, დახუჭეთ თვალები. მე მინდა თქვენ შემოგთავაზოთ ღრუბელზე გასეირნება. წარმოიდგინე, შენ მოგიახლოვდა თეთრი ფუმფულა ღრუბელი. ის შენს ფეხებთან დაეშვა. წარმოიდგინე, როგორ მოკალათდი მთელი სხეულით ამ ფაფუკ ღრუბელზე, მოკალათდი თავისუფლად... ახლა ღრუბელი ნელა ადის ცაში, ზემოთ, ზემოთ. შენ სახეში ნიავი გიბერავს...ზემოთ ცაში, სიწყნარე და სიმშვიდეა. ღრუბელი ნელა მიცურავს ცაში იმ ადგილისკენ, სადაც შენ თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობ. შენ ხარ იქ, სადაც ყველაზე კარგად, მშვიდად გრძნობ თავს. მიმოიხედე ირგვლივ, დაიმახსოვრე ყველაფერი, შენ აქ თავს ბედნიერად გრძნობ... აქ შეიძლება მოხდეს ყველანაირი საოცრება... (1 წთ.) ახლა ადი ისევ შენს ფაფუკ ღრუბელზე და გამოემართე უკან, ჩვენ ოთახში, შენს ადგილას... ჩამოდი ღრუბლიდან და ასეთი საოცარი გასეირნებისთვის მადლობა გადაუხადე. ახლა შეხედე როგორ ქრება ის ნელ-ნელა ჰაერში... გაიზმორე, გაახილე თვალები და დაიმახსოვრე ის განცდები, რაც გასეირნების დროს, სანუკვარ ადგილას ყოფნის დროს იგრძენი.“..

შეკითხვები: რა მოგეწონათ? რა გაგიჭირდათ სავარჯიშოს შესრულების დროს? რა იყო სასიამოვნო, ან უსიამოვნო? რა დაგამახსოვრდათ?

მძიმე ემოციურ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებსა და მოზარდებს სჭირდებათ ადგილი, სადაც უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს, ადამიანი

– რომელიც მათ გაუგებს და სუბიექტური და ობიექტური პრობლემების გაანალიზებასა და მოგვარებაში დაეხმარება, ფსიქოლოგს და მასწავლებელს შეუძლიათ ასეთი გარემოს შექმნა.

სავარჯიშო 12. „ემოცია“ (მიმიკა) (8-18 წელი)

მასალა: პატარა ფურცლები, რომელზეც ჩამოწერილია ემოციების დასახელება და სხეულის ნაწილები, რომლითაც ბავშვებმა უნდა გამოხატონ ემოციები

წარწერები ბარათებზე: სიხარული-პირი; სევდა-ხელები; შიში-ფეხები; დარდი-მხრები; სიძულვილი-თვალები; ბედნიერება-სახე; აღშფოთება-სახე; კმაყოფილება-მთელი სხეული; გაბრაზება-ხელები; გაკვირვება-თვალები; სიყვარული-სახე; სიხარული-ხელები; სიმპათია-თვალები.

ინსტრუქცია: მასწავლებელი/ფსიქოლოგი არიგებს პატარა ფურცლებს, რომელზეც ჩამოწერილია ემოციების დასახელება და სხეულის ნაწილები, რომლითაც მონაწილეებმა უნდა გამოხატონ ის ემოცია და სთხოვს თითოეულ ბავშვს/მოზარდს ბარათზე აღნიშნული გრძნობა დასახელებული სხეულის ნაწილით განასახიეროს. ბავშვები რიგრიგობით გამოხატავენ ემოციებს, დანარჩენები – კი ცდილობენ მის გამოცნობას.

შეკითხვები: რა გაგიჭირდათ სავარჯიშოს შესრულების დროს? რა მოგეწონათ? რა უფრო გაგიჭირდათ: ემოციის გამოხატვა თუ გამოცნობა?

სავარჯიშო 13. როდესაც თავს დამცირებულად გრძნობ!

შეკითხვები: გაიხსენე შემთხვევა, როდესაც ვიღაცის დაცინვამ გული გატკინა; ამცირებენ თუ არა ადამიანებს შენს ირგვლივ (სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, ოჯახში და ა.შ.)

ინსტრუქცია: დაიყავით სამ ჯგუფად: ბარათზე მოცემული პირობის მიხედვით მოიგონეთ სიტუაცია, დაწერეთ სცენარი, რომლის გათამაშებაც მოგიწევთ (I ჯგუფი – I ბარათი; II ჯგუფი – II ბარათი)

I ბარათი

მოსწავლეებმა დახმარებისთვის მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას: საქმე ის არის, რომ ერთ-ერთ მათ თანაკლასელს სისტემატურად ამცირებენ.

დირექტორი ბრაზობს: მისი აზრით, თანამედროვე ახალგაზრდობა

არაფრად ვარგა, მათთვის უცხოა ზნეობრივი ნორმები და ამიტომ მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

კლასის ხელმძღვანელს (დამრიგებელს) არ სურს მომხდარის გამო საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა. მისგან განსხვავებით, სხვა პედაგოგები პრობლემის სიმძიმეს საერთოდ ვერ გრძნობენ და რაც ხდება, დამცირებად არ მიაჩნიათ.

II ბარათი

მოსწავლეები ცდილობენ გონს მოიყვანონ თანაკლასელი, რომელიც დაწყებითი კლასის მოსწავლეებს აბუჩად იგდებს. მოსწავლეებმა გადაწყვიტეს დაგეგმონ როგორ დაეხმარონ მეგობარს, რომელსაც თანაკლასელთა ჯგუფი სისტემატურად ამცირებს.

სცენების გათამაშების შემდეგ განიხილეთ თითოეული მათგანი:

რით ხელმძღვანელობდი სცენარის შექმნისას (წიგნი, ფილმი, საკუთარი გამოცდილება)? გაიხსენეთ პირველი სიტუაცია, გადაიჭრა თუ არა პრობლემა, როგორ? გაიხსენეთ მეორე სიტუაცია, ძნელია თუ არა „გულითადი“ საუბარი იმ ადამიანთან, რომელსაც პატარების დამცირება სიამოვნებას ანიჭებს? ასეთ შემთხვევაში, რა ტაქტიკა იძლევა დადებით შედეგს და რას უნდა მოერიდოთ?

წაიკითხეთ სამი შემთხვევა:

I ამბავი – „წელს ახალ სკოლაში გადავედი, თავიდანვე ვიგრძენი გოგონების გამომცდელი მზერა. შემდეგ თანდათან მივხვდი, რომ ისინი უბრალოდ ეჭვიანობენ ჩემზე, რადგან ბიჭებთან ვმეგობრობ და ისინი პატივისცემით მეპყრობიან.

მიუხედავად ამისა, ამ სკოლიდან გადასვლა მინდა, რადგან თავს ვგრძნობ დამცირებულად. თითქმის ყოველდღე ვიღებ მუქარის წერილს, მირეკავენ და მაშინებენ, სახელმძღვანელოები მომპარეს. წინა კვირას რამდენიმე გოგონა ტუალეტში შემომყვა, გარს შემომერტყნენ და ლანძღვა დამიწყეს: ვიღაცას თურმე შეყვარებული წავართვი, ვიღაცაზე ვიჭორავე, მეგობრები ერთმანეთს წავკიდე... მეორეჯერ ამას ვეღარ გადავიტან, შეურაცხყოფილი ვარ და მეშინია. შევეცადე ჩემი გასაჭირი სკოლის დირექტორისათვის შემეჩივლა, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩემი პრობლემა მან სერიოზულად ვერ აღიქვა.

სალომე“

II ამბავი – „ჩემმა მეგობარმა საიდუმლოდ გამანდო, რომ ამ ბოლო დროს სკოლის ბიჭები ამცირებენ. ბუნებრივია, მომინდა დავხმარებოდი და მათთან მოლაპარაკება გადავწყვიტე. ამის შემდეგ კი ბიჭები მეც გადამეკიდნენ. ახლა ორივეს გვერჩიან: დაგვცინიან, გვამცირებენ, აბუჩად გვიგდებენ, გვემუქრებიან და გამუდმებით ფულს გვთხოვენ... გადაწყვეტილი გვაქვს არავის გავანდოთ ჩვენი გასაჭირი, რადგან ანგარიშსწორების გვეშინია.

სანდრო“

III ამბავი – „15 წლის ვარ, მაგრამ სკოლაში სიარული აღარ მინდა. იქ არავის მოვწონვარ, განსაკუთრებით ბიჭებს. ხშირად მეუბნებიან, რომ უშნო და მსუქანი ვარ. აბა, ვის შეიძლება ასეთი მოეწონოს? ახლო მეგობარმაც კი მიღალატა და ჩემს „მწვალებელს“ დაუმეგობრდა. სულ მარტო დავრჩი. მეშინია, რომ ჩემი გაჭირვება ამით არ დამთავრდება. ეს ბიჭები ჩემს მიმართ სხვებსაც ცუდად განაწყობენ. მერე ხმა ჩემს დედ-მამამდეც მივა. მე კი არ მინდა მათ გული ვატკინო.

თამარი“

გაანალიზე დამცირების გამომწვევი მიზეზები და დასახე მასთან ბრძოლის გზები. დაასაბუთე შენი პოზიცია: როგორ გგონია, როგორ გრძნობს თავს ადამიანი, რომელსაც დასცინიან? დამნაშავეა თუ არა თავად დაცინვის მსხვერპლი? ცდილობენ თუ არა ადამიანები სხვისი აბუჩად აგდებით რაიმეს დამტკიცებას? არის თუ არა სხვისი დამცირება ერთ-ერთი საშუალება მასზე გარკვეული ძალაუფლების (გავლენის) მოსაპოვებლად? თუ შენს მეგობარს ვიღაც აბუჩად იგდებს, რის შესახებაც მხოლოდ შენთვის არის ცნობილი, მიმართავ თუ არა დახმარებისათვის უფროსებს ან სკოლის ადმინისტრაციას (მასწავლებელს, დამრიგებელს, დირექტორს, ფსიქოლოგს)? რას ნიშნავს „მოთმინება“, როგორ განსაზღვრავდი ამ სიტყვას? ითვლება თუ არა აბუჩად აგდება, დამცირება ძალადობის ერთ-ერთ ფორმად? შენი აზრით რას ნიშნავს ძალადობა? დაასახელე ძალადობის მაგალითები, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდები, მაგალითად, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაცინვა, სარკაზმი, ჩხუბი და ა.შ. **გაიხსენე** მსგავსი ეპიზოდები შენი პირადი გამოცდილებიდან, როცა: ვინმემ ძალადობა გამოიყენა შენს მიმართ; შენ გამოიყენე ძალადობა სხვის მიმართ; ძალადობას შეესწარი, მაგრამ არ ჩარეულხარ; ძალადობას შეესწარი და ჩაერიე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებები ძალადობის პრევენციის მიზნით

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე დისკრიმინაციის, სიძულვილის, ძალადობის, ბავშვთა უფლებების შელახვის, ცალკეულ პირის და ჯგუფის, სსსმ და შშმ პირთა ფსიქოლოგიური და მორალური ზიანის, სხვადასხვა აღმსარებლობის და კულტურული ტრადიციების მქონე ადამიანების სიძულვილის, გენდერული ნიშნით ბულინგის პრევენციის მიზნით ჩატარდა არაერთი აღმზრდელობითი ღონისძიება, დებატი, კონფერენცია, ფოტო-ნახატების გამოფენა, ტრენინგი, სამუშაო შეხვედრა. ყველა ღონისძიებას ესწრებოდა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის რესურ-ცენტრის, არასამთავრობო ორგანიზაციის, პრესის წარმომადგენლები, ბსუ-სა და ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ლექტორ-მასწავლებლები, სტუდენტები. სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური ჩართულობა ღონისძიებებში მეტყველებს მათ დაინტერესებას სკოლებში უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის. ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ განთავსებულია ბსუ-ს, აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სკოლის ვებ-გვერდზე:
https://bsu.edu.ge/main/page/13442/index.html?fbclid=IwAR1xqTCTNSfUFb2Yh842F4Id1-QJJPKIasGXohTI78HLdTsIt—-C8FLbFlU
https://www.youtube.com/watch?v=g3yxoWlSnzU&feature=youtu.be&fbclid=IwAR26vV90IT–9hWm1IIIqU8Dqt0FMj-0sxS0AThGVHeJvWMdWD0w8gim3NGE)
https://www.facebook.com/214956382012026/photos/pcb.1388367284670924/1388365008004485/?type=3&theater

აქტივობები დაიგეგმა და ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის პროექტის „მულტიკულტურული განათლების ასახვა მასწავლებელთა განათლების პროგრამებში“, ევროპის საბჭოს, ანტი-დისკრიმინაციული დეპარტამენტის DG-II საგრანტო პროექტის დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში და გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის

პროექტების: ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრად დაფუძნება ინკლუზიური და ბავშვთა უფლებებზე ორიენტირებული ცოდნის დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის დასანერგად, „კვლევა ფსიქიკური ჯანმრთელობის ხარისხიან სერვისებზე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის შესახებ“, უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების მხარდასაჭერად ფარგლებში.

ჩატარებული ღონისძიებები:

„ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ – ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემის, სხვადასხვა ერების/კულტურის მეგობრობის, თანამშრომლობითი გარემოს შექმნის მიზნით ბსუ-ში განათლების, სამართალმცოდნეობის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, უკრაინელი და რუსი სტუდენტების ჩართულობით ჩატარდა ღონისძიება „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“. თითოეულმა მათგანმა წარმოადგინა თავისი ქვეყნის კულტურა, ტრადიციები. ღონისძიებას დაესწრო ბსუ-ს რექტორატი, აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრი, აზერბაიჯანის დიასპორის თავმჯდომარე, აზერბაიჯანის საკონსულოს წარმომადგენლები, სომხეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ბათუმში, სომეხთა კავშირის თავმჯდომარე, თურქეთის კონსული ბათუმში, შაჰინის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები, სტუდენტები, ბსუ-ს ლექტორ-მასწავლებლები და სხვა.

2019 წლიდან ტრადიციად იქცა ბსუ-ში კამპანიის **„მე ვირჩევ თანასწორობას“** ჩატარება. კამპანიის ფარგლებში ტარდება კონფერენციები, სკოლაში სტუდენტები ატარებენ სხვადასხვა აღმზრდელობით ღონისძიებას, იბეჭდება საინფორმაციო ფლეიერები, ბანერები (კალენდრები, მაისურები, ჩანთები, ბლოკნოტები, კალმები წარწერით „მე ვირჩევ თანასწორობას“ (იხ. თავი 2, უსაფრთხო სკოლის მოდელი, გვ. 212-213). ხდება მათი მონაწილეებზე გადაცემა, საინფორმაციო ფლეიერების საზოგადოებაში გავრცელება.

კალენდარზე მონიშნულია მნიშვნელოვანი თარიღები, რომლებიც გვახსენებს, მიგვანიშნებს, რომ ყველა დღე სიყვარულის, პატივისცემის და თანადგომის დღეა, რომ პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთს, დავიცვათ ერთმანეთის უფლებები, არა სიძულვილს, ძალადობას და დისკრიმინაციას.

იანვარი
4 იანვარი – ბრაილის მსოფლიო დღე
24 იანვარი – განათლების საერთაშორისო დღე
27 იანვარი – ჰოლოკოსტის მსხვერპლთა საერთაშორისო დღე

თებერვალი
11 თებერვალი – მევნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე
20 თებერვალი – სოციალური სამართლიანობის დღე

მარტი
1-ელი მარტი – ნულოვანი დისკრიმინაციის დღე
8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე
21 მარტი – რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე
21 მარტი – დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე
24 მარტი – ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და მსხვერპლთა ღირსების საკითხებზე სამართლიანობის უფლებების საერთაშორისო დღე

აპრილი
2 აპრილი – აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე
6 აპრილი – სპორტის საერთაშორისო დღე განვითარებისა და მშვიდობისთვის
8 აპრილი – ბოშათა საერთაშორისო დღე
22 აპრილი – დედამიწის საერთაშორისო დღე
23 აპრილი – საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროში მომუშავე გოგონების საერთაშორისო დღე
24 აპრილი – მულტილატერალიზმის დღე მშვიდობის უზრუნველსაყოფად

მაისი
3 მაისი – პრესის თავისუფლების მსოფლიო დღე
16 მაისი – ერთად მშვიდობიანი თანაცხოვრების საერთაშორისო დღე
17 მაისი – სამოქმედო დღე ჰომოფობიის წინააღმდეგ
21 მაისი – კულტურული მრავალფეროვნების დღე

ივნისი
1-ელი ივნისი – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
4 ივნისი – აგრესიის უდანაშაულო მსხვერპლ ბავშვთა საერთაშორისო დღე
5 ივნისი – გაეროს დაცვის საერთაშორისო დღე
15 ივნისი – კონფლიქტებში სექსუალური ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე
20 ივნისი – მიგრანტთა მსოფლიო დღე
26 ივნისი – წამების მსხვერპლთა დახმარების საერთაშორისო დღე

ივლისი
11 ივლისი – მსოფლიოს მოსახლეობის საერთაშორისო დღე
22 ივლისი – სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა სოლიდარობის დღე
30 ივლისი – მეგობრობის საერთაშორისო დღე
30 ივლისი – მსოფლიო დღე ადამიანებით ვაჭრობისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ.

აგვისტო
12 აგვისტო – ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე
21 აგვისტო – ტურიზმის მსხვერპლთა ხსოვნის და პატივის მიგების საერთაშორისო დღე
24 აგვისტო – კონსტიტუციის მიღების დღე.

სექტემბერი
15 სექტემბერი – დემოკრატიის საერთაშორისო დღე
21 სექტემბერი – მშვიდობის საერთაშორისო დღე
23 სექტემბერი – ჟესტური ენის საერთაშორისო დღე
28 სექტემბერი – ინფორმაციაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის დღე

ოქტომბერი
1 ოქტომბერი – ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე
2 ოქტომბერი – საერთაშორისო დღე ძალადობის წინააღმდეგ
10 ოქტომბერი – ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე
15 ოქტომბერი – სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე
17 ოქტომბერი-სიღარიბის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე

ნოემბერი

9 ნოემბერი – საერთაშორისო დღე ფაშიზმისა და ანტი-სემიტიზმის წინააღმდეგ

16 ნოემბერი – შემწყნარებლობის/ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

25 ნოემბერი – ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე

დეკემბერი

3 დეკემბერი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღე

9 დეკემბერი – გენოციდის საერთაშორისო მსხვერპლთა ხსოვნის დღე

10 დეკემბერი – ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე

18 დეკემბერი – მიგრანტთა საერთაშორისო დღე

20 დეკემბერი – ადამიანთა შორის სოლიდარობის საერთაშორისო დღე

სიძულვილის, ძალადობის თავიდან აცილების ღონისძიებები ამ მნიშვნელოვან თარიღებთან კავშირში მიმართებით იგეგმება.

10 დეკემბერი, 2019 – ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე. პედაგოგიური პრაქტიკის ფარგლებში ბათუმის მე-15 საჯარო სკოლაში მასწავლებლის მომზადების (MINOR) და დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა ჩაატარეს აღმზრდელობითი ღონისძიება თემაზე: „ჩვენ დავიბადეთ თანასწორნი და განსხვავებულნი“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბათუმის მე-2, მე-15 საჯარო სკოლის 27 მოსწავლემ, 26-ე სკოლის შშმ და სსსმ მოსწავლეებმა, ბსუ-ს სტუდენტებმა, პედაგოგებმა, ლექტორ მასწავლებლებმა. მიზანი: მოზარდ თაობაში საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ძალადობის, დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულისა და სიძულვილის ენის გავრცელების, მისი ახალგაზრდებზე უარყოფითი გავლენის პრევენციის გზების დასახვა; ახალგაზრდებში თანასწორობისა და ტოლერანტობის, ადამიანის უფლებათა დაცვის კულტურის განვითარება-დამკვიდრება. ძალადობისა და სიძულვილის ტენდენციების, რისკების შემცირება.

21 მარტი, **2020**, **რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე**. ფოტო-ნახატების გამოფენა თემაზე: **„ჩემი თვალით დანახული ტოლერანტობა“** https://bsu.edu.ge/main/page/14258/index.html 1. მიზანი: სტუდენტებში, მოსწავლეებში ტოლერანტული პრინციპებისა და ღირებულებების ფორმირება. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, ბათუმის №2, ქართულ-ამერიკული სკოლის, კერძო სკოლა „იუჯის“, ფრანგულ-ქართული სკოლის, თბილისის სენტ-ეგზიუპერის, თბილისის 65-ე სკოლის, წყალტუბოს, სამტრედიის, ლანჩხუთის, ახალციხის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა; ბათუმის მესამე საჯარო სკოლასთან არსებული საკვირაო სკოლის უსინათლო და 26-ე სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებმა. გამოფენას დაესწრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები, ბათუმის რესურ-ცენტრის ბსუ-სა და ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ლექტორ-მასწავლებლები. მონაწილეებმა კომენტარი გააკეთეს თავისი ნახატების შესახებ: „ბევრს ჰგონია რომ ფერადკანიანი ადამიანები მონობისთვის არიან დაბადებულნი. ჰგონიათ რომ ისინი ბოროტები არიან... ამ ნახატში მე დღეც და ღამეც ერთდროულად დავხატე. დღე ფერადკანიანთანაა, ღამე კი თეთრკანიანთან დაკავშირებული. ეს ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ ორთავეს ფერადკანიანს და თეთრკანიანს კეთილი გული აქვს, ამიტომ დავხატე დღე ფერადკანიან ადამიანთან“. „ტოლერანტობა ეს სწორედ ხელის გაწვდენაა მეორე ადამიანისთვის. არ აქვს მნიშვნელობა როგორია ადამიანი, მთავარია მას ჰქონდეს სხვისი მიღების სურვილი ისეთად როგორიცაა ის“. თანადგომისა და თანასწორობის საუკეთესო გამოხატულება იყო გამოფენაზე ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტების მიერ შშმ და უსინათლო ბავშვებისათვის შექმნილი ტაქტილური აღქმის რესურსები წარმოდგენა.

კამპანიის **„მე ვირჩევ თანასწორობას“** ფარგლებში ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე დამკვიდრდა უნივერსიტეტისა და სკოლის ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება. 2022 წლის 22 თებერვალს ჩატარდა **ფოტო და ნახატების გამოფენა თემაზე „ბავშვები იცავენ თავიანთ უფლებებს“**, მონაწილეობა მიიღო 23 მოსწა-

ვლემ – მხატვარმა და სტუდენტმა ხელმძღვანელებთან ერთად. მონაწილეთა შორის იყოს მე-4 კლასელი ნორჩი მხატვარი, 26-ე სკოლის ინკლუზიური სწავლების ცენტრის და მხედველობის დარღვევის მქონე სწავლების საკვირაო კლუბის მოსწავლეები. 26-ე სკოლის მოსწავლეების ნაწილი ჩაგვერთო კერამიკის საამქროდან. გამოფენის ძირითადი გზავნილი იყო „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“. ნახატები „სიცოცხლეს გეევედრები“. „ჩვენ გვაქვს უფლებები“, „დაიცავით ბავშვთა უფლებები“, „ბავშვთა დაცვის დღე“, „ჩემი უფლებები“, „არა ნაადრევ ქორწინებას“; ტაქტილური რესურსი და ქვის სკულპტურები უსინათლო ბავშვებისათვის თემაზე: „ჩემი ბავშვობის შთაგონება“, „მეთევზე“ „მე ვხედავ მზეს“ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტების ნამუშევრებში ნათლად გამოჩნდა ბავშვთა უფლებების დაცვის აუცილებლობა. სიძულვილის ენის, დისკრიმინაციის, მედია კომუნიკაციისა და გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ გამოხატული პროტესტი, არა ნაციზმს. წარმოდგენილი ნამუშევრები ეხმიანებოდა ფოტო-ნახატების გამოფენის დევიზს „ჩვენ ვართ თანასწორნი და განსხვავებულები“.

3 მაისი-პრესის თავისუფლების მსოფლიო დღე. ჩატარდა დებატი თემაზე: **„მედიის როლი საზოგადოებაში სიძულვილის ენის წინააღმდეგ“** https://www.bsu.edu.ge/main/page/13836/index.html?fbclid=IwAR3uarwHIQPa3O2eCMQxtPudg5mVVI7KJLINiSu7uM9fE4jCnKec4KPGoao. მიზანი: მედიის როლის გავლენის ჩვენება მოზარდ თაობაში ცნობიერების ამაღლებაში. მონაწილეობა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, მაგისტრებმა, ლექტორ-მასწავლებლებმა, ფსიქოლოგებმა, ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებმა, დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, ჟურნალისტებმა, საზოგადოებრივი მაუწყებლობის აჭარის ტელევიზიის და რადიოს სოციალური მედიის მენეჯერმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა ისაუბრეს განსხვავებული აზრის, ეროვნების, სარწმუნოებისა და კულტურის მქონე ადამიანების პატივისცემის აუცილებლობაზე. დასმულ კითხვებს პასუხი გასცა ა (ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის თავმჯდომარემ.

21 მაისს კულტურული მრავალფეროვნების დღეს ბსუ-ში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება ტრადიციად იქცა თემაზე: **„ჰარმონიული თანაცხოვრება მრავალფეროვან გარემოში“** (21 მაისი, 2020) https://bsu.ge/main/page/13847/index.html. კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა მრავალფეროვანი მოხსენებები: ქართული ენის შესწავლის საკითხი ეთნიკური უმცირესობებისათვის\უცხოენოვანი მოსწავლეებისათვის; ადამიანი და ციფრული საზოგადოება, ინფორმაციის სანდოობა „პოსტსიმართლის“ ეპოქაში; სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები თანამედროვე ეპოქაში; ემოციური ინტელექტის გავლენა ყურადღების კონცენტრაციაზე და ხანმოკლე მეხსიერებაზე დაწყებითი კლასების მოსწავლეების შესწავლის საფუძველზე; ჩვენ ვირჩევთ თანასწორობას; ჰარმონიული ცხოვრების დისბალანსი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „ჩანჩურას“ მიხედვით; ქალის გენდერული როლის ერთ-ერთი სირთულე – მშობიარობის შემდგომი დეპრესია; სსსმ მოსწავლეთა საზოგადოებასთან ინტეგრაციის პრობლემები და სხვა.

21 მაისი, 2021. სტუდენტური ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია „ბავშვის უფლებები და უსაფრთხო სკოლა“. კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი და საინტერესო იყო: ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია; მე მაქვს უფლება... ბულინგისგან თავისუფალი ზონა; ციფრული ტექნოლოგიების როლი ბავშვთა უფლებების დაცვაში; შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვთა სტიგმატიზაცია და მისი დაძლევის გზები; უსაფრთხო სკოლა და საერთაშორისო გამოცდილება; სკოლის აფექტური გარემოს გავლენა სწავლა/სწავლების პროცესში; 21-ე საუკუნე – ახალი გამოწვევები; ფსიქოლოგის როლი სკოლაში.

ბსუ-ში UNICEF-ის ხელშეწყობით გახსნილ ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში ტარდება დისკუსია-დებატი, ვებინარი, შემუშავდა და ჩატარდა ტრენინგ-მოდულები მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისთვის, მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის: მულტიკულტურული განათლების საფუძვლები; ბავშვთა უფლებების სწავლება სამოქალაქო განათლებაში, რელიგია და ეთნიკური უმცირესობები აჭარის რეგიონში; საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ეფექტური სწავლა-სწავლების სტრატეგიები; განვითარებისა და სწავლის თეორიები საკლასო ოთახში; ბავშვთა უფლებები; შესავალი კურსი დაპროგრამების ენა-ში Python; ემოციების მართვა; პროექტის მართვა, სწავლების უნივერსალური დიზაინი, კურიკულუ-

მის ადაპტაცია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმი (ადაპტირებული კურიკულუმი), კურიკულუმის დანერგვის სტრატეგიები, უსაფრთხო სკოლა-ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის როლი, პოზიტიური მშობლობა, CK12.

ცენტრში მოწვეულ იქნა ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი, ბავშვთა უფლებების სპეციალისტი ანა აბაშიძე, ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი მაია ცირამუა. ანა აბაშიძემ ჩაატარა საინფორმაციო სესია/ვებინარი მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, გააცნო ბავშვთა უფლებები ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; მასწავლებლებთან, მშობლებთან, სტუდენტებთან ჩაატარა ვებინარი – „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს ბავშვთა უფლებები და მათი უფლებების დაცვა“; ფსიქოლოგმა მაია ცირამუამ მოსწავლეებთან, სტუდენტებთან საინფორმაციო სესიაზე ისაუბრა თემაზე: „თანასწორობა და ბავშვთა უფლებები“. უპასუხა მათ კითხვებს; მასწავლებლებთან, მშობლებთან, სტუდენტებთან ისაუბრა თემაზე: „რა იწვევს ბავშვის ტრავმირებას?, როგორ დავიცვათ მოზარდები ტრავმებისაგან“. გაიმართა დისკუსია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: თანასწორობა და ბავშვთა უფლებები, უსაფრთხო სკოლა, რატომ ჩაგრავენ ბავშვები ერთმანეთს და ვინ შეიძლება აღმოჩნდეს მსხვერპლი, სკოლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები და მოგვარების გზები, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და ბულინგის პრევენციის საუკეთესო გზა.

ჩატარდა დებატები მოსწავლეებისათვის/სტუდენტებისთვის თემაზე: ჩვენ დავიბადეთ თანასწორნი და განსხვავებულები; ბავშვთა უფლებების სწავლება სამოქალაქო განათლებაში, მედიის როლი ბავშვის უფლებების დაცვაში, ჩვენ გვაქვს უფლება, ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია, „როგორ შევცვალოთ ძალადობრივი გარემო სკოლაში“. ტრენინგის ფარგლებში, გაიმართა დისკუსია ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმების შესახებ, ასევე დაისვა კითხვები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში; ძალადობა მოზარდებში – გამომწვევი მიზეზები, დაძლევის გზები; ბულინგი სკოლაში; ფსიქოლოგიური ძალადობა სკოლაში; ემოციური უსაფრთხოება; ბავშვთა უფლებების დაცვის, ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის ღონისძიებების შე-

სახებ, ასევე ამ აქტივობებში სკოლისა და საზოგადოების როლზე. მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, ჩატარდეს დებატები „ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის“ თემაზე და ასევე დაესწრონ ტრენინგებს ბავშვთა შრომითი უფლებების უფრო სიღრმისეულად გასაცნობად. ტრენინგის ბოლოს ბავშვებმა მოამზადეს სიმბოლური დოკუმენტი „ბავშვების ხმა“, სადაც დააფიქსირეს მათი სურვილები და პოზიცია ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით (ტრენერი-იურისტი, ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი გ. ქათამაძე).

ტრენინგ-მოდულები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (https://crc.bsu.edu.ge/events). 2021-2022 სასწავლო წელს ტრენინგი, ვებინარი მოისმინა 153 მასწავლებელმა და 132 მოსწავლემ. ტრენინგში ჩართული იყვნენ აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, კერძოდ: ბათუმის 1-ელი, მე-2, მე-6, მე-7, მე-16, 26-ე საჯარო სკოლის, ხელვაჩაურის, ხულოს, ქედის, აჭარის წყლის, ვერნების, წყავროკის, ბეღლეთის, აგარის, რიყეთის, ჩაქვის, აჭყვის, სალიბაურის, მახოს, ზემო წინსვლის, ქობულეთის, სარფის, ახოს, განთიადის, ჭარნალის, ჩაისუბნის, მახინჯაურის, კერძო სკოლა „ოქროს აკვანი“, სკოლა იუჯის, ქართულ-ამერიკული სკოლის „პროგრესი“, გორდა, „მეგასკოლა“, სკოლა 2000-ის, გურიის, ნიგვზიანის საჯარო სკოლა, ქუთაისის, ხაშურის მუნიციპალიტეტის, ქ. თბილისის 147-ე საჯარო სკოლის, გლოლის (რაჭა) საჯარო სკოლის სოფელ ალის საჯარო სკოლის, ბათუმის მცირე საოჯახო სახლის მოსწავლეებმა, მასწავლებლები და ბსუ-ს სტუდენტები.

ითარგმნა სტატიები ბავშვის უფლებებზე და დაიბეჭდა სტატიების კრებული „როგორ ვასწავლოთ და ვისწავლოთ ბავშვის უფლებები“. სიარა დეივი, ლორა ლანდი. თამაშის უფლების სიღრმისეული აღიარებისაკენ: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 31-ე მუხლის ანალიზი „Davey, C., and Lundy, L (2011) ჟურნალი ბავშვები და საზოგადოება, ტომი 25, (2011) გვ. 2-14 DOI: 10.1111/j.1099-0860.2009.00256.x – „ვიღაცამ ოქროსფერთმიანი გოგონა მოკლა და მათ ბედნიერად აღარ უცხოვრიათ..“. იზაბელა, 3 წლის, თავი 2 წიგნიდან „ამბის თხრობა ადრეული განათლების პრაქტიკის შუაგულში“; იეშე კოლივერი, ჰოლი დოელ-მაკევეი, მუხლი 31, 31 წლის შემდეგ: არჩევანი და ავტონომიურობა, როგორც ბავშვების თამაშის უფლების განხორციელების ჩარჩო ადრეული განათლების დაწესებულებებში; პრისცილა ალდერსონი, ადრეული ასაკის ბავშვების ადამიანის უფლებები: სოციოლოგიური ანა-

ლიზი საერთაშორისო ჟურნალი ბავშვთა უფლებებზე (2012) 20:177-198. (იხ. სტატიების კრებული ბსუ-ს ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში. ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბსუ-ს ბიბლიოთეკაში).

2022 წლის აგვისტო-დეკემბერში ბსუ-ს ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში განხორციელდა საგრანტო პროექტი „კვლევა ფსიქიკური ჯანმრთელობის ხარისხიან სერვისებზე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის შესახებ“ რომლის მიზანია: კვლევა 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ; გამოკითხულ იქნა დაახლოებით 825 სტუდენტი ბაკალავრის და მაგისტრატურის სხვადასხვა სპეციალობიდან. კვლევის პროცესში აქტიურად ჩაერთო მკვლევრები და სტუდენტები. სტუდენტებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს როგორც ანკეტების შევსებაში, ფოკუს-ჯგუფების მოზიდვაში, ასევე ამ მონაცემების შეტანაში. კვლევის შედეგები განთავსებულია UNICEF-ის ვებ გვერდზე, ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას და სერვისების განვითარებას, რათა უკეთ დაეხმაროს ახალგაზრდებს ჯანსაღი და პროდუქტიული ცხოვრების წარმართვაში როგორც საკუთარ სახლებში, ასევე თემებში.

2022 წლის დეკემბერი – ხელნაკეთი ნივთების დამზადების მასტერკლასი – „საახალწლო სილამაზე“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ბსუ-ს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა, ბათუმის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „იალქანი“ დღის ცენტრის 12 ბენეფიციარმა და ხატვის სტუდიის „არტ-ფაბრიკა“ მოსწავლეებმა. მონაწილეები გაეცნენ ბსუ-ს ბავშვის უფლებათა ცოდნის ცენტრის საქმიანობას. ღონისძიების მონაწილეებმა სხვადასხვა მასალის დახმარებით შექმნეს ხელნაკეთი ნივთები საახალწლო თემატიკაზე.

ფაკულტეტზე ჩატარებული აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებების ჩამონათვალი ვრცელია და ყველას განხილვა შორს წაგვიყვანს. მთავარი და მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა აქტივობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სტუდენტები – მომავალი მასწავლებლები. ჩვენ გთავაზობთ სცენარებს, პედაგოგიურ სიტუაციებს. მთავარია, რომ ყველა შეხვედრის მიზანი სიყვარული, მეგობრობა, ურთიერთპატისცემა და ძალადობის თავიდან აცილება. დიდი ქართველი მწერალი, ჰუმანისტი ნოდარ დუმბაძე წერს: „ჰუმანიზმი,

მე თუ მკითხავთ, თავის მხრივ უზარმაზარი ძალაა, რომელიც ბოროტებას უპირისპირდება სძლევს კიდეც, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრესი არ იქნებოდა ქვეყნად. საკაცობრიო მასშტაბით ჰუმანიზმი უფრო გლობალური ძალის იარაღითაა აღჭურვილი ვიდრე ბოროტება“. (ნ. დუმბაძე) ეს მოსაზრება ძალიან კარგადაა ჩამოყალიბებული მის მიერ „აღმოჩენილ“ მარადისობის კანონში, რომლის მიხედვით ადამიანის სული იმდენად მძიმეა, რომ მხოლოდ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. სწორედ ამიტომ ერთი ადამიანი ატარებს მეორის სულს, მეორე – მესამისას და ასე მარადიულად გრძელდება. მსგავსი დამოკიდებულება აყალიბებს ადამიანს და ასწავლის სიყვარულის, თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის მარადიულობის მნიშვნელობას.

ტერმინთა განმარტება

ასერტულობა არის ადამიანის უნარი, თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე და სხვებთან დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია. ამ დროს ადამიანი პატივს სცემს საკუთარ თავს და სხვებს. ასერტულობა აძლევს ადამიანს სხვებთან ღია კომუნიკაციის საშუალებას. ასერტული ქცევა აძლევს საშუალებას ადამიანს რომ დაიცვას საკუთარი პოზიცია, მაშინაც კი, როცა სხვებს განსხვავებული აზრი აქვთ. ასერტული ქცევა გულისხმობს შემდეგი უნარების გამოყენებას: 1. უარის თქმა: როგორ თქვა „არა" შესატყვის სიტუაციაში და შესატყვის დროს. საკუთარი პოზიციის გამოხატვა – „არა, არ შემიძლია" მიზეზების ახსნა – „დღეს დაკავებული ვარ" გაგება – „იმედი მაქვს, რომ თქვენთვის შესაბამის სხვა საქმეს მოძებნით"; 2. გრძნობების გამოხატვა: უთხრა ადამიანებს, თუ რას გრძნობ. დადებითი გრძნობების გამოხატვა: „შენ ძალიან კარგად შეასრულე დავალება" უარყოფითი გრძნობების გამოხატვა: „შენმა საქციელმა მე გული მატკინა"; 3. თხოვნა: ინფორმაციის, განმარტების მიღების თხოვნა. პრობლემის ჩამოყალიბება/განმარტების თხოვნა: „მე თქვენ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დავალება მომეცით: თუ შეიძლება, „შეგიძლიათ ამიხსნათ, ზუსტად რა გსურთ, რომ გავაკეთო? (საგანმანათლებლო ლექსიკონი).

არაფორმალური განათლება: გულისხმობს ორგანიზებულ და მიზანმიმართულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ფორმალური განათლების (მაგ.: სკოლა, უნივერსიტეტი) მიღმა. ასეთი ღონისძიებებია მაგ.: ტრეინინგები, სხვადასხვა კურსები ან თუნდაც, მეცადინეობა რეპეტიტორთან. არაფორმალური განათლების პროცესში ყველა ასაკის ადამიანი შეიძლება იყოს ჩართული. თავად საგანმანათლებლო ღონისძიება შეიძლება იყოს სხვადასხვა ხანგრძლივობის და არ არის აუცილებელი სრულდებოდეს რაიმე სახის საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემით.

აგრესია – მიზანმიმართული მტრული დამოკიდებულება და/ან დესტრუქციული ქმედება. ადამიანის აგრესიულ ქმედებას, ჩვეულებრივ, რისხვა ან შიში უდევს საფუძვლად.

აგრესიულობა (მტრობა, ასოციალურობა) – ადამიანის ქცევა სხვა ადამიანების მიმართ, რომელიც გამოირჩევა მათთვის უსიამოვნების მიყენების, ზიანის მიყენების სურვილით. არსებობს ცნება „ინსტრუმენტული აგრესია“, რაც გულისხმობს აგრესიის გამოყენებას მიზნის მისაღწევად, მაგალითად, კონკურენტების დამარცხებით, შეჯიბრის მოსაგებად (**ფსიქოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონი**, **2012**).

აგრესიული ქცევა – ეს არის ადამიანის მოქმედების სპეციფიკური ფორმა, რომელიც ხასიათდება ძალაში უპირატესობის დემონსტრირებით ან ძალის გამოყენებით სხვა ადამიანთან ან პირთა ჯგუფთან მიმართებაში, რომელთაც სუბიექტი ცდილობს ზიანი მიაყენოს (**ფსიქოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონი**, **2012**).

ბავშვი – 18 წლამდე არასრულწლოვანი.

ბავშვთა უფლებათა კონვენცია არის სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება, რომლის მიზანია უზრუნველყოს ბავშვთა სრულყოფილად მომზადება საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღზარდოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გაცხადებული იდეალების, განსაკუთრებით კი მშვიდობის, ადამიანის ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით. ბავშვთა უფლებათა კონვენცია 1989 წელს ერთხმად მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ. ის შედგება პრეამბულის, სამი ნაწილისა და 54 მუხლისაგან. ბავშვთა უფლებათა კონვენცია საქართველოში 1994 წლის 21 აპრილიდან შევიდა ძალაში.

ბულინგი (**ინგ**. **Bullying**) სიტყვა სიტყვით დაშინებას ნიშნავს და გულისხმობს წინასწარგამიზნულ, განმეორებად აგრესიულ ქცევას, რომელსაც ერთი ინდივიდი (ან ჯგუფი) მეორეს მიმართ ახორციელებს მისი დატერორების, დაჩაგვრის, მასზე ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების მიზნით.

ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა – ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემისა და ბავშვის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის ერთობლიობა.

გენდერი: სოციალური ცნება, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ქალებისა და მამაკაცების როლების, დამოკიდებულებების, ფასეულობებისა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მაშინ, როცა სქესს ბიოლოგია განაპირობებს, გენდერი განპირობებულია საზოგადოებით, რომელიც თითქმის ყოველთვის ცდილობს ქალების დაქვემდებარებას მამაკაცებისთვის.

გზამკვლევი არის (შდრ. ინგლ. guide) მასწავლებლებისთვის განკუთვნილი მეთოდური ხასიათის მითითებანი (მითითებების კრებული), რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს სახელმძღვანელოს სახე. გზამკვლევის ფუნქციაა მიაწოდოს ინფორმაცია პედაგოგებს, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ამა თუ იმ პედაგოგიური რესურსით (მაგ. მოსწავლის სახელმძღვანელო, სავარჯიშოების რვეული, აუდიო, ვიდეო თუ ინტერნეტრესურსები და ა. შ) (საგანმანათლებლო ლექსიკონი).

დისკუსია არის წამყვანსა და მსმენელებს შორის ცოდნის, შეხედულებებისა და იდეების სიტყვიერი გაცვლის პროცესი. დისკუსიას მსჯელობასაც უწოდებენ. საკლასო დისკუსია ეხმარება მოსწავლეებს საკითხის ღრმა და დეტალურ განხილვაში. კერძოდ, საკლასო დისკუსიის დროს იქმნება ისეთი ატმოსფერო, რომელშიც მოსწავლეებს შეუძლიათ აზრების ურთიერთგაზიარება, ახალი იდეების გამოთქმა, სხვისი აზრების მოსმენა და გაგება, კომუნიკაციის და თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. დისკუსიის წარმართვა მოითხოვს როგორც დისკუსიის წამყვანის, ასევე მისი მონაწილეებისაგან (1) კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, (2) მოცემული საკითხის ცოდნას, (3) ლიდერობის და კოორდინაციის შესაძლებლობას, (4) აზრების ურთიერთგაცვლას, (5) ჯგუფის, როგორც მთლიანის, გათვალისწინებას და, შესაბამისად, საჭიროებს საფუძვლიან მომზადებას. საკლასო დისკუსიის მომზადებისას მასწავლებელმა შესაბამისად უნდა შეარჩიოს დისკუსიის კონკრეტული თემა/საკითხი, რომელიც განსხვავებული მოსაზრებების განვითარების საშუალებას იძლევა. ასევე, მასწავლებელმა საკლასო დისკუსიისთვის უნდა შეარჩიოს შესაბამისი ფორმა (მაგ. მოსწავლის პრეზენტაციას მოჰყვება ჯგუფური დისკუსია; მოსწავლეებს მიცემული აქვთ წასაკითხი მასალა და ამას მოჰყვება შემაჯამებელი პრეზენტაცია და კლასის დისკუსია) და ფიზიკური გარემო (მაგ. წრეში ჯდომა დისკუსიის თითოეულ მონაწილეს

შესაძლებლობას აძლევს, უფრო ადვილად დაამყაროს კომუნიკაცია; დიდი ჯგუფები შეიძლება დაიყოს უფრო პატარა ჯგუფებად და ა. შ.); დისკუსიის მიმდინარეობის დროს მასწავლებელმა უნდა გააკეთოს შემდეგი: 1. დისკუსიის ფასილიტაციისათვის შესაბამისი საკლასო გარემოს შექმნა: დისკუსიის წესების ჩამოყალიბება (აზრის გამოთქმის წესები და ა. შ.); ძირითადი თემების და ტერმინების ზოგადი მიმოხილვა; დისკუსიასთან დაკავშირებული მოლოდინების გამოთქმა; დისკუსიისთვის საკმარისი დროის გამოყოფა. 2. მონაწილეობის წახალისება/ხელშეწყობა: მოსწავლეების დასაინტერესებლად მასტიმულირებელი შეკითხვების დასმა; მოთხოვნა, რომ მოსწავლეებმა მუდმივად შეაჯამონ განხილული საკითხები; კითხვების მომზადება და მოსწავლეებისთვის გარკვეული დროის მიცემა, რათა მათ წინასწარ მოამზადონ პასუხები და შემდეგ მთელ კლასს წარუდგინონ. 3. დისკუსიის წარმართვა და დასკვნების შეჯამება: მოსწავლეების წახალისება, რათა მათ გამოთქვან თავიანთი იდეების გამამყარებელი არგუმენტები; ჩუმი/მორცხვი მოსწავლისათვის სპეციფიკური დავალების მიცემა, რაც ხელს შეუწყობს მის მონაწილეობას, ჩართვას დისკუსიაში; ისეთი მოსწავლის შეზღუდვა, რომელიც სხვას არ აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას; განხილული საკითხების შეჯამება და ძირითადი აზრების ჩამოყალიბება; მოსწავლეების იდეების განმარტება და მოსწავლეებისაგან დამატებითი კომენტარების მოთხოვნა (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

დევიაცია – ქცევის აღნიშვნა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს. დავიანტურობა, დევიანტური ქცევა, გადახრა. „დევიაცია“ ლათინურიდან devia-tio-დან მომდინარეობს და ქართულად „გადახრას“ ნიშნავს. ქცევა, რომელიც სცილდება საზოგადოებრივად დაკანონებულ ნორმებსა და ღირებულებებს, იწოდება როგორც დევიანტური.

ეროვნული სასწავლო გეგმა: დოკუმენტს შეიმუშავებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ხოლო ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასში განისაზღვრება ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნები, საგნობრივი ჯგუფები, საგნების მიხედვით საათები, მათი განაწილება და თანაფარდობა, სავალდებულო და მაქსიმალური დატვირთვის რაო-

დენობა, საგნებისა და საგნობრივი ჯგუფების სწავლებისათვის აუცილებელი მინიმალური საათების რაოდენობა, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები. ეროვნული სასწავლო გეგმით განისაზღვრება თითოეული კლასის ან საფეხურის დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველ საგანში თუ საგნობრივ ჯგუფში კლასის ან საფეხურის დამთავრებისას. ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ საგნებსა და საგნობრივ ჯგუფებს: ა) ქართული (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აფხაზური და ქართული) ენა და ლიტერატურა; ბ) საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები; გ) მათემატიკა; დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ე) უცხოური ენები; ვ) ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება სავალდებულოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება – საჯარო სკოლების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში საათების მაქსიმალური რაოდენობის ფარგლებში გაწეული მომსახურება; ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება – საჯარო სკოლების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სააღმზრდელო და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნებში გაწეული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; სასკოლო სასწავლო გეგმის აუცილებელ ნაწილებს შეადგენს: სასკოლო საათობრივი ბადე; ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; სახელმძღვანელოების ჩამონათვალი; შეფასების პრინციპები; სადამრიგებლო პროგრამა; ინკლუზიური განათლება (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

ზოგადი განათლება – განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მომზადება. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის/სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგები – ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს.

ზოგადი განათლების საფეხურები – საქართველოში სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი);

ზოგადი განათლების სისტემა: ეს არის ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების, მათი განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, იმ სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება: ეს არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგად განათლების ერთ საფეხურს მაინც (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

თვალსაჩინოება: არის სხვადასხვა სახის ვიზუალური, აუდიო მასალა (მაგ. ფილმი, სლაიდი, გრაფიკი, სქემა, ნახატი და სხვა) და ტექნიკური საშუალება, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში.

თანამშრომლობა – ურთიერთმომგებიანი და კარგად განსაზღვრული ურთიერთობა მხარეებს შორის, რომელიც მიზნად ისახავს შედეგების გაუმჯობესებას, ერთობლივი მიღწევების უფრო მაღალ მაჩვენებელს ცალკეულთან შედარებით.

თვითშეფასება – პიროვნების საკუთარი თვისებების, დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება (**ფსიქოლოგიურ ტერმინთა ლექსი-**

კონი, **2012**); სკოლის მიერ მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის შემოწმება. თვითშეფასების პროცესში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები (**საქართველოს კანონო ზოგადი განათლების შესახებ**, **ტერმინთა განმატება**, **2005**).

თანაგრძნობა – ადამიანის უნარი თანაგრძნობისა და თანაგრძნობის სხვა ადამიანების მიმართ, მათი შინაგანი მდგომარეობის გაგების (**ფსიქოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონი**, **2012**).

ინტერვიუ არის გარკვეული ინფორმაციის მოპოვების მიზნით მასწავლებლის დიალოგი მოსწავლესთან. ინტერვიუ შეიძლება იყოს სტრუქტურირებული ან არასტრუქტურირებული. სტრუქტურირებულია ინტერვიუ, რომელიც ეფუძნება წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს, ხოლო არასტრუქტურირებული ინტერვიუს დროს მასწავლებელს შეკითხვების წინასწარ არ აქვს მომზადებული და მას სვამს საუბრის პროცესში სიტუაციიდან გამომდინარე. ინტერვიუ მოსწავლეს აძლევს საშუალებას, გამოხატოს თავისი რეაქცია ან პასუხი რაიმე შეკითხვაზე ან შეკითხვათა რიგზე. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ მასწავლებელმა დაადგინოს მოსწავლის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ, საკითხის გაგების სიღრმე და არა ის, თუ მოსწავლე რამდენად სწორად პასუხობს შეკითხვაზე. შეკითხვები შეიძლება დაისვას რაიმე საკითხის, პრობლემის ან სიტუაციის ირგვლივ. ასეთი შეკითხვების დასმა მიზნად ისახავს იმის აღმოჩენას, თუ რამდენად ადეკვატურად ხედავს მოსწავლე პრობლემებს. ინტერვიუებს ხშირად იყენებენ ხოლმე იმისთვისაც, რომ მოსწავლე მიხვდეს, თუ რა პრობლემები აქვს მას და რა საკითხებზე იქნებოდა მისი მხრივ ყურადღების გამახვილება. ინტერვიუების მეთოდს ხშირად ეფექტურად იყენებენ ხოლმე სადამრიგებლო პროგრამის განსახორციელებლადაც (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

ინტერვენცია – საერთაშორისო ტერმინი, რომელიც ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ფორმით სხვა სახელმწიფოს

იურისდიქციაში ჩარევას აღნიშნავს. ასეთ ჩარევას პირადი, ან ჰუმანიტარული მიზნები აქვს. გაეროს წესდებით (მე-2 მუხლი, მე-7 პარაგრაფი) „დაუპატიჟებელი“ სამხედრო ინტერვენცია აკრძალულია, რაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმაა. მსოფლიო თანამეგობრობის ჩარევა სხვადასხვა ფორმით ვლინდება და არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო და ჰუმანიტარული ინტერვენციით (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი). **ინტერვენცია**-ქმედება, ჩარევა, პრაქტიკაში დანერგვა და მიღწეული შედეგების შეფასება, რაც არ ნიშნავს აუცილებლად ყველა პრობლემის გადაჭრას, არამედ ძიებას, გამოცდილების შეძენას, რაღაცის გაუმჯობესებას და კვლევის პროცესის ახალ ფაზაში გადასვლას (მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის წინსვლის სქემის გზამკვლევი).

იუნისეფი (გაერო-ს ბავშვთა ფონდი): იუნისეფი, რომელსაც მანდატი გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ აქვს მინიჭებული, ახდენს ბავშვთა უფლებების დაცვის პროპაგანდირებას, რათა დახმარება გაუწიოს მათ ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაში და გააფართოოს მათი შესაძლებლობები პოტენციალის სრულად განსახორციელებლად. თავის საქმიანობაში იუნისეფი ბავშვის უფლებათა კონვენციით ხელმძღვანელობს. იგი იღვწის, რომ დაამკვიდროს კონვენცია როგორც უკვდავი ეთიკური პრინციპებისა და ბავშვების მიმართ ქცევის საერთაშორისო სტანდარტების კრებული.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა – მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.

ინკლუზიური განათლება – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

კანონი ზოგადი განათლების შესახებ: „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი

განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესებს. კანონი მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 8 აპრილს. გამოქვეყნებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ 2005 წლის 4 მაისის მე-20 ნომერში (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

კონვენცია: იურიდიულად მავალდებულებელი ძალის მქონე შეთანხმება სახელმწიფოებს შორის; იხმარება შეთანხმებისა და პაქტის სინონიმად. კონვენციას მეტი ძალა აქვს, ვიდრე დეკლარაციას, ვინაიდან იგი იურიდიულად ავალდებულებს იმ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომლებმაც მისი რატიფიცირება მოახდინეს. როდესაც, მაგალითად, გაერო-ს გენერალური ასამბლეა ღებულობს კონვენციას, იგი აყალიბებს საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს. გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ კონვენციის მიღების შემდეგ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ კონვენციის რატიფიცირება და ამით მისთვის საერთაშორისო სამართლის სტატუსის მინიჭება.

კვლევა არის აქტიური, შრომატევადი, სისტემატური შესწავლის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს რაიმე იდეის მხარდაჭერისა და უარყოფისათვის აუცილებელი ფაქტების დადგენას, ახსნას და ამის საფუძველზე დასკვნების გამოტანას. ტერმინი „კვლევა“ გამოიყენება აგრეთვე მეცნიერული მეთოდის აღსანიშნავად, რომელიც გულისხმობს რაიმე საკითხის შესწავლას. კვლევა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: 1. მიზნის განსაზღვრა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება; 2. დაგეგმვა; 3. მონაცემების შეგროვება და ორგანიზება; 4. შედეგების ახსნა; 5. საბოლოო დასკვნების გაკეთება (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

კურიკულუმი – საგანმანათლებლო პროგრამა კურსების ან მოდულების დამტკიცებული ერთობლიობა, რომელიც საჭიროა სპეციფიკური აკადემიური ხარისხის მისაღებად. იგი შეიძლება განისაზღვროს კრედიტების დადგენილი რიცხვის მისაღწევად აუცილებელი სწავლის შედეგებით (ენციკლოპედიური ლექსიკონი).

კომუნიკაცია წარმოადგენს ადამიანებს შორის ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური სიმბოლოების საშუალებით აზრების, გრძნობების, დამოკიდებულებების და იდეების ურთიერთგაცვლას. კომუნიკაცია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „comunikare“, რაც ნიშნავს: „გავხადოთ ყველასთვის გასაგები“. ვერბალური კომუნიკაცია გულისხმობს სიტყვების საშუალებით ინფორმაციის გადაცემას. არავერბალური კომუნიკაცია (პოზა, მიმიკა, ჟესტიკულაცია, პაუზები, ხმის ინტონაცია და სიმაღლის ცვლილება, სქემა, დიაგრამა, სხვადასხვა შრიფტი) კი მოიცავს მოსაუბრის დამოკიდებულებას, რომელიც თან ახლავს და ავსებს სიტყვიერ ინფორმაციას. არავერბალური სიგნალები მიგვითითებენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სიტყვების მნიშვნელობის გაგება. ეფექტური კომუნიკაციის დროს ჩვენ უნდა გავიგოთ არა მხოლოდ ტექსტის პირდაპირი შინაარსი, არამედ ქვეტექსტიც, ანუ ისიც, თუ რას გულისხმობს მოსაუბრე. კომუნიკაციური უნარ-ჩვევებია: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა, არავერბალური კომუნიკაცია, ინფორმაციის გარდაქმნა-ტრანსფორმაცია (სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანა), სპეციალური ენის ფლობა (სხვადასხვა მეცნიერებების ენობრივი აპარატის ფლობა და სიმბოლოებით ოპერირება) (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

მასწავლებელი – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული, შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი – მასწავლებლის პროფესიული ქცევის ნორმების ერთობლიობა.

მოსწავლე – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ირიცხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მოზარდი – ბავშვი 10 წლიდან 18 წლის მიღწევამდე.

მშობელი – მოსწავლის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი.

მანდატური: შესაბამისი განათლების მქონე, ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

მანდატურის სამსახური – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.

მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვი – ბავშვი, რომელზედაც ნებისმიერი მიზეზის ან გარემოების გამო მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი სადღეღამისო ზრუნვას არ ახორციელებს.

მულტილატერალიზმი – ტერმინი საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც მრავალი ქვეყნის ერთ საერთო საკითხზე თანამშრომლობას გულისხმობს. უმრავლესობა საერთაშორისო ორგანიზაციებისა, როგორიცაა გაერო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მულტილატერალურია. მულტილატერალიზმის მთავარი პროპონენტები ტრადიციულად შუალედური ძალები-სახელმწიფოები იყვნენ, როგორიცაა კანადა, ავსტრალია და სკანდინავიის ქვეყნები. უფრო დიდი და ძლიერი ქვეყნები, როგორც წესი, უნილატერალურად მოქმედებენ, მაშინ როდესაც მცირე ქვეყნებს არასაკმარისი ძალა აქვთ საერთაშორისო საკითხებში მონაწილეობის მისაღებად, გარდა გაეროსა (სადაც მცირე ქვეყნები ბლოკებში ერთიანდებიან სხვა ერებთან ერთი საერთო ხმის მისაღებად). პოლიტიკურ ფილოსოფიაში მულტილატერალიზმის საპირისპირო ცნებაა უნილატერალიზმი.

ოჯახი – საზოგადოების ძირითადი ჯგუფი და ბავშვის აღზრდისთვის, კეთილდღეობისა და დაცვისთვის ბუნებრივი გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ბავშვისგან, მისი მშობლისგან, მეურვისგან, მზრუნველისგან, დისგან, ძმისგან ან/და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისგან.

პრობლემის გადაჭრა არის რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც გულისხმობს გარკვეული პრობლემის ამოსახსნელი პირობე-

ბის, ხერხების ან დამხმარე საშუალებების მოფიქრებას. ადამიანები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს პრობლემის გადასაჭრელად. ყველაზე მარტივი სტრატეგიაა ცდისა და შეცდომის მეთოდი, როდესაც ადამიანი გამოცდის პრობლემის გადასაჭრელ მრავალ გზას, სანამ სწორს არ მიაგნებს. უფრო რთული პრობლემის გადაჭრის შესაძლო ეტაპებია: პრობლემის განსაზღვრა; შესაბამისი ინფორმაციის ამოკრება; პრობლემის გამომწვევი შესაძლო მიზეზების დადგენა; პრობლემის გადაჭრის ხერხების მოფიქრება; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის შერჩევა; პრობლემის გადაჭრის გეგმის ჩამოყალიბება; შედეგების შემოწმება და შეფასება (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

რესურსცენტრი – სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

სიძულვილის ენა – გულისხმობს დამამცირებელ გამონათქვამებს ინდივიდის, ან ადამიანების ჯგუფის მიმართ. სიძულვილის ენა არაერთხელ იქნა გამოყენებული სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ეპოქაში, როგორც შუღლისა და სიძულვილის გაღვივების საშუალება.

სოციალური მუშაკი – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი.

საჯარო სკოლა – საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

სემიოტიკური კომპეტენცია – „სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარი; ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის (მაგ. სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების, სიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა.შ.) უნარი“.

სწავლა – ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების შეძენა.

სკოლის ადმინისტრაცია – სკოლის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები (გარდა მასწავლებლისა), ასევე სკოლაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ტრამვა – სხეულის ქსოვილების ან ორგანოების დაზიანება რაიმე გარეგანი ზემოქმედების (დაჭრის, დაჟეჟვის, დაწვის და მისთ.) შედეგად. სულიერი (ფსიქიკური) ტრავმა – ნერვული შერყევა; ელდა (**ჭაბაშვილი**, **უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1989**).

ტოლერანტობა – არის ადამიანის შესაძლებლობა აღიაროს, პატივი სცეს ან გაითვალისწინოს სხვა ადამიანის რწმენა, ქცევა, ღირებულებები. ტოლერანტული ღირებულებების განვითარების მიზანია, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ არაძალადობის გზით განსხვავებულ კულტურის, რასის, სქესისა და რელიგიის მქონე ადამიანებთან ეფექტური ურთიერთობის დამყარება.

ფასილიტაცია – ნებისმიერი აქტივობა, რომელიც გულისხმობს რაიმე პროცესების ხელშეწყობას, ან სხვისი დავალებების გაადვილებას. ადამიანს, რომელიც კისრულობს ამ როლს, ეწოდება ფასილიტატორი. ტერმინი ფასილიტატორი გამოიყენება განათლების სისტემაში და ნიშნავს სპეციფიკური გამოცდილების მქონე ადამიანს, რომელიც ეხმარება სხვებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. კერძოდ, ფასილიტატორი შეიძლება ეწოდოს იმ მასწავლებელს ან რეპეტიტორს, რომელიც ეხმარება სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეს დავალებების შესრულებაში. პილოტირების პროცესში ფასილიტატორი არის საპილოტე სკოლის მასწავლებელი, რომელმაც გაიარა სპეციალური მომზადება და ცდილობს, გადასცეს თავისი გამოცდილება სხვა მასწავლებელს, რომელსაც არ მიუღია მსგავსი გამოცდილება (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

ფსიქოლოგიური ბარიერი – ფსიქოლოგიური ხასიათის შინაგანი დაბრკოლება (უხალისობა, შიში, გაურკვევლობა და ა.შ.), რომელიც ხელს უშლის ადამიანს რაიმე მოქმედების წარმატებით შესრულებაში, ხშირად წარმოიქმნება ადამიანებს შორის საქმიან და პირად ურთიერთობებში და ხელს უშლის მათ შორის ღია და სანდო ურთიერთობების დამყარებას (**ფსიქოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონი**, **2012**).

ძალადობა – პირის მიერ ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ზემოქმედებით ან იძულებით, აგრეთვე უგულებელყოფით (დაუდევარი მოპყრობით), რომელიც პირდაპირი განზრახვით ან/და განზრახვის გარეშე განხორციელდა/ ხორციელდება.

ღირებულებები (**values**) – ტრადიციებზე, რელიგიაზე, კულტურაზე, ოჯახზე პიროვნულ გამოცდილებაზე დამყარებული სიღრმისეულ რწმენათა/ შეხედულებათა სისტემა.

ჩვევა – ჩვევას უწოდებენ მრავალჯერადი გამეორებით შეძენილ მეტად თუ ნაკლებად ავტომატიზებულ მოქმედებას ან ქცევას. მოქმედების ავტომატიზება იმით გამოიხატება, რომ ჩვევის შემადგენელი მოძრაობები, მოტორული იმპულსები მიმდინარეობს ცნობიერების მონაწილეობის გარეშე ან თანამონაწილეობის დაბალი ხარისხით. ჩვევას ადამიანი იძენს როგორც გარკვეული მოქმედების დასასწავლად მისი მიზანდასახული გამეორების შედეგად, ასევე მაშინ, როცა ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთებზე ადამიანს უწევს გარკვეული მოქმედებების ხშირი გამეორება. განასხვავებენ მოტორულ და გონებრივ ჩვევებს: მოტორულს უწოდებენ მოძრაობის ჩვევას; მაგალითად, ველოსიპედით სიარულს, ღილის, თასმების შეკვრას, ცურვას და ა. შ. გონებრივს უწოდებენ ისეთ ჩვევებს, რომლებიც ავტომატიზებულ გონებრივ ოპერაციას წარმოადგენენ (გამრავლების ტაბულის ზეპირი ცოდნა, აბზაცის დაცვა, სასვენი ნიშნების გამოყენება, კითხვის დროს პაუზების გაკეთება და ა.შ.). მეორე მხრივ, ჩვევებს აჯგუფებენ შინაარსის მიხედვითაც. გამოყოფენ საყოფაცხოვრებო (ჩაცმა-დახურვის, დანა-ჩანგლის ხმარების ა. შ.), ჰიგიენურ (კბილების გახეხვის, ხელების დაბანის); სპორტულ ჩვევებს (ველოსიპედის ტარება, ცურვა) და ა. შ (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

ჯგუფური მუშაობა – სოციალური (კოოპერატიული და თანამშრომლობითი) სწავლების დროს ხდება მოსწავლეთა დაჯგუფება. მათ ეძლევათ საზიარო კომპლექსური დავალება, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეების ჩართვას თანამშრომლობაში, დავალებების შესასრულებლად ერთობლივ ძალისხმევას. ჯგუფური დავალებები მოსწავლეებისაგან ამოცანების ერთობლივად გადაჭრას ან საერთო პროდუქტის შექმნას უნდა მოითხოვდეს. ჯგუფების ფორმირების დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები: (1) ჯგუფებს უნდა მიეცეთ ისეთი კომპლექსური ამოცანები, რომლებიც მოითხოვს ურთიერთთანამშრომლობას. ჯგუფის წევრებმა უნდა აღიქვან, რომ მათი წარმატება ერთმანეთზეა დამოკიდებული. ეს ზრდის ჯგუფის წევრების თანამშრომლობას. თანამშრომლობის მისაღწევად რეკომენდებულია ჯგუფისთვის ჯილდოს დაწესება, მოსწავლეების წახალისება, სამუშაოს დანაწილება და სხვა. ჯგუფის წევრები უნდა იღებდნენ საერთო შეფასებას: ჯგუფები ასრულებენ საერთო დავალებას (მაგ. პროექტი) და მისი წევრები იღებენ ერთნაირ შეფასებას. (2) ჯგუფური ამოცანები უნდა იყოს სასწავლო საგნის ამოცანებისა და მიზნების შესაბამისი. (3) ჯგუფური მუშაობისთვის გამოდგება ისეთი ამოცანები, რომელთა გადაჭრის სხვადასხვა გზა არსებობს. ასეთი ამოცანები მოსწავლეებს აძლევს მსჯელობის საშუალებას. მაგალითად, ჯგუფებს ეძლევათ დავალება, რომ გადაჭრან გარკვეული პრობლემა. ყოველი ჯგუფი მუშაობს დავალებაზე. აყალიბებს საერთო აზრს და ამზადებს პრეზენტაციას, რომელსაც წარმოადგენს ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. სხვადასხვა ჯგუფის შედეგების შედარება ხდება და იმართება დისკუსია მთელი კლასის მონაწილეობით. (4) ჯგუფებს უნდა მიეცეთ ისეთი სირთულის ამოცანები, რომლებიც შეესატყვისება მოსწავლეების სააზროვნო და სოციალურ უნარ-ჩვევებს (ჯგუფში მუშაობის გამოცდილებას). ჯგუფებს თავდაპირველად ეძლევათ შედარებით იოლი ამოცანები, რომლებიც თანდათან რთულდება. (5) ჯგუფებს უნდა მიეცეთ ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ჯგუფის წევრებს შორის შრომის სამართლიან დანაწილებას. მაგალითად, ჯგუფს ეძლევა დავალება, რომ დაწეროს ჯგუფური პროექტი საზოგადოებრივ მეცნიერებაში. თითოეული ისტორიული წყაროს შესწავლაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ერთი წევრი. შემდგომ ისინი ერთად ამზადებენ საბოლოო ნამუშევარს. (6) ჯგუფებს შორის უნდა არსებობდეს შეჯიბრის შესაძლებლობა, რაც

უზრუნველყოფილია დაჯილდოებით, წახალისებით და გარეგანი მოტივაციის სხვა მექანიზმებით (**საგანმანათლებლო ლექსიკონი**).

ყოჩება – პირველობა, უფროსობა, ყოჩივით ქცევა. კლასში ყოჩობს. მისი ყოჩობა ბევრს არ მოსწონს (**ქართული ლექსიკონი**) ganmarteba.ge https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A9%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე ი., გორგოძე ს., ლიკა ზაკაშვილი., კობალაძრე ქ., მოსიაშვილი თ., მშვენიერაძე გ., ცირამუა მ., უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, თბილისი, 2011.
2. ალელიშვილი ნ., ჯანელიძე ა., ჯიჯავაძე ნ., კუხალეიშვილი თ., გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი, თბილისი, 2019.
3. ანდღულაძე ნ., მოსიაშვილი თ., კეჭეყმაძე ვ., ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი. თბილისი, 2012.
4. ადლერი ა., ბავშვთა აღზრდა, გამომცემლობა „გეო“, თბილისი, 2004.
5. ახვლედიანი მ., ბასილაძე ი., მშობელთა აღზრდა თანამედროვე სოციალური პოლიტიკის ნაწილი, VI საერთაშორისო – სამეცნიერო მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, შრომები, ქუთაისი, 2015.
6. ანდღულაძე ნ., მოსიაშვილი თ., კეჭაყმაძე ი., „კვლევა – უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში: წინაპირობა, შედეგები და დამოკიდებულებები“, ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი. თბილისი. 2002.
7. ბოჭორიშვილი მ., პედაგოგიკის საკითხები, თბილისი, 2013.
8. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში. ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ, თბილისი, 2013.
9. ბავშვის უფლებათა კონვენცია. UNICEF, დეკემბერი, 2018. https://www.unicef.org/georgia/ka/
10. ბისეიშვილი გ., გოგიჩაძე ნ., იანგი ლ., ლოდია თ., მეფარიშვილი ნ., ხარებავა მ., „სკოლისა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ქართული მოდელი“თბილისი, 2014.
11. ბიბილეიშვილი ლ., ტუღუში მ., სოციალური პედაგოგიკა, თბილისი, 2002..
12. გორგოძე ს., ჯანაშია ს., პოლიტიკის დოკუმენტი – უსაფრთხო სკოლა. 2012წ. http://cdi.org.ge/main/wp-content/uploads/2012/04/PP–safeschool–Janashia-Gorgodze1.pdf)
13. გორგოძე ს., ჯანაშია ს., ანდღულაძე ნ., მოსიაშვილი თ., კეჭაყმაძე ვ,. ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი,თბილისი, 2012.

14. გოლობი რ., კრაფი პ. ბავშვთა უფლებების კვლევა, ევროპის საბჭო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013.
15. განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. – [თბ., 2008]. – 20სმ. [MFN: 76027] ნაწ. 1: განათლების სპეციალისტებისათვის / [წიგნზე მუშაობდნენ: სიმონ ჯანაშია და სხვ.]. – [2008]. http://www.nplg.gov.ge/wikidict
16. გოგიტაშვილი მ., ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა აღზრდის ახალი პრინციპების განხორციელების საქმეში, თბილისი 2005.
17. ელბაქიძე ნ., მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიები, ჟურნალი „მასწავლებელი“ №4, 2009, გვ. 18.
18. ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრი 2011, ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წლისთვის, http://ncac.ge/index.php?m=854
19. ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, UNICEF. 2008., http://www.unicef.org/georgia/School–Violence–geo–new–title.pdf
20. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საქართველოს მთავრობის განკარგულება №84, 2004.
21. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, თბილისი 16 ივლისი, 2010.
22. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა. სპეციალური ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, თბილისი, 2017. 17 ოქტომბერი.
23. თავართქილაძე ე., მოზარდთა აგრესიული ქცევა, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, http://phmdf.ge/?page–id=135
24. თავართქილაძე ე., სკოლაში რთულ სიტუაციებთან გამკლავება. ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები. თბ., 2011.
25. თავართქილაძე ქ., მარგალიტაძე ქ., სარალიძე ლ., ბავშვთა მიმართ ძალადობა და უგულებელყოფა. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, ბავშვთა დახმარების ცენტრი. თბილისი, 2007.

26. თავართქილაძე ე., დავითიშვილი ქ., შარაბიძე ი., გოგიჩაძე ნ., მარგალიტაძე ქ., მელიქიშვილი მ., ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2011.
27. თავდგირიძე ლ., გობრონიძე გ., „მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობის ზოგიერთი ასპექტი“ შრუ, შრომები განათლების ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, XVI, ბათუმი. 2010.
28. თავდგირიძე ლ., შეროზია ნ., ბოლქვაძე მ., ბავშვთა უფლებების სწავლება (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე) სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“ №27, 2022 გვ, 173-179 E-ISSN 2720-7900 ISSN 1987-7323 HTTPS://DOI.ORG/10.52340/LACgoogle.scholar HTTPS://JOURNALS.4SCIENCE.GE/INDEX.PHP/ENADAKULTURA KUTAISI 2022.
29. ინაური დ., თანამედროვე სკოლის გამოწვევები კერძო და საჯარო სკოლის მაგალითზე, გორი, 2020.
30. ინასარიძე მ., ლობჟანიძე ს., მამუკაძე შ., მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო. სიტუაციები სასკოლო ცხოვრებიდან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2009.
31. კახიანი ჯ., რჩევები მშობლებს, თბილისი, 2007.
32. კეისი ჯ., სკოლის კურიკულუმის გამოყენება ძალადობის აღმოფხვრის მხარდასაჭერად. თბილისი, 2010.
33. კოუი ჰ., მოსწავლეთა წინამძღოლობით ძალადობის აღმოფხვრის სტრატეგიის შემუშავება. თბილისი, 2010.
34. „კომპასიტო“ – სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის. რედაქტორი და თანაავტორი ნენსი ფლაუერსი. სახელმძღვანელოს მომზადებაში მონაწილეობდნენ: მარია ემილია ბრედეროდე-სანტოსი, ჯო კლეისი, რანია ფაზაჰი, ანეტ შნაიდერი, ჟუჟანა სელენი. ქართული თარგმანი, 2009. რედაქტორი: დავით გელაშვილი.
35. ლაბარტყავა ნ., ოსიაშვილი ქ., საჯაია მ., კობალაძე ქ., უსაფრთხო სკოლა (მასწავლებლის წიგნი), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2018.
36. მახაშვილი ნ., „ბავშვთა და მოზარდთა შორის ძალადობა – რამდენიმე მოსაზრება პრობლემის მოგვარების შესახებ“ (ინტერნენტ რესურსი).

37. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ, 2010.
38. მშობელთა ჩართულობა, რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის, თბილისი, 2015. G-PRIED საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი.
39. მეგრელაძე ც., მახარაშვილი ხ., გელაძე გ., სოციალური პედაგოგიკა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2009.
40. მეგრელაძე ც., მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვებისადმი პედაგოგიურ – ფსიქოლოგიური დახმარება, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2004.
41. მარგარეტ ა., ლინჩი და სხვები, საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდავის და მედიცინის განვითარების ფონდი, 2007.
42. მამრიკიშვილი ნ., აღზრდა, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი 2017.
43. მოსწავლის ქცევის კოდექსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 79/ნ, 2010.
44. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“, „დირექტორის პროფესიული სტანდარტი“ http://www.tpdc.ge/index.php?option=com–content&viev=article&id=8249&itemid=99&lang=ka
45. მურღულია გ., მანდატურის სამსახური სკოლაში, ჟურნალი „კრიმინოლოგი“, თბილისი, 2014-2015.
46. მანდატურის სამსახურის რეფორმასთან დაკავშირებით კანონ-პროექტი. 05.02.2018 http://www.mes.gov.ge/content.php?id=8116&lang=geo
47. მასწავლებლის ეთიკის კოდექსი, პროექტი, თბილისი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0 14.07.2010, თბილისი.
48. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. 2014 წ. 28 მარტი
49. ნათბრაუნი ქ., ქლოფი პ., ადრეული განათლება ისტორია, ფილოსოფია და გამოცდილება, თბილისი. 2021.
50. პიტერ კ. სმიტი, ძალადობასთან ბრძოლა სკოლებში: ევროპული ხედვა.

51. პოზიტიური მშობლობა, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2021.
52. საჯაია მ., სკოლის ფსიქოლოგი – პირველი ნაწილი, თბილისი, 2016.
53. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2015 წლის მდგომარეობით.
54. საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №74/ნ, 2010.
55. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2011. უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე. თბილისი.
56. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2012. ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი. თბილისი.
57. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. „გამოწვევები 2010-2011 წლებში". თბილისი, 2010 http://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=61&lang=geo
58. სკოლის ორგანიზაციული კულტურის კვლევა. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. 2015. http://issa-georgia.com/files/Reports/TPDC/TPDC-Org.-Culture-Report–Final.pdf
59. საგანმანათლებლო ლექსიკონი http://ncp.ge/ge/dictionary?side inp=&dict=427&pos=0.)
60. სადამრიგებლო საათის პროგრამა, V-IX კლასების დამრიგებელთათვის. წიგნი მოამზადეს: ნინო ლაბარტყავამ, ანასტასია ქიტიაშვილმა. ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, თბილისი, 2011.
61. სერიოზული ამბები უფროსებისთვის. გზამკვლევი მშობელთა დასახმარებლად. გზამკვლევზე მუშაობდნენ: მაია გოგოლაძე, მანანა ჯინჭარაძე რუსუდან თევზაძე. თბილისი, 2019.
62. სოზაშვილი ნ., გორგაძე ნ., მოსიაშვილი თ., ქურდაძე ი., შინჯიაშვილი თ., საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის. ბავშვთა უფლებები განათლებაში და განათლებისათვის, თბილისი, 2015.
63. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სკოლის მანდატურის სამსახურის" დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №74/ნ ბრძანება, თბილისი, 20 აგვისტო, 2010.

64. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2019 წლის 12 ივლისი.
65. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2020 წლის ანგარიში, 12.2020 http://mandaturi.gov.ge/new/362-mandaturis-samsakhuris-2020-tslis-angarishi
66. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2021 წლის ანგარიში, 11.01.2022. http://mandaturi.gov.ge/new/413
67. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2022 წლის ანგარიში.
68. ტრენინგ-მოდული წამყვანი მასწავლებლებისათვის „როგორ განვავითაროთ მოსწავლეებში პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარები“. მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი, 2019.
69. ტრენინგ-მოდული „პოზიტიური მშობლობა“ მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018.
70. ტრენინგ-მოდული „უსაფრთხო სკოლა“ – ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის როლი. მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი, 2019.
71. უზნაძე დ., მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებისათვის, პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 2005.
72. უსაფრთხო სკოლა, 2007: http://www.parliament.ge/files/1113–Shukakidze.pdf
73. უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. თბილისი, 2018.
74. უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, თბილისი, 2011.
75. ღადუა ზ., ოჯახისა და სკოლის ურთიერთობა მოზარდებში სოციალური პასუხისმგებლობის აღზრდისას, თბილისი, 2002.
76. შოგნესი ჯ., კონვივენსიის გარემოს შექმნა სკოლებში ერთიანი სასკოლო პოლიტიკის მეშვეობით, თბილისი, 2008.
77. შეროზია ნ., ცხვარაძე კ., ძალადობა და უსაფრთხოება ქართულ სკოლებში, საერთშორისო კონფერენციის მასალები,

ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში – II, ბათუმი, 2014.
78. ჩაჩხიანი ქ., კობახიძე მ., გაბაშვილი მ., „სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“, თბილისი, 2011.
79. ცირამუა მ., ფსიქოსოციალური სამსახური საჯარო სკოლებში (წიგნში: უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე), თბილისი, 2011.
80. ხალილი ღ., ბავშვის უფლებები ისტორიული ევოლუცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2021.
81. ხალიანი თ. უსაფრთხო სკოლა – გამოწვევები და შეფასებები https://liberali.ge/articles/view/28334/usafrtkho-skola--gamotsvevebi-da-shefasebebi 2017.
82. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია police.ge/files/pdf/dzaladobis strategia/gv.22.)
83. ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში: როგორ შევცვალოთ გარემო? UNICEF.
84. ჭანტურია გ., ქადაგიძე მ., მელიქაძე გ., სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020. თბილისი, 2020.
85. ხასია მ., მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები, ნაწილი II, გამომცემლობა„ თბილისელები“, თბილისი, 2006.
86. ხაჯალია თ., უსაფრთხო და მზრუნველი ფიზიკური და სოციალური გარემო. რედაქტორები: ბარქაია ც., მჟავანაძე ნ., – „განათლება უკეთესი მშობლობისთვის“ კრებული მშობლებისთვის, თბილისი, 2019.
87. ჟურნალი ICCOMMERCE Edition XX, Exclusive interview with Ghassan Khalil UNICEF Representative in Georgia 2022.
88. Lefrancois, G.R (2003). Psychology for Teaching. Wadsworth Thomson Learning, ადაპტირებული სახელმძღვანელო, შემთხვევა სასკოლო პრაქტიკიდან.
89. Blustein, Jane. Creating Emotionally safe school: A guide for educators and parents. Florida: Health Communications, Inc. 2001.
90. Butcher, Katherine and Manning M. Lee. „Creating safe school“. The Clearing House. 79, no.1 (2005) 55-60.

http://uri-englishlanguagearts.wikispaces.com/file/view/Creating+Safe+Schools.pdf
91. Shnaider Tod, Walker Hill and Sprague Jeffrey. 2000. Safe School Design: A Handbook for educational leaders. Oregon: ERIC Clearinghouse of Educational Management) ȣ.4 http://files.eric.ed.gov/fulltext/ED449541.pdf
92. Danyel, Yvette and Bondi, Karla. „Safe School and Zero Tolerance: Policy, Programs and Practice in Ontario“. Canadian Journal of Education Administration and Policy. 70, (2008) 1-20 https://www.umanitoba.ca/publications/cjeap/pdf–files/daniel.pdf
93. Benbenishty, Rami, Astor Ron, Roziner, Ilan and Stephani L. Wrabel. 2016. Testing the Causal Links Between School Climate, School Violence, and School Academic Performance: A Cross-Lagged Panel Autoregressive Model. Educational Researcher Vol. 45, No. 3. Via URL: https://www.jstor.org/stable/43996917.
94. Morrison, Brenda. 2007. Restoring Safe School Communities: A Whole School Response to Bullying, Violence and Alienation. Sydney: The Federation Press.) ȣ.97-105 http://www.varj.asn.au/Resources/Documents/05au–morrison.pdf
95. Morrison, Brenda. 2007. Restoring Safe School Communities: A Whole School Response to Bullying, Violence and Alienation. Sydney: The Federation Press.) ȣ.97-105. http://www.varj.asn.au/Resources/Documents/05au–morrison.pdf
96. American Psychological Association zero Tolerance Task Force 2008 Are Zero Tolerance Policies Effective in the Schools? American Psychologist ȣ.852-858 https://www.apa.org/pubs/info/reports/zero-tolerance.pdf
97. UNICEF. „National Study on Violence Against Children in Georgia“ 2007-2008) ȣ.62. http://phmdf.ge/22eng/wp-content/uploads/2012/04/Violence–Study–ENG.pdf
98. Butcher, Katherine and Manning M. Lee, „Creating Safe Schools“. *The Clearing House*. 79, No. 1 (2005): 55-60.
99. Daniel, Yvette and Bondi, Karla.„Safe Schools and Zero Tolerance: Policy, Programs and practice in Ontario*“. Canadian Journal of ce: Education Administration and Policy*. 70, (2008): 1-20.

100. Philips rick, Linney john and Pack Chris. 2008. *Safe School Ambassadors: Harnessing Student Power to Stop Bullying and Violence*. San Francisco: jossey-Bass.
101. Schneider Tod, Walker Hill and Sprague Jeffrey. 2000. *Safe School Desing: A Handbook for Educational Leaders*. Oregon: ERIC Clearinghouse of Educational Management.
102. Sprague Jeffrey, 2007. „Creating Schoolwide Prevention and Intervencion Strategies“. Portland: Hamilton Fish Institute on School and Community Violence and Regional Educational Laboratory.
103. Stuart W. Twemlow, Fonagi Peter and C. Sacco. „Feeling Safe at School“.2002.http:\\www.backoffully.com\PDF%20files\FEELING%20SAFE%20IN%SCHOOL.pdf. (Accessed April 14, 2011).
104. KiVa antibullying program. „There is no Bullying in KiVa School“. http://www.kivakoulu.fi\. (Accessed January 9, 2012).
105. Martin, M.O.,Et.al. (2008). TIMSS *2007 Internacional Science Report: Findings from IEA's Trend in International Mathematics and Science Study at the Fourth and Eighth Crades*, Chestnut Hill, MA: TIMSS&PIRLS Internacional Study Center, Boston College.
106. McKay, Tom. (1992). „A crime prevention through environmental desing study of the Turner-Fenton Secondary School“. Peel, ON: Peel Regional Polica.
107. Mullis, I.V.S., Et. Al.. (2008), TIMSS 2007 *Internacional Mathematics Report: Findings from IEA's Trends in International Mathematics and Science Study at the Fourth and Eighth Crandes*, Chestnut Hill, MA: TIMSS & PIRLS Inernacional Stydy Center, Boston College.
108. G. Katamadze, L. Tavdgiridze, M. Bolkvadze Child labour exploitation: politics, law and social attitudes in Georgia, ACCESS Journal: Access to Science Business, Innovation, in Digital Economic 2022, 4 (1) 24-33, htt, ps:// doi.org.10.46656/access, 2023 4 1 (2) http:// doi.org/10.46656/acess.2023.4.1 (2) http://journal.access-bg.org/issue-4-1-2023/child–labour–exploitation-politics–law–and–social–attitudes–in–georgia https://journal.access-bg.org/abstracting-indexing; Web of Science, ERIH, google scholar

109. L. Tavdgiridze, I. Khasaia, N. Sherozia, L. Turmanidze Education for protection of childrens richts, Proceedings of 13th International conference on education and new learning technologies, published by IATED academy. IATED.ORG https://library.iated.org/
110. N. Sherozia, K. Tskhvaradze SAFE SCHOOL-SAFf CHILdHOOD. WEB OF SCHOLAR (Multidisciplinary Scientific Journal) International Academy Journal, RS Global, ISSN 2518-167X, 6 (24), VOL.6, June 2018. Warsaw, Poland. INDEX COPERNICUS, Google scholar,Academis.edu pp.30-34.
111. N. Sherozia, K. Tskhvaradze „CAUSES OF JUVENILE DELINQUENCY“, WEB OF SCHOLAR (Multidisciplinary Scientific Journal) International Academy Journal, RS Global, ISSN 2518-167X, 1 (19), VOL.4, January 2018. Warsaw, Poland. INDEX COPERNICUS, Google scholar,Academis.edu pp.48-51.
112. VIOLANCE AGAINST CHILDREN IN GEORGIA http://www.unicef.org/ceecis/Unicef–VAC–ENG–final.pdf
113. UNICEF. „Making Schools safer“. UNICEF in Georgia, Newsletter, 1 (12), 2009) ვ3.21.
http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/783EB17BA2105ED9492577EE001EAE99-Full–Report.pdf
114. How to create a safe school environment that provides a platform for excellent school results and international business opportunities? Case study: Opinmäki http://www.naun.org/main/NAUN/educationinformation/20-725.pdf
115. Student and Teacher Safety in Chicago Public Schools
http://ccsr.uchicago.edu/downloads/8499safety–in–cps.pdf
116. BULLYING AT SCHOOL
http://www.cde.ca.gov/ls/ss/se/documents/bullyingatschool.pdf
117. CREATING A SAFE LEARNING ENVIRONMENT FOR LEARNERS
http://www.education.go.ug/files/downloads/Gender%20Eye%20Issue%203.pdf
118. Guidance for Schools on Implementing the Anti-Bullying Bill of Rights Act http://www.nj.gov/oag/dcr/downloads/Anti-Bullying–Bill-of-Rights.pdf

119. School Improvement Plan
http://bridgmanschools.com/elementary/pdf/improvement-plan.pdf
120. Making Australian Schools Safer
http://www.ncab.org.au/Assets/Files/MakingAustraliaSchoolsSafer.pdf
121. Building Respectful and Safe Schools
https://www.eduweb.vic.gov.au/edulibrary/public/stuman/wellbeing/respectfulsafe.pdf
122. School Procedures and Practices for Responding to Students Who Bully https://www.eduweb.vic.gov.au/edulibrary/public/stuman/wellbeing/Responding–to–Students–who–Bully-May–2008.pdf

ელექტრონული რესურსები და ვებ გვერდები:

1. https://mes.gov.ge/content.php?id=7156&lang=geo
2. http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=9671
3. https://www.unicef.org/georgia/media/2171/file/zaladoba-skolebshikvleva.pdf
4. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1-/30347592.html
5. http://mes.gov.ge/
6. http://iod.ge/ge/news/news
7. https://gyla.ge/ge
8. https://matsne.gov.ge/document/view/1399901?publication=0
9. https://matsne.gov.ge/document/view/4613854?publication=1

10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4806004?publication=0
11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0
12. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0
13. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4992004?publication=0
14. https://matsne.gov.ge/ka/documents/view/2198153?publication=0
15. http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/63644-%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98/19/
16. https://herayouth.ge/%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90/
17. http://mastsavlebeli.ge/?p=18141
18. https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba
19. http://kiberbulingi.blogspot.com/p/blog-page.html
20. https://www.izrune.ge/?id=1130
21. https://journal.scsa.ge/ka/papers/621/
22. http://intermedia.ge/

დანართი 1

ბავშვის უფლებათა კონვენცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბავშვთა უფლებების კონვენცია 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო. იგი ძალაში 1990 წლის 2 სექტემბრიდან შევიდა. კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან, რომელთაგან პირველი 42 მუხლი შეეხება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს – ბავშვის უფლებებს, სახელმწიფოს ვალდებულებებს და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ადამიანების მოვალეობებს. 43-54 მუხლებში კი საუბარია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფომ და ზრდასრულმა ადამიანებმა ერთად კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. კონვენციას მიერთებულია 193 ქვეყანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებმა აიღეს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი პასუხისმგებლობა. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის

მუხლი 1.
ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად.

მუხლი 2.
სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ყველა ბავშვის უფლება – რელიგიის, ეროვნების, კანის ფერისა და სხვა განსხვავებების მიუხედავად.

მუხლი 3.
ყველა მოქმედების დროს, რომელიც ბავშვს ეხება, დაცული უნდა იყოს მისი ინტერესები. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვის ინტერესების დაცვაზე.

მუხლი 4.
სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ბავშვთა უფლებების დასაცავად.

მუხლი 5.
სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს ყველა იმ ადამიანის უფლებას, რომელიც ბავშვის აღზრდაში მონაწილეობს.

მუხლი 6.
ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება და სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვის განვითარებაზე.

მუხლი 7.
ბავშვს დაბადებისთანავე აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი, გვარი და მოქალაქეობა. ასევე უფლება აქვს, იზრდებოდეს მშობლების გარემოცვაში.

მუხლი 8.
სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას და, საჭიროების შემთხვევაში, აღადგინოს ბავშვის პიროვნულობის გამომხატველი ძირითადი ნიშნები: სახელი, მოქალაქეობა და ოჯახური კავშირები.

მუხლი 9.
ბავშვს უფლება აქვს, იცხოვროს მშობლებთან ერთად და, მშობლების განცალკევების შემთხვევაში, ურთიერთობა ჰქონდეს მათთან, თუ ეს არ არის მისთვის საზიანო.

მუხლი 10.
ბავშვსა და მის მშობლებს ყოველთვის შეუძლიათ დატოვონ და დაუბრუნდნენ საკუთარ ქვეყანას, რათა ერთ ოჯახად იცხოვრონ.

მუხლი 11.
სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ქვეყნიდან ბავშვების არალეგალური გაყვანა.

მუხლი 12.
ბავშვს შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი ისეთ საკითხებზე, რომელიც მას ეხება.

მუხლი 13.
ბავშვს აქვს აზრის გამოხატვის და გაზიარების უფლება, თუ ეს ინფორმაცია არ არის მისთვის ან სხვისთვის საზიანო.

მუხლი 14.
სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვის აზრისა და რწმენის თავისუფლება და პატივი სცეს მას.

მუხლი 15.
ბავშვს შეუძლია გაერთიანდეს ასოციაციაში ან მოაწყოს მშვიდობიანი შეკრება, თუ არ დაარღვევს სხვათა უფლებებს.

მუხლი 16.
ბავშვს აქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 17.
ბავშვს აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია მედიის საშუალებით, სახელმწიფომ კი მხარი უნდა დაუჭიროს მედიას ბავშვისთვის სასარგებლო ინფორმაციის გავრცელებაში.

მუხლი 18.
მშობლები ვალდებულები არიან, ბავშვის აღზრდაზე იზრუნონ და, თუ ისინი მუშაობენ და დაკავებულები არიან, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს მათ.

მუხლი 19.
სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი მშობლის, მეურვის, ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ძალადობისაგან.

მუხლი 20.
სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და შეუქმნას მათ ოჯახური გარემო.

მუხლი 21.
ბავშვის გაშვილება უნდა მოხდეს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. უპირატესობა ენიჭება სამშობლოში გაშვილებას, თუმცა შესაძლებელია სხვა ქვეყანაში გაშვილებაც, თუ ეს ბავშვის ინტერესებშია.

მუხლი 22.
სახელმწიფომ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს ლტოლვილ ან ლტოლვილობის სტატუსის მიღების მოსურნე ბავშვზე და, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მას მშობლების მოძებნაში.

მუხლი 23.
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს სპეციალური განათლება, რათა შეძლოს ღირსეულად ცხოვრება. ასეთ ბავშვზე სახელმწიფო განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს.

მუხლი 24.
ბავშვს აქვს უფლება, სარგებლობდეს ხარისხიანი სამედიცინო დახმარებით, სუფთა წყლით, ჰქონდეს სრულფასოვანი კვება და უსაფრთხო გარემო, რათა ჯანმრთელობა შეინარჩუნოს. სახელმწიფო ვალდებულია შეამციროს ბავშვთა სიკვდილიანობა. მდიდარი ქვეყნები უნდა ეხმარებოდნენ ღარიბ ქვეყნებს იმაში, რომ ყველა ბავშვი ჯანმრთელი იყოს.

მუხლი 25
სახელმწიფო ხშირად უნდა ამოწმებდეს იმ ბავშვის მდგომარეობას, რომელსაც მეურვე ზრდის.

მუხლი 26.
სახელმწიფო უნდა დაეხმაროს იმ ბავშვებსა და ოჯახებს, რომელთაც ეს სჭირდებათ.

მუხლი27.
ყველა ბავშვს აქვს უფლება, იცხოვროს ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი განვითარებისათვის. მშობლები ვალდებულები არიან, შეუქმნან შვილებს ცხოვრების ნორმალური დონე, სახელმწიფო კი ვალდებულია, დაეხმაროს მათ ამაში.

მუხლი 28.
ბავშვს უფლება და ვალდებულება აქვს, უფასოდ მიიღოს დაწყებითი განათლება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. დისციპლინის მოთხოვნა სკოლაში უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ღირსებასა

და ინტერესებს. მდიდარი ქვეყნები უნდა ეხმარებოდნენ ღარიბ ქვეყნებს იმაში, რომ ყველა ბავშვმა მიიღოს განათლება.

მუხლი 29.
განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარებისაკენ. სკოლამ უნდა მოამზადოს ბავშვი სრულფასოვანი ცხოვრებისათვის, ასწავლოს მშობლების, თავისი და სხვა ქვეყნების კულტურისა და რელიგიის პატივისცემა.

მუხლი 30.
სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს აქვთ უფლება, მშობლიურ ენაზე ილაპარაკონ და იცხოვრონ თავიანთი ტრადიციების შესაბამისად.

მუხლი 31.
ბავშვს აქვს დასვენების, თამაშის, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 32.
სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც მისთვის საზიანოა.

მუხლი 33.
ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ნარკოტიკების მიღებისა და გავრცელებისაგან.

მუხლი 34.
სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბავშვი სექსუალური ძალადობისაგან.

მუხლი 35.
სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ბავშვის მოტაცება ან გაყიდვა.

მუხლი 36.
სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბავშვი ნებისმიერი იძულებითი ქმედებისაგან, რაც საზიანოა მისი განვითარებისათვის.

მუხლი 37.
ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს წამებისა და უკანონო დაკავებისაგან. 18 წლამდე ასაკის მოზარდს არ შეიძლება დანაშაულისთვის შეეფარდოს სიკვდილით დასჯა და მუდმივი პატიმრობა. დაკავების შემთხვევაში ბავშვს უნდა ჰქონდეს კავშირი ოჯახთან და მას პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ.

მუხლი 38.
15 წლამდე ასაკის ბავშვები არ უნდა იყვნენ სამხედრო სამსახურში. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ბავშვებზე, რომლებიც საომარ ზონაში ცხოვრობენ.

მუხლი 39.
სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვის მკურნალობა, თუ იგი დაზარალდა შეიარაღებული კონფლიქტის, წამების, ან სასტიკი მოპყრობის დროს და იზრუნოს იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოების ნორმალურ წევრად.

მუხლი 40.
ბავშვმა, რომელმაც კანონი დაარღვია, უნდა მიიღოს სამართლებრივი და სხვა სახის დახმარება. მისი დაპატიმრება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს.

მუხლი 41.
თუ სახელმწიფოში მოქმედი კანონები უკეთესად იცავს ბავშვს, ვიდრე ეს კონვენცია, მაშინ სახელმწიფოში მოქმედ კანონებს უპირატესობა ენიჭება.

მუხლი 42.
სახელმწიფომ ეს კონვენცია უნდა გააცნოს ყველა ბავშვსა და მშობელს.

წყარო: ბავშვის უფლებათა კონვენცია. UNICEF, დეკემბერი, 2018. https://www.unicef.org/georgia/ka/

დანართი 2

ბსუ-ში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო-სურათები

Lovespins the earth



ეროვნული ვიზიტაციური და ვალიტაციური
ბავშვის უფლებები

ავტორების შესახებ

ლელა თავდგირიძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი. არის რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (MINOR) და მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტი) პროგრამის ხელმძღვანელი, ერთობლივი სადოქტორო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ მმართველი საბჭოს წევრი. კითხულობს ლექციებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებთან. მისი კვლევის სფეროა: დიდაქტიკა, პედაგოგიკა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, ინკლუზიური განათლება, ადრეული განათლება.

1989 წლიდან მუშაობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კითხულობს ლექციებს სასწავლო კურსებში: დიდაქტიკა, ბავშვთა და მოზარდთა განვითარებისა და სწავლის თეორიები, პედაგოგიკა, ინკლუზიური განათლება, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. 1998 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: ეკოლოგიური აღზრდა-განათლება საბუნებისმეტყველო ციკლის საგნებში. არის არაერთი სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, შემფასებელი, მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტი. მისი ავტორობით და თანაავტორობით გამოცემულია მონოგრაფია ეკოლოგიური აღზრდის საკითხები, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1997; დამხმარე სახელმძღვანელოები: საუნივერსიტეტო აღზრდისა და სწავლების საკითხები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2011 ISBN 978-9941-17-269-4; სწავლებისა და განათლების თეორია (დიდაქტიკის საფუძვლები) გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ISBN 978-9941-488-12-2 ბათუმი 2019. არის ასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მონაწილეობა აქვს მიღებული ასამდე საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში და 16 საგრანტო პროექტში. არის მოქმედი ტრენერი.

ნატო შეროზია – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. იკვლევს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ საკითხებს. მის ინტერესების სფეროს წარმოადგენს სოციალური პედაგოგიკა, დიდაქტიკა, ადრეული განათლება. კითხულობს ლექციებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან. არის ავტორი 35-ზე მეტი ნაშრომისა, მონაწილეობა აქვს მიღებული 50-მდე საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში და 19 საგრანტო პროექტში. არის მოქმედი ტრენერი.

ყდაზე გამოყენებულია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე ჩატარებული ფოტო-ნახატების გამოფენაში: „ჩემი თვალით დანახული ტოლერანტობა“ და „ბავშვები იცავენ თავიანთ უფლებებს“ მონაწილეების: მოსწავლეებისა და სტუდენტების ნამუშევრები.

წიგნის ელექტრონული ვერსიის PDF ფაილი იხილეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში 10.10.48.48

9 789941 855429